თამთა აბრამიძე

საქართველო: ინტერესები და გამოწვევა შავი ზღვის რეგიონში

ანტიკური ხანიდან მოყოლებული, შავ ზღვას უდიდესი სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა მისი მოსაზღვრე თუ არამოსაზღვრე ქვეყნებისთვის. ისეთი მსოფლიო იმპერიები, როგორებიც იყვნენ რომი და ბიზანტია, დიდ ადგილს უთმობდნენ შავიზღვისპირეთის ქვეყნებთან ვაჭრობას. მანამდე, ანტიკურ ხანაში ბერძნებს საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონიათ შავიზღვისპირეთში მოსახლეებთან. ამის ნათელი მაგალითია მათ მიერ დაარსებული კოლონიები, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში საფუძვლად დაედო მრავალ ზღვისპირა საქალაქო ცენტრს, მათ შორის, ქართული მოდგმის ხალხების მიწებზე.

გლობალური გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე საქართველო განიცდის საგარეო პოლიტიკის ტრანსფორმაციის მძიმე დინამიკას და რეგიონალური და საერთაშორისო ურთიერთობების ფორმების დივერსიფიკაციას. საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალური იქნება ეს პროცესი.

ყოველ რეგიონალურ განზომილებას (სამხრეთკავკასიური, კავკასიური, შავი ზღვის, შავი და ხმელთაშუა ზღვის, შავი და ბალტიის ზღვის, შავი და - კასპიის ზღვის და ა.შ.), რომელშიც საქართველო იღებს მონაწილეობას, გააჩნია შესაბამისი რამდენიმე ფორმატი - მოქმედი და პერსპექტიული. თანამშრომლობის ამ სხვადასხვა ფორმის კომბინაციების მრავალფეროვნებამ ძალზე პოზიტიური გავლენა შეიძლება იქონიოს ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მაჩვენებლების განვითარებაზე.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური კონცეფციის აგება, რომელიც არ გამორიცხავს თავის თავში სხვადასხვა განზომილების რეგიონალური თანამშრომლობის არსებობას, არამედ პირიქით - ეცდება შეავსოს ერთმანეთი და ორიენტირებული იყოს ეფექტურ თანამშრომლობაზე. საქართველო დაინტერესებული უნდა იყოს განზომილებების და საერთაშორისო რეგიონალური თანამშრომლობის პროცესის რენტაბელურ დივერსიფიკაციაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ზო-

გიერთი საერთო მიდგომა, დაფიქსირებული, მაგალითად ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, [62]საერთაშორისო რეგიონალური პოლიტიკა დღეს ფრაგმენტულ და არასისტემურ ხასიათს ატარებს. ამასთანავე მოძრაობის ცალკეული ფრაგმენტები, ისეთი, როგორიცაა ნატოში ან ევროკავშირში ინტეგრაცია, აქტიური, მტკიცე და მეტ-ნაკლებად წარმატებულია. ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველომ შეძლო ამ მიმართულებით სერიოზულად წაწეულიყო წინ, ედუარდ შევარდნაძის „წყნარი" პოლიტიკა საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო სტრუქტურებში ინტეგრაციის მხრივ შეიცვალა უფრო კრეატიული პოლიტიკით, რომელიც, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ისეთ რისკთან, რომლის გაწევის უფლებასაც თავის თავს ვერ აძლევდა წინა პოლიტიკური რეჟიმი და გულისხმობს ახალი ალტერნატიული გზების ძიებას სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მიზნით საერთაშორისო არენაზე. 2004 წლის დასაწყისიდან საქართველოს გააქტიურებამ შავი ზღვის ქვეყნებთან თანამშრომლობის მიმართულებით აზერბაიჯანის და სომხეთის ეჭვიანობა გამოიწვია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმოდგენილნი არიან ზოგიერთ შავი ზღვის ფორმატებში. ამ ფონზე პრინციპულად მნიშვნელოვანია მეზობელი ქვეყნების და პარტნიორების მიერ იმ ფაქტის გააზრება, რომ ქვეყანას შეუძლია და ერთდროულად უნდა მონაწილეობდეს სხვადასხვა რეგიონალურ განზომილებაში და მათ შესაბამის ფორმატებში. ყველა ქვეყანას გააჩნია მსგავსი, დროში ცვალებადი, საგარეო პოლიტიკური შესაძლებლობების რესურსების საკუთარი ერთობლიობა, რომლის შეფასებაც ქვეყანამ რეგულარულად უნდა მოახდინოს და რაციონალურად გამოიყენოს. საერთაშორისო პოლიტიკური აქტივობის შესაძლებლობათა ეს ერთობლიობა წარმოადგენს საერთო ეროვნულ რესურსს. განზომილებათა და ფორმატთა მრავალფეროვნება წარმოადგენს თანამედროვეობის სხვადასხვა გამოძახილებზე და საფრთხეებზე პასუხის გასაცემ დამატებით რესურსებს. ეს არის შესაძლებლობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიმართულების არასწორხაზოვნობის განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, თუ მართვის ეს პროცესი ეფექტური იქნება.

[62] www.mfa.gov.ge ევროკავშირი და შავი ზღვის სამეზობლო – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის გამოსვლა.

ბოლო წლებში შეიმჩნევა საქართველოს როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყნის აღქმის ზრდის აქტიური დინამიკა. ზღვაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, პორტების, ნავთობტერმინალების, საზღვრის დაცვის, თევზჭერის, შავი ზღვის პირა ტურიზმის

განვითარების პერსპექტივების და ა.შ. გაძლიერება, განსაზღვრავს როგორც ჩვეულებრივი მოქალაქეების, ასევე სახელმწიფო მოხელეთა მენტალობის ცვლილებას. ისეთი საზღვაო მეზობლები როგორიც უკრაინა, ბულგარეთი, მოლდოვა და რუმინეთი გახდნენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარტნიორები პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში. დღეს ხდება მათი, როგორც მეზობლების აღქმა, მაშინ როცა რამდენიმე წლის წინ მეზობლებად ითვლებოდნენ მხოლოდ რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და თურქეთი, რომლებსაც საქართველოსთან სახმელეთო საზღვრები აქვთ. შავი ზღვის რეგიონის თანამედროვე მდგომარეობას დიდწილად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მომხდარი ცვლილებები. შედეგად, შავ ზღვაზე ინტერესთა კონფლიქტი კიდევ მეტად ჩაიხლართა და ურთიერთობები უფრო მრავალწახნაგოვანი გახდა. შავიზღვისპირა ქვეყნების (თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო) გარდა, აქ ინტერესები აქვთ აშშსა და ევროკავშირს.

რეგიონში დიდი გავლენის მქონე ქვეყნად დღეს თურქეთი მიიჩნევა. მისთვის შესაძლოა ხმელთაშუა ზღვას უფრო დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდეს, თუმცა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლი საშუალებას აძლევს, შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეინარჩუნოს. პრაქტიკულად ყველა რეგიონული პროექტის მამოძრავებელი ძალა თურქეთია. სწორედ მისი ორგანიზებით მოეწერა ხელი 1992 წლის 25 ივნისის სტამბოლის დეკლარაციას, რომელმაც „შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობას» (BSEC - Black Sea Economic Cooperation) დაუდო საფუძველი. დეკლარაციას ხელს აწერდა 11 ქვეყანა - ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბულგარეთი, საქართველო, საბერძნეთი, მოლდავეთი, რუმინეთი, რუსეთი, თურქეთი და უკრაინა. BSEC-ის შტაბბინა 1994 წლიდან სტამბოლშია. 2004 წლის აპრილში ორგანიზაციაში მიიღეს სერბეთი. „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის» გაცხადებული მიზანია ეკონომიკური სტაბილურობის, მშვიდობისა და ჰარმონიული თანამშრომლობის უზრუნველყოფა ორგანიზა-

ციის წევრ ქვეყნებს შორის. BSEC-ის ეგიდით მოქმედებს „შავი ზღვის[63] კვლევის ცენტრი» და „შავი ზღვის ბანკი».

თურქეთი 1990-იან წლებიდან შავი ზღვის ნავთობტანკერებისგან განტვირთვას ცდილობს. ამას ხელს უწყობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენიც, რომელიც შუა აზიიდან ევროპას აწვდის ნავთობს, საქართველოს გავლით.

ასევე თურქეთის ინიციატივით 2001 წელს დაარსდა „შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის ორგანიზაცია» (BlackSeaFor - Black Sea Naval Force), რომლის წევრები არიან რუსეთი, უკრაინა, ბულგარეთი, რუმინეთი, საქართველო და თურქეთი. ეს ორგანიზაცია არ წარმოადგენს სამხედრო ბლოკს, თუმცა სამხედრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დღეისთვის თურქეთი პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებას ცდილობს რუსეთსა და აშშ-ს შორის. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრია და აშშ-თან მყარ ურთიერთობას ესწრაფვის, იგი ასევე ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებას რუსეთთან და შავიზღვისპირა ქვეყნებთან, რათა მსოფლიოს აჩვენოს, რომ რეგიონის სახელმწიფოებს თავადაც ძალუძთ შავი ზღვის აუზში სტაბილურობის მიღწევა.

მეორე გავლენიანი სახელმწიფო რეგიონში რუსეთია. ზემოაღნიშნული ისტორიული ექსკურსი მეტ-ნაკლებად ცხადს ხდის იმ ინტერესებს, რაც რუსეთს ბოლო საუკუნეებში რეგიონში ჰქონდა. დღეს შავი ზღვა რუსეთისთვის საკვანძო ადგილს წარმოადგენს. იგი სწორედ ამ სივრცის წყალობით ახერხებს აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის კონტროლს. მეორე მხრივ, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვით (თუმცა ამის შანსი დღეს მხოლოდ თეორიულია) შესაძლოა განმეორებულიყო 1853-1856 წლების პრეცედენტი, როცა ყირიმის ომის დროს ინგლისი და საფრანგეთი ლამობდნენ აზოვის ზღვისა და მდინარე დონის გასწვრივ სამხედრო ოპერაციის განვითარებას რუსეთის სამხრეთით, ჩრდილოეთ კავკასიაში. ამდენად, შავ ზღვაზე გავლენის დაკარგვა რუსეთისთვის დიდწილად ჩრდილოეთკავკასიურ ინტერესებს უკავშირდება, თუმცა არანაკლებია რუსეთის ინტერესი საქართველოსადმი.

---

[63] ჟურნალი "ისტორიანი", 2015 წლის იანვარი, #1/49

დიდია რუსეთის დაინტერესება გაზსადენების საკითხითაც. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ შეჩერდა ნაბუკოს გაზსადენის პროექტი, რომელსაც შუა [64]აზიიდან მომავალი ბუნებრივი აირი საქართველოს გავლით უნდა მიეწოდებინა ევროპისთვის. საპასუხოდ რუსეთმა წინ „სამხრეთის ნაკადი» წამოსწია, რომლის მშენებლობაც 2012 წლის ბოლოს დაიწყო და რუსული გაზის ევროპაში ექსპორტს ითვალისწინებს, ბულგარეთისა და სერბეთის გავლით. გაზსადენის ამოქმედება 2015 წლის მიწურულს იგეგმება. იმავე 2012 წელს გაჩნდა ნაბუკოს განსხვავებული ვარიანტი - აზერბაიჯანისა და ირანის თხევადი აირი საქართველოსა და თურქეთის გავლით მიწოდებოდა ევროპას. თუმცა საბოლოოდ აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოს აირის ევროპისთვის მიწოდება სამხრეთკავკასიური მილსადენით ამჯობინეს. 2013 წლის დეკემბერში მოეწერა ხელი, მათ შორის, საქართველოს მიერ, შაჰ-დენიზის პროექტის მეორე ფაზის ხელშეკრულებას. აზერბაიჯანული აირი ევროპაში ტრანსანატოლიური და ტრანსადრიატიკული მილსადენების გავლით მოხვდება.

შავი ზღვის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის გავლენაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ორ ქვეყანას ჰყავს შავ ზღვაზე ყველაზე ძლიერი სამხედრო ფლოტი. კიდევ ერთი ქვეყანა, რომელსაც შავი ზღვის რეგიონზე გავლენა აქვს, ამერიკის შეერთებული შტატებია, რომლისთვისაც ეს რეგიონი რუსეთის მზარდი ამბიციების შეჩერების საშუალებას წარმოადგენს, თუმცა ამაში აშშ-ს მონტრეს კონვენცია უშლის ხელს. სწორედ ამიტომ, აშშ პერიოდულად სვამს კონვენციის გადახედვის საკითხს, ხოლო რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია. შესაძლოა, მომავალში მონტრეს კონვენცია მაინც გადაიხედოს აშშ-ის ინიციატივით, თუმცა ამას დღეს ვერავინ განჭვრეტს.

აშშ-ის ინტერესებს ამყარებს და მეტი ლავირების საშუალებას აძლევს ნატოს ახალი წევრების - რუმინეთისა და ბულგარეთის პოზიცია, რომლებიც რეგიონში აშშ-ის დამკვიდრებას უჭერენ მხარს. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად თურქეთიც, რომელიც უშუალოდ აკონტროლებს ბოსფორსა და დარდანელს, ნატოს წევ-

[64] Международные отношения: теория, конфликты, движения, организации: учебное пособие (ФГОС 3+) 2017

რია, ადვილად დავინახავთ, რა გავლენა აქვს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს შავი ზღვის აუზში.

რეგიონში ანგარიშგასაწევი მოთამაშეა ევროკავშირიც, რომელსაც საკუთარი მიზნები და ინტერესები ამოძრავებს - აღმოსავლეთისკენ გაფართოების, შავი ზღვის ენერგეტიკული უსაფრთხოების, არალეგალური მიგრაციის საკითხები, ასევე ეკოლოგიური პროგრამა, რომელსაც ევროკავშირი შავი ზღვის აუზში ახორციელებს.

დაინტერესებულ ქვეყნებზე საუბრისას აღსანიშნავია გერმანია, რომლისთვისაც გეოგრაფიული ფაქტორის გამოა რეგიონი საყურადღებო - შავ ზღვას უერთდება ევროპის ყველაზე გრძელი მდინარე დუნაი (სიგრძე 2860 კმ), რომელიც სათავეს გერმანიის ტერიტორიაზე იღებს. დუნაის უმეტესი ნაწილი საბჭოთა კონტროლს ექვემდებარებოდა, თუმცა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ სანაოსნოდ გაიხსნა და ამჟამად ის ერთ-ერთი მთავარი სატრანსპორტო არტერიაა.

შავიზღვისპირა ექვსი ქვეყნის რიცხვში შედის საქართველოც. სწორედ ზღვასთან არის დაკავშირებული ბერძნული კოლონიზაცია და ისტორიული კოლხეთის სახელწოდებაც. თანამედროვე საქართველოს BSEC-ის წევრია და აქვს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები. აღსანიშნავია, რომ BSEC-ის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის (BSTDB - Black Sea Trade and Development Bank)) სადამფუძნებლო შეთანხმებას თბილისში ხელი მოეწერა 1994 წელს. ამ ბანკმა წევრ ქვეყნებში ბევრი პროექტი დააფინანსა, მათ შორის საქართველოში. მაგალითად, ნავთობტერმინალის აგება ფოთის პორტში, რომელიც 2002 წელს ამოქმედდა. აქ გადის კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ გადაზიდული ნავთობი. პროექტისთვის BSTDB-მა $8-მილიონიანი სესხი გამოყო.

საქართველოს სტრატეგიული ინტერესებია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, დემოკრატიული მონაპოვრის განმტკიცება და მათი შეუქცევადობა, ევროატლანტიკურ და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოება. BSEC-ში მონაწილეობა ხელს უწყობს ამ მიზნების მიღწევას ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით.

ამგვარად, შავ ზღვას არა მხოლოდ რეგიონული, არამედ საერთაშორისო გეოპოლიტიკური დატვირთვაც აქვს. ამან კი შესაძლოა

გამოიწვიოს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების ინტერესთა შეჯახება და ძალთა გადაჯგუფება, ჩამოყალიბებული სტატუს კვოს დარღვევა და ახალი კონფიგურაციის შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და საქართველო (დამოუკიდებელ ექსპერტთა ანალიზი) თბ. 2007;
2. Россия и Центральная Европа в новых георолитических реалиах.- კონფერენციის მასალები. Narochnitskaia.ru;
3. Stephan blank, Time for a Transatlantic Intitiative, New Europie Review, გვ-5;
4. Современная история международных отношений, 1991-2016: учебное пособие Фененко, А. В. 2017;
5. Международные отношения: теория, конфликты, движения, организации : учебное пособие (ФГОС 3+) 2017

Tamta Abramidze

Georgia: Interests and challenge in Black Sea region

Summary

The Black Sea has been the largest trade-and economic and military significance since its borders and non-destined countries. World empires, such as Rome and Byzantine, were a great place to trade with the Black Sea countries. The article describes the interests of large states towards the Black Sea and challenges with Georgia.

მერაბ მეგრელიშვილი
ნიკოლოზ მეგრელიშვილი

საქართველო - თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები (წარსული და თანამედროვეობა)

ზოგიერთი რამ საქართველო - თურქეთის სამეურნეო ყოფითი ურთიერთობების ისტორიიდან გასათვალისწინებელია ჯერ კიდევ XV საუკუნიდან, მას შემდეგ რაც მაღალგანვითარებული, ქრისტიანული, სამეურნეო ყოფითი კულტურული ცხოვრების მქონე ქვეყნის, ბიზანტიის ნაცვლად ჩვენ დაგვიმეზობლდა ოსმალეთი, საქართველო ყველაზე მეტად ინარჩუნებდა ბიზანტინიზმს. თვით თურქი ისტორიკოსი მეჰმედ არიფი მაღალ დონეზე წარმოაჩენს რა ქართულ სოფელს თურქეთში, აღნიშნავს, რომ XV საუკუნემდე თურქმა არ იცოდა თუ რა იყო რკინის სახნისი. ოსმალები მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ და მხოლოდ საქართველოსა და ბიზანტიის მიწა-წყალზე დამკვიდრების შემდეგ, თანდათანობით გაეცნენ და გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე, რამაც განაპირობა მათში სამეურნეო, საოჯახო ყოფითი კულტურის განვითარება.[1]

XVII საუკუნემდე, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული კულტურული ტრადიციების მქონე კუთხე აჭარა ინარჩუნებდა თვითმყოფადობას, მაგრამ ისლამიზაციის გამო, იძულების გზით მასში შემოაღწია მიმბაძველობითმა ფორმებმა, თუმცა საოჯახო-სამეურნეო ყოფითი კულტურის გენეტიკური ფესვები იმდენად ძლიერი იყო, რომ მასთან ჭიდილში უცხო ფორმებმა ვერაფერი ღირებული ვერ დაამკვიდრეს.

ჯერ კიდევ 1080 წელს, დიდი თურქობის ჟამს, დავითის ისტორიკოსის ცნობით აჭარა, შავშეთი-კლარჯეთი, სამცხე ტყედ გადაიქცა და „არაიყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა“.[2]

თურქი ისტორიკოსის მურად ქასაბის ახლახან გამოქვეყნებულ ნაშრომში „ოსმალეთის ქართველები“[3] აღნიუშნულია, რომ 1080 წლიდან თითქოსდა არსებული წყაროებით დგინდება ქართველებისა და ოსმალების აქტიური თანამშრომლობა ხელოვნების და არქიტექტურის დარგში, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ქარ-

თველი მემატიანეს ცნობით“დიდი თურქობის“ ჟამს „წაებილწა წმინდა ადგილები და დაიხოცნენ ეკლესიის მსახურნი“. [3]

ოსმალეთის ისტორიის მკვლევარ, ზაზა შაშიკაძის წიგნში „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“ [4] საუკეთესოდაა წარმოჩენილი ოსმალების შემოსვლამდე აჭარაში განვითარებული სასოფლო-სამეურნეო დარგები, კერძოდ მეცხოველეობა, მეფუტკრეობა, მევენახეობა, სამიწათმოქმედო და მარცვლეული კულტურის დარგები. ნაშრომი მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ოსმალეთ-საქართველოს იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების შესახებ. ოსმალებმა აჭარაში შემოსვლისთანავე დაამკვიდრეს მიწისმფლობელობის საკუთარი ფორმები. ოსმალეთი დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკას საკუთარს უქვემდებარებდა. მიწაზე უფლებით სარგებლობდა ოსმალოს ჯარში მომსახურე პიროვნება. ამის საფუძველზე აჭარის მთელი რიგი სოფლები დაცარიელდა. მკვლევარ ზაზა შაშიკაძის ნაშრომში აღნიშნულია, რომ ოსმალეთის იმპერიის ეკონომიკის ძლიერება პირდაპირ იყო დაკავშირებული დაპყრობით ომებთან. ამას უკავშირდება ტერმინი „ხმალზე დაყრდნობილი ეკონომიკა“, რაც გულისხმობს დაპყრობილი საქართველოს და მათი მოსახლეობის რესურსების ექსპლუატაციას. ოსმალოს იმპერიის ეკონომიკის აღმასვლა იწყება მას შემდეგ, რაც მან ვეღარ შეძლო ახალი ტერიტორიების დაპყრობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა აქტიურად დაიწყო ეკონომიკური ექსპანსია, როგორც ამიერ კავკასიის რესპუბლიკებში (საქართველო, აზერბაიჯანი), ასევე ცენტრალური აზიის ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებში. თურქეთი ძალიან ფრთხილობს, რომ არ გააღიზიანოს არც რუსეთი და არც ევროკავშირი. თუკი თურქეთი რუსეთიდან მთელი მოხმარებული გაზის 67%-ს იღებს, ევროკავშირთან „ტკბილი დამოკიდებულებაც“ ძალიან სჭირდება, რადგან ოდესღაც ამიერ კავკასიის დიდი ნაწილი თურქეთის (ოტომანების) იმპერიაში შედიოდა. არ არის გამორიცხული, რომ დღევანდელ თურქეთსაც ჰქონდეს გარკვეული გეგმები ამ ტერიტორიებზე კონტროლისა, მაგრამ რუსეთის ფაქტორი სერიოზულ შეფერხებას უქმნის. ამიტომ თურქეთი მეტად ფრთხილად და ეშმაკურად იქცევა. თანდათანობით ზრდის მისთვის საინტერესო რესპუბლიკების დამოკიდებულებას თურქულ საქონელზე. ეს საქონელი არ არის ენერგო რესურსები ან ბუნებრივი წიაღისეული. თურქეთი აჭარაში არსებულ ენერგო რესურსებს (ჭოროხი, აჭარისწყალი, მაჭახელის ხეობა) ჰესების

მშენებლობით ეუფლება, რაც გარემოს ეკოლოგიას საფრთხეს უქმნის (მეწყერი) და ამასთან აჩქარებს ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაციას. თურქეთის საექსპორტო საქონელია ტრიკოტაჟის ნაწარმი, ცემენტი, სამშენებლო მასალები, ქიმიური ნაწარმი, საკვები პროდუქტები, ელექტრონიკა და სხვა ყოველდღიური დანიშნულების პროდუქცია. ეკონომიკური კრიზისის პირობებში ალბათ თურქული საქონლის წარმოება და ექსპორტი დაიკლებს. ამიტომ თუკი თურქეთს საშუალება ექნება, სიამოვნებით შეთავაზებს მის „პარტნიორ“ ქვეყნებს კრედიტებსა თუ სხვა დახმარებებს. მაგრამ მთავარი პრობლემა ის არის, რომ თურქეთის ეკონომიკა თვითონ შეიძლება გახდეს ეკონომიკური კრიზისის მსხვერპლი, რაზეც მისი დღევანდელი მდგომარეობა მიანიშნებს. საქართველოს თურქეთთან მხოლოდ სავაჭრო ურთიერთობები როდი აკავშირებს. თურქეთი ცდილობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით აჭარაში, ფეხი მოიკიდოს. საქართველოში ამას უცხოურ ინვესტიციებად მოიაზრებენ და არავინ საუბრობს იმაზე, თუ როგორ გადადის მათ საკუთრებაში ესა თუ ის მნიშვნელოვანი ობიექტი.[5]

საქართველო-თურქეთს შორის საზღვრების გახსნამ მნიშვნელოვანი პერსპექტივები დასახა მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობების განვითარებისთვის. მოგეხსენებათ თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა და ამიტომაც სამომავლოდ მათთან თანამშრომლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნულ ეკონომიკურ სფეროში, ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას გარკვეული პრობლემებიც გააჩნია. მკვლევარი დავით ქათამაძე სამეცნიერო ნაშრომში „საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობა არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები)“ ასახელებს შემდეგ პრობლემებს:

1. საქართველოში თურქეთიდან იაფფასიანი უხარისხო პროდუქციის მოდინება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ეროვნული პროდუქციის წარმოებაზე და მოსახლეობის ჯამრთელობის უსაფრთხოების დაცვაზე.
2. საქართველო-თურქეთის ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში გამოვლენილი დისპროპორციები.
3. თურქ პარტნიორთა მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ხშირი დარღვევა.
4. საქართველოსა და თურქეთს შორის ფინანსური თანამშრომლობის სფეროში წარმოქმნილი პრობლემები.

5. თურქეთის მიერ მდინარე ჭოროხზე ჰესების მშენებლობა, რაც საფრთხეს უქმნის აჭარის ზღვისპირა მოსახლეობას.
6. საქართველოს ეროვნულ ფასეულობათა თურქეთში ექსპორტი.[6]

დიდი საფრთხის წინაშე დგას აჭარის სოფლის ხვალინდელი დღე. საქართველოში არსებული უმუშევრობის გამო, ქვეყნიდან ჭარბად გაედინება იაფფასიანი მუშა ხელი, რომელიც ძირითადად დასაქმებულია სასოფლო სამეურნეო წარმოებაში და ვაჭრობაში.

ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით, ძირითადად, საბჭოთა პერიოდში გამოცემული ლიტერატურა ისტორიულ ხასიათს ატარებს და მასში ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული წმინდა ეკონომიკურ საკითხებზე. ჩაკეტილი საზღვრების პირობებში არსებული საკითხის შესწავლა ინტერესს მოკლებული იყო.

აღსანიშნავია შრომების კრებული „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, გამოწვევები და შესაძლებლობები“, რომელშიც ჩვენი ყურადღება მიიპყრო რამაზ ფუტკარაძის სტატიამ „საქართველოს საგარეო სავაჭრო განვითარების ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში“. მასში გადმოცემულია საქართველო-თურქეთს შორის არსებული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები, ასევე 2007 წლის მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემები. 2007 წლიდან საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა, რომელმაც ჩაანაცვლა რუსეთი. ამ პერიოდში თურქეთთან სავაჭრო ბრუნვამ 899,68 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 13,6 პროცენტია, მათ შორის ექსპორტი 171,8 მლნ. აშშ დოლარის ტოლფასი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 48,5 მლნ. აშშ დოლარით მეტია.

თურქეთი	ბრუნ-ვა	წილი მთლიან ბრუნვაში	ექსპორტი	წილი მთლიან ექსპორტში
	899,68	13,9	171,77	13,9%

თურქეთი	იმპორტი	წილი მთლიან იმპორტში	სალდო
	727,91	14,0%	556,14

თურქეთში გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი როგორიცაა: შავი ლითონების ჯართი (34,4 მლნ. აშშ დოლარით), ალუმინის ჯართი (5,8 მლნ. აშშ დოლარით), ელექტროენერგია (4,6 მლნ. აშშ დოლარით), მინის ტევადობები (3,4 მლნ. აშშ დოლარით). ასევე მნიშვნელოვანი ზრდა (205,3 მლნ. აშშ დოლარით) ფიქსირდება თურქეთიდან იმპორტში. განსაკუთრებით გაზრდილია პლასტმასის მილების (8,4 მლნ. აშშ დოლარით), შავი ლითონების მეტალო კონსტრუქციების (7,4 მლნ. აშშ დოლარით), კარტოფილის (7,2მლნ. აშშ დოლარით). პროფესორ რამაზ ფუტკარაძის აზრით საქართველოს სავაჭრო ბრუნვის მაღალ დონეს თურქეთთან ძირითადად განსაზღვრავს: ტერიტორიული სიახლოვე, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის დაბალი შემოსავლები, მოცემული ქვეყნებიდან პირველადი მოთხოვნილების საქონლის იმპორტი, მათი ბაზრის შედარებით ნაკლებ პრეტენზიულობა საქონლის ხარისხისა და კონკურენტიანობის მიმართ, ათწლეულების მანძილზე დამკვიდრებული სავაჭრო კავშირები და სხვა ფაქტორები.[7]

თურქეთის როგორც უმსხვილესი ინვესტორის როლსა და დანიშნულებაზე მინიშნებულია ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის კვარტალურ მიმოხილვაში „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“.[8]

ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესასწავლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ხელშეკრულებები, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელშეკრულებას „საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ“.[9] ამ ხელშეკრულებით აღნიშნულმა სახელმწიფოებმა აღია-

რეს მისწრაფება, მზადყოფნა და სურვილი, რათა მიიზიდონ, ხელი შეუწყონ და დაიცვან უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების ინვესტიციები საკუთარ ტერიტორიებზე.

საქართველო თავისი არსებული გეოსტრატეგიული მდებარეობით პრაქტიკულად უზრუნველყოფს სტრატეგიული ფუნქციის მინიჭებას, რაც თავისთავად ზრდის საქართველოსადმი ინტერესს, მისადმი ნდობას და მის საბოლოოდ დამკვიდრებას მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში. პროექტის მოქმედების პერიოდში (40 წელი) საქართველოს ბიუჯეტმა გარანტირებულად უნდა მიიღოს 2 მილიარდ 100 მლნ. აშშ დოლარი, რაც საშუალოდ წელიწადში 42,5 მლნ. დოლარს შეადგენს. პროექტი უზრუნველყოფს 40-60 ათასი კაცის დასაქმებას. პროექტის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის კიდევ უფრო სწრაფ განვითარებას, ტვირთების 60% შემოტანას ბათუმისა და ფოთის პორტების, სარკინიგზო, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის საშუალებებით. ტვირთების ტრანსპორტირებით საქართველო დაახლოებით 10 აშშ დოლარს მიიღებს ტრანსპორტირებული ტვირთის თითოეულ ტონაზე. აღნიშნული ხელშეკრულების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა 2012 წლის 5 ივნისს აშშ სახელმწიფო მდივნის კლინტონის ბათუმში ვიზიტის შემდეგ.

XXI საუკუნეში განხორციელდება იდეა ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიხანისა და „სამხრეთ კავკასიური“ გაზსადენის სახით. სამხრეთ კავკასიური გაზსადენით (ბაქო-თბილისი-ერზერუმი, პროექტის ღირებულება 1 მილიარდ აშშ დოლარი) საქართველოს, თურქეთისა და შემდგომში ევროპის ბაზრებზე ტრანსპორტირებული იქნება აზერბაიჯანის კასპიის ზღვის სექტორში მდებარე „შახ-დენიზისა“ და კასპიის ზღვის აუზის სხვა საბადოებიდან მოპოვებული ბუნებრივი გაზი. შახ-დენიზი აზერბაიჯანის უდიდესი გაზის საბადოდ ითვლება. მისი მარაგი 1 ტრლნ. $მ^3$ გაზის და 200 მლნ. ტ გაზის კონცენტრატს შეადგენს. „ბაქო-თბილისი-ერზრუმის“ სამხრეთკავკასიური გაზსადენის სიგრძე აზერბაიჯანსა და საქართველოს მონაკვეთზე 691 კმ-ს შეადგენს, საქართველოს მონაკვეთზე მისი სიგრძე 249 კმ-ია. ეს გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პარალელურად არის გაყვანილი. სამხრეთ კავკასიური მაგისტრალი, პროექტის საწყის ეტაპზე დადებული ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს ბუნებრივი აირის

ტრანზიტისათვის მისი მოცულობის 5% უფასოდ დარჩეს და დამატებით 300 მლნ. $მ^3$-ის იყიდოს იაფად - 63 აშშ დოლარად. საქართველო არის არა მარტო სატრანზიტო, არამედ ბუნებრივი გაზის მომხმარებელი ქვეყანა. 2011-2012 წლებში შეღავათიანი ტარიფით შესასყიდი ბუნებრივი აირის კვოტა 500 მლნ. მ3უნდა გაზრდილიყო. 20 წლის განმავლობაში საქართველო პროექტის ინვესტორებიდან ბუნებრივი გაზის დამატებით მოცულობებს (წელიწადში ნახევარი მილიარდი კუბური მეტრი) სპციალურ ფასებში შეისყიდის.[10] შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე საქართველოს დიდ ნაწილში მოსახლეობა უზრუნველყოფილია ბუნებრივი აირით. საქართველოს გაზიფიცირების პროექტს ახორციელებენ აზერბაიჯანის გაერთიანება „სოკარი“ და ყაზახური კომპანია. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალურ პროცესებს ეხება პროფესორი იაკობ მესხია თავის სტატიაში: „საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა, ანალიზი, პროგნოზი“[11]. მისი ანალიზით პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველოს ადგილი გლობალურ რეიტინგში საკმაოდ დაბალია (90-ე ადგილი). საქართველო და საქართველოზე უკეთესი რეიტინგის მქონე მოსაზღვრე ქვეყნებს შორის პოზიციათა სხვაობა ძალიან დიდია (აზერბაიჯანთან 36 პოზიცია, თურქეთთან 32 პოზიცია და რუსეთთან 90). საქართველოს მოსაზღვრე მეზობელი ქვეყნებიდან გლობალური კონკურენტიანობის ყველაზე საუკეთესო რეიტინგი აზერბაიჯანს, შემდეგ თურქეთს (61 ადგილი) და რუსეთს (63 ადგილი) აქვს. მკვლევარი პოზიტიურად არ აფასებს საქართველოს მდგომარეობას, რადგან საქართველოს ყველაზემაღალი ეკონომიკური კავშირები აქვს თურქეთთან და აზერბაიჯანთან, ხოლო მათი მხრიდან შედარებით მაღალი გლობალური კონკურენტიანობის შენარჩუნება საქართველოს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საკუთარი კონკურენტიანობის ამაღლებაში.

პროფესორ უშანგი სამადაშვილს მიაჩნია, რომ დღევანდელი საქართველო ეკონომიკური განვითარებით არის 10 წლის წინანდელი თურქეთი, 20 წლის წინანდელი ესპანეთი, 30 წლის წინანდელი იტალია. მკვლევარს მიაჩნია, რომ საქართველოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების სტაბილურ ფუნქციონირებაზე, ინფრასტრუქტურაზე, მაკრო ეკონომიკურ სტაბილურობაზე, ასევე ჯანმრთელ და განვითარებულ სამუშაო ძალაზე, ანუ საბაზო მოთ-

ხოვნებზე, რომელიც ფაქტორებზე ორიენტირებული ეკონომიკის საფუძველია.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტს მხოლოდ აზერბაიჯანი და თურქეთი აფინანსებენ, რაც მთლიანად ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სომხური ლობის დამსახურებაა. მათი ზეწოლით ამერიკის საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციამ უარი უთხრა მსხვილ ამერიკულ კომპანიებს, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ჩართვის შემთხვევაში, ინვესტიციების დაზღვევაზე. ოფიციალური ერევანი დღემდე პროექტს ანტისომხურად მიიჩნევს, რომელიც სომხეთს თამაშგარეთ ტოვებს. სომხები ხაზს უსვამენ, რომ უმოკლესი გზა, ამ დერეფანში უკვე არსებული, გიუმრი-ყარსის რკინიგზის ხაზია, თუმცა, ის 1993 წლიდან აღარ მოქმედებს, როცა თურქეთმა მთიანი ყარაბაღის გამო, სომხეთთან საზღვარი ცალმხრივად ჩაკეტა.

დიდია რისკები, რომლებიც თან ახლავს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეკონომიკის ექსპერტთა ერთი ნაწილი, მათ შორის გია ხუხაშვილიც, თურქეთიდან არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარკვეულ რისკებს ხედავს. იგი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ჩვენი მეგობრული ურთიერთობებისა, გარკვეული ხიფათი ყოველთვის არის ჩადებული. ყოველთვის ჯობია იყოს ბალანსი. ჩვენ უცხოური ინვესტიციები, რათქმაუნდა, მივიზიდოთ, მაგრამ ეს უცხოური ინვესტიციები როდესაც ხდება ერთპოლუსიანი, ეს აძლევს გარკვეულ საშუალებას ინვესტორ მხარეს, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიების მეშვეობით ეს გ ამოიყენოს პოლიტიკურ ინტერესებში. ექსპერტის აზრით, რისკები შემცირდება, თუ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვა დაბალანსდება, ანუ ექსპორტის მოცულობა იმპორტს მიუახლოვდება. მაგრამ ეს ჯერჯერობით ვერ ხდება იმის მიუხედავად, რომ თურქეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს.[12]

შესაბამისად, ქართველ მეწარმეებს შეუძლიათ მეზობელ ქვეყნებში პროდუქცია ყოველგვარი საბაჟო გადასახადების გარეშე გაიტანონ, თუმცა თურქეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის სიმცირეა, არადა, მაგალითად, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების თანახმად, მეზობელ ქვეყნებში 1 მლნ. ლიტრი ღვინის ექსპორტირებაა შესაძლებელი. საქართველოს კომპანიები კი ამ შესაძლებლობას ვერ იყენებენ.

საქართველო სრულფასოვნად ვერ იყენებს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს. ამასთან ძალიან ჭირს თურქეთის ბაზარზე ღვინის მარკეტინგი, იმიტომ რომ არატრადიციული პროდუქციაა მათთვის და თვითონ თურქეთის ბაზარი დაკავებულია ადგილობრივი წარმოების იაფასიანი ღვინით, ამიტომ ჩვენს მწარმოებლებს უჭირთ მარკეტინგის კუთხით თურქეთის ბაზარზე შესვლა.

ამ პრობლემების შესწავლა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრს დაევალა. რა შედეგს გამოიღებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩარევა, წლის ბოლოს ექსპორტის მონაცემების შეჯამებისას გამოჩნდება,

გაცილებით უფრო დინამიკურად ვითარდება თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში. საქართველოში თურქეთის ინვესტიციებით შენდება ახალი ჰიდროელექტროსადგურები და გადამცემი ხაზები, საქართველო კი თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტს ახორციელებს. კარგადაა ცნობილი ორი ქვეყნის თანამშრომლობა გაზისა და ნავთობის ევროპაში ტრანსპორტირების სფეროშიც. ამ თანამშრომლობას ჯანსაღს უწოდებს ენერგეტიკული უსაფრთხოების ექსპერტი გია ხუხაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ საქართველო, ფაქტობრივად, აზერბაიჯანსა და თურქეთთან ერთად გადაიქცა აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიან გეოპოლიტიკურ კვანძად და ერთობლივად შეიძინა გარკვეული გეოპოლიტიკური ფუნქცია.[13]

საქართველოს მთავრობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ასეთ თანამშრომლობას და თურქეთთან ერთად ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაზე მუშაობენ. ახალ პროექტებში ინვესტირების საშუალებას კი თურქეთის სწრაფად მზარდი ეკონომიკა იძლევა, რომლის განვითარების ტემპი ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპს მიუახლოვდა. თურქეთი უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში პირველობას ინარჩუნებს.

თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი იზრდება. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება - ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები საქართველოში დაინტერესდნენ.

საქართველოში დამკვიდრებას გეგმავს თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „ათა ჰოლდინგი“. აღნიშნული კომპანიის ბალანსზეა თურქეთში მსხვილი ტურისტული კომპლექსის აშენება და მართვა, აგრეთვე, საწარმოები ტექსტილის სფეროში. საქარ-

თველოში ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს, ასევე, თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც, რომელიც თურქეთის უმდიდრეს ადამიანთა შორისაა დასახელებული და აკონტროლებს კომპანიას „აჯარ ჰოლდინგი“. იგი დაინტერესდა საქართველოს ტურისტული პროექტებით.[14]

დაგეგმილია, ქ. ბათუმში, „მედიკალ-პარკის“ მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობაც. „მედიკალ-პარკი“, თურქეთში 14 ჰოსპიტალს ფლობს. თურქი ინვესტორები აჭარის აგრო სექტორში ინვესტიციების განხორცილებითაც არიან დაინტერესებულნი.

ადანას სავაჭრო ბირჟის მმართველი ოსმან ბაღიში კაპიტალდაბანდებას სიმინდისა და ციტრუსის წარმოებაში გეგმავს. ინვესტიციის რაოდენობა ამ ეტაპზე არ სახელდება, თუმცა, სავარაუდოდ, იგი საკმაოდ მოცულობითი იქნება. ადანას სავაჭრო ბირჟა სიდიდით მესამეა თურქეთში.

ქვეყნებს შორის არსებული სავაჭრო პირობები ცალ კარში თამაშს გავს. ფაქტი კი ერთია, რუსეთთან გართულებული პოლიტიკური და თითქმის მთლიანად შეწყვეტილი ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე, ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე თურქეთი საქართველოს პირველი სავაჭრო ქვეყანა გახდა.

გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტიც, როგორებიცაა: ფეროშენადნობები, შავი ლითონის ჯართი და აზოტოვანი სასუქები. თურქეთიდან იმპორტის ზრდაც ფიქსირდება. განსაკუთრებით გაზრდილია ცემენტის, ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. საქართველო-თურქეთს შორის ვაჭრობისას იმპორტის ყოველწლიური ზრდა საშუალოდ შეადგენს 46%-ს. ხოლო ექსპორტისა - 29%-ს შეადგენს.

ისმება კითხვა: რამდენად სასარგებლოა ეს ციფრები ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის?

ექსპორტის სტრუქტურის განხილვა და ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებულია ძირითადად ჯართი, ნედლეული და ხე-ტყე მაშინ, როცა პარტნიორი ქვეყნებიდან ძირითადად, დაბალი ხარისხის სამშენებლო მასალა, კვების პროდუქტები, ტექსტილი და ა.შ. უწყვეტ ნაკადად შემოედინება, რაც ჩვენთვის არც თუ სახარბიელოა.[15]

ამრიგად ქართულ-თურქული ბიზნეს ფორუმის მასალებიდან ჩანს, რომ საქართველოში ინვესტიციები შემოვიდა, რაც გამოიწვევს თურქი ბიზნესმენების ბიზნესში სწრაფ ჩაბმას, რა გზითაც ქვეყანა დამატებით შემოსავალს, სამუშაო ადგილებსა და საწარმოებს მიიღებს, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება, რადგან ციფრები მეტყველებენ იმაზე, რომ თურქეთი, როგორც საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი, ჯერჯერობით მხოლოდ ფიქციად რჩება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. მეხმედ არიფი „ქართული სოფელი თურქეთში“ თბ. 2000
2. ქართლის ცხოვრება, ტომი I თბილისი 1955
3. მურად ქასაბი „ოსმალეთის ქართველები“ თბ. 2011
4. ზაზა შაშიკაძე „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, თბილისი 2011
5. www.economy.ge
6. დავით ქათამაძე „საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობა, არსებული მდგომარეობა და პრესპექტივები“. საკანდიდატო დისერტაცია, თბ. 1990
7. შრომების კრებული „გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება, გამოწვევები და შესაძლებლობები“. თბ. 2008.
8. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი, კვარტარული მიმოხილვა „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“. თბ. 2007.
9. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ხელშეკრულებებში I ნაწილი. თბ. 2007.
10. ხელშეკრულება „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ. სტამბული 1999 წლის 18 ნოემბერი.

11. სამეცნიერო კრებული „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტიანობის მაჩვენებლებში, პრობლემები, პრესპექტივები“. II თბ. 2011.
12. სამეცნიერო კრებული „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტიანობის მაჩვენებლებში, პრობლემები, პრესპექტივები“. II თბ. 2011.
13. სამეცნიერო კრებული „საქართველოს ეკონომიკა მსოფლიო კონკურენტიანობის მაჩვენებლებში, პრობლემები, პრესპექტივები“. I თბ. 2009.
14. ლ.დოდიკაშვილი, ნ.ჩეკურიშვილი, მ.ღვინჯილია. „ტურიზმის ეკონომიკა“. თბ. 2009.
15. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“ 2013 №1

Merab Megrelishvili
Nikoloz Megrelishvili

Georgian - Turkish Economic Relations
(Past and present)
Summary

Based on the analysis of statistical materials, the article deals with Georgian-Turkish economic relations. We have also made conclusions about the positive and negative consequences of these relations.

რამაზ სურმანიძე

ახალი ცნობები გრიგოლ ვოლსკის ცხოვრება-მოღვაწეობიდან. საფლავი (ნარატიული წყაროები)

ნახევარი საუკუნის წინ, 1967 წელს, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას, მწერლის და პედაგოგის დავით ნაცვალაძის წიგნიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პოეტის და მუნიციპალური მოღვაწის გრიგოლ ვოლსკის საფლავის ადგილმდებარეობა უცნობია.

წიგნის ავტორს კარგად ახსოვდა, როგორ დაანგრიეს მშენებარე ქართული ეკლესია და ახალი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის ჩაყრის დროს განადგურდა მის ირგვლივ მდებარე საფლავები. პატრონი ვისაც ჰყავდა, სხვაგან გადაასვენეს, მაგრამ ბევრი ნეშტი იქვე იყო მიმოყრილი და ბავშვები თავის ქალათი ფეხბურთს თამაშობდნენო — სინანულით თქვა დავითმა.

გრიგოლის საფლავზე მწერალმა ვერაფერი გვითხრა: თავადაც ბევრი ვეძიე, მაგრამ არაფერი გამომივიდაო.

ამ შეხვედრისთანვე მოვამზადე და გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოვაქვეყნე წერილი, „სად არის გრიგოლ ვოლსკის საფლავი?“[2] მოვიტან ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„1907 წლის ზაფხულში გრ. ვოლსკი მეფის ხელისუფლებამ აიძულა გასცლოდა ბათუმს და საცხოვრებლად თბილისში გადასულიყო. აქ იგი ერთხანს სათავადაზნაურო სკოლაში მასწავლებლობდა, მაგრამ დიდხანს აღარ უცოცხლია და 1909 წლის 5 ოქტომბერს გადაიცვალა. გრიგოლ ვოლსკის ცხედარი ბათუმის ქართველი ინტელიგენციის თხოვნით, ჩვენს ქალაქში გადმოუსვენებიათ და ქართული ეკლესიის გალავანში (ამჟამად გორკის ქ. № 25) დაუსაფლავებიათ.

გრიგოლ ვოლსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის გამგეობამ აირჩია სპეციალური კომიტეტი, რომელსაც დაევალა შეემუშავებინა გრ. ვოლსკის ძეგლის გეგმა და შეეგროვებინა მისი დადგმისთვის საჭირო თანხა. დაიბეჭდა ფურცელი, რომელიც მოუწოდებდა ქალაქის ინტელიგენციას შეეტანა თავისი წვლილი გრ. ვოლსკის უკვდავყოფის საქმეში.

ეს არის და ეს. სამწუხაროდ, დღემდე არ ვიცით გრ. ვოლსკის საფლავი. ამბობენ, 1928 წელს სოუქსუზე გადაასვენესო, მაგრამ

სად არის დასაფლავებული, არავინ იცის. იქნებ ხანდაზმულთა შორის აღმოჩნდეს ისეთი, ვისაც ახსოვს ქართული ეკლესიის დანგრევა და მახლობლად მდებარე სასაფლაოების ბედ-იღბალი? აუცილებელია ქალაქის ინტელიგენციამ იზრუნოს ძეგლის დადგმაზე."

მეორე დღესვე სამუშაო კაბინეტში მესტუმრა სახელოვანი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი **გიორგი ხეჩინაშვილი**. მან მიამბო: „კარგად მახსოვს გრიგოლი, მისი ბათუმში გადმოსვენება, ბათუმის გიმნაზიის მოსწავლეები საქალაქო სათათბიროს წინ, ქუჩაში გლოვის ცერემონიალს და ავსებული ეკლესიის ეზოში დაკრძალვასაც ვესწრებოდით. შემიძლია მიახლოებით ადგილი გიჩვენოთ, მაგრამ 1928 წელს, როცა ეკლესია დაანგრიეს, მე თბილისში ვცხოვრობდი და ამ საფლავების ბედი ჩემთვის უცნობია; საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას ისე წაიშალა ძველი ზედაპირი, რომ ახლა რაიმეს მიგნება გამიჭირდება... ეს ამბები ყველაზე კარგად ეცოდინება ადვოკატ **ხორომანსკის**, რომელიც ჩემზე უფროსია, კარგად იცნობდა გრიგოლს და ყველაფერი ემახსოვრება, მაგრამ მასთან მე არ მახსენო..."[3]

გიორგი ხეჩინაშვილი ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი იყო. ვთხოვე და არც ის დამზარდა გვენახა ადგილი, სადაც გ. ვოლსკი დაკრძალეს, თუმცა ამან შედეგი არ გამოიღო, რადგანაც ახალმშენებლობის დროს ყველაფერი მართლაც შეცვლილიყო.

მოკლედ უნდა ვთქვათ, ევტიხი ხორომანსკიზე, რადგანაც მისი და გრიგოლ ვოლსკის წინაპრების ბედი თითქმის ერთნაირია. გარდა ამისა, როგორც გაირკვა, ევტიხი გრიგოლის მეგობარი და მესაიდუმლეც ყოფილა.

ევტიხი ხორომანსკი 1830 წელს პოლონეთში გაჩაღებული აჯანყების მონაწილის შვილიშვილი იყო. მისი წინაპარი გურიაში სოფელ ჭანიეთში გადმოასახლეს; შეირთო გურული ქალი და 1836 წელს შეეძინა შვილი ივანე (1836-1931). დავაჟკაცებულმა ივანემაც ჭანიეთელი მართა ნიკოლოზის ასული ლომჯარია (1852-1903) შეირთო. აქ იგი ფლობდა მიწებს, საკმაოდ მდიდარი იყო და ბათუმშიც შეიძინა საცხოვრებელი სახლი. ჭანიეთში ივანეს შეეძინა შვილები: ევტიხი, გაბრიელი და ქალიშვილი, რომელიც ლიხაურელ სევასტი ურუშაძეზე გათხოვდა.[4]

ევტიხი (1881-1972) და გაბრიელი (1890-1937) ბათუმში გაიზარდნენ. უფროსმა ძმამ იურიდიული, ხოლო გაბრიელმა სამედიცინო განათლება მიიღო. იყო აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომის-

რის მოადგილე, კურორტსამმართველოს უფროსი. იგი გამოგონილი ბრალდებით დააპატიმრეს და 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს.[5]

ევტიხი ცნობილი ვექილი გახლდათ. ძალზე მკაცრი, სამართლიანი, მაგრამ გადაჭარბებულად პრინციპული. იგი თავიდანვე მენშევიკებს მიემხრო, რამდენჯერმე დააპატიმრეს, სიკვდილიც ჰქონდა მისჯილი, მაგრამ გადარჩა.

მიუხედავად ამისა, 1911 წელს ევტიხი ქალაქის ხმოსნობის კანდიდატად აირჩიეს, მაგრამ გუბერნატორის ბრძანებით, არაკეთილსაიმედო ხმოსნებთან ერთად იგი გადააყენეს და მათ ნაცვლად სხვები აირჩიეს.[6] თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ, 1917 წლის არჩევნებში ევტიხი მაინც გახდა ბათუმის სათათბიროს ხმოსანი და ამ ტიტულს იგი 1921 წლამდე ატარებდა.

ევტიხის და მის მეუღლეს მარკელისას ორი ქალიშვილი ინჩუ-ლა, ქეთევანი და ერთი ვაჟი ჰყავდათ; ვაჟი ადრე გარდაიცვალა, ქეთევანმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და აჭარაში ცნობილი მეან-გინეკოლოგის სახელი მოიხვეჭა. იგი სილამაზითაც გამოირჩეოდა. ერთმა ინჟინერმა თვალი დაადგა, მაგრამ ევტიხიმ უარი უთხრა. საქმე ნებით რომ არ გამოვიდა, სასიძომ ქეთევანი მოიტაცა. ევტიხიმ ქვეყანა ფეხზე დააყენა, გატაცებული ქალი სახლში დააბრუნა, ხოლო გამტაცებელს სასამართლოში უჩივლა და ციხეში ჩაასმევინა, საიდანაც სახლში აღარ დაბრუნებულა.

გიორგი ხეჩინაშვილი და ქეთო ერთად მუშაობდნენ. ჯერ კიდევ ცოლიანმა გიორგიმ ქეთოსთან გააბა რომანი, დიდხანს არაოფიციალურად ცხოვრობდნენ და მეგობრობდნენ. ევტიხი ცოფს ყრიდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. კანონი ასეთ ურთიერთობას არ კრძალავდა, თუმცა წლების მანძილზე გიორგის არ დალაპარკებია. სწორედ ამიტომ გამაფრთხილა ბატონმა გიორგიმ, მე არ მახსენოო.*

ამ დროისათვის ევტიხი ხორომანსკის მეც ვიცნობდი, მიქებდა კალამს, სახლიდან მომავალი, ქალაქის საბჭოში მუშაობისას ყოველთვის დამიკაკუნებდა ფანჯარაზე და ახალ ამბებს მიყვებოდა, რაც ბევრგან გამოვიყენე ჩემს ნაწერებში.

შევარჩიე დრო და ვეწვიე სახლში. ძველი ყაიდის კაცი იყო და სტუმრის მიღებაც ღირსეულად იცოდა. ქეთოს უბრძანა: სტუმარს

---

* ევტიხის გარდაცვალების შემდეგ გიორგი და ქეთევანი რეგისტრაციაში გატარდნენ, სადაც მოწმედ მეც ვიყავი.

შაქარყინული მიართვიო. მანამდე შაქარყინული არ გამესინჯა და ცოტა დავიბენი. უფრო სხვა ჩაროზმა გამიტაცა.

გრიგოლ ვოლსკით ჩემი დაინტერესება ევტიხის ძალზე გაუხარდა. აღწერა მისი გარეგნობა, მიხვრა-მოხვრა, ხასიათი, ხელისუფლებასთან მუდმივი შეხლა-შემოხლა, ქალაქისთვის უანგარო სამსახური და ა.შ. მე ვიწერდი ყველაფერს და ისე გამიტაცა მონაყოლმა, რომ ანგარიშმიუცემლად წამომცდა: რა კარგი მირჩია გიორგი გავრილოვიჩმა-მეთქი. ამის თქმა და ევტიხის განრისხება ერთი იქნა. ადგილს ვერ პოულობდა და თავისთვის ბუზღუნებდა: ეგ, უსახელო, რომ მცოდნოდა სიტყვასაც არ დავძრავდი, როგორ ახსენა ჩემი სახელიო და ა.შ.

მივხვდი, რაც ჩავიდინე, მაგრამ გვიანი იყო. ევტიხიმ შეწყვიტა აქამდე მისთვის სასიამოვნო საუბარი და მაგრძნობინა, რომ ზედმეტი ვიყავი. მეც ჩანაწერით დავკმაყოფილდი და სახლიდან გამოვედი, ქეთომ გამომაცილა, არაფერი უთქვამს, მაგრამ ყველაფერი ვიგრძენი მის ნაღვლიან თვალებში.

ასე უშედეგოდ დამთავრდა ჩემს მიერ ვოლსკის საფლავის ძიება. ერთხანს მეც გამიტყდა გული, მაგრამ უკან დასახევი გზა არ მქონდა.

ევტიხი ყველაფერთან ერთად უაღრესად კულტურული კაცი იყო და ჩემთან ძველი ურთიერთობა არ გაუწყვეტია. თუმცა მე ვერ ვბედავდი დაწყებული საუბრის გაგრძელებას. ამასობაში 91 წლის ევტიხი გარდაიცვალა და ჩემი იმედებიც გაქრა. თუმცა მალე გაირკვა რომ პესიმიზმი ნაადრევი იყო.

ევტიხი ხორომანსკის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, სამსახურში მოსულს თანამშრომელმა **იზოლდა ზაქარიაძემ** დამახვედრა პატარა ქაღალდის ნაჭერი, ხანდაზმულმა რუსმა ქალმა მოიტანა და დაგიტოვათო. ქაღალდზე წითელი ფანქრით ეწერა: „ვოლსკაია ვ.პ. (ვალენტინა პეტროვნა) რუსთაველის 35. ვოლსკი ანდრეი გრიგოლის ძე, ბათუმი, სასაფლაო „სოუქ-სუ“ I რაიონი, № 425.“

რაღაც იმედი გაჩნდა და დაუყოვნებლივ მივედი რუსთაველის 35-ში თვითონ ვალენტინა პეტროვნას სანახავად. სახლში ხანდაზმულმა ქალმა მიმიღო, მაგრამ ის სხვა იყო, ოლია კალანტაროვად გამეცნო: ვალია შარშან გარდაიცვალა, მარტოხელა იყო და მისი ბინა მე მომცეს, იგი ცირკში კონტროლიორად მუშაობდა. ჩვენ ვმეგობრობდით და სიკვდილის წინ დამიტოვა ის ქაღალდი, მაგრამ ბათუმიდან ხანგრძლივი დროით წასვლა მომიხდა ნათესავებთან ლე-

ნინგრადში და დროზე ვერ მოგიტანეთ. დამიბარა, რომ ევტიხი ივანიჩის სახელით გადმომეცა თქვენთვის. მე თვითონ გამწვანების ტრესტში ვმუშაობო.

ოლიამ ვოლსკის მეუღლეზე არაფერი იცოდა, მას ამ თემაზე ჩემთან არაფერი უთქვამს, მაგრამ სოუქ-სუზე დადიოდა, ორჯერ მეც ვახლდი, აქ ჩემი შვილია დაკრძალულიო. გვერდით, ერთი ღობის შიგნით, მეორე საფლავი იყო, მაგრამ იქ ვინ განისვენებდა არ უთქვამსო.

ვინ არის ანდრეი გრიგოლს ძე ვოლსკი? და მის გვერდით დაკრძალული პიროვნება? ეს კითხვა მთელი ნახევარი საუკუნე არ მასვენებს, საფლავზეც ავედი, მაგრამ ამდენ ხანს უპატრონო სამარეს ვინ შეინახავდა. იქ ახლა სხვები არიან დაკრძალული და საბოლოო და დამაჯერებელი პასუხი ვერ მოვიფიქრე.

შეკითხვებით ვაწუხებდი გრ. ვოლსკის თანამედროვეებს, ჩემს უფროს მეგობრებს, ძველ ბათუმელებს, **ალექსანდრე თიროშვილს და იუსუფ აბაშიძეს**, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ვერც მათ მითხრეს. ერთადერთი ხელმოსაკიდი, რაც ბატონ საშასგან გავიგონე, ეს იყო, რომ გრიგოლს ბათუმში ყავდა მეგობარი ქალი, მაგრამ არავინ იცოდა მისი ვინაობა. ამბობდნენ, ერთმანეთს შეფიცეს, არასოდეს გაამხილონ თავიანთი ურთიერთობაო. თვითონ გრიგოლს ამ თემაზე საუბარს ვერავინ უბედავდა. ერთად-ერთი ვისაც შეიძლებოდა სცოდნოდა ეს საიდუმლო, ევტიხი ხორომანსკი იყო, მაგრამ ისეთი კერპისგან, ვერაფერს გაიგებდიო, მითხრა ა. თიროშვილმა.

ჩემთვის ეს ცნობაც საინტერესო აღმოჩნდა, რადგანაც ამით გრიგოლ ვოლსკის ცხოვრების იდუმალი მხარეს ერთი მცირე მარცვალი დაემატა. უცოლშვილოდ გადაეგოო, რომ ამბობდნენ, მართალი არ ყოფილა.

დასკვნის გაკეთებისთვის ჩემს ხელთ არსებული ცნობები საკმაოდ არ მიმაჩნდა, მაგრამ ამასობაში ჩემი ინფორმატორების მოგონებები, რომელიც ქაღალდზე გადავიტანე, ერთად შეკრული, სამსახურის ხშირი ცვლის გამო, გამებნა. ამიტომ ერთხანს გავჩუმდი და მეც დავიჯერე მოარული ხმები, რომ შესაძლოა გრიგოლი ეკლესიის ეზოდან არ გადაუსვენებიათ.

2016 წელს, სავარაუდო ადგილზე გათხრებიც ჩატარდა, არქეოლოგ **ირაკლი ჭეიშვილის** ხელმძღვანელობით. მონაწილეობდნენ: **გია რამიშვილი**, **ბიძინა აფხაზავა** და ამ სტრიქონების ავტორი. თუმცა ჩვენ იქ უბრალო მინიშნებაც კი ვერ აღმოვაჩინეთ.

ამის შემდეგ განვაახლე ძებნა და საბედნიეროდ, დაკარგულ ჩანაწერებს მედიცინის ისტორიის მუზეუმის არქივში მივაკვლიე.

მხოლოდ ამის შემდეგ გავბედე გამომეთქვა ჩემი ვარაუდი, რომელსაც პირველად ვაქვეყნებ:

1. გრიგოლ ვოლსკის ბათუმში ჰყავდა მეგობარი ქალბატონი ვალენტინა პეტრეს ასული, რომლის ქალიშვილობის გვარი უცნობია.

2. გრიგოლს და ვალენტინას შეეძინათ ვაჟი, ანდრეი გრიგოლის ძე, რომელიც 1928 წლამდე გარდაიცვალა და დაკრძალეს ბათუმის საქალაქო სასაფლაოზე (I რიაონი, № 425).

3. 1928 წელს დაუმთავრებელი ქართული ეკლესიის დანგრევის შემდეგ, როცა ჭირისუფლები შეუდგნენ თავიანთი მიცვალებულების ნეშტის გადასვენებას, ვ. ვოლსკაიამ ეკლესიის ეზოში დაკრძალული გრიგოლი გადაასვენა ქალაქის სასაფლაოზე და შვილის, ანდრეის გვერდით დაკრძალა. დადებული პირობა ბოლომდე დაიცვა და ეს ცერემონიალი საიდუმლოდ ჩაატარა; ამიტომ გახდა გრიგოლ ვოლსკის საფლავის ადგილმდებარეობა დღემდე უცნობი და მხოლოდ ვკმაყოფილდებით ფრაზებით: „შესაძლოა ქალაქის სასაფლაოზე გაადასვენეს“, ან კიდევ „ეკლესიის ეზოში უნდა ვეძიოთ“ და ა.შ.

4. ისღა დაგვრჩენია, მივიღოთ საფლავის ამჟამინდელ მეპატრონთა თახმობა, გავთხაროთ მითითებული ადგილი, დავადგინოთ ჩონჩხის სქესი, ასაკი, რაც მთავარია, ჩავატაროთ დნმ-ის ანალიზი და შევადაროთ დღეს მცხოვრები ვოლსკების სინჯებს, რითაც მივიღებთ საბოლოო შედეგს.

მე მხოლოდ ვარაუდები გამოვთქვი, მაგრამ ისინი ჭეშმარიტებასთან ძალზე ახლოსაა, შესაძლოა მალე ყველაფერს აეხადოს ფარდა, გრიგოლ ვოლსკის საფლავსაც მივაკვლიოთ და იგი ისეთი პატივით დავკრძალოთ, როგორც ქართველ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლს შეეფერება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავით ნაცვალაძე, გრიგოლ ვოლსკი, ბათუმი, 1955;
2. რამაზ სურმანიძე, სად არის გრიგოლ ვოლსკის საფლავი?, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, №46, 6 მარტი, 1968;
3. გ. ხეჩინაშვილის მოგონების ჩანაწერი, ინახება ავტორთან;

4. სულიკო ლომჯარია, სოფელი ცემი. თბილისი, 2012;
5. რამაზ სურმანიძე, ტრაგედია ბათუმში (1937-1938 წლები), თბილისი, 2014;
6. „ბათუმის გაზეთი“, №11, 1911 წ;

Ramaz Surmanidze

New informations from Grigol Volski's life-activity

Summary

In the article, based on narrative sources, the author expresses his views on the place of the famous public figure Grigol Volsky's grave.

ოთარ გოგოლიშვილი

ბათუმის პირველი ქართული სკოლის პედაგოგები

ნიკო ჯაყელი. ნ. ჯაყელი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბათუმის საზოგადო მოღვაწეთა შორის საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა.

ნიკო (თეოფანე) ვაზტანგის ძე ჯაყელი დაიბადა 1862 წლის 1 იანვარს (ძველი სტილით 13 იანვარს) გურიაში სოფელ საყვავიის ტყე (ჩოხატაურის რაიონი) ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დასრულების შემდეგ შევიდა თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც 1884 წელს წარმატებით დაამთავრა და იმავე წელს განწესებული იქნა მასწავლებლად ქ.შუშაში (აზერბაიჯანი) აქ ის დიდხანს არ დაჩენილა, მას ვერ იზიდავდა ქ.შუშის სამოქალაქო სასწავლებლის კარჩაკეტილი რეჟიმი და ის ცდილობს ბათუმში გადმოსვლას. ერთი წლის შემდეგ ნ.ჯაყელი ახერხებს გადასვლას ქ.ბათუმში, სადაც განწესებული იქნა საქალაქო სკოლის მასწავლებლად. ბათუმში ჩამოსვლისთანავე ნ.ჯაყელი დაუახლოვდა და მოექცა იმ ქართველ მოწინავე ინტელიგენთა წრეში, რომელიც შედგებოდა დ.კლდიაშვილის, გრ.ვოლსკის, ივ.მესხის, ლ.ასათიანის, ალ. მგელაძის, ნინო ნაკაშიძის და სხვებისაგან.

ბათუმში გადმოსვლის შემდეგ მასწავლებლობასთან ერთად ნ. ჯაყელი ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ის არამარტო მასწავლებელი იყო, არამედ დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, კულტურული საქმიანობის წამოწყების მოთავე და მონაწილე, აქტიური წევრი და მოამაგე საქველმოქმედო წრისა და საზოგადოებისა.

როგორც ცნობილია მე-19 საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ბათუმში არავითარი გასართობი – კულტურული კერები არ არსებობდა გარდა სამოქალაქო სასწავლებლისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლისა. როცა მოწინავე ინტელიგენციამ საკითხი დააყენა სკოლისათვის შენობის გამონახვის შესახებ, ნიკოს სიხარულს საზღვარი არ ქონდა, ის თითონ ითვლებოდა ერთერთი აქტიური წევრი ამ საქმეში. სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც ნ.ჯაყელს უხდებოდა მოღვაწეობა, მთელი რიგი ხელისშემშლელი პირობები არსებობდა. პირველ;ყოვლისა მთავარი საზრუნავი საგანი იყო მუსლუმან ქართველ მოს-

წავლეთა სკოლაში მოზიდვა. ხშირ შემთხვევაში საქმე იქამდე მიდიოდა, რომ აჭარელი მშობლები ბავშვებს უკრძალავდნენ სკოლაში სიარულს. ამ საქმეში თავისი წვლილი "შეჰქონდათ" რეაქციულ ძალებს-ხოჯებს, ბეგებს, მოლებსა და სხვათა, რომლებიც ცდილობდნენ მკვიდრ მცხოვრებლებისათვის შეეძულებინათ ყველაფერი ქართული.

აი, ასეთ ატმოსფეროში საჭირო იყო ორმაგი მუშაობის გაწევა: პირველყოვლისა მშობლებთან, შემდეგ კი სკოლაში. ნ.ჯაყელმა ეს ორმაგი, მომქანცველი, მაგრამ სასარგებლო სახალხო შრომა, უყოყმანოდ იდო თავს და მისთვის არასდროს უღალატნია.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში როცა ბათუმელები ვაჟთა კლასიკური გიმნაზიის გახსნას მოითხოვდა, რომლისათვის პირობები მომზადებული იყო, ქალაქის თავიც მზად იყო მშრომელთა სურვილის დაკმაყოფილებისათვის, მიუხედავად ამისა ხელისუფლება სასტიკი წინააღმდეგი იყო და დავალებული ჰქონდა თავისი მოხელეებისათვის ბათუმელების ამ განზრახვის ჩაშლა. ამ საკითხზე დავამ დიდხანს გასტანა. ნ.ჯაყელი თავგამოდებით მოითხოვდა გიმნაზიის გახსნას, რომელსაც ის თვლიდა ერთადერთ უტყუარ საშუალებად მოსახლეობასთან დაახლოებისათვის.

გიმნაზიის გახსნის შესახებ ბათუმის თვითმმართველობის გადაწყვეტილებამ ოლქის მზრუნველი იანოვსკი ქალაქისთავს ლ.ასათიანს საიდუმლოდ სწერდა, რომ სასურველი არ არის გიმნაზიის გახსნა. ამრავლდა ინტელიგენცია, ისიც დაბალი ფენებიდანო, ამიტომ იანოვსკი ურჩევს ქალაქისთავს ხელი აიღოს ასეთ განზრახვაზე.

მოწინავე ინტელიგენცია და მათ შორის ნ.ჯაყელი, რომელიც შემდეგ გიმნაზიის კეთილმოწყობის მიზნით შემდგარი კომისიის აქტიური წევრი იყო, დაჯინებით მოითხოვდა გიმნაზიის გახსნას.

დიდი ბრძოლის შედეგად გიმნაზიის გახსნა გადაწყდა, რისთვისაც ხალხი სხვა მოწინავე მოღვაწეთა შორის, ქალაქისთავს ლ.ასათიანს უმადლოდნენ, რომელმაც სძლია ყოველგვარ სიძნელეებს და უზრუნველჰყო გიმნაზიის გახსნა.

გიმნაზიის გახსნის დღიდან ნ.ჯაყელი მოელოდა ინსპექტორობას მაგრამ ის რამდენიმე წელს ალოდინეს. ნ.ჯაყელი მაშინდელ ჩინოვნიკურ მოხელეებს არ უყვარდა. "ქუთაისის დირექციამ ნ.ჯაყელი – იგონებს მ.შარაშიძე – რამდენიმე წელი ალოდინა ვინემ მისცემდა ინსპექტორობას". ნ.ჯაყელის შეკითხვაზე: რა მი-

ზეზია, რომ გამგის ადგილს არ მაძლევთ? სახალხო სკოლების დირექტორმა ლევუცკიმ უპასუხა: “პაიმიტე, გასპადინ დჯაკელი, ჩტო ვამ პოტომუ ნე დაიოტ მესტო ინსპექტორა, ჩტო ვი დჯაკელი”. როცა ბათუმში ვაჟთა გიმნაზია გაიხსნა ნ.ჯაყელმა დიდი წვალებით მიიღო ინსპექტორის თანამდებობა და გიმნაზიის ერთგული დარჩა ბოლომდე.

საქმე გიმნაზიის გახსნით არ თავდებოდა, საჭირო იყო გიმნაზიაში სწავლა-აღზრდის საქმის ისე წარმართვა, რომელიც მოეწყობოდა მშობლიურ ენაზე. მოწინავე ინტელიგენცია, პედაგოგები და რაც მთავარია მკვიდრნი მცხოვრებლები გიმნაზიისაგან ითხოვდნენ თავისი სამშობლოს გულშემატკივარი და პატრიოტული ახალგაზრდობის აღზრდას, მაშინ როდესაც მეფის ერთგულნი, მათ შორის გიმნაზიის დირექტორი -- ჭეშმარიტი, ერთგული, რუსის აღზრდას ქადაგებდნენ.

სწავლა-აღზრდის მიზნით გამართულ დაუცხრომელ პოლემიკაში ნ.ჯაყელი თავგამოდებით იცავდა სწავლების განხორციელებას მშობლიურ ენაზე და აღზრდის იმ პრინციპებს, რომლებიც გამომდინარეობდა სამშობლოს ინტერესებისაგან.

ნ.ჯაყელი ასევე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მასების კულტურული მომსახურეობის საქმეში. 1894 წლიდან ყოველ წელს ტრადიციულად ტარდებოდა ე.წ. “ნინოობა”, რომლის მიზანი იყო საზოგადოებაში კულტურული მომსახურეობის გაწევა. საღამოების ჩატარების პასუხისმგებლობა დაკისრებული ჰქონდა ივ.მესხს. როგორც მემატიანე გადმოგვცემს 1894 წლის 14 იანვარს ჩატარებულა პირველი ასეთი საღამო, რომელზედაც მოწვეული ყოფილა თბილისელი სტუმრები, მათ შორის აკ. წერეთელი, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი და სხვები.

“პირველი საღამო არაჩვეულებრივი რამ იყო ბათუმისათვის. თითქმის სამი თვე დასჭირდა მის მოწყობას, მაგრამ შრომას ტყვილა არ ჩაუვლია და საღამომ დიდებულად ჩაიარა----საღამოზედ მოწვეული იყო საყვარელი მგოსანი აკაკი წერეთელი, რომელსაც სადგურზედ დაუხვდა მთლიანად ქართველობა და რომელიც გამოჩნდა თუ არა ვაგონის კარებში აუარებელმა ხალხმა აღტაცებით შესძახა, მქუხარე ტაშმა და დიდის ამბით მიაცილა ეტლამდის. აკაკიმ საღამოზე წაიკითხა თავისი ლექსები და რაღა თქმა უნდა დიდათ აღაფრთოვანა ხალხით გაჭედილი დარბაზი ------ (დ.კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები. 1947 წ. გვ.692).

როგორც ამ საღამოს მოწყობაში, ისე სხვა საღამოების მოწყო-

ბაში მრავალი წლის მანძილზე ნ.ჯაყელი პირველთაგანი იყო და თავისი წინდახედული გონიერი მოქმედებით ყურადღებას იმსახურებდა. საღამოებისაგან შემოსული თანხები სკოლის გულშემატკივარი ინტელიგენციისა და თვით ნიკოს წინადადებით ხმარდებოდა განათლების საქმის მოგვარებას.

ნიკოსივე მონაწილეობით ტარდებოდა ბათუმში შეხვედრები, ლიტერატურული საღამოები და სხვა. მისი მოღვაწეობის მთელ პერიოდში არასდროს ქედი არ მოუხრია და არ უარი უთქვია ხალხისადმი სამსახურზე. მას ამ დიდ საქმეში ასულდგმულებდა თავისი ხალხისა და სამშობლოს ღრმა სიყვარული. .ჯაყელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მარტო ბათუმით არ შემოფარგლულა. ასევე ერთგულად მუშაობდა სს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქობულეთში, ჭიათურაში, ქუთაისში, კულაშში და სხვაგან.

ნ.ჯაყელის მიერ შემოქმედებითი განვლილი გზა ხასიათდება ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით საერთოდ, კერძოდ ბათუმში, სადაც მან მოღვაწეობის უმეტესი ნაწილი გაატარა. "შეიძლება ითქვას, რომ სახალხო განათლების აჭარის მოღვაწეთა შორის ნიკო ჯაყელი პირველი ინტელიგენტი იყო თურქთა მონობიდან ახლად გამოხსნილ ამ კუთხეში განათლებისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი, რომელიც "ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოებისაგან" დასახული გზით მოქმედებდა. აქ იღწვოდა ის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, აქვე მოესწრო ნანატრ დღეებსაც ხალხის საყოველთაო განათლებისას და კულტურული აღმშენებლობის უჩვეულო გაშლას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით" (სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. ს.ცაიშვილი "ნიკო ჯაყელი" 1953. გვ.174).

ნ.ჯაყელი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აჭარაში აღტაცებით შეხვდა. ახალი ეპოქის, საბჭოთა სკოლის თავდადებული მუშაკისა და მოამაგის სახელი დაიმკვიდრა. ნ.ჯაყელი გასაბჭოების პირველი წლეებიდანვე დანიშნული იქნა ახლანდელი ლენინის სახელობის ქართული საშუალო სკოლის დირექტორად. ამ თანამდებობაზე ის თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებდა.

როგორც სკოლის ანგარიშებიდან ვგებულობთ ნ.ჯაყელი საბჭოთა სკოლის ამოცანად სახავდა ახალი ადამიანის აღზრდას, რომელიც დაუფლებული იქნება მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის. აღზრდას ყოველმხრივ განვითარებული ადამია-

ნისა, რომელსაც საშუალო განათლების მიღების შემდეგ შეეძლება სამეურნეო და ადმინისტრაციული საქმის გაძღოლა.

ნიკო სასტიკად ილაშქრებდა პედოლოგიის, როგორც მეცნიერების, წინააღმდეგ და უარყოფდა მოსწავლეთა ფიზიოლოგიურად დაყოფას, მისი ჭეშმარიტი გაგებით ყველა მოსწავლე ჭკვიანია, გონიერია, უჭკუონი საერთოდ არ იბადება ბავშვი, მაგრამ საქმე ისაა, ამბობდა ის, რა პირობებში და გარემოში მოუხვდა ბავშვს გონების განვითარება.

ბავშვის გონების განვითარების ძირითად საშუალებად და ობიექტად ნ.ჯაყელს მიაჩნდა მასწავლებელი და სკოლა. ამდენად ის მასწავლებელთაგან მოითხოვდა გადასაცემი მასალისა და სწავლების მეთოდების ღრმად ცოდნას და თხრობის უბრალოებას.

“კარგად განსწავლული, მეთოდიკის მცოდნე და მიდგომანი მასწავლებელი სკოლაში დისციპლინის ქვაკუთხედია, ის ყველასათვის საყვარელი მასწავლებელია”- იგონებენ ნ.ჯაყელის ამ დებულებას მისი თანამედროვენი.

1929 წლამდე იმოღვაწევა ნ.ნ.ჯაყელმა ლენინის სახელობის ბათუმის ქართულ საშუალო სკოლაში. 1929 წლის 5 მაისს სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა. “ნიკო, ანუ ნიკა, როგორც უახლოესი მეგობრები ეძახდნენ მას №2 ქართული საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სამნეო ნაწილი ლაზარე ძნელაძე, იყო ზედმიწევნით კულტურული და მცოდნე ადამიანი, დამაჯერებელი და ლაზათიანი სიტყვია პატრონი.

1929 წლის მაისში (რიცხვი არ მახსოვს) ნიკო ჯაყელი გარდაიცვალა. მისი დასაფლავების დღეს უამრავი ხალხი მოგროვდა. მახსოვს იყვნენ წარმომადგენლები შორეული რაიონებიდანაც. მას ეთხოვებოდა ყოფილი მოსწავლეები, ამხანაგები, მეგობრები, ქალაქის მშრომელები, რომელიც სამსახურში ნიკომ 50 წელიწადი გაატარა”.

ნ.ჯაყელის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო საერთოდ და კერძოდ ბათუმელებისათვის, ამიტომ საზოგადოებრიობამ, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა, დამსახურებული პედაგოგი, მცხოვანი საზოგადო მოღვაწე და ახალი თაობის საყვარელი აღმზრდელი ცხარე ცრემლებით დაიტირეს.

ადგილობრივი ხელისუფლების დადგენილებით 1929 წლიდან ნ.ჯაყელის ხსოვნის უკვდავსაყოფად მისი სახელი დაერქვა ერთადერთ იმ სკოლას, რომელიც ამჟამად ვლადიმერ მაიაკოვსკის

სახელობის №10 რუსული საშუალო სკოლაა. ნ.ჯაყელს ქ.ბათუმში განათლებასა და საზოგადოებრივ სარბიელზე საკმაოდ დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ნიკო ჯაყელის დაკრძალვის დღეს გაზეთმა "კომუნისტმა" გამოაქვეყნა ნეკროლოგი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, სადაც ნათქვამია: „ნიკო მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ღირსეულად ატარებდა მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის საპატიო დროშას ("კომუნისტი" 1929 წ. №102).

ნიკო ჯაყელი ჩვენი რაიონის ერთ-ერთი სოფლის – საყვავისტყის მკვიდრი იყო. ის ხშირად მიდიოდა სტუმრად საყვავისტყეში, სადაც ცხოვრობდა მისი ძმა ბარნაბ ჯაყელი. ეს ოჯახი ერთობ კულტურული და პროგრესული იყო გურიაში. აქედან დაიწყო ჩემი ნაცნობობა ნიკოსთან. 1907-სა და შემდგომ წლებში ნიკო ჯაყელი ნამდვილი მეგობარი იყო ჩოხატაურის დრამატული წრისა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი.

ემი ყრმობის წლებში გაგონილი მქონდა, რომ ბათუმის სკოლებში მუშაობს ნიკო ჯაყელი და ის დიდ დახმარებას უწევს ხელმოკლე ახალგაზრდობას ბათუმის სკოლებში ჩარიცხვაში. თებერვლის რევოლუციის შემდგომ წლებში ნიკოს ხშირად იყენებდნენ სკოლების შემოწმებებზე. ის დიდ დახმარებას უწევდა მასწავლებლებს. სკოლის ნაციონალიზაციისა და სხვა აღმზრდელობითი და მეთოდურმა საკითხებმა დამაახლოვა ნიკოსთან. ზოგ შემთხვევაში მე სიამოვნებით ვღებულობდი და ცხოვრებაში ვატარებდი ნიკოს რჩევა-დარიგებებს. მას მე დიდ პატივს ვცემდი, მასთან საქმიანი ურთიერთობა მქონდა. ამით აიხსნება, რომ ნიკომ ორჯერ მომცა წინადადება მასთან სამუშაოდ გადმოვსულიყავი ქ.ბათუმში.

მისი უკანასკნელი მომართვა ბათუმში გადმოსვლის შესახებ მივიღე 1922 წელს ის მწერდა: "თქვენისთანა ერთგული და საქმის მცოდნე გვჭირდება ახლა ჩვენ აქ, ბათუმში, გთხოვთ გვეწვიოთ". ნიკო აღფრთოვანებით შეხვდა საბჭოთა ხელისუფლებას, მის იდეებს და კომუნისტური სულისკვეთებით ზრდიდა ახალგაზრდობას. ნიკო იყო იშვიათი აღმზრდელი და მასწავლებელთა გულისხმიერი მასწავლებელი. თავისი მაღალი საქმისადმი ერთგულებით კულტურული ფაქიზი ზნეობით ნიკო ჯაყელი მისაბაძი იყო მასწავლებლებისათვის. ამასთან ნიკო ცნობილია, როგორც კარგი საზოგადო მოღვაწე, ამით აიხსნება ის დიდი პატივისცემა,

რომელიც გამოიჩინა ფართო საზოგადოებრიობამ ნიკოს დაკ-
რძალვის დროს.

24/XII -59 ს. ბოლქვაძე

ალექსანდრე მგელაძე. აჭარის სახალხო მასწავლებელთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ალექსანდრე ბუჭუას ძე მგელაძე, რომელმაც თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე ენერგიულად ემსახურა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს.

ალექსანდრე მგელაძე დაიბადა 1864 წელს სოფელ ბახვში /ყოფილი ოზურგეთის მაზრა/ ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, რის შემდეგ სწავლა გააგრძელა გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც 1885 წელს დაამთავრა წარჩინებული ყოფაქცევითა და აკადემიური წარმატებით. შასწავლებლის დამთავრებისას ალ.მგელაძეს მიენიჭა დაწყებითი კლასების სახალხო მასწავლებლის სახელწოდება.

გორის საოსტატო სემინარიის კურსის დასრულების შემდეგ ის განწესებული იქნა სოფელ დვაბზუს სასწავლებელში, სადაც სამ წელზე მეტი დაჰყო. 1889 წლის 15 იანვრიდან ალ.მგელაძე ინიშნება სოფელ ხვარბეთის /ახლანდელი მახარაძის რაიონი/ სკოლაში, ხოლო 1892 წლის 20 იანვრიდან თავის სოფელში ბახვის ორკლასიან სასწავლებელში, სადაც მან 6 წელი დაჰყო. ქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასე ხშირად სამუშაო ადგილის მონაცვლება შემთხვევითი, ან ალ.მგელაძის სურვილით როდი იყო გამოწვეული. Iს მიჩნეული იყო როგორც პოლიტიკურად არასაიმედო ადამიანი, რომ ის აქტიურად ემსახურებოდა ახალი ცხოვრების მაჯის ცემას, რომელიც შეუმჩნეველი არ რჩებოდა მეფის აგენტებს, კერძოდ შავრაზმელ სკოლის გამგებლებსა და ზედამხედველებს. მ მიზეზით ალ.მგელაძე 1898 წლის 15 იანვარს დაინიშნა სოფელ ხულოს ორკლასიანი სკოლის ზედამხედველად, სადაც იგი მუშაობდა 1901 წლის იანვრამდე. "ვერც აქ დაიმალა მისი არასაიმედო საქმიანობა" და გამოაძევეს. აქედან ის გადმოვიდა ქ.ბათუმში, დაიწყო მეცადინეობა კერძო მოწაფეებთან და ამავე დროს საკვირაო სკოლაში მუშებთან./გაზ."ლიტერატურული ტრიბუნა" აჭარის მწერალთა განყოფილების ოეკვირეული ორგანო, 1925 წლის 31 მაისი. ციტირებულია წიგნიდან "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" კრებული I. 1953. გვ. 380/.

რადგან საკვირაო სკოლაში მეცადინეობა ალექსანდრეს ეკონომიურად ვერაფერს აძლევდა, ის ძირითადად კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს. სე იმუშავა მან 1903 წლამდე. 1903 წლის 3 სექტემბერს ის ინიშნება "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ბათუმის ქართული დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. /ეს სკოლა გაიხსნა 1881 წლის 23 მარტს/. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალ.მგელაძემ თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობა ამ სკოლაში გაატარა, რომელიც სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა სახელწოდებას ატარებდა:1921 წლიდან 1932 წლამდე, ე.ი. ამაგდარი პედაგოგის გარდაცვალებამდე ეწოდებოდა რვაწლიანი შრომის სკოლა, შემდეგ ოთხწლიანი შრომის სკოლა, 1930 წლიდან 1932 წლამდე შვიდწლედი, ხოლო ამჟამად ამ სკოლის შენობაში მოთავსებულია №2 ქართული საშუალო სკოლა, რომელიც ბათუმის სკოლებს შორის საკმაოდ ძლიერი სკოლაა.

ალ. მგელაძე, ისე როგორც სხვა მოწინავე მოღვაწეები თავგამოდებით იცავდა მშობლიური ენის სიწმინდეს და დაუნდობლად ეწინააღმდეგებოდა რეაქციული ხელისუფლების სისასტიკეს. მართლაც რომ ეს ასე იყო, ამის ნათელ სურათს გვაძლევს ერთი ინციდენტი, რომელსაც თვითონ ალ;ექსანდრე იგონებს "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლაში მაშაობის დროიდან. მის პირად არქივში დაცულია ხელნაწერი "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" სკოლის მუშაობის შესახებ, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „დავარდა ხმა, რომ ბათუმის სკოლების დასათვალიერებლად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ზავადსკი მოდისო. ის ისეთი ვეშაპი კაცი იყო, რომ მის წინაშე თრთოდა და ძრწოდა მისი უწყების ყოველი მოსამსახურე. მაშინდელი მიმდინარეობის მიხედვით მეფის მთავრობა საქართველოში მასწავლებელთა დასათრგუნავად განსაკუთრებით მწატე ჩინოვნიკებს ჰგზავნიდა. ბათომში ზავადსკიმ ... სლავინსკი გამოგზავნა ... ესეც ერთი ქართველი მოძულე, გაიძვერა, მელა კაცი". /ციტირებულია წიგნიდან "სახლხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები", კრებული 1953 წ. გვ. 380/.

მოგონებაში ალ.მგელაძეს ვრცლად აქვს მოცემული სლავინსკის მისვლა ბათუმის ქართულ სოლაში და მისი ინციდენტი მასწავლებელთან, ივლ.გოგოლიშვილთან /ი.გოგოლიშვილი ამავე დროს იყო სკოლის გამგე/. შეხლა-შემოხლის მიზეზი იყო ის, რომ

თუ რატომ ასწავლიან სკოლაში ქართულ ენაზეო უჩიოდა სლავინსკი.

ეროვნული საკითხის გამო ხშირად ხდებოდა დაპირისპირება ალ.მგელაძესა და სკოლიდ ინსპექტორებს შორისაც. ეროვნულ საკითხზე ატეხილი წინააღმდეგობა მკაცრად გამოვლინდა 1905 წლის პირველი რევოლუციის დღეებში. განსაკუთრებით რევოლუციურ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა შორის, რომელთაც ხელს უწყობდა მოწინავე მასწავლებლები ივლ.გოგოლიშვილი, ალ.მგელაძე და სხვები. აღტკინებულმა მოსწავლეებმა მოითხოვეს სწავლის შეწყვეტა, რადგან არსებული პირობები მათ არ აკმაყოფილებდა.

მასწავლებლებმა ალ.მგელაძემ, ივ. გოგოლიშვილმა და სხვებმა ხელი მოაწერეს ქუთაისის გუბერნიისა დაბათუმის ოლქის სახალხო სკოლების მასწავლებელთა გადაწყვეტილებაზე სწავლის ახლანდელ პირობებში გაგრძობის შესახებ. ბათუმის სკოლებში მომხდარი ამბების გამო გაზეთი "მოგზაური" წერდა:"8 მარტს ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებს, როგორც ადგილობრივი გაზეთები გადმოგვცემს, ლოცვის შემდეგ განუცხადებიათ პროტესტი-დღევანდელ პირობებში არ გვინდა სწავლაო. აწილი მოსწავლეებისა აქედან წასულა მარიამის ქალთა სასწავლებელში მოუთხოვნია სწავლის შეწყვეტა, რაც მოსწავლე ქალებს შეუსრულებიათ"/გაზ. "მოგზაური" 1905 წ. №9 გვ.120/.

1905 წლის რევოლუციის დამარცხებას თან მოჰყვა რეაქცია, რამაც საგრძნობლად შეაფერხა სკოლების მუშაობა, ამ მდგომარეობის გამო ალ.მგელაძე აღნიშნავდა, რომ "რეაქცია მძვინვარებს, ბათუმი და მისი არე-მარე საალყო წესების ქვეშ თრთის. ინდის შემდეგ სახლიდან გარეთ გამოხედვა სახიფათოა. რ იცი ვინ და რა დროს შემოგეჭრება ოჯახში და რა იარაღის მსხვერპლი გახდები – ხანჯლის თუ დამბაჩის...საალყო წესებმა ცხოვრების მაჯისცემა შესწყვიტა...სკოლებში სწავლა კარგახნობით შეჩერებულია. არავინ იცის, როდის განახლდება".

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს რამდენიმე ხნის შემდეგ ბათუმის პირველ ქართულ სკოლაში სწავლა განახლებულა. ლ.მგელაძე ამ სკოლაში ასწავლის მეორე განყოფილებაში რუსულ ენასა და ანგარიშს, ხოლო მესამე და მეოთხე განყოფილებაში კი ქართულ ენას, სამშობლოს აღწერას და ბუნების მეტყველებას.

ალ.მგელაძემ დიდი შრომა გასწია ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის. იგი თავგამოდებით იცავდა მშობლიურ ენაზე საგნების სწავლების საქმეს და თვითონ იყო ამ მხრივ მაგალითის მიმცემი.

ასევე თავგამოდებით ემსახურებოდა ქართველ მუსლიმანთა შორის განათლებულობის შეტანის საქმეს, რომლის ერთგული ბოლომდე დარჩა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ბათუმის ქართულ სკოლაში სწავლა ხელმეორედ წყდება. ლ. მგელაძე გადადის თავის მშობლიურ სოფელში, მაგრამ 1915 წლის სექტემბრიდან კვალავ განახლდა სწავლა და ალ.მგელაძე ამ სკოლის გამგედ და მუდმივ მოამაგედ დაინიშნა, სადაც მან იმუშავა 1920 წლამდე. 1920 წელს სკოლა ჩაიბარა ქალაქის მმართველობამ.

ალექსანდრე მგელაძის პიროვნება საინტერესოა არა როგორც მასწავლებელი, არამედ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შედგენის საქმეში. დედა ენის რიგი სახელმძღვანელოები, რომელთა გამოცემა არ მოხერხდა, შემონახულია მის პირად არქივში. მნიშვნელოვანი ნაშრომებია შინაარსითა და შედგენის მიხედვით.

პირველი სახელმძღვანელო ნაშრომის სათაურია "ლამპარი", მეორესი კი "ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მცირე წლოვანთათვის", ხოლო მესამესი "კოკორი", რომელიც ალ.მგელაძეს განკუთვნილი ჰქონდა პირველი ჯგუფისათვის.

ის ღვაწლი, რომელიც მან დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოს შედგენაზე დახარჯა, ლაპარაკობს მის უსაზღვრო სიყვარულზე მშობლიური ენისადმი, ერისა და ხალხისადმი.

1924 წელს ალ.მგელაძის ავტორობითა და მამფორიას თანაავტორობით შედგენილი იქნა სახელმძღვანელო არა ქართველი სკოლებისათვის. სახელმძღვანელოს მათ დაარქვეს "ლექსიკური გაკვეთილები ქართული ენის შესასწავლად არა ქართული სკოლებისათვის". ეს შრომაც საყურადღებოა, რადგან იგი წარმოადგენს პირველ ცდას ქართული სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელოს შედგენის საქმეში.

ალ. მგელაძე გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მუშაობდა გურული ფოლკლორის შეგროვების საკითხებზე. დაცულია 1905 წლებში მის მიერ ჩაწერილი გურული ხალხური ლექსები, სადაც გამასხარავებულია აზნაურები და მეფის მოხელეები. მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული მასალები სამწუხაროდ ყველა არ არის

შემორჩენილი, როგორც მისი თანამედროვეების გადმოცემიდან ვგებულობთ ბევრი მასალები გაბნევიაალ.მგელაძეს სხვადასხვა სოფლებში და რაიონებში გადასვლა-გადმოსვლის გამო.

ალ.მგელაძე პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად თანამშრომლობდა ქართულ იუმორისტულ ჟურნალში "ეშმაკის მათრახი", რომელშიაც ის სისტემატურად ათავსებდა წერილებს "ბლიკვაძის" ფსევდონიმით.

ალ. მგელაძის პირად არქივში დაცულია ორი საერთო რვეული იუმორისტული ხასიათის წერილებით და ლექსებით, სადაც გაკრიტიკებულია ქ.ბათუმის საყოფაცხოვრებო პირობების მახინჯი მხარეები.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა კორესპოდენციები გამოქვეყნებული 1908 წლის ჟურნალ "ეშმაკის მათრახში", სადაც ამ წლის ყველა ნომერში 17 სხვადასხვა სახისა და შინაარსის იუმორისტული წერილებია გამოქვეყნებული.

1908 წლის №35 გამოქვეყნებულია იუმორისტული წერილი ლექსად "მესტვირული", სადაც მოცემულია, თუ როგორ სივიწროვეს განიცდიდა ქალაქი უწყლობით, ხოლო მცხოვრებლებს კი დაპირებით ამშვიდებდნენ. ალაქის წყლით მომარაგების საკითხი დამოკიდებული იყო ვინმე მიხაილოვზე, რომელიც:

"რა ხანია წყალს გვპირდება, მილით – მოსარწყავითაო
არ იფიქრო, თურმე, კაცმა, მასთან საქმე გაითავო".

კორესპოდენციაში "მოღვაწის დაკარგვა" ალ. მგელაძე აკრიტიკებს ბათუმის ლომბარდს, რომლის გამგე გადაიხვეწა და თან წაიღო გარკვეული თანხა. ამ საკითხზე კორესპოდენციის ავტორი ბრალს დებს გრ.ვოლსკს, რომელიც მაშინ ქალაქის თვითმმართველობაში მუშაობდა, ალექსანდრე მგელაძე წერილს ასე ამთავრებს: "თბილისელ ამხანაგს ფიცხლად წერილი ვუფრინე, რათა შეეკითხოს ვოლსკის, თუ რამდენად მართალია ლომბარდის გადახვეწილის გამგის მოღვაწეობა საქართველოს საკეთილდღეოდ" (ჟურნალი "ეშმაკის მათრახი" 1908 წ. №32).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ალ.მგელაძეს არ დაუტოვებია არც ერთი გასაკილავი საქმე, რომელსაც საზოგადოებისათვის კი ჰქონდა მნიშვნელობა. Iს ბეჯითად და მთელი შეგნებით აკრიტიკებდა ცხოვრების მახინჯ მხარეებს და მოხდენილად გაჰკრავდა ხოლმე თავის "ბლიკვს".

საყოფაცხოვრებო საკითხების მოუგვარებლობის კრიტიკას უძღვნა ალ.მგელაძემ შემდგომი იუმორისტული კორესპოდენციები: “სიმღერა წიგნებით მოვაჭრისა, “პატარა ვეფხვის ტყაოსანი”, “მესტვირული”, “მესტვირული” /მეორე/, “გაეშმაკება” /რომელიც რამდენიმე წერილისაგან შედგება/ “ბათუმის ავანჩავანი”, “მესტვირული ბათუმისათვის”, “ბათუმის ავან-ჩავანი”, “საამდროთ” და სხვა მრავალი.

ბათუმში მოღვაწეობის პერიოდში ალექსანდრე მგელაძის კალამს ეკუთვნის სამხარეთმცოდნეო შრომა “ბათუმიდან ქობულეთამდე”, “ხულოდან ბათუმამდე”. ნაშრომში გარკვევითაა წარმოდგენილი ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, სწავლა-განათლებისა და კულტურული განვითარების მდგომარეობის დონე, მეურნეობის ხასიათი, ადათ-ჩვევები და სხვა. ალ.მგელაძის ამ ნაშრომს თავისებური მნიშვნელობა აქვს აჭარის ისტორიის სესწავლის საქმეში.

ალ. მგელაძეს 1925 წელს შეუსრულდა პედაგოგიურ და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წელი. ბათუმის საზოგადოებრიობამ 61 წლის მხცოვან პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ამავე წლის 7 ივნისს საზეიმო ვითარებაში გადაუხადეს მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე. იუბილესთან დაკავშირებით აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის 6 ივნისის სპეციალური დადგენილებით ბათუმის პირველი საფეხურის მეორე ქართულ სკოლას ეწოდა ალექსანდრე მგელაძის სახელი (ამჟამად ამ სკოლას ეწოდება ეგ.ნინოშვილის სახელობის №2 ქართული საშ. სკოლა).

იუბილეს დიდძალი ხალხი დაესწრო. აესწრნენ ალ. მგელაძის ყოფილი მოსწავლეებიც, რომლებმაც მხურვალე სიტყვები უთხრეს იუბილარს.

საიუბილეო საღამოზე ალ.მგელაძემ მიმართა რა დამსწრეთ აღნიშნა რომ: “მე მუდამ ბედნიერად ვთვლიდი ჩემს თავს, იმიტომ რომ ჩემი საქმიანობა თქვენთან იყო დაკავშირებული...და დღეს, როცა ჩემდა პატივსაცემად მოზღვავებულ ამ ჩემს საყვარელ ახალგაზრდობას ვხედავ,ჩემი ბედნიერება გაათასკეცებულია...მე ვერ შევძელი ჩემი ვალი მომეხადა, მაგრამ გისურვებთ თქვენს ცხოვრებაში ვალმოუხდელი არ დარჩენილიყოთ” (ციტირებულია წიგნიდან “სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები”, კრებული I, 1953 წ. გვ. 384).

ალ. მგელაძის იუბილის გამო კორესპოდენციები გამოქვეყნდა გაზეთ “უჩიტელსკაია გაზეტას” 1925 წლის 16 ივნისის ამავე წლის “კომუნისტის”, აჭარის მწერალთა განყოფილების “ლიტერატურული ტრიბუნის” გაზეთებში, სადაც მოცემული იყო იუბილარის დამსახურება ხალხის წინაშე სწავლა-განათლების დარგში.

ვალმოხდილი მხცოვანი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე გარდაიცვალა 1932 წელს ბათუმში. მის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო და უკანასკნელად პატივი დასდეს განსვენებულს. ესეოდენი დიდი პატივისცემა ალექსანდრე მგელაძემ თავისი მოღვაწეობის პერიოდში დაიმსახურა და ამიტომ იყო, რომ ის ხალხს უყვარდა და აფასებდა. დაკრძალვის დღეს სპეციალური დელეგაცია ჩამოვიდა ხულოდან და განსვენებული თაიგულებითა შეამკეს.

ალექსანდრე მგელაძემ აჭარაში სამ ათეულ წელზე მეტი იმოღვაწევა. თავისი ენერგიული შრომით დიდი ამაგი დასდო სწავლა-განათლების საქმეს აწარაში და კერძოდ ბათუმში. მასზედ თამამად შეიძლება ითქვას, რომ აჭარაში სწავლა-აღზრდის საქმის ჭირისუფალი და მოამაგე ალ.მგელაძე იყო, რომელსაც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ამ მხრივ.

ირ. მალაზონია

ლაზარე ძნელაძის მოგონება

ალექსანდრე მგელაძე, როგორც პიროვნება საუკეთესო ადამიანი იყო, როგორც დირექტორსა და მასწავლებელს ხომ ბადალი არ ჰყავდა. გუშინდელ დღესავით მახსოვს, რომ ალექსანდრე მიუჯდებოდა ბუხარს იმ ოთახში, რომელშიც ახლა დირექტორის კაბინეტია, გაშლიდა წიგნებს და როცა მუშაობით დაიღლებოდა, დამიძახებდა და დამიწყდება ტკბილ საუბარს: რომ შევეკითხებოდით, თუ რაზე მუშაობდა, ასე თავაუღებლივ მეტყოდა, რომ იგი ამზადებდა წიგნს აჭარელთა ძველი და ახალი ცხოვრების შესახებ.

მას ძალიან უყვარდა ხალხური ამბები, თქმულებები, ანდაზები. თავის აზრს თითქმის ყოველთვის ანდაზით დაამთავრებდა. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ხუმრობა და ხშირად წამიკითხავდა დაბეჭდილ მის რომელიმე იუმორისტულ ნაწერს. 1932 წელს, როცა ლოგინად ჩავარდა მიმიხმო და მითხრა:”გა-

თავდა ჩემო ლაზარე, ალბათ ვეღარ ვეღირსები სკოლაში მოსვლას...ვამთავრებ სიცოცხლეს". ე გავამხნევე, მაგრამ მისი წინათგრძნობა მართალი დარჩა – ხუთიოდე დღის შემდეგ მცხოვანი მასწავლებელი, იშვიათი მეგობარი და ხალხის დაუზარებელი მსახური ალექსანდრე გარდაიცვალა. ყველას გული გვატკინა მისმა გარდაცვალებამ და ასეთივე გულისტკივილით დავიტირეთ ჩვენი საყვარელი ალექსანდრე, ადამიანი, რომელმაც თავისი სიცოცხლე ქ.ბათუმის კულტურული განვითარებისა და განათლების საქმეს შესწირა.

ლაზარე ძნელაძე
1959 წ. ოქტომბერი

მოსე ნათაძე. სახალხო განათლებისათვის თავდადებულ მასწავლებელთა შორის მოსე ნათაძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის ეკუთვნის ხალხოსან მასწავლებელთა იმ ჯგუფს, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წყობილების დამხობასა და მშრომელთა ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მოსე ივანეს ძე ნათაძე დაიბადა 1851 წელს დუშეთის მაზრის სოფელ ალევში. დაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 70-იანი წლებიდან სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში, მაგრამ ის სხვა მოსწავლეებთან ერთად სემინარიიდან გამოურიცხავთ, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება.

1874-1875 სასწავლო წლიდან მოსე ნათაძე იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას და მას ნიშნავენ მასწავლებლად სოფელ პატარძლეულში. თუ რამდენიმე წელი იმუშავა მ.ნათაძემ პატარძლეულში ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ცხადია ის, რომ იქ მუშაობის დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის დაუღალავმა მუშაკმა და პატრიოტმა.

1876 წელს მ. ნათაძე სოფელ მეჯვრისხევის მასწავლებელია. მისთვის ჩვეული ენერგიითა და სიყვარულით მუშაობს სკოლაში, ეწევა აგიტაციას მოსახლეობაში მოსწავლეთა მშობლებთან განათლების უპირატესობაზე, სამშობლოს სიყვარულზე და აგრეთვე მაშინდელ მოწინავე ინტელიგენტებთან ერთად ღებულობს აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა დისპუტებსა და თათბირებში.

„23 მაისს, 1876 წელს, ქუთაისში ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე შეიკრიბნენ სათათბიროდ: მიხეილ ყიფიანი, ილიკო ბახთაძე, ვარ-

ლამ გაბიჩვაძე, ნათაძე /მასწავლებელი/, ანტონ ლორთქიფანიძე და ოლღა ყიფიანი" (ციტირებულია წიგნიდან "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" 1955 წ. გვ.193) ნათქვამია ჟანდარმთა შტაბს-კაპიტანის ხრისტოფოროვის საიდუმლო მოხსენებაში 1876 წელს.

რევოლუციურ მოღვაწეობასთან მოსემ თავი გამოიღო, როგორც საუკეთესო მასწავლებელმა და აღმზრდელმა. მან ბავშვებს სკოლა შეაყვარა და მოსახლეობაში განათლების მიღებისადმი უდიდესი ინტერესი აღძრა. თავისი დაუღალავი შრომით და საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით მოსე ნათაძის სახელი ყველასათვის ცნობილი გახდა; ასე გასინჯეთ, 1878 წელს ჟურნალი "ივერია" აქვეყნებს წერილს მ. ნათაძის შესახებ. კორესპონდენციაში ნათქვამია: "უფ. მ. ნათაძეს სვინდისიანად მიჰყავს საქმე. ის ნიჭიერი ახალგაზრდაა და უფრო რომ ბეჯითად მოჰკიდოს საქმეს ხელი, ვინემ ახლა, ძალიან დაგვავალებს. სწავლის გარდა შესანიშნავია ამის შეგირდებთან ქცევა: ისე უჭირავს ბავშვებთან თავი, როგორც თავის ტოლთან, ბავშვის თვალში მას ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც მამას, დედას და და-ძმას. ისეთის ხალისით მიდიან ბავშვები სასწავლებელში, რომ რაღა მოგახსენოთ. ასე გასინჯეთ კვირა-უქმითაც კი შკოლის გარშემო დაცუნცულობენ ბავშვები, მასწავლებელიც კარს უღებს და ისინი წყნარად მეცადინეობენ: ზოგი სწერს, ზოგი სურათებს შინჯავს და ხატავს". (ჟურნალი "ივერია", 1878 წ. №10). მეჯვრისხევის სკოლის შემდეგ მ. ნათაძე მასწავლებლობს ხონის ორკლასიან სასწავლებელში, სადაც საკმაოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში.

1882 წლიდან მ. ნათაძე გადმოდის ბათუმში სამუშაოდ "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოების" სკოლაში. ბათუმში ჩამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ ხდება ამ სკოლის გამგე. როგორც ცნობილია "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ბათუმის სკოლას ქართველი საზოგადო მოღვაწეები დიდი მნიშვნელობას აძლევდნენ, რადგან სკოლის მიზანი იყო ქართველ მაჰმადიანებში განათლების შეტანა და მათი სულიერად დაახლოება სამშობლო საქართველოსთან. აი, ასეთი დიდი მნიშვნელობის სკოლის გამგეობა წილად ხვდა მოსე ნათაძეს. საიმედო წყაროებიდან ჩანს, რომ მოსე ნათაძემ ამ სკოლის მუშაობა ახლებურად წარმართა.

როცა ის 1882 წლის 15 ივლისს სკოლას იბარებდა ალექსანდრე ნანეიშვილისაგან, მისი ყურადღება სკოლის მდარე და შეუ-

ფერებელმა შენობამ მიიპყრო. სკოლის გადაბარების პირველსავე დღიდან დაიწყო ზრუნვა უკეთესი შენობის გამონახვის შესახებ და მართლაც 1882 წლის ოქტომბრიდან დაიქირავა ბინა ე.წ. "ნურიეს უბანში" (ახლანდელი ქალაქის დასავლეთი ნაწილი). მეორე საზრუნავი საგანი, რომელიც მიზნად დაისახა მ. ნათაძემ იყო სწავლის მსურველ მაჰმადიანების სკოლაში მოზიდვა.

როგორ მიაღწია მან ეს? ამ საგანზედ მოუსმინოთ თ. სახოკიას ჩანაწერებს: "მან ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი. მოჰკრიბა ბათუმის მოწინავე მაჰმადიანები და წერილობითი თანხმობა დაადებინა ბავშვების სკოლაში გაგზავნის შესახებ... მიღებულ ღონისძიებათა შედეგად ბათუმის სკოლაში მუშაობა გაუმჯობესებულა და უკვე 1883 წლის ზამთრის დასაწყისში მოსწავლეთა რიცხვი ერთი-ორად გადიდებულა" (ისტ. არქივი, ფ. 481, ს. №208. ფიქსირებულია "სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები" 1955 წ. გვ. 195).

ქართველ მაჰმადიან მოსწავლეთა სკოლაში მოზიდვის საქმეში მ. ნათაძის შრომას ნაყოფი გამოუღია და მისი ენერგიული ღვაწლი მრავალჯერ აღუნიშნავს გამგეობას, რადგან მ. ნათაძე "ემსახურებოდა ფრიად სასარგებლო საქმეს ბათუმის სკოლის მკვიდრად დაარსებისას ქართველ მაჰმადიანთა შორის" (იხ. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების 1881 წ. 15 მაისის ანგარიში, გვ. 8)

ენერგიული მუშაობის შედეგად 1883 წლისათვის მოსწავლეთა კონტიგენტი ერთი ორად გაზრდილა და სასკოლო შენობას ამდენი მოსწავლეები ვერ დაუტევია. მასწავლებელ ნათაძეს მეცადინეობას ორ ცვლად შემოუღია.

ამ მდგომარეობას თავისებური მოწონება დაუმსახურებია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობაში. მმართველობის ანგარიშის დასკვნით ნაწილში ნათქვამია: "ამსახით, მმართველობა აძლევს თავის თავს ნებას და თამამად ამბობს, რომ ბათუმის სკოლა თავის ნამდვილ გზას ადგია, მტკიცედ ფეხს იკიდებს იქაურ ნიადაგზედ და, თუმცა ბევრი ცდა არის კიდევ საჭირო, მაგრამ მაინც სკოლა თავის დანიშნულებას ნამდვილად შეასრულებს, თავის... მოვალეობას მტკიცე სამსახურს გაუწევს ახლო მომავალში". ("ივერია". 1883 წ. №8).

როგორც სპეციალურ მოხსენებაშია აღნიშნული, მმართველობა იმ იმედით აკეთებს ასეთ მკვეთრ დასკვნას, რომ ერთის მხრივ ხედავს მაჰმადიან ქართველთა თანაგრძნობას სკოლისადმი, მეორეს მხრივ მოწინავე ქართველ საზოგადოების მხარდაჭე-

რას, ხოლო მესამედ კი თვით სკოლის მოამაგის მასწავლებელ მოსე ანთაძის ბეჯითი მოღვაწეობა არწმუნებს მმართველობას შრომის უმანკოებაში.

მესამე გადაუდებელ ამოცანად მ. ანთაძე სკოლაში საგნების მშობლიურ ენაზე სწავლებას აყენებს, რომელსაც ბოლომდე იცავს. სპეციალურ წერილში საზოგადოების გამგეობისადმი მ. ნათაძე სწერს, რომ რუსულ ენას ჯერ არ ასწავლის, რადგან არც პროგრამაშია და არც მმართველობის ნება მაქვსო. მ. ნათაძის ეს განცხადება თავისებური პასუხი იყო იმ ძალადობაზე, რომელსაც ადგილობრივი ადმინისტრაცია და სასწავლო ოლქის მუშაკები უყენებდნენ სკოლებს რუსული ენის პირველი წლიდან შემოღების შესახებ. მოწინავე ქართველ ინტელიგენციას და მათ შორის მ. ნათაძეს, ეს აზრი მიაჩნდა ანტიპედაგოგიურ და მავნე ღონისძიებად. საზოგადოების გამგეობის ნებართვით მ. ნათაძე რუსული ენის სწავლებას ახორციელებს მეორე განყოფილებიდან, იმ მომენტიდან, როცა მოსწავლეები ძირითადად დაეუფლებიან მშობლიურ ენაზე სწორ მეტყველებას. ამ საქმეში მ. ნათაძე პრინციპული იყო და თავისი კანონიერი მოთხოვნის საუკეთესო დამცველი.

მ. ნათაძეს ბევრჯერ უკანონო ინციდენტისაგან დაუხსნია თავი და გამარჯვებული გამოსულა, რომელშიაც, რათქმაუნდა მხარს უჭერდა გამგეობა.

1887 წელს ოლქის მზრუნველმა დაათვალიერა სკოლა და როცა გაიგო, რომ რუსული ენის სწავლება მეორე განყოფილებიდან იწყებაო, როგორც იტყვიან, ერთი ალიაქოთი ასტეხა, მაგრამ, მ. ნათაძე მაინც ვერ დაარწმუნა იმაში, რომ რუსული ენის სწავლების შემოღება საჭიროა პირველი განყოფილებიდან და მტკიცედ დაიცო გამგეობის აზრი რუსული ენის მეორე განყოფილებიდან სწავლების შესახებ. ამით არ დამთავრებულა საქმე. შემდეგ უფრო სერიოზული ინციდენტი მოხვდა მ. ნათაძესა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორ პერევოზნიკოვს შორის. ინსპექტორი პერევოზნიკოვი მ. ნათაძეს გაკვეთილზე დასწრებია. ინსპექტორის პედაგოგიურ შენიშვნას ნათაძე არ დასთანხმებია და გამართულა ცხარე კამათი. ამ ინციდენტის გამო მ. ნათაძეს სპეციალური მოხსენება წარუდგენია გამგეობისათვის, სადაც დაწვრილებითაა ყველაფერი აღწერილი. ეს წერილი ფარდას ხდის რუსიფიკატორთა თავხედურ პოლიტიკას მშობლიური ენისა და კულტურის ათვისების საკითხში.

მოხსენებაში მ. ნათაძე სწერს, რომ “ბავშვს მე ქართულად დავუწყე ლაპარაკი, ამაზე სულ გადაირია და მითხრა: “კლასში როგორ შეიძლება ქართულად ლაპარაკიო”. ამ შენიშვნის გამო მ. ნათაძეს აწეული ტონით უპასუხნია: “ქართულ სკოლაში, სადაც “წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” წესდებით სწავლა ყველა საგნისა ქართულად სწარმოებს; სადაც ქართული ენა უმთავრესი ენაა კლასში, აუცილებლად ქართულად უნდა ვილაპარაკოთ”.

მ. ნათაძე აღშფოთებულია პერევოზნოვის უსაფუძვლო და უმართებულო შენიშვნით, რომ თითქოს ნათაძის მოწაფეებმა არაფერი იცოდეს. ის წერილს ასე ამთავრებს: “სამწუხარო როგორ არ არის, ბატონო, ეს გარემოება, რომ ერთი ნახვით მინიავქრებს, მიბათილებს მთელი წლის შრომას, რომელშიც სისხლი ჩამიღვრია?!” (ციტირებულია წიგნიდან “სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები”. 1955 წ. გვ. 197).

რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ სკოლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობაზე, მოუსმინოთ იმ პირთა ჩანაწერებს, რომლებიც სკოლას პერიოდულად ამოწმებდნენ.

1887 წლის ივნისში სკოლა შეუმოწმებია ივ. მაჩაბელსა და ნ. ცხვედაძეს. პირველ ყოვლისა გამორკვევის მასალებში ხაზგასმულია, რომ სკოლა გარეგანი სახით უვარგისსია და არასასურველ პირობებში უხვდება მუშაობა. აგრეთვე ვკითხულობთ მოხსენებით ბარათში, რომ სკოლა მდებარეობს ქალაქის გარეუბანში, სადაც ჭაობია.

შემოწმების დროს სტუმრებს ხუთი მოსწავლე გამოუცდია და დიდი კმაყოფილი დარჩენილან. მოხსენებით ბარათში აღნიშნულია: “თვითეულ ყმაწვილს ეტყობა, რომ მასზედ მოქმედობს მხნე და დახელოვნებული თავის საქმეში მასწავლებელი” (ეს მასწავლებელი თვით მ. ნათაძე იყო). სტუმრები გაოცებული დარჩენილან მოსწავლეთა კარგი მომზადებით და სამაგალითო დისციპლინით. ეს ფაქტი იმაზე ლაპარაკობს, რომ მ. ნათაძე, როგორც მასწავლებელი, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საპროგრამო მასალის განვლისა და მოსწავლეთა ცოდნის დაუფლების საქმეში.

ძირითადი ნაკლი, რომელიც სკოლას გააჩნდა, ეს იყო მაჰმადიან ქართველ მოსწავლეთა სიმცირე, რის შესახებ მ. ნათაძის თხოვნით შეუდგენიათ კომიტეტი ბათუმის მოწინავე პირთა მონაწილეობით და გაუტარებიათ სათანადო ღონისძიება. პირველ ყოვლისა სკოლა გადაუტანიათ ახალ ბინაში - შედარებით ქალა-

ქის ცენტრში და რაც მთავარია, კომიტეტის დახმარებით გაზრდილა მაჰმადიან მოსწავლეთა რიცხვი.

მოსე ნათაძის მოღვაწეობა მარტო სკოლის ფარგლებით არ განისაძღვრება. ის აგრეთვე თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, აქვეყნებდა წერილებსა და სტატიებს, რომელშიაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართველ მაჰმადიანების სწავლა-აღზრდის საქმეს. ამ საკითხთან დაკავშირებით მოითხოვდა ფანატიკოსი ხოჯების, მოლებისა და მისთანების გავლენისაგან მესხეთ-აჭარისა, საინგილოს ხალხების განთავისუფლებას. მ. ნათაძის აზრით დაშლილი ეროვნული სხეულის აღდგენა და შემდგომ მისი განმტკიცება მხოლოდ განათლებას შეეძლო.

1888 წელს ჟურნალ "მწყემსის" №16-ში მ. ნათაძე აქვეყნებს მცირე მოცულობის წერილს "შენიშვნა", რომელიც დაკავშირებული იყო "ყურანის" ქართულად თარგმნასთან... ნათაძე სწერს: "ერთად ერთი საშუალება, რომ მესხელს თვალი აეხილოს, ვინ არის და რა არის, წერა-კითხვის გავრცელებაა. ვინც კი ისწავლა წერა-კითხვა, დასწაფებია გოგებაშვილის "ბუნების კარს", ეს კარგად იცის. რამდენიმე მაჰმადიანია დღეს ბათუმში, რომ გაკვირვებით იძახის: რა ამბები ყოფილა ქვეყანაზეო და მე კი არ ვიცოდიო; ვინც წერა-კითხვა იცის და ქართულ წიგნებს კითხულობს, ან ვინც ძალიან გაერთო ცხოვრებაში, ის ძალიან ეჭვის თვალით უყურებს თავის ხოჯას. თუ წერა-კითხვა გავრცელდა, მაშინ აქაურები შეიტყობენ თავის წარსულს, აქაურებსაც გაეღვიძებათ ხალისი სწავლისა, ისწავლიან, განვითარდებიან და თავის უმეცარს ხოჯებს ეჭვით დაუწყებენ ყურებას. რაკი ასე წავა საქმე, მაშინ ქართველი მაჰმადიანები შეიგნებენ, რომ ეროვნება სხვა არის და სარწმუნოება სხვა, რომ დღეს ჩვენ ორივე ქართველები ვართ...სწავლა, სწავლა, აი ჩვენი შეერთების წამალი, წამალი ჩვენი ქვეყნის აღდგენისა...

როგორც ვხედავთ მ. ნათაძე მთელი შეგნებითა და ენერგიით იღწვოდა აჭარაში ქართველ მაჰმადიანებში განათლებისა გათვითცნობიერების შეტანის მიზნით. ამ სახალხო საქმეს ანაცვალა მან თავისი ცხოვრების ყველაზე უკეთესი პერიოდი და იგი ბოლომდე დაწყებული საქმის ერთგული მოამაგე დარჩა.

თავისი უმწიკვლო პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მ. ნათაძეს "წერა-კითხვის საზოგადოების" მადლობა და ფულადი ჯილდო დაუმსახურებია.

14885 წელს იაკობ გოგებაშვილის წარდგენით მ. ნათაძეს აჯილდოებენ ათი თუმნით, როგორც ყოველთვის. იაკობ გოგებაშვილი გამგეობას სწერს: "...რადგანაც თავის თანამდებობის აღსრულებაში ბატ. ნათაძე იჩენს სამაგალითო ერთგულებას და მხნეობას... ამიტომ სამართალი მოითხოვს, რომ იგი წელსაც დაჯილდოებული იქნას ათი თუმნით". (ისტორიული არქივი, ფ. 481, ს. №79).

ეკონომიურმა ხელმოკლეობამ, მუშაობის მხრივ მძიმე პირობებმა, რომელმაც გავლენა მოახდინა მ. ნათაძის ჯანმრთელობაზე, ის 1887 წელს ითხოვს ბათუმიდან განთავისუფლებას და სურვილი აქვს გადავიდეს თბილისში ცოლ-შვილთან (ძირითადად მ. ნათაძეს ცოლ-შვილი თბილისში ჰყავდა, რადგან მისი შვილები სწავლობდნენ და მათი უმეთვალყურეოდ დატოვება ძნელი იყო). განთავისუფლების მიზეზად მოჰყავს ბათუმის ციებ-ცხელებიანი ჰავა, რის გამოც იგი დაავადებულია. ამ საქმის მოგვარებაში დახმარება აღუთქვა ი. გოგებაშვილმა, რომელმაც უშუამდგომლა გამგეობის წინაშე მისი განთავისუფლების შესახებ. როგორც ჩანს იაკობ გოგებაშვილს მ. ნათაძის დაწინაურება სურდა სათავადაზნაურო სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე, მაგრამ გამგეობას მ. ნათაძე არ გაუნთავისუფლებია.

იმისათვის, რომ მ. ნათაძეს "ბათუმის ქართველთა საზოგადოებაში" დაუმსახურებია სიყვარული და პატივისცემა დიდი გავლენა ჰქონია მაჰმადიან ქართველებზეც". ამიტომ გამგეობა აფასებს მის სამაგალითო ღვაწლს და მისი შვილი მიაღებინეს თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ნახევარ ხარჯზე.

საზოგადოებისა და ახალგაზრდობის (კერძოდ ქართველ მაჰმადიანთა ახალგაზრდობის) წინაშე ვალმოხდილი მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა 1891 წლის იანვრის შუა რიცხვებში. ნათაძის ნაცვლად "ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების" ბათუმის პირველი სკოლის მასწავლებლად და მოამაგედ დანიშნული იქნა მიხ. შარაშიძე.

მ. ნათაძემ თავისი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბათუმის ქართველ მაჰმადიანთა განათლების საქმეში.

ალექსანდრე ნანეიშვილი. ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ ჯგუფს, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია აჭარაში სწავლა-განათლებისა და კულტურული განვითარების საქმეს, ამშვენებს ალექსანდრე ნანეიშვილის სახელი. მისი ქ.ბათუმში

ხანმოკლე მოღვაწეობა (1880-1882) ხასიათდება მთელი რიგი საკითხების წამოწყებით, რომლის ინიციატორი და პირველი მოთავე თვით ალექსანდრე ნანეიშვილი იყო.

ცნობილი პედაგოგი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, სახალხო განათლების საქმის მოამაგე ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი დაიბადა 1857 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ორპირში. დაწყებითი განათლების დამთავრების შემდეგ საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში. აქ ალექსანდრე წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. ქუთაისის გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ სწავლას აგრძელებს პეტერბურგის სამედიცინო ქირურგიულ აკადემიაში, საიდანაც დაახლოებით 1880 წელს სწავლადაუმთავრებელი დაბრუნდა სამშობლოში.

სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ალ. ნანეიშვილი ენერგიულად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. მან საზოგადოებისადმი კეთილი სამსახური პედაგოგიური მოღვაწეობით დაიწყო. ეს ის დროა, როცა "ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოებამ" განიზრახა თურქეთის ბატონობისაგან ახლად გამოხსნილ აჭარის დედაქალაქ ბათუმში გაეხსნა პირველი ქართული სკოლა. რადგან თურქეთის მონობისაგან განთავისუფლებული აჭარლები შველასა და დახმარებას ითხოვდნენ საქართველოსაგან, მოწინავე ქართველი ინტელიგენციისაგან. ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ი. ჭავჭავაძის მეთაურობით გადაჭრით მოითხოვდა ახლად შემოერთებულ აჭარის მხარეში სკოლების ქსელის გამრავლებას.

ილია ჭავჭავაძე 1879 წელს სწერდა, რომ "...ეხლა უნდა გაუმართოთ ხელი ამ ახლად დაბადებულს საზოგადოებას და ვალად დავსდოთ, რომ ქობულეთში რაც შეიძლება მომეტებული შკოლები დამართოს. ეს შკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულით და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა, ისევ-ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში ჩავარდნის დრომდე ყოფილა". (ტომი, მე-6, 1927, გვ. 56).

ბათუმში ქართული სკოლის გახსნას ქართველი ინტელიგენცია უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლებოდა დიდი ხნით ჩამოცილებული დებისა და ძმების დაახლოება. სწორედ, ამ საქმის პრაქტიკულ გადაწყვეტას "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" 1880 წლიდან შეუდგა.

გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი ამ საგანზედ სწერს: “. . .განზრახვა, რომელიც რომელმაც გამოიწვია ამ სკოლის დაფუძნება, მდგომარეობგა იმაში, რომ ახლად შემოერთებულ მაჰმადიან ქართველთა შვილები მოეზიდნა, პირველ-დაწყებითი განათლება მიეცა მათთვის, გაემართნა ქართულს წერა-კითხვაში.მათის შუამავლობით შემდეგში გაევრცელებინა აჭარა-ქობულეთში ქართული წიგნის ცოდნა და ამ გზით განეახლებინა კავშირი ღვიძლ ძმათა ორის, რომელნიც ულმობელმა ბედმა ერთმანეთს გაჰყარა წარსულს საუკუნეებში” (რჩეული ნაწერები, ტ. მე-2, 1940, გვ. 267).

მმ მიზნით საზოგადოება ბათუმში გზავნის ენერგიით აღსავსე, ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულით აღგზნებულ სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილ სტუდენტს ალექსანდრე ნანეიშვილს. ალ. ნანეიშვილი ბათუმში იგზავნება დავალებით, რაც შეიძლება უახლოეს დროში უზრუნველჰყოს ქართული სკოლის გახსნა. სკოლის გახსნის საქმეში ალ. ნანეიშვილს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა: პირველყოვლისა სადგომის გამონახვის საკითხმა დავა გამოიწვია, ხოლო მეორეს მხრივ ძირითადი მიზეზი სკოლის დაგვიანებით გახსნისა იყო პროგრამის უქონლობა. 1881 წლის 21 თებერვალს პირად წერილში ნანეიშვილი სწერს ილია ჭავჭავაძეს, რომ სკოლის გახსნა დაგვიანდა უპროგრამობის გამო. რომ პროგრამის გარეშე დამეწყო მეცადინეობა, სამხედრო გუბერნატორი კომაროვი “იმდენად უგუნურია, რომ სკოლას” დამიხურავდაო.

ბათუმში ქართული სკოლის გახსნის შესახებ “წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” პირველი ინიციატორი და მოამაგე ალექსანდრე ნანეიშვილი იყო. მხოლოდ მისი ენერგიული და მუყაითი შრომის შედეგად მოხერხდა 1881 წლია 23 მარტს ქ. ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნა.

ბათუმის სკოლაში ალ. ნანეიშვილი ასწავლიდა თითიქმის ყველა საგანს, როგორც პირველ, ისე მეორე წელსაც. ის ასწავლიდა ქართულ ენას, არითმეტიკას, საღვთო სჯულს და სუფთა წერას.

“როგორც წ. კ. გ. საზოგადოება”, ისე ალ. ნანეიშვილი ამოცანად სახავდა მუსლიმან ქართველთა სკოლაში გაერთიანებას და მათთვის პირველ-დაწყებითი განათლების მიცემას. ის უდიდესი მუშაობა, რომელიც ამ მხრივ ჩაატარა ალ. ნანეიშვილმა ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა, რადგან სკოლის გახსნიდან თვენახევრის შემდეგ სკოლაში 28 მოსწავლე ითვლებოდა, რომელთაგან 11 აჭარელი იყო.

სკოლაში ადგილობრივი მუსლიმანი ბავშვების მოყვანას და სწავლებაში გაერთიანებას ხელს უშლიდა ბეგები, მოლები და საერთოდ მუსლიმანური სარწმუნოების დამცველნი. სწორედ ამით აიხსნება, რომ 1882 წლისათვის მუსლიმან მოსწავლე ბავშვთა რიცხვი მინიმუმამდე დავიდა, რომლის შესახებ ალ. ნანეიშვილი გამგეობას სპეციალურ ცნობას უგზავნის, რომლითაც ატყობინებს, რომ აჭარელ ახალგაზრდობას სწავლა არ სურთ, ისინი სკოლაში არ დადიან, მათზე დიდ გავლენას ახდენს ადგილობრივი მუსლიმანური რელიგიგს პირები.

მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეთა სკოლაში მოზიდვის საქმე ძნელდებოდა, ალ. ნანეიშვილი მაინც შეუპოვარ მუშაობას აწარმოებს ამ ახრივ. დადიოდა მოსახლეობაში, ატარებდა საუბრებს, უხსნიდა ადგილობრივ მოსახლეობას სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, და რაც მთავარია: აცნობდა მათ წარსულს, რომ ისინი წარმოშობით ქართველები არიან, მათი სარწმუნოება ქრისტიანულია და სხვა. ალ. ნანეიშვილის ამ ენერგიულ მუშაობას მხარს უჭერდა ქ. ბათუმის მნიშვნელოვანი ნაწილი და ადგილობრივი ინტელიგენცია.

“ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობისა და თვით ალ. ნანეიშვილის ენერგიული მუშაობის შედეგად სკოლაში სწავლა დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული.

1881 წლის 12 სექტემბერს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკისა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ორლოვის მიერ დათვალიერებული იქნა სკოლა, რომლის დროს ხსენებულ პირებს არავითარი უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ და მათ ამ “ვიზიტით” გაიცნეს “წერა-კითხვის საზოგადოების” ინიციატივით დაფუძნებული პირველი ქართული სკოლა ბათუმში.

ლ. ნანეიშვილმა ბათუმში ხანმოკლე პედაგოგიური მოღვაწეობით დაამტკიცა თავისი კეთილშობილური დამოკიდებულება სახალხო საქმისადმი და გამოიჩინა კარგი პატრიოტობა, საქმისადმი მუყაითობა, რაც მისი მოღვაწეობის ნიშანდობლივი თვისება იყო.

ალ.ნანეიშვილი 1881 წლის 15 ივლისს თავისი ნებასურვილით ბათუმის ქართული სკოლის გამგე-მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლდა.

1884 წელს ის დაპატიმრებული იქნა ქართველ ხალხოსნებთან ერთად და სემიპალატინსკში გადაასახლეს.

1887 წლიდან ბრუნდება სამშობლოში და აგრძელებს პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მუშაობას, თანამშრომლობს "ნოვოე ობოზრენიაში". რამდენიმე წლის შემდეგ ალ. ნანეიშვილი გადადის ქუთაისში, სადაც მსახურობს სათავადაზნაურო ბანკში შემფასებლად, შემდეგ შავი ქვის მრეწველობის საბჭოს მდივნის თანანდებობაზე და აგრეთვე ეწევა საზოგადოებრივ საქმიანობას – მონაწილეობს სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში (ქალაქის თვითმმართველობაში), ქართული წიგნის გამომცემლობაში.

დროთა ვითარებაში ის დასნეულდა და მძიმედ დაავადმყოფდა. 1904 წლის 25 აგვისტოს განუკურნებელი სენით დაავადებული ალექსანდრე ნანეიშვილი გარდაიცვალა.

როდესაც ალ. ნანეიშვილის ბათუმში ხანმოკლე მოღვაწეობის შესახებ ვლაპარაკობთ, კმაყოფილების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ "წერა-კითხვის საზოგადოებისა" და თვით ალ.ნანეიშვილის ბეჯითი მუშაობის შედეგად მოხერხდა 1881 წელს ბათუმში სკოლის გახსნა. ზედმეტი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ალ. ნანეიშვილი არის ბათუმის პირველი ქართული საშუალო სკოლის ორგანიზატორი და ფუძემდებელი. სკოლის ჩამოყალიბების პროცესში ალ. ნანეიშვილმა დიდი მუშაობა გასწია. მას მოუხდა მთელი რიგი წინააღმდეგობების გადალახვა.

სამხედრო გუბერნატორი კომაროვი დაჟინებით მოითხოვდა რუსული ენის სწავლებას პირველი განყოფილებიდან პარალელურად მშობლიური ენისა.

კომაროვის ამ წინადადებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ალ. ნანეიშვილი. მან მოახერხა "ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების" დახმარებით სკოლის დაუყოვნებლივ გახსნა და რუსული ენის სწავლების შემოღება მეორე განყოფილებიდან.

ალ. ნანეიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მარტო პედაგოგიური მუშაობით არ განსაზღვრულა. როგორც ბათუმში მუშაობის დროს, ისე შემდგომ, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში და აგრეთვე თანამშრომლობდა ჟურნალ "იმედში", "ივერიაში", გაზ. "დროებაში", ჟურნალ "მოამბეში", გაზ. "ნოვოე ობოზრენიაში" და სხვა. ის წერილებსა და სტატიებს აქვეყნებდა "ა.ნა-ლი" –ს ფსევდონიმით.

ალ. ნანეიშვილის კალამს ეკუთვნის შემდეგი სტატიები და წერილები დაწერილი მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე. მაგალი-

თად: “რას მოგვითხრობს და გვასწავლის ენა”, “საღვთო წერილის მეგრულ ენაზე გადათარგმნის შესახებ”, “ხალხურ პოეტურ ნაწარმოების შეკრებაზე”, “უზნეო ჩვეულებებზე”, “ახალგაზრდობის მიერ ხალხური სიტყვიერების და ზნეჩვეულებების შესწავლაზე”, “ქართველი ახალგაზრდობის უმაღლესი განათლების შესახებ”, “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” ათი წლისთავის შესახებ”, “მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ სკოლებში”, “ქართველ მოზარდ ქალთა განათლების შესახებ”, “სკოლებში ფიზიკური ვარჯიშობის შემოღების შესახებ”, “სკოლაში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებაზე” და სხვა მრავალი.

თავის წერილებსა და სტატიებში ალ. ნანეიშვილი მთელი სიხარულით აშუქებს საკითხებს სწავლა-აღზრდისა და საერთოდ, განათლების, საყოფაცხოვრებო და სხვა საკითხებზე.

სტატიაში “ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ათი წლისთავის შესახებ” – ანალიზს უკეთებს იმ უდიდეს ძვრებს, რომელიც ჩაატრა “ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ”.

სხვა მრავალ კორესპონდენციას შორის საყურადღებოა 1879 წლის გაზეთ “ივერიაში” გამოქვეყნებული კორესპონდენცია “მშობლიური ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ სკოლებში”, სადაც დაჟინებით მოითხოვს დედაენის სიწმინდის დაცვას, სასკოლო დისციპლინების მშობლიურ ენაზე სწავლების სრულყოფილად გატარებას. “სამშობლო ენა ქვა-კუთხედია სწავლა-განათლებისა და წარმატებისა”-ო ამბობდა ალ. ნანეიშვილი.

ალ. ნანეიშვილი, როგორც პედაგოგი, წინააღმდეგია არამშობლიურ ენებზე დისციპლინების სწავლებისა, მიუხედავად ამისა ის არ უარყოფს ენების დაუფლებას. თავისებურად მსჯელობდა ალ. ნანეიშვილი ქალთა განათლების შესახებ, რომ ქალები განათლებას ვერ იღებენ, ამიტომაა “ჩვენი ოჯახი მოუვლელი და ნივთიერად დაცემულია, ჩვენი ყმაწვილები ჯეროვნად გაწვრთნილი და მომზადებული არ არიან და ამას რამდენი უბედურება მოსდევს, ვინ მოსთვლის”. (გაზ. “ივერია” 1879. №158).

ოთხმოციანი წლების დასასრულიდან ალ. ნანეიშვილი თავის წერილებში გამოხატავდა პროგრესული თავადაზნაურობის ინტერესებს და მისწარაფებას. ის მოუწოდებს თავადაზნაურობას ალღო აეღო აწმყოსათვის და ვითარებისათვის შეეგუებინა სავალი გზა (იხ. “ივერია” 1887 წ. №135).

ალექსანდრე ნანეიშვილის მოღვაწეობა საერთოდ, და კერძოდ ქ. ბათუმში, დიდი პროგრესული მოვლენებით ხასიათდება, რომელმაც შესამჩნევი კვალი დასტოვა ქალაქ ბათუმის სახალხო განათლებისა და საზოგადოებრივი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. კლდიაშვილი, მოთხრობები და პიესები. 1947;
2. სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. კრებული პირველი,თბ. 1953;
3. ს. ცაიშვილი "ნიკო ჯაყელი". სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები. თბ. 1955;
4. ჟურნალი „ეშმაკის მათრახი", N 32, 1908 წელი;
5. ჟურნალი „ივერია", N 10, 1878 წელი;
6. ჟურნალი „ივერია". 1883 წ. №8;
7. ჟურნალი „მწყემსი", N. 16, 1888 წელი;
8. გაზეთი "კომუნისტი" 1929 წ. №102;
9. გაზეთი "ლიტერატურული ტრიბუნა", აჭარის მწერალთა განყოფილების ყოველკვირეული ორგანო, 1925 წლის 31 მაისი;
10. გაზეთი "მოგზაური" 1905 წ. №9 გვ.120;
11. სცსია, ფ. 481, ს. №208; ს. №79.

Otar Gogolishvili

Teachers of the first Georgian school in Batumi
Summary

The article deals with the famous 19th-century well-known teachers: Niko Jakheli, Alexander Mgeladze, Mose Natadze and Alexander Naneishvili's life and work.

მაია რურუა

ერთი ფოტოს ისტორია ანუ, ფოტო გვიამბოს თავისთავზე

პირადი ფონდები, ეს ის მდიდარი კოლექციაა დოკუმენტებისა, რომელიც მნიშვნელოვან და საინტერესო მასალას შეიცავს არა მარტო ფონდისმფლობელის ბიოგრაფიისა და საქმიანობის, არამედ იმ ეპოქის საზოგადოებრივი წყობისა და სოციალურ-პოლიტიკური ქარტეხილების შესახებ, რომელშიც ფონდისმფლობელს უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

ამ მხრივ, რა თქმა უნდა თითოეულ ფონდს და მასში დაცულ თუნდაც ნაჩქარევად, ხელგაკვრით გაკეთებულ ჩანაწერს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირადი ფონდების გაცნობა-შესწავლის დროს სიურპიზებსაც უნდა ელოდო, რადგან ერთი შეხედვით უბრალო დოკუმენტი, ან ფოტო მრავალმხრივი ინფორმაციის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამჯერად, მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო მწერალ- დრამატურგ ამირან შერვაშიძის პირად არქივზე (ფონდი რ-59). ამირან შერვაშიძეს (1914-1987წწ), რომლის ლიტერატურული ფსევდონიმია „მარიანი“, მეტად საინტერესო ცხოვრება და შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მუშაობდა სახელმწიფო კინომრეწველობის „სახკინმრეწვის“ სცენარისტად, აჭარის მასწავლებელთა სახლის დირექტორად, სხვადასხვა წლებში იყო ტურისტული საზოგადოების, რევოლუციის მუზეუმის, აჭარის ასსრ განათლებისა და კულტურის დაწესებულებათა, სახალხო კომისარიატის სალექციო ბიუროს, საქართველოს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორი. სალექციო მუშაობას ატარებდა სამამულო ომის (1941-1945 წწ) დროს სამხედრო ნაწილებსა და ჰოსპიტალებში. ლიტერატურული მოღვაწეობა 1928 წელს დაიწყო, როცა გამოვიდა მისი პირველი ნაწარმოები „ფატიმა“. დიდი წარმატება მოუტანა რომანმა „ბაგრატიონი.“ მისი პიესები წარმატებით იდგმებოდა არამარტო საქართველოს, არამედ უკრაინის, ტალინის და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თეატრების სცენებზე. ისტორიულ ნაწარმოებებზე მუშაობისა და თავისი საქმიანობის დროს უამრავ ადამიანებთან უხდებოდა ურთიერ-

თობა, რომლებმაც შემდგომი ასახვა ჰპოვეს საქმიან თუ პირად მიმოწერაში, ფოტოსურათებში.

რამდენიმე წლის წინ მწერლის უამრავი ფოტომასალის დამუშავება მომიხდა, ფოტოების უმრავლესობაზე მწერლის მიერვე იყო გაკეთებული მოკლე მინაწერები ფოტოს გადაღების დროის, ადგილის, მოვლენისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც მათზე არიან აღბეჭდილები. ასეთი ფოტო ბევრად საინტერესოა და სამეცნიერო თვალსაზრისითაც ღირებული. ბევრი კი საერთოდ არავითარ მონაცემს არ შეიცავდა, მიუხედავად ამისა, თარიღებისა და შესაბამისი წლების გაზეთების დამუშავების შემდეგ, ბევრი მათგანის შესახებ მონაცემები დაზუსტდა და ფოტოსურათების აღწერაც შედგა.

ფოტოები კი მართლაც საინტერესოა, როგორც პიროვნებების, ასევე მასზე ასახული მოვლენების გამო. ფოტოებმა აღბეჭდეს უკრაინისა და საქართველოს ინტელიგენციის მონაწილეობით უკრაინის ქალაქ მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებები , ფოტოებზე ასახულია ამირან შერვაშიძის პიესების აფიშები და სცენები სპექტაკლებიდან „ლესია უკრაინკა', „ბაგრატიონი", „ქალიშვილი სან-ტიაგოდან", „ვივა კუბა" და სხვა რომლებიც წარმატებით დაიდგა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქების თეატრების სცენებზე; ფოტოები ცნობილ ადამიანებთან, მეცნიერებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან: ვასო გოძიაშვილი, ნოდარ დუმბაძე, გიორგი ლეონიძე, ალ. ჟორჟოლიანი,სულიკო ჟღენტი, იუსუფ კობალაძე, ბელა ახმადულინა, მიკოლა ბაჟანი, ოლეს გონჩარი და სხვები ...

განსაკუთრებული დაინტერესება ერთმა ფოტომ გამოიწვია...წლები გავიდა და მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი ეს ფოტოსურათი, რომელიც დღემდე ცოცხლობს ჩემში თავისი სიძველით, მშვენიერებითა და ისტორიული მნიშვნელობით, ეხლა თქვენ მინდა წარმოგიდგინოთ და გიამბოთ მის შესახებ.

ფოტოს მართლაც რომ ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ერთის მხრივ მასზე აღბეჭდილი ადამიანების და მეორე მხრივ , მასზე დატანილი საინტერესო ინფორმაციის გამო, ანუ ერთნაირად მნიშვნელოვანია ფოტოსურათის ორივე - წინა და უკანა მხარე.



წელს, 2017 წლის 15 ივლისს, ამ ფოტოს 101 წელი შეუსრულდა. ადამიანები, რომლებიც მასზე არიან აღბეჭდილნი, მე-19 საუკუნის ბოლოს დაიბადნენ, იმდროინდელი საქართველოს არისტოკრატულ ფენას მიეკუთვნებოდნენ და მნიშვნელოვანი როლიც შეასრულეს საქართველოს ისტორიაში.

ამ ფოტოზე აღბეჭდილია ახალგაზრდა, ბედნიერი, ახალდაქორწინებული წყვილი ჰაიდარ აბაშიძე და მისი მეუღლე მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი. ფოტოდან შემოგვცქერის მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული არისტოკრატული ოჯახი, ქართული ჯიშისა და გენის ორი წარმომადგენელი- იმერელი თავადის ასული და აჭარელი ბეგი, რომელთა ჩაცმულობის სტილი, დგომა, თავდაჭერილობა და მანერა, მათ უზადო გემოვნებასა და დახვეწილობაზე მეტყველებს.

შავ-თეთრ ფოტოზეც კი კარგად ჩანს ახალგაზრდების სილამაზე, მომხიბვლელობა და შარმი. ეს ყველაფერი თვით ფოტოს შესახებ.

მაგრამ არანაკლებ საინტერესოა და უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია ფოტოს უკანა მხარე , მასზე გაკეთებული ჩანაწერით, საიდანაც ბევრ ინფორმაციას ვღებულობთ; ასე მაგალითად:

წარწერა განკუთვნილი მწერლისადმი გაკეთებულია თვით ჰაიდარ აბაშიძის მიერ 1961 წლის 8 დეკემბერს.

ჩანაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ახალგაზრდები , 20- 22 წლის ასაკში, 1915 წლის 1 სექტემბერს დაქორწინებულან. ეს მეტად გაბედული და ერთ-ერთი მისაბაძი ქორწინება იყო და რაც მთავარია, ისინი იყვნენ ერთ-ერთი მაგალითი აჭარაში უჩადრო ქართული ოჯახისა.

ჩანაწერში მითითებულია მეუღლეების დაბადების წლები და ადგილი და ბოლოს, რომ ფოტო გადაღებულია მათი ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ, 1916 წლის 15 ივლისს ქალაქ ბათუმში.

აი, ეს წარწერა- მიძღვნა.....

,,ძვირფას ამირან შერვაშიძეს:

დიდი პატივისცემით გიძღვნით ჩემსა და ჩემი მეუღლის ამ სურათს, როგორც ერთ-ერთ მაგალითს აჭარაში უჩადრო ქართული ოჯახისა 1915 წლის 1-ლ სექტემბრიდან.

ჰაიდარ აბაშიძე

8/12- 1961წ.

ქ. თბილისი.

1) მარგალიტა ყაფლანის ასული წერეთელი-აბაშიძისა ქ. ჭიათურიდან, დაბადებული 1898წელს.
2) ჰაიდარ ალის ძე აბაშიძე ქ. ბათუმიდან დაბადებული 1893 წელს.
3) სურათი გადაღებულია ქ. ბათუმში 1916 წლის 15 ივლისს

08.12 1961 წ. ჰაიდარ აბაშიძე.

დამერწმუნებით, ძნელია აუღელვებლად ამ ფოტოს ნახვა და წარწერის წაკითხვა. მან ერთი საუკუნით უკან გადამისროლა და ჩვენს სასიქადულო წინაპრებთან დამაბრუნა .ფოტოს დანიშნულებაც ხომ სწორედ ესაა, როცა წამის მეათედში შეჩერებული მოვლენა დროში გამოგზაურებს, როცა წლების შემდეგ ცოცხლდება ეპოქა, დრო, ადამიანები, აიშლებიან მოგონებები, ემოციები, თვალზე აბრწყინდება ცრემლი და გინდა შეძახო მრავალგზის ნათქვამი: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“

ამირან კახიძე

ბრინჯაოს მეტალურგიასთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის ძეგლები აჭარაში

ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ–ერთ უძველეს მეტალოგენურ კერას წარმოადგენს. პრობლემის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80–იანი წლებიდან გაჩნდა, გასული საუკუნეში განხორციელდა ეპიზოდური საველე სამუშაოები კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლების კვლევის მიზნით (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა და კახეთი – ზემო ალაზანი). ასევე ითქმის სამხრეთ კავკასიონის სამხრეთული ექსპოზიციის მიმართაც (მხედველობაშია ბოლნის–დმანისისა და აჭარა–გურიის სამთო–მეტალურგიული კერები). მიკვლეულ იქნა არაერთი მადანგამონამუშევარი როგორც ღია, ასევე დახურული კარიერების სახით; მოპოვებულია მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი არტეფაქტები. სპეციალისტები სპილენძის წარმოების ერთ–ერთ პრეისტორიულ და მნიშვნელოვან კერად მდ. ჭოროხის აუზში მდებარე ართვინის ზონას, კერძოდ, მურღულს მიიჩნევენ. გაკეთებულია დასკვნები, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ნეოლითელი თუ ენეოლითელი საზოგადოების წარმომადგენლები ჩართული იყვნენ წინააზიური კულტურების განვითარების ერთიან სისტემაში. ერთდროულად იწყება მადნეული საბადოების ათვისება. მნიშვნელოვანია იმის აღიარებაც, რომ ხელშემწყობ გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენდა ანატოლიისა და მესოპოტამიის უძველეს ცივილიზაციებთან კონტაქტებისათვის ისიც, რომ მდინარეები ტიგროსი, ევფრატი, ჭოროხი და არაქსი ერთი მთის მასივში იღებენ სათავეს. მკვლევართა დიდი ნაწილი მიდის ერთიან დასკვნამდე, რომ მიგრაციების დაწყებას კავკასიაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეესრულებინა ჩრდილოეთში მაიკოპის, ხოლო სამხრეთში მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარებაში (იხ.: გობეჯიშვილი, მუჯირი, ინა-

ნიშვილი, მაისურაძე, 1983:441–442; მაისურაძე, ინანიშვილი, 1984:86–89; ჩართოლანი, 1996; ინანიშვილი, ჩართოლანი, მაისურაძე, გობეჯიშვილი, მუჯირი, 1998:52–62; ღამბაშიძე, მინდიაშვილი, გოგოჭური, კახიანი, ჯაფარიძე, 2010; ფიცხელაური, 2011:62–89; ჯაფარიძე, 2013; ღამბაშიძე, 2016; Иессен, 1935:7-237; Гобеджишвили, 1952:183-190; Чартолани, 1989).

ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ადრე არსებითად შეისწავლებოდა სამთამადნო საქმიანობასთან, ლითონის მოპოვებასთან დაკავშირებული პრობლემები. ბოლო სამი წლის აღმოჩენებმა აჭარაში ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა კონკრეტული ძეგლების მიხედვით საგანგებო კვლევის საგნად გვექცია უკვე კარიერებიდან გამოტანი–ლი ნედლეულის ტექნოლოგიური დამუშავების პროცესები წყლის ენერგიის გამოყენებით. დროის ამ მოკლე მონაკვეთისათვის მიკვლეულ იქნა 30 ძეგლი, რომელთა მსგავსი ადრე უცნობი იყო არქეოლოგიური მეცნიერებისათვის. არსებითია ისიც, რომ სრულიად სიახლეებთან გვაქვს საქმე მათი გეოგრაფიულ გარემოში განლაგების, მეტად ფართო მასშტაბის მეგალითური ხასიათის სამუშაოების შესრულებისა და მადნეულის დაფშვნა–დანაწევრების პროცესებში ახალი, შეიძლება ითქვას, ნოვატორული ხერხების დანერგვის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ამ მეტად საყურადღებო უნიკალური ძეგლების კვლევა–ძიებისა და არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკა. ჯერჯერობით საქართველოსა და აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოების ფინანსური მხარდაჭერით საველე სამუშაოები ვაწარმოეთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ძეგლზე. ესენია: სარფი, თხილნარი და სკურდიდი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით), ასევე სოფელ მურვანეთსა დას კაპნისთავში (აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით). ბუნებრივია, ჩვენ გამოვხატავთ მადლიერების გრძნობას ზემოთ დასახლებულ დაწესებულებათა მიმართ. დანარჩენი 25 ძეგლი ჩვენი მუზეუმის ექსპედიციების მიერ სადაზვერვო სამუშაოებისას განხორციელებული ფოტოფიქსაციითა და ზოგიერთი სახის არტეფაქტების შეგროვებით შემოიფარგლება. ბუნებრივია, აუცილებელია ზოგიერთ მათგანზე მომავალში განხორციელდეს არქეოლოგიური გათხრები. მით უმეტეს, ბევრი მათგანი სიახლის მომცემი იქნება. ცალკეული რაიონების მიხედვით

ბრინჯაოს მეტალურგიის უძველესი კერები აღმოჩენილია აჭარის შემდეგ პუნქტებში: ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში – სარფი, მურვანეთი, თხილნარი (4 კერა), თხილნარის აგარა, სიმონეთი–ჯაზიგოლი (2 კერა), სიმონეთის ქეციქედი, მარადიდი (2 კერა), ძაბლავეთი, სკურდიდი, კაპნისთავი; ქობულეთის მუნიციპალიტეტში: ჩაქვი, კინკიშა, დაგვა; ქედის – ბზუზბუ (2 კერა), ნამლისევი (კალაშხევი), ქედაში – აგარა (3 კერა), ცხემლიმინდორი, ძენწმანი, ორცვა, მახუნცეთი, კვაშტა; შუახევში – გოგაძეები; ხულო – თეთრობის მთა და სხვ.

უახლესი მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს მკვიდრთ ბრინჯაოს ეპოქაში მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანიათ როგორც სამთამადნო, ასევე, განსაკუთრებით მეტალურგიულ თუ ლითონდამამუშავებელ ინდუსტრიაში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით ყურადღებას გავამახვილებთ ძირითად სიახლეებზე. უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის გარემოება, რომ ჩვენი მხარე, განსაკუთრებით მდ. ჭოროხის აუზი, წარმოადგენდა მსოფლიო ცივილიზაციის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს მეტალურგიულ კერას. ადრეული ეტაპისათვის, კერძოდ, ძვ.წ. V ათასწლეულისა და IV ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის ღია თუ დახურულ კარიერებში გამოტანილი ქურაში გამოსადნობი ნედლეულის დაქუცმაცება-დანაწილება ხდებოდა საგანგებოდ დამზადებულ ქვის სანაყ-გობებში. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ჩაქვის ჩაისუბანში აღმოჩენილი ძეგლი, სადაც წარმოდგენილია როგორც ნეოლითის, ასევე ენეოლითური საფეხურის ამსახველი კულტურული ფენები. სწორედ აქ მოვიპოვეთ ერთ–ერთი ქვის გობ–სანაყი in-situ მდგომარეობაში (სურ. 1). მას პარალელი ეძებნება სვანეთის, კერძოდ, ზაარგაშის მიდამოების შემთხვევით აღმოჩენათა შორის (ღამბაშიძე და სხვ., 2010:35, სურ. 23). ვფიქრობთ, რომ ამ დროისათვის მძიმე სამუშაო პროცესებთან დაკავშირებულ სამთო საქმესა და მეტალურგიას ფართო ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. აკმაყოფილებდა უპირატესად ადგილობრივ თვითკმარ მოთხოვნებს. სურათი მკვეთრად იცვლება ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრისა და III-II ათასწლეულებისათვის. ეს ის დროა, როცა ნეოლითური ტრადიციების კვლადაკვალ წარმოებით ურთიერთობაში თანდათანობით წამყვან ადგილს ლითონის იარაღი იკავებს; მსოფლიო ოიკუმენის სხვადახვა ადრე დაწი-

ნაურებულ ცენტრებში გაჩნდა მაღალგანვითარებული კლასობრივი საზოგადოებანი და ურბანისტული ცივილიზაციები. მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება პოლიმეტალებზე. ბუნებრივია, მსგავსი ნედლეულით მდიდარი ჩვენი მხარე იზოლირებული ვერ აღმოჩნდებოდა მსოფლიო ისტორიული პროცესებისაგან. უახლესი აღმოჩენების მიხედვით ეჭვი არ გვეპარება, რომ მესოპოტამიის, ანატოლიური და, როგორც ჩანს, ეგეოსური ცივილიზაციების შექმნაში წონადი წვლილი ჩვენს წინაპრებსაც შეუტანიათ. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ძველ მემთამადნე–მეტალურგთა ნოვატორული შემოქმედება. მოკლედ შევჩერდებით ზოგიერთ ნოვაციაზე, რისი მოწმენიც გავხდით ბოლო 2-3 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა–ძიების შედეგად. დასტურდება, რომ პროფესიონალ მეტალურგებს შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით არაერთი ხერხისათვის მიუგნიათ; არსებითია ამ მეტად რთულ და შრომატევად პროცესებში წყლის ენერგიისა და მათ მიერ შექმნილი მარტივი მექანიზმის ფართოდ დანერგვა–გამოყენების პრაქტიკა. პირველი გენიალური სიახლე საბადოებიდან გამოტანილი ნედლეულის ფუჭი ქანებისაგან გათავისუფლებას, ე.წ. გამდიდრება–ფლოტაციას უკავშირდება. მელითონეები მიხვდნენ, რომ ადრე არსებული შედარებით ნაკლებ ნაყოფიერი ხერხები (მხედველობაშია მექანიკური, ცეცხლის და წყლის გამოყენება) ველარ აკმაყოფილებდა ლითონზე გაზრდილ ეპოქალურ მოთხოვნებს. საჭირო გახდა განსხვავებული მიგნებანი. ამ სახის სამუშაოების შესასრულებლად ძველ მეტალურგებს აურჩევიათ სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, საოცარი გეოგრაფიული გარემო. ჩვენი ექსპედიციების მიერ ფიქსირებული ყველა ძეგლი ტოპოგრაფიულად, როგორც ჩანს, განლაგებულია თავიანთ საცხოვრისთან ახლომახლო მდებარე პატარა, ზოგჯერ მოზრდილ მდინარეთა ხეობებში; სრულიად არა შემთხვევით, წარმოების ახალი კერის შექმნისას ისინი უპირატესად ირჩევენ მეტ–ნაკლები დაქანების მქონე სიპ-კლდოვან, ქარაფოვან ადგილებს. პირამიდების ეპოქაში ჩვენს მეტალურგებსაც სათანადო ბაზის მოწყობის მიზნით ჩაუტარებიათ გრანდიოზული მასშტაბის ქვის სამტეხლო, ე.წ. მეგალითური სამუშაოები. საკმაოდ ხშირად საწარმოო კერის დასაწყისში პირველ რიგში შეუქმნიათ კლდოვან ერთიან მასივებში შედარებით მოსწორებული მოედან–პლატფორმები (სურ. 3). შესანიშნავად იკითხება ამ მიზნით განხორციელებული ქვის სამტეხლო სამუშაოების კვალი და მასშტაბები. მოედანს

მოსდევს დაქანებული ფლატე. კლდეებში წყლის ნაკადის კონცენ-ტრაციისა და დინების უფრო ჩანჩქერისებურად გაძლიერების მიზ-ნით გაუჭრიათ სხვადასხვა სიფართის, სიღრმისა თუ სიგრძის ერთი თუ რამდენიმე არხი. მსგავსი არტეფაქტებითაა დასერილი მთელს სიგრძეზე თითქმის ყველა ძეგლი (სურ. 4, 5). ბუნებრივია, ისმება კითხვა, თუ რას ემსახურეოდა მსგავსი ხასიათის ქვის მუშაკობა. შე-ვეცადეთ მოგვეცა სათანადო ახსნა. ყურადღება მივაქციეთ იმ გა-რემოებას, რომ ესენი ჩაედინებიან კლდის მონოლითებში, საგანგე-ბოდ ამოკვეთილ ქვის აბაზანისებრ გოლებში. მათი ზომები შთამ-ბეჭდავია. ზოგიერთი მათგანის დიამეტრი 14, 12, 9 X 6,4,2 მ-ზეა, სიღრმე კი წყლის ზედაპირიდან – 3, 2,5, 2 და 1,5 მ. სწორედ ამ ადგი-ლებში ეშვებოდა არტახებში მოქცეული ჩანჩქერები, რომლებიც გოლებში მორევისებურ ბრუნვას ქმნიდნენ. მივედით დასკვნამდე, რომ მემთამადნე მეტალურგები ამ გოლებში ათავსებდნენ კარიერე-ბიდან გამოტანილ პირველად ნედლეულს, რათა ზემოდან დაცემუ-ლი ჩანჩქერების მიერ შექმნილ მბრუნავ მორევებში განთავისუფ-ლებულიყო ფუჭი ქანებისაგან. არ გამოვრიცხავთ, რომ ქვის გოლე-ბის შედარებით მდორე ადგილებში, სადაც ჩანჩქერის მოქმედება ნაკლებ ეფექტური იქნებოდა, დანერგილი ყოფილიყო ხის ჯოხებით მორევის პრაქტიკაც (სურ. 6,7,8). საკმაოდ ხშირად ფიქსირდება გო-ლებთან მისადგომი კლდეში ნაკვეთი სხვადასხვა ზომის ბილიკები. ზოგჯერ კი – ქვის საფეხურებიც.

ემპირიული ცოდნით აღჭურვილმა ძველმა მელითონეებმა იცოდნენ, რომ ლითონის ქურებში გამოსადნობად მომზადებამდე საჭირო იყო მადნის გამდიდრება. მის შემადგენლობაში სასურვე-ლი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდა, მსუბუქი ფრაქციე-ბის მოშორება (ქვა–ღორღი, მიწა, ვულკანური ლავის ნარჩენები და სხვ.). ქვის გოლებში ადგილზევე რჩებოდა ლითონის შემცველი მა-სა, რომელთა სიმკვრივე 2-3-ჯერ აღემატებოდა უსარგებლო ქანე-ბისას. ფუჭი ქანები მიჰქონდა მდინარეს. ხშირად გოლის მაღალ გადასასვლელსაც უკეთდებოდა 15–20 სმ სიღრმის არხი. ასე, რომ სასარგებლო ქანების დანაკარგი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანი-ლი. ბუნებრივია, ამ გზით მკვეთრად, შეიძლება ითქვას ინდუსტრი-ულ დონემდე, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. ასეთია ჩვენ მიერ გამოყოფილი პიველი ნოვაციიის არსი. არანაკლებ საინტერესოა მომდევნო სიახლეც.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პირველი ხანებისათვის მადნის დაფ-ცქვნა–დაქუცმაცება ხდებოდა მაგარი ჯიშის ქვისაგან დამზადებულ სანაყ გობებში. მელითონეს უნდა შეესრულებინა საკმაოდ მძიმე, დამქანცველი შრომა. ამასთან, მის მიერ დაღვრილი ოფლის შედეგე-ბი მაინც და მაინც არ უნდა ყოფილიყო ბარაქიანი. ჩვენს ხელთ არსე-ბული არტეფაქტების მიხედვით ჩანს, რომ ხმარების პროცესში გარ-კვეული დროის გასვლის შემდეგ ზოგიერთი მათგანის ფსკერი იხვრი-ტებოდა, ან კიდევ, გობი შუაზე სკდებოდა (სურ. 2). საჭირო იყო ახა-ლი, უფრო რაციონალური მიგნებების ძიება. შესაბამისად, ჩვენი ექ-სპედიციის მიერ გამოვლენილი ძეგლების მიხედვით ეს მორიგი ნოვა-ციაც გამოიკვეთა. კვლავაც მდინარეთა სიპ-კლდოვან ქანებში ზე-მოთ უკვე აღნიშნული ქვის გოლების ორივე მხარეს მრავლადაა ამოკვეთილ-ამოხვეწილი სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ქვის სა-ნაყ–გობები. მათმა რიცხვა რამდენიმე ასეულს უკვე გადააჭარბა. მარტო 2016 წელს თხილნარში, სკურდიდში, სარფსა და აგარაში გან-ხორციელებულმა საველე სამუშაოებმა 100 ასეთი არტეფაქტის არ-სებობა დაადასტურა. ისინი ნაკვეთია მდინარეთა როგორც სანაპირო კლდოვან ქანებში, ასევე უშუალოდ კალაპოტებში. ამ მონაკვეთებშიც ეძებენ მკვრივ ქანებს. ზოგჯერ გვაქვს შემთხვევა, როცა დაუწყიათ გობის ამოხვეწა, ჩასულან გარკვეულ სიღრმეში, გამოჩენილა არამ-კვრივი ძარღვოვანი ქანები და მუშაობაც შეუჩერებიათ. თხილნარში ყურადღება მიიქცია ასეთმა ფაქტმა – კლდის ზედაპირზე შემოუვლი-ათ ნახევარწრე, შესანიშნავად იკითხება წალკატის პირველივე დარ-ტყმების ყველა კვალი, მაგრამ არც აქ მოსწონებიათ შერჩეული ადგი-ლი და მაშინვე შეუჩერებიათ დაწყებული სამუშაოები. არის სხვა ბევ-რი ნიუანსიც. ქვის გობების მსგავსი განლაგება ჰიდროგრაფიულ ქსელში მეგალითური კულტურის მორიგი ნაირსახეობაა, რომელთა მიგნება-შესწავლის, ფუნქციონალური დანიშნულებისა და მეცნიე-რულ მიმოქცევაში შეყვანის პატივი ჩვენ გვერგო. მაგრამ ყოველივე ეს თავისით არ მოსულა. კლდეში ნაკვეთმა გობებმა პირველად თხილნარის (მდ. ბოლოყოს მარჯვენა სანაპირო) მაგალითზე 40 წლის წინ მიიქცია ყურადღება. ერთადერთი მიწისზედა ძეგლის მიხედვით რაიმე კონკრეტული დასკვნის გაკეთებისაგან ამ ხნის განმავლობაში თავს ვიკავებდით. არც რაიმე სახის ინფორმაცია არსებობდა მსგავსი არტეფაქტების შესახებ. კვანძი თითქოსდა 2014 წლისათვის გაიხსნა. მივიღეთ ინფორმაცია ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდ. კინკიშას შესანიშნავი ხეობის ერთ–ერთი რესტორნის ეზოში დამუშავებული

ქვის არსებობის შესახებ. ადგილზე დათვალიერებისას იგი მწვადების შესაწვავად განკუთვნილი თანამედროვე ნახელავი აღმოჩნდა. მოხდა თითქოს სასწაული – მისგან დაახლოებით 10-მ-ის მოშორებით შევნიშნეთ სიპ კლდეში ამოკვეთილი ქვის გობი, რომელიც აშკარად თხილნარის ორეულს წარმოადგენდა. ჩვენ, ბუნებრივია, ვეღარ დავფარეთ ემოცია. რესტორნის მეპატრონემ მოგვაწოდა ახალი ცნობები, რომ ზემოთ, მდინარის შეყოლებაზე, უფრო მეტია მსგავსი ნაკეთობანი. მართლაც, 100-150 მ-ის გავლის შემდეგ ჩვენს წინაშე გადაიშალა შესანიშნავი პანორამა არაერთი ქვის გობის, გოლებისა და არხების სახით. ამ აღმოჩენას წინ უძღოდა იმავე 2014 წლის გაზაფხულისათვის მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. მარადიდში განხორციელებული საველე სამუშაოებისას მოპოვებული ქვის ექვსი გობი. მარადიდის შემდეგ მცირე მასშტაბის საველე სამუშაოები ვანარმოეთ მდ. ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ჭარნალის მურვანეთის პატარა მდინარის ხეობაში. ქვის გობების რიცხვი გაიზარდა. მიემატა დამუშავებული ურეები. ნათელი გახდა, რომ უახლესი აღმოჩენები ბრინჯაოს მეტალურგიასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. კინკიშას მეგალითურმა ძეგლმა ეს რწმენა განგვიმტკიცა. სწორედ ამის შემდეგ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის სადაზვერვო ჯგუფმა განახორციელა საინტერესო სამუშაოები აჭარის ტერიტორიაზე მსგავსი ახალი ტიპის მეგალითური კულტურის ძეგლების გამოვლენის მიზნით. დავუბრუნდეთ ქვის გობებს.

ქვის გოლების ფუნქციონალური დანიშნულების გარკვევის შემდეგ ჩვენს წინაშე გაჩნდა მორიგი კითხვა: რამ განაპირობა ქვის გობების გაჩენა მდინარეთა ასეთ მიუვალ, ქარაფოვან ადგილებში? ტექნიკური და განსაკუთრებით ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით შევეცადეთ მიგვეცა სათანადო ახსნა მაღალი პროფესიონალური ცოდნით აღჭურვილ მეტალურგთა მსგავსი ქმედებებისათვის, არანაკლებ საოცარი ნოვაციისათვის. წინასწარეულად ვიტყვით, რომ სიახლეთა ძიების არსებით მოტივაციას, როგორც ჩანს, წარმოადგენდა ადრებრინჯაოს ხანიდან სამთამადნო მეტალურგიულ პროდუქციაზე მეტად გაზრდილი მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე. აუცილებელი იყო შრომის ნაყოფიერების გაზრდა, მეთემეთა კიდევ უფრო მეტი პერსონალის ჩართვა ამ პროცესებში. ცნობილია, რომ მადნის გამდიდრების შემდეგ სპეციალურ ქურებში დნობის, ე.წ. ლღობის პროცესების დაჩქარების მიზნით აუცილებელი იყო გოროხ-ნატეხების დაფცქვნა-და-

ქუცმაცება. ვიცით, რომ მსგავს სამუშაოს პატარა ზომის საგულ-დაგულოდ ნაკეთებ ქვის გობებში ადრეც აკეთებდნენ. ჩვენმა წინაპრებმა ახალი ეპოქების დაკვეთების შესაბამისად შემოგვთავაზეს ახალი გენიალური აღმოჩენები. ჯერ ერთი, ახლად მიკვლეული კულტურის ძეგლების ქვის მონოლითში ამოკვეთილი ქვის გობები უკვე მუდმივი გამოყენებისათვის იყო გამიზნული. მეორეც, ღვთით ბოძებულ უზარმაზარ კლდოვან მასივებში სათანადო ქვის სამტეხლო სამუშაოების შესრულების შემდეგ ნებისმიერი ზომის ქვის გობის ამოშანდაკება შეიძლებოდა. თითქმის ყველა ძეგლის მიხედვით ეს, მართლაც, ასეა. გვაქვს როგორც პატარა, ასევე მოზრდილი მოცულობის მომცველი სანაყ-გობები. გაოცებას იწვევს ხელოსანთა ემპირიული ცოდნა-გამოცდილება. როგორც ითქვა, ისინი კარიერებზე ეძებენ ვარგის, მკვრივ ქანებს. ქვის გობთან დაკავშირებული მთავარი სიახლე სულ სხვა ხასიათისაა, რამაც განსაზღვრა კლდოვან ქარაფიან მასივებში გოლების ირგვლივ სოკოებივით მიმოფენილი სხვადასხვა ზომის ქვის გობების არსებობა (სურ. 9, 10, 11). ჩვენი რწმენით, სწორედ ამ მრავალრიცხოვან სანაყ–გობებში ხდებოდა გამდიდრებული ნედლეულის დაფშვნა–დაქუცმაცება კვლავაც წყლის ენერგიის გამოყენებით. წყლის ენერგიის გამოყენების პრეცენდენტი ქვის გოლების მაგალითზე ერთხელ უკვე ვნახეთ. აქ უკვე სრულიად განსხვავებულ სურათთან გვაქვს საქმე. აქაურმა მეტალურგებმა წყლის ენერგიის გამოყენების მიზნით მარტივი, მაგრამ მეტად საინტერესო მექანიზმი შექმნეს. მისი კონსტრუქცია ჩვენ ასე გვესახება: მზადდებოდა გარკვეული სიგრძის ხის ბერკეტი. მის ერთ ბოლოზე იკიდებოდა წყალგაუმტარი მსუბუქი წნული ხის ჭურჭელი. მეორეზე მაგრდებოდა ქვის ურო. ბერკეტს შეაყენებდნენ საჭირო სიმაღლის სადგამიან ღერძზე ისე, რომ ღარით მიყვანილი წყლის ნაკადი ჭურჭელში ჩაედინებოდა, ხოლო ქვის ურო მიმართული იყო სანაყ-გობისკენ. ხის ჭურჭელი თანდათანობით წყლის მარაგის მატებასთან ერთად ქვემოთკენ ეშვებოდა, ხოლო ურო კი შესაბამისად ზემოთკენ მიემართებოდა. გარკვეულ ზღვართან მიახლოებისას წყლის ჭურჭელი მყისიერად იღვრებოდა, ხოლო ცაში გამოკიდული ქვის ურო მოწყვეტით ეცემოდა ქვის გობში ჩალაგებულ მადნის ნატეხებს. წყლის ჭურჭელი უბრუნდებოდა საწყის მდგომარეობას. ხელოსნის მეთვალყურეობით მექანიზმის მოქმედება გრძელდებოდა უწყვეტად მანამდე, სანამ არ დასრულდებოდა მადნის დაქუცმაცების

პროცესი. ბუნებრივია, ამ გზით მკვეთრად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მადნის გამდიდრების მსგავსად, მეტალურგიის ეს აუცილებელი ეტაპი აყვანილ იქნა ინდუსტრიულ დონემდე. ყოველივე ეს გახლავთ ახალი სიტყვა მეტალურგიის ისტორიაში. მსგავსი მექანიზმის არსებობისა და ფართოდ გამოყენების შესახებ ჩვენი მოსაზრებანი უფრო დამაჯერებელი გახადა სარფის აღმოჩენებმა: მე-6 ქვის გობში in situ მდგომარეობაში დაგვხვდა ქვის ურო, რომლის წონა 99 კგ-ია, ხოლო მის ქვემოთ – მადნის ნატეხები (სურ. 11). ჩვენი კონსულტაციით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკოსმა შოთა ბოლქვაძემ გარკვეული მოდერნიზაციით დაამზადა მოქმედი მექანიზმი, რომელიც დამონტაჟებულია ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ეზოში.

ქვის გოლებისა და სანაყ–გობების სიმრავლესთან ერთად შთამბეჭდავია ქვის ურეების ზომა–წონაც. იწყება 15 კგ-დან და აღწევს 300 კგ-მდე (სურ. 12, 13, 14, 15, 16). აშკარაა, რომ ადრებრინჯაოს ხანიდან (ძვ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი) მკვეთრად უნდა გაზრდილიყო მოთხოვნილება საერთაშორისო ბაზარზე კავკასიურ პოლიმეტალებზე. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მთავარი მოტივაცია სამხრეთული იმპულსების, კულტურათა ცნობილი მიგრაციებისა. ყოველივე ამან ხელი შეუწყო აჭარის ტერიტორიაზეც მძლავრი მეტალურგიული კერების შექმნას. ეჭვი არ გვეპარება, რომ ძველაღმოსავლური ცივილიზაციების შექმნაში წონადი წვლილი შეუტანიათ ჩვენს წინაპარ მემთამადნე–მეტალურგ ტომებს. მათ მიერ შექმნილი ამ სახის პროდუქციის დიდი ნაწილი ანატოლიის, მესოპოტამიისა თუ ეგეოსური სამყაროს ქვეყნებში მიედინებოდა. აჭარის მსგავსი ძეგლებით უნდა ყოფილიყო დაფარული დიდი თუ მცირე კავკასიონის სამხრეთი ფერდები. ყოველივე ეს კი მომავალი კვლევის საგანია. ასე რომ, არქეოლოგიაში გაჩნდა ბევრი ასპექტის მომცველი სხვადასხვა მიმართულება.

ლიტერატურა

გ.გობეჯიშვილი, თ.მუჯირი, გ.იანიშვილი, ბ.მაისურაძე. მთიანი რაჭის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. – სმამ, 111, №2, 1983:441–442.

გ.ინანიშვილი, შ.ჩართოლანი, ბ.მაისურაძე, გ.გობეჯიშვილი, თ.მუჯირი. საქართველოს უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი. – №2, 1998:52–62.

ბ.მაისურაძე, გ.ინანიშვილი. ბრინჯაოს წარმოების ძეგლები კახეთის სპილენძის გამადნების ზოლში. – მაცნე, №3, 1984:86–89.

კ.ფიცხელაური. სამხრეთ კავკასია, წინა აზია, ჩრდილო შავიზღვისპირეთი და ევროპა ენეოლით–ბრინჯაოს ხანაში. არქეოლოგიურ კულტურათა კონტექსტების დინამიკა. – საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საკითხები, 2011:62–89.

ირ.ღამბაშიძე, ბ.მინდიაშვილი, გ.გოგოჭური, კ.კახიანი, ი.ჯაფარიძე. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, თბილისი, 2010.

ირ.ღამბაშიძე. საყდრისის ოქრო – კაცობრიობის პირველი ოქროს სამთო წარმოება, თბილისი, 2016.

შ. ჩართოლანი. ძველი სვანეთი, თბილისი, 1996.

ო.ჯაფარიძე. ბრინჯაოს ინდუსტრიის ისტორიისათვის უძველეს საქართველოში, თბილისი, 2013.

Гобеджишвили Г.Ф. Памятники древнегрузинского горного дела и металлургии в окрестностьях с. Геби. – Сма́м, XIII, 1952:183-190.

Иессен А.А. К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе. – ИГАИМК, вып. 120, 1935:7-237.

Чартолани Ш.Г. К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи, Тбилиси, 1989.

Amiran Kakhidze

Monuments of megalithic culture related to Bronze metallurgy in Ajara

Summary

Georgia is counted among ancient metallogenic centers. Formerly ore mining problems were predominantly the subject of study. During the last three years, due to discovery of ancient seats of bronze metallurgy on the

territory of Ajara, processes of manufacturing of the raw material with water energy usage, which had been brought to almost industrial level, has become the subject of our special research. It is a question of many innovations in the history of bronze metallurgy. According to circa 30 monuments have been discovered by Batumi Archaeological Museum expeditions, inhabitants of south-western Georgia actively participated in development of metal-working industry in the Bronze period. They were creators of many pioneering ideas. First of all, in order to construct the surface facilities for the mine they fitted out absolutely new geographical environment, namely, rocky sloping banks of rivers and rivulets, which situated in a certain distance from their settlements. In the new centers of metallurgy, megalithic works of colossal scale have been traced. They can be characterized as great inventions of skillful metallurgists, which can be represented by two basic novelties.

The first one is that in a certain areas of manufacturing cycle, artificial pools of various sizes and depths were hollowed out in sloping rocks along the rivers. In many cases their sizes are quite impressive. Rapid and powerful current of one or two waterfalls were turned through dug canals towards such artificial pools, where water generated a whirlpool. Hence it follows, that metallurgists placed original raw material from an opencast mine exactly into such artificial pools in order to wash it from impurity substance owing to an inside whirlpool. Correspondingly, it made possible to increase working efficiency (fig. 3, 4, 5, 6, 7, 8).

Not less interesting one has proved to be the second novelty. Beside the artificial stone pools lying in the same sloping rocks on the banks of the rivers, stone mortars of varied shapes and sizes has been hollowed out. Their number exceeds some hundreds. As it is generally known, after ore-dressing treatment (flotation), in order to speed up the process of its melting in a furnace, its preparatory crushing and reduction was necessary. For this purpose our ancestors concurrently with manual labor put some brilliant innovations into operation. We have come to the conclusion that such works had been carried out also with the help of water energy, in the stone mortars, which are scattered all over the river banks in the gorges (fig. 9, 10, 11).

Experienced metallurgists invented a water energy- assisted piece of machinery. After preliminary calculation wooden lever of a certain size was

made, having a vessel of watertight light wood attached on its one end and a stone hammer on its other end (fig. 12, 13, 14, 15, 16). The lever was supported by a bearing axle so that stream running through a chute could flow down into the water vessel, which went up due to the weight of the hammer. To the extent of water quantity increasing the vessel was going down, while the hammer directed towards the stone mortar with the same speed was going up. Having approached a certain point, the water vessel immediately flew down and the stone hammer simultaneously heavily fell into the mortar filled with ore pieces. The water vessel returned to its home position. Under the eye of a skillful master, such a piece of machinery could run nonstop until the process of ore crushing would end. Naturally, it resulted in working efficiency increasing. Such processes, like those ones of ore dressing treatment, were almost brought up to industrial level. We have reconstructed an operational model of such gear, which is located in the yard of Batumi Archaeological Museum.

Naturally, from the Early Bronze Period (the second half of the 4th millennium BC) international demand for Caucasian complex ore should have considerably increased. This very fact should have served as the basic motivation for known cultural migration and contributed to creation of high-powered metallurgic centers on the territory of Ajara. There is no doubt, that tribes of our ancestors engaged in metallurgy greatly contributed to creation of the Ancient East civilization. The most part of their production was sent to Asia Minor, Mesopotamia and Aegean world. Monuments similar to those ones from Ajara should have been found on the southern slopes of Greater and Lesser Caucasus. All these will become the subject of future research. Thus, archaeological science puts new questions and multiple-aspect directions ahead of us.

სურ. 1

სურ. 2

სურ. 3 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

სურ. 4 სიმონეთი (ჯაზიგოლი)



სურ. 6. გოგაძეები

სურ. 5 სარფი

სურ. 7 კინკიშა

სურ. 8 თეთრობი

სურ. 9. თხილნარი

სურ. 10 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

სურ. 11 სარფი

სურ. 12 სიმონეთი (ჯაზიგოლი)

სურ. 13 თხილნარის აგარა

სურ. 14 სკურდიდი

სურ. 15. სარფი

სურ. 16. ჭარნალის მურვანეთი

კახაბერ ქამადაძე
შოთა მამულაძე

2017 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები

2017 წლის ივლისს-აგვისტოში აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე განახლდა ქართულ-პოლონური არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღანელები: შ. მამულაძე, რ. კარასიევიჩ-სჩიპიორსკი). ჩვენი ჯგუფი სამუშაოებს აწარმოებდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში (SW IX სექტორი). ამ უბანზე გასულ წელს შევისწავლეთ რომაული ეპოქის I (ზედა) სამშენებლო დონის ყაზარმის ნაშთები [იხ. კ.ქამადაძე...2017:1-8]. წელს ჩვენ მიზანს წარმოადგენდა მთელ ფართობზე რომაული პერიოდის კულტურულ ფენაზე დასვლა. მიზნის მისაღწევად თხრილი გავაფართოეთ დასავლეთის მიმართულებით და სამუშაოები ვაწარმოეთ SW IX სექტორის 41-44; 31-34 და 21-24 კვადრატებში (კვადრატების ზომები: 4x4 მ; თხრილის სიგრძე: 12; სიგანე-16 მ; მთლიანი შესასწავლი ფართობი 192 კვ.მ).

ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად ამ უბანზე დაფიქსირდა შემდეგი სურათი: გასულ წელს, SW VI სექტორის 94-91; 84-81 და SW IX სექტორის 4-1; 14-11 კვადრატებში შესწავლილი რომაული პერიოდის I (ზედა. II ს-ის II ნახევარი-III ს) სამშენებლო დონის ყაზარმის ნაშთების გვერდით (ტაბ.I/1), SW IX სექტორის 14-11 და 24-21 კვადრატებში გამოიკვეთა რომაული პერიოდის ყაზარმის II (ქვედა. I ს-ის I ნახევარი-II სის I ნახევარი) სამშენებლო დონე (ტაბ.I/2). II (ქვედა) სამშენელო დონე I (ზედა) სამშენებლო დონიდან 20-25 სმ-ით ქვემოთ მდებარეობს. მისი კედლების სისქე 65 სმ-ია. 11 და 12 კვადრატებში დაფიქსირდა წვრლმარცვლოვანი ქვიშით მოკენჭილ-მოტკეპნილი II სამშენებლო პერიოდის იატაკიც (ტაბ.I/2). იატაკის ირგვლივ უსისტემოდ ჩაყრილი ქვის წყობაა. რომელიც როგორც ჩანს II სამშენებლო დონის სა-

ძირკვლის ნაშთებია, რომელთა მოსწორება მოხდა და ზედ მოგვიანებთ I (ზედა) სამშენებლო დონის შენობის იატაკი გააკეთეს.

21-24 კვადრატები თითქმის მთელ სიგრძეზე ორ თანაბარ ნაწილად იყო გაყოფილი (ტაბ.I/1-3). აღმოსავლეთ მხარეს რომაული პერიოდის II სამშენებლო დონის კულტურული ფენაა, ხოლო დასავლეთ მხარეს შავი დამწვარი-დანახშირებული ოსმალური ფენა რომელიც ამავე დონეზე თითქმის თანაბრად გრძელდება 34-31 და 44-41 კვადრატებშიც (ტაბ.I/3).

როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა ყაზარმის გვერდით II სამშენებლო დონის იატაკზე გვიან შუასაუკუნებში ოსმალებს სხვა ტიპის ნაგებობა გაუმართავთ, რომელიც რაღაც მიზეზების გამო გადამწვარა (ტაბ.I/1,3). შენობის გამართვის დროს მთლიანად არის განადგურებული ბიზანტიური ფენა, ხოლო ხანძრის გაჩენის შემდეგ განადგურებულია ოსმალური პერიოდის მასალებიც. შავი დამწვარ-დანახშირებული ფენა თანამედროვე ზედაპირიდან 75-80 სმ სიღრმემდე გრძელდება. შენობა როგორც ჩანს ხის უნდა ყოფილიყო. 32 კვადრატში ფიქსირდება კიდეც სხვადასხვა ზომის ქვებისაგან შემოზღუდული ხის ბოძის ჩასასობად გაკეთებული ფოსო, რომელიც უშუალოდ რომაული პერიოდის II სამშენებლო დონის ოთკუთხა ფორმის ქვის ბაზისზეა გამართული (ტაბ.I/1,3).

ოსმალურ პერიოდს უშუალოდ მოსდევს რომაული პერიოდის ქვის ბაზისები (ტაბ.I/3). ისინი წარმოდგენლია ოსმალური ეპოქის დამწვარ-დანახშირებული ფენის შუა მონაკვეთში, კერძოდ 34, 33, 32 და 31 კვადრატებში. მთელ ფართობზე სულ გამოვლინდა სხვადასხვა ზომის 4 ბაზისი (ტაბ.I/3). ისინი არათანაბარი მანძილითაა ერთმანეთისგან დაშორებული. შენობა თავის დროზე საკმაოდ მონუმენტური ყოფილა.

როგორც ჩანს, ციხის ეს მონაკვეთი რომაულ პერიოდში გამოიყენებოდა სულ სხვა მიზნით, შესაძლოა აქ ყოფილიყო სამეურნეო უბანი. ამაზე მიანიშნებს აქ აღმოჩენილი წისქვილის რამოდენიმე ქვა. სამეურნეო უბანი ციხის ამ ნაწილში გამოვლენილია წინა წლებშიც ციხის დასავლეთ კედელთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ოსმალური ეპოქის დაწვარ-დანახშირებული მიწის ფენის აღების შემდეგ, რომაული ეპოქის ყავისფერი ფერის მიწის ფენა ფხვიერია

და შეიცავს სილნარს. მაშინ როდესაც იმავე დონეზე ყაზარმის ტერიტორიაზე იატაკის ნაშთები და წვრილმარცვლოვანი ქვებით კარგად მოტკეპნილი ნიადაგია.

მასალები: წლევანდელი განათხარი მასალა წარმოდგენილია სხვადასხვა პერიოდის კერამიკით (სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების-ამფორები, ლუთერიები, ქოთნები, ქვაბ-ქოთნები, დოქები, ჯამები, ფაიანსი, ფაიფური, მოჭიქული ჭურჭელი და ა.შ.); სამშენებლო კერამიკით-კრამიტები, აგურები; მინის ნაწარმით (სასმისები, ფიალები); რკინის ნივთებით, მონეტებით, ბირთვებით და ა.შ. ისინი წინა წლებში აღმოჩენილი ნიმუშების მსგავსია [იხ.კახიძე, მამულაძე 2004:4-107; თავამაიშვილი, ინაიშვილი 2013:164-186; მამულაძე, შალიკაძე...2013:187-221; მამულაძე, შალიკაძე...2017:207-238; მამულაძე, შალიკაძე...2017: 238-258]

ოსმალური ფენა. ამ ეპოქის მასალები არ გამოირჩევა მრავალრიცხოვნობით. წარმოდგენილია მხოლოდ, რამოდენიმე მოჭიქული ჯამის, შანდლის, ფაიანსის, ფაიფურის და სადა კერამიკის ნატეხების სახით. მსგავსი ნაწარმი XVI-XVII და XVIII საუკუნეების სხვადასხვა მონაკვეთებითაა დათარღებული [ქამადაძე 2014 ა:325-328; 2014 ბ:223-232; 2015:417-426; 2016ა: 246-51; 2016ბ:48-61]. როგორც ზემოთ აღინიშნა ეს ფენა ხანძრის შედეგადაა განადგურებული.

ბიზანტიური ფენა. სუსტია ბიზანტიური ფენაც. გვხვდება მხოლოდ სხვადასხვა ტიპის ტანდაღარული ამფორის, პირ-ყელის, ტანისა და ყურის, რამოდენიმე ნატეხი. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით შემუშავებულია მათი კლასიფიკაცია და გამოყოფილია 7 ტიპი [ხალვაში 2002: 42-58, სურ.3].

რომაული ფენა. მასალების სიუხვით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა რომაული პერიოდი. გვხვდება წითელლაკიანი კერამიკის, ამფორების, ლუთერიების, ქოთნების, ქვაბ-ქოთნების, დოქების, ჯამების ნატეხები, საამშენებლო კერამიკა, მინის ნაწარმი, ლურსმნები, მონეტები და ა.შ. მასალების უმთავრესი ნაწილი წარმოდგენილი იყო 11-14 და 21-24 კვადრატებში.

განხილვას დავიწყებთ წითელლაკიანი კერამიკით. უმრავლესობას სხვადასხვა ჯამის ნატეხები ქმნიან. ისინი თარიღდებიან ახ.წ. I ს-ის II-III მეოთხედით [ებრალიძე 2005:34-35;სურ.8], ახ.წ. I

ს-ის ბოლოთი და II ს-ის I ნახევრით [ებრალიძე 2005:38; სურ.13; ტაბ.II/1], II-III სს-ით და პერგამონის საწარმოო ცენტრის ნაწარმადაა მიჩნეული [ებრალიძე 2005:42].

წითელლაკიან კერამიკის შემდეგი ჯგუფია სანელსაცხებლები. ამ ტიპის ჭურჭელი ახ.წ. II-III სს-ით თარიღდება [ებრალიძე 2005:45-46,სურ.21;ტაბ.IV/1].

კერამიკის შემდეგ სახეობას ჭრაქები ქმნიან. წლევანდელ მასალებში გვხვდება ჭრაქის მხოლოდ ერთი სუფთად განლექილი მარყუჟისებრი ყური. გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი რომაული ჭრაქები ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახ.წ. I-III სს განეკუთვნებიან და უმრავლესობა პერგამონის საწარმოო ცენტრის ნაწარმადაა მიჩნეული. თუმცა, გვხვდება სამოსისა და დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქციაც [ებრალიძე 2005: 53-66].

საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი ლუთერიები. ლუთერიების უმრავლესობას სინოპური ნაკეთობანი ქმნიან. მეტ-ნაკლები რაოდენობით გვხვდება ჰერაკლეური და ადგილზე დამზადებული ნიმუშებიც [ებრალიძე 2005:69]. გამოიყოფა ერთი ტიპის ორი სახეობა: ა) ახასიათებთ ჰორიზონტალურად გადაშლილი პირი, რომლის ზედაპირიც მომრგვალებულია. შიდა კალთა ტანისაგან გამოყოფილია ბასრი იარაღით შესრულებული ღარით.ანალოგიურად გაფორმებული ლუთერიები ახ.წ. I-II სს-ითაა დათარიღებული [ებრალიძე 2005:69.სურ.50]. ბ). აქვთ მომრგვალებულ ზედაპირიანი ჰორიზონტალურად გადაშლილი პირი. შიდა კალთა ტანისაგან გამოყოფილია მსუბუქი ღარით. აფსაროსის ამ ვარიანტის ლუთერიები II-III სს-ით თარიღდება [ებრალიძე 2005:69.სურ.51].

კერამიკის შემდეგ ჯგუფს სამზარეულო თუ სუფრაზე მოსახმარი კერამიკა ქმნის. საერთოდ გონიო-აფსაროსში ხშირად ჩნდება რომაული ხანის ამ პერიოდის ჭურჭელი. გამოთქმულია თვალსაზრისი მეცნიერების მიერ მათი ადგილზე დამზადების შესახებ და ამიტომ მათ რომანიზებული ფორმები უწოდეს [კახიძე, მამულაძე 2004:54]. წარმოდგენილია ქვაბ-ქოთნების, ქოთნების, დოქებისა და ჯამების სახით. ქვაბ-ქოთნებს აქვთ სწორი ტანი და გადაშლილი, პროფილირებული პირი, ზოგიერთს მათგანს შერჩენილი აქვს ბრტყელგანივკვეთიანი ყურებიც. ჰქონიათ ბრტყელი ძირი. ქოთნებს ახასიათებთ გარეთ გადაშლილი პირი, სწორი ან არათანაბ-

რად დაშვებული ტანი, ბრტყელი ან მრგვალგანივკვეთიანი ყური და ბრტყელი ძირი. შემდეგ ჯგუფს დოქები წარმოადგენს. დოქების ნაწილი სუფთადაა განლექილი. მათ ახასიათებთ ვარდისფერი ან მოწითალო კეცი. ძირისაკენ შევიწროვებული ტანი და ბრტყელი ძირი. დოქების ნაწილი პატარაა. ახასიათებთ ვარდისფერი კეცი, გარეთ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ტანი და ბრტყელგანივკვეთიანი ყურები. გვხვდება რუხკეციანი, თხელკედლიანი ნიმუშებიც. ნატეხების სახითაა წარმოდგენილი ხელადებიც. აქვთ ბრტყელი ძირი, სწორი ტანი, მომრგვალებული სქელი ბაკო და ცილინდრული ყელი. ჯამები წარმოდგენილია პირის, კალთის და ძირის ნატეხებით. ზოგიერთი მათგანი ჩალისფერკეციანია, სუფთად განლექილი. ახასიათებთ გარეთ გადაშლილი კალთა და რგოლისებრი, დაბალი გამოყვანილი ქუსლი.

რამოდენიმე ერთეულითაა წარმოდგენილი თიხის ხუფებიც. კონუსურად შეზნექილ ზედაპირზე შემორჩენილი აქვთ ბრტყელი სახელური. მსგავსი ხუფები ციხის სხვადასხვა უბანზეცაა აღმოჩენილი [კახიძე, მამულაძე 2004: 55].

მრავალრიცხოვნობით გამოიჩევა სამეურნეო-სატრანზიტო კერამიკა - ამფორები. გონიო-აფსაროსის მონაპოვრების მიხედვით ახ.წ. I-III სს-ის ამფორებიდან გამოყოფენ 11 ტიპსა და რამოდენიმე ქვეტიპს [ხალვაში 2002 :15, სურ.7].

განათხარ მასალაში მრავლადაა წარმოდგენილი მინის ნაწარმიც. გვხვდება ფიალების, სანელსაცხებლეების და სხვადასხვა სასმისის ძირისა და პირის ნატეხები. ფიალები ვერტიკალურწიბოიანია. მსგავსი ნიმუშები მზადდებოდა ახ.წ. I ს ბოლოსა და II ს-ში [შალიკაძე 2004: 20]. მინის ნაწარმის საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფს სასმისები ქმნის. ისინი უპირატესად ძირების, პირებისა და ტანის ნატეხების სახითაა წარმოდგენილი და ახ.წ. I-III სს-ის სხვადასხვა მონაკვეთით თარიღდებიან [შალიკაძე :2004].

გათხრების შედეგად გამოვლენილია სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქვის ბირთვებიც. ბირთვები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ციხის სხვადასხვა უბნებზეც. სხვა ნიმუშების მსავსად ისინიც ახ.წ. I-III საუკუნეებითაა დათარიღებული [ასლანიშვილი 2004: 152-154; 2009: 177-184].

ასეთია გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკ-ვეთში 2017 წელს წამოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ძირი-თადი შედეგები. უბნის შესწავლა მომდევნო წელს გაგრძელდება.

Kakhaber Kamadadze, Shota Mamuladze

The Main Results of the Archaeological Excavations Conducted in Gonio-Apsaros in 2017

Summary

The joint polish-Georgian archaeological excavation was conducting the excavation works in July-August, 2017 on three sections: 1. in South-eastern part of the fort (SO XII); in north-western part of the fort and 3. South-western part of the fort. This time the report will focus on the main outcomes of the excavations in South-western part of the fort.

During archaeological Excavations here was found ruins of the building. This is the barracks of roman period. According to archaeological materials this building Consist of two cultural levels. Upper (height 50-60 cm), with its buildings and archaeological materials, dated to the period from the second half of 2 century AD to the end of 3 century AD, and 2. Lower (height 80 cm – 1 m), also with building ruins and materials, belonging to period from the first half of 1 century to second half of 2 century AD. The works will continue on the same territory in future as well.

1

2

3

ლიტერატურა:

1. **ასლანიშვილი 2004:** ასლანიშვილი ლ., ქვის ბირთვები, გონიო-აფსაროსი IV, 152-154, ბათუმი.
2. **ასლანიშვილი, 2009:** ასლანიშვილი ლ., შურდულის ქვები, გონიო-აფსაროსი VIII,177-184, ბათუმი.
3. **ებრალიძე 2005:** ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპი–რეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში, სავაჭრო-ეკონომიკური ურთი–ერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით, ბათუმი.
4. **თავამაიშვილი, ინაიშვილი 2013:** თავამაიშვილი გ, ინაიშვილი ნ., გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური ექსპედიციის ცენტრალური უბნის რაზმის მუშაობის ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა I, 164-186. ბათუმი
5. **კახიძე, მამულაძე 2004:** კახიძე ა, მამულაძე შ., სამხრეთ-კარიბჭისა და აბანოთ-უბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევა–ძიების უმთავრესი შედეგები// გონიო-აფსაროსი, IV, 4-107. ბათუმი
6. **მამულაძე, შალიკაძე ...2013:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, ასლანიშვილი ლ., გონიოს ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში 2012 წელს წარმოებული გათხრების მოკლე ანგარიში// აჭარა, წარსული და თანამედროვეობა I, 187-221, ბათუმი
7. **მამულაძე, შალიკაძე...2017:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, სურმანიძე ნ, ქამადაძე კ., გონიო-აფსაროსში 2014 წელს წარმოებული გათხრების ანგარიში//აჭარა, წარსული და თანამედროვეობა III, 207-238. ბათუმი
8. **მამულაძე, შალიკაძე...2017:** მამულაძე შ, შალიკაძე თ, ქამადაძე კ., 2015 წელს გონიო-აფსაროსში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები//აჭარა, წარსული და თანამედროვეობა III, 239-258. ბათუმი
9. **ქამადაძე 2014 ა:** ქამადაძე კ., გვიანი შუასაუკუნეების ერთფერად მოჭიქული კერამიკა გონიო-აფსაროსიდან//ჰუმანიტარუ-

ლი მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-II, 325-328, ბათუმი

10. **ქამადაძე 2014 ბ:** ქამადაძე კ., გვიანი შუასაუკუნეების იზნიკური კერამიკა გონიო-აფსაროსიდან//სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლ-ოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები IV, 223-232, თბილისი
11. **ქამადაძე 2015:** ქამადაძე კ., ფაიფურის ფინჯნები გონიო-აფსაროსის ციხიდან //სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები V, 417-426, თბილისი
12. **ქამადაძე 2016 ა:** ქამადაძე კ., მარმარილოსებური კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან //სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VI, 246-251, თბილისი
13. **ქამადაძე 2016 ბ:** ოსმალური ფაიანსი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან //ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბრძენიშვი-ლის ინსტიტუტის შრომები XII, 48-62, ბათუმი
14. **ქამადაძე...2017:** ქამადაძე კ, მამულაძე შ, კარასიევიჩ-შციპიორსკი რ., 2016 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ უბანზე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები//პროფესორ მალხაზ სიორიძის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სართაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 1-8, (იბეჭდება)
15. **ხალვაში, 2002:** ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან, ბათუმი.
16. **შალიკაძე, 2004:** შალიკაძე თ., გვიანანტიკური და ადრეშუასაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან, გონიო-აფსაროსი V, ბათუმი.

ლანა ბურკაძე

სამხრეთ-აღმოსავლეთ შღვიზღვისპირეთის რომაული ხანის ძეგლები (ათინა)

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი რომაული სამყაროსთვის მიმზიდველი იყო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. ეს იყო რეგიონი, რომელიც დასავლეთით შემოსაზღვრული იყო შავი ზღვით, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით კი მთებით, რომელიც რომს იცავდა როგორც იბერიიდან ასევე ჩრთილოეთ კავკასიაში მცხოვრები ტომების თავდასხმისაგან. ეს ტერიტორიები რომაელთათვის მიმზიდველი იყო თავისი რესურსებითაც, რასაც სხვადასხვა ანტიკურ ავტორთა წერილობითი წყაროებიც მოწმობს.

როდესაც ვსაუბრობთ სამხრეთ-აღმოსავლეთ შვიზღვისპირეთზე, აღსანიშნავია ის ციხეები რომელიც რომაულ პერიოდში იქნა აგებული და მნიშვნელოვან პუნქტებს წარმოადგენდა რომის იმპერიისთვის. ციხეები განლაგებულნი იყვენენ ზღვისპირა ზოლში. ესენია: აფსაროსი, ათინა, თორდოვათი, ჯანაიერი და არაკლი.

ჩვენი ინტერესის ობიექტს წარმოადგენს ათინას ციხე, რომელიც ანტიკურ ავტორთა დაინტერესების საგანიც გამხდარა (Arr., PPE 3-5,7; Ptol., V,6; Anon., 40; Tab. Peut., X, 4.) (მამულაძე, კახიძე, ქამადაძე; 2014:28). არიანეს მიხედვით, იმის გამო რომ ათინას ნავსაყუდელი არასაიმედო იყო, აქ მცირერიცხოვანი ხომალდებით მხოლოდ ზაფხულობით შედიოდნენ. არიანე თავის პერიპლუსში აღნიშნავს: „ ევქსინის ზღვის ნაპირას არის ასეთად [ე.ი. ათინად] წოდებული ადგილი, და იქვეა ათენას ბერძნული ტაძარი, რომლისგანაც, როგორც ვფიქრობ ამ ადგილმა მიიღო სახელი. არის აქ უყურადღბოდ მიტოვებული ციხე-სიმაგრეც. ზაფხულობით ამ ნავსაყუდელში შეუძლიათ შემოსვლა ხომალდებს, მცირერიცხოვნად, იგი იფარავს მათ სამხრეთის ქარისაგან და აღმოსავლეთისაგან"... „ღამით ყრუ ქუხილი და ელვა იყო და ქარი გამოიცვალა, შებრუნდა სამხრეთით და მცირე ხნის შემდეგ სამხრეთ-დასავლეთისად იქცა. ხომლდებისთვის ნავსაყუდელი საიმედო აღარ იყო; ამიტომ ვიდრე ზღვა მთლი ძალით აბობოქრდებოდა, ჩვენ ნაპირზე გამოვათრიეთ ხომალდთაგან იმდენი რამდენის დატევაც შეეძლო, დარ-

ჩა ერთი რომელი კლდეებს შორის მოთავსდა და იქ საიმედოდ დამ-დგარი ქანაობდა [ტალღებზე]".

როგროც ჩანს, ათინას ციხე (კიზ-კალე) პონტო კავკასიის სა-საზღვრო ფორმირების პირველი ეტაპის (ვესაპასიანეს) დროინდე-ლია, რომელსაც მოგვიანებით დაუკარგავს მნიშვნელობა (მამულა-ძე, კახიძე, ქამადაძე; 2014:28).

ვესპასიანეს დროს ტრაპეზუნტი წარმოადგენდა რომის კავკა-სიურ პოლიტიკის საყრდენს და რეგიონის მნიშვნელოვან სამხედ-რო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრს. 64 წლიდან იგი რომაუ-ლი ფლოტის - Classic Pontica-s მთავარი ბაზა გახდა(თოდუა, 1995:11). პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, რომაელთა ხელში გადავიდა პოლემონიდთა სამხედრო ფლოტიც. მკვლევართა ნაწი-ლის აზრით, Classic Pontica მთლიანად სწორედ პოლემონიდების სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზაზე ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, ''პონტოს ფლოტის'' ცალკეული ნაწილები კოლხეთის ნავსადგუ-რებშიც უნდა მდგარიყო (ფიფია, 2010 : 115).

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სასაზღვრო ხაზზე განლაგე-ბული კასტელუმების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება ცენ-ტრალიზებული წესით სწორედ ტრაპეზუნტიდან ხორციელდებო-და. ტრაპეზუნტის აღმოსავლეთით, ზღვის სანაპიროზე მცირე-რიცხოვანი გარნიზონები განლაგებული იყვნენ ჰისოსში, რიზესა და ათენაში. ამ პუნტების გარდა, ახ.წ. 63 წლის შემდგომ რომაული გარნიზონები განლაგდნენ აფსაროში, ფასისსა და სებასტოპო-ლისში. II საუკუნის შუახანებამდე სებასტოპოლისი რომაელთა ბა-ტონობის უკიდურესი ფორპოსტი იყო ჩრდილო-დასავლეთ კავკა-სიაში. 132-152 წლებს შორის სამხედრო ნაწილები დისლოცირე-ბულ იქნა პიტიუნტშიც, (ფიფია, 2010:81) რითაც დასრულდა კიდეც პონტო-კავკასიის საზღვრის ორგანიზაციული გაფორმება (ფიფია, 2010: 90).

ათინას ციხე მდებარეობს ქ. ფაზარის გასასვლელში, აღმოსავ-ლეთით, 1,5 კილომეტრის დაშორებით. ნაგებობა ზღვის სანაპირო ზოლში, ხმელეთიდან 40-50 მ-ით დაცილებულ კლდოვან კონცხზეა დაშენებული. ციხე-კოშკის კედლები კლდოვანი ბორცვის გარე კონტურებს მიუყვება. დღემდე მოღწიულ ნაგებობაზე დაკვირვე-ბით მასში სულ ცოტა სამი სამშენებლო ფენის გამოყოფა შეიძლე-

ბა. ქვედა სამშენებლო დონე რომლის წყობები კარგად იკითხება აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეებზე, ნაგებია ქვიშაქვის კარგად დამუშავებული კვადრებით. მათი საშუალო სიმაღლე 60 სმ-ია. შემაკავშირებლად კირხსნარის თხელი ფენაა გამოყენებული და წარმოადგენს ე.წ. რომაული ისოდომის ტიპიურ ნიმუშს. ამ პერიოდის წყობის შემორჩენილი მაქსიმალური სიმაღლე ნაგებობის ჩრდილო აღმოსავლეთ კუთხეში, 4 მეტრს აღწევს. ჩანს რომ შემდგომში მისი განახლება მიმდინარეობს და ჩრდილოეთიდან ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ძველი წყობის დახრილ სიბრტყეზე ამოყვანილია სრულიად ახალი წყობა, რომელიც ბიზანტიურ პერიოდ უკავშირდება. თუმცა, ამავე წყობაში ორი სხვადასხვა პერიოდი განირჩევა. პრველი ესაა, მოწითალო- მოყავისფრო ფერის მცირე ზომის კვადრები, რომლის სიმაღლე 25-30 სმ-ია. კედლის ეს წყობა აღმოსავლეთიდან ორ ვიწრო თაღოვან სარკმელს შეიცავს. იგი 4 მეტრი სიმაღლისაა. ბიზანტიურ პერიოდში ჩანს კედლის ამაღლების ცდა, რომელიც სამ ვიწრო თაღოვან სარტყელს შეიცავს. მშენებლობის ეს პერიოდი ითვალისწინებდა კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში, აღმოსავლეთის მხრიდან ფართე, მაღლ თაღოვან ღიობს. კარის სიმაღლე 3 მეტრია, ხოლო სიგანე 1.80 მ. ეს წყობა წინამორბედისაგან იმით გამოირჩევა, რომ მონაცრისფრო და მოწითალო ფერის თლილი ქვები ერთმანეთში მონაცვლეობენ და წყობათა ზომები არათანაბარი ზომისაა. (მამულაძე, კახიძე, ქამადაძე; 2014:29).

კოშკის ზოგიერთ მონაკვეთზე ოსმალებს განახლების დროს გამოუყენებიათ ადრეული პერიოდის ნაგებობათ მოშავო მონაცრისფრო კვადრები, ხოლო მათ შემაკავშირებლად-კირის სქელი ფენა (მამულაძე, კახიძე, ქამადაძე; 2014:29).

თვით კოშკის შესავლელი გამართული უნდა ყოფილიყო ციხე-კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მაგრამ აქ საფეხურის ნაკვალევი არ ჩანს, რაც მკვლევარებს გვაფიქრებინებს, რომ მეციხოვნეები იყენებდნენ ხის სამხედრო დანიშნულების კიბეებს.

კოშკის დასავლეთ მხარეს, დასავლეთისა და ჩრდილოეთის მხარეების ორი სართულია შემორჩენილი. ამ მონაკვეთის სამშენებლო წყობაში ოთხი შრე გამოიყოფა. წყობის მიხედვით ეპოქათ ზუსტი დეფინაცია შეუძლებელია. პირველი სართულის წყობას არქეოლოგები გვიანბიზანტიურად თვლიან, რომელმაც სავარაუდოდ მოსპო ან რღც მიზეზის გამო შეცვალა აღმოსავლეთის მხა-

რეს დადასტურებული გვიანრომაული, ასევე ადრებიზანტიური ისიდომური წყობა (მამულაძე, კახიძე, ქამადაძე; 2014:29).

სამწუხაროდ არქოლოგიური კვლევების ჩატარება ათინას ციხეზე ჯერჯერობით შაუძლებელია, რადგან ის თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, რაც არ გვაძლევს საშუალებას უფრომ მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ არქეოლოგიური გათხრებით, რაც მკვლევარებს გაუადვილებდა მეცნიერულ მუშაობას და უფრო მეტი ინფორმაცია გვქნებოდა ციხის ისტორიისა და არქიტექტურის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თოდუა, 2006. თ. გამყრელიძე, თ. თოდუა, რომის სამხედრო -პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, თბილისი
2. გეორგიაკა, 1965- გეორგიკა ტ. II. ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაოხჩიშვილმა, თბილისი
3. გეორგიკა, 1967- გეორგიკა ტ. VII. ტექსტი ქართული თარგმნითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი
4. თოდუა, 1995-თ. თოდუა, რომაული სამყარო და კოლხეთი, თბილისი
5. კახიძე, 2002-ე. კახიძე, რომის იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთ შვიზღვისპირეთი ახ.წ. I-V სს (საკანდ. დისერტაცია)., თბილისი
6. მამულაძე, კახიძე, ქამადაძე, 2014 - შ. მამულაძე, ე.კახიძე, კ. ქამადაძე, აღმოსავლეთ ჭანეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, ბათუმი
7. ფიფია-2010-კ.ფიფია, რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., თბილისი
8. შპაიდელი, 1985-მ. შპაიდელი, კავკასიის საზღვარი: II ს გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და ფაზისში. -მაცნე, 1
9. ჯავახიშვილი, 1951-ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი

10. Bryer, Winfield, 1985- Bryer, A. and Winfield, D. The Byzantine monuments and topography of Pontus, 2 vols. Washington

Lana Burkadze

Monuments of the Roman Times of the South-East Balck Sea

Summery

South-East Georgia always was sphere of interest of Rome because of geographical location. This was region, which was bordered by Black Sea from West and by mountains from West and North. These were good locations for Rome to protect attacks of the tribes living in the Caucasus as well as from the Iberians too.

In this theme, we are speaking about Athina, which is in Turkey now. Athina was Roman surveillance Castle and as Arrian mentions there was port too. However, it was very small, they used it only in summer, and it was not safe for ships in other season.

Georgian Archaeologist made survey around Athina, they found ruins of castle but they could not make excavation because of it is location, as I mentioned, in Turkey. We hope for next years archaeologist can make archaeological excavation in Athina, which gives us more information about castle and its History.

თამილა ლომთათიძე

ქრისტიანობის პაგანიზაციის ელემენტები აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში

ქრისტიანობის პაგანიზაციაში იგულისხმება კანონიკური მართლმადიდებლური პრაქტიკის „გაწარმართების“ ანუ „გახალხურების“ პროცესი, რაც, მეტნაკლებად, საქართველოს თითქმის ყველა კუთხისათვის იყო დამახასიათებელი. პაგანიზმი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან paganus - წარმართობა, კერპთაყვანისცემა. Pagus ლათინურად არის, აგრეთვე, „სოფელი“, ხოლო paganus – „სოფლური“. ამრიგად, პაგანიზმი სოფლური ანუ „ხალხური“ რელიგიაა. პაგანიზაციაში, ერთი მხრივ, იგულისხმება ისტორიული წარმართობის კვალის ფრაგმენტული სახით არსებობა ქრისტიანობაში ანუ რეალური არქაიზმი, ხოლო, მეორე მხრივ, მეორეული სტიქიური წარმართობა, როცა ხალხურმა ნაკადმა გარკვეულწილად გადაფარა ქრისტიანული სუბსტრატი. ამგვარად, პაგანიზაცია არის ქერქი, რომლის შიგნით ჩვენ შეგვიძლია ქრისტიანული შინაარსი დავინახოთ. ეს პროცესები სტიქიურად აღმოცენდება ნებისმიერ ეპოქაში, თუ მისი გაჩენის პირობები შეიქმნა (ზ.კიკნაძე, 2013:135-161). ქართულ რეალობაში, პაგანიზაციას ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი აქვს იქ, სადაც ეთნიკურ ან რელიგიურ რწმენა-წარმოდგენათა სიჭრელე ფიქსირდება. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი არის აჭარა. ბუნებრივია, რომ ქრისტიანობის „გახალხურების“ კვალი კარგად იყოს შემორჩენილი აჭარაში, რადგან აქ ყველაზე ნაყოფიერი ნიადაგი ჰქონდა შექმნილი ქრისტიანობის დევნასა და მისი წინარექრისტანული რწმენა-წარმოდგენებით ჩანაცვლების პროცესს.

აჭარის მოახლეობის სულიერი კულტურა მრავალგვარობითა და მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც განპირობებულია აჭარაში არსებული სარწმუნოებრივი სიჭრელითა და ამ მხარის ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ყოფის ისტორიული ტრანსფორმა-

ციით. მასში თანაარსებობენ სხვადასხვა რელიგიებისა და ეპოქების დანაშრევები არქაულიდან მოყოლებული ახალი დროის ინოვაციების ჩათვლით. მოსახლეობის სულიერი ყოფა ვითარდებოდა და იცვლებოდა საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ და იგი ასახავდა და ინახავდა ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე ყველა ცვლილებას. ამიტომაც აჭარის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენები სინკრეტული ფორმითაა ჩამოყალიბებული. რელიგიური სინკრეტიზმითაა განპირობებული აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში არსებული ქრისიტიანობის პაგანიზაცია.

XVI საუკუნემდე აჭარა საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად დაწინაურებულ რეგიონს წარმოადგენდა. იგი ერთიანი ქართული ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი იყო და, ბუნებრივია, დანარჩენი საქართველოს მსგავსად, აქაური მოსახლეობაც მტკიცედ იცავდა კანონიკურ ქრისტიანობას და სამეურნეო წელიწადის დაგეგმვა, საოჯახო და სოციალური ყოფაც ამ რწმენის საფუძველზე ვითარდებოდა, მაგრამ ოსმალთა სამსაუკუნოვანმა (XVI საუკუნის 60-იანი წლები – 1878) ბატონობამ თავისი კვალი დააჩნია აქაურთა მენტალობას და გამოიწვია აჭარის სულიერი კულტურის ისტორიული, რელიგიური და სხვა ლოკალური თავისებურებები. ამ პროცესების ერთ-ერთი შედეგი აჭარაში არის ქრისტიანობის პაგანიზაცია და ბევრი წეს-ჩვეულების ხალხური ქრისტიანობის დონეზე შემორჩენა. ამ პროცესს ხელი შეუწყო საბჭოთა პერიოდმაც, როცა, ფაქტობრივად, ყოველგვარი სარწმუნოება იკრძალებოდა.

პაგანიზაცია მიმდინარეობდა ორ მიმართულებით: ერთი მხრივ, ისტორიული ძნელბედობით გამოწვეული ქრისტიანობის დევნის გამო ამ ფენის მივიწყება და წინა პლანზე წარმართული რიტუალების, როგორც თვითგადარჩენის მექანიზმების წამოწევა და, მეორე მხრივ, ქრისტიანული წესების ხელოვნური არქაიზაცია, მათი შერწყმა ქრისტიანობამდელთან და შეფარულად შესრულება უკვე „ხალხური ქრისტიანობის“ კანონიკის შესაბამისად. წინამდებარე სტატიაში ჩვენ განვიხილავთ ამ პროცესების დამადასტურებელ ორ მოვლენას აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში. ესაა წყალში განათვლის რიტუალის ხალხური ფორმები და მსხვერპლშეწირვის ე.წ. „საღმრთოს“ გაღების ჩვეულება.

როგორც აღვნიშნეთ, აჭარაში, ყოფის ისტორიული ტრანსფორმაციით გამოწვეულ რელიგიურ რწმენათა სიჭრელის პირო-

ბებში, ჩვეულებათა ისტორიული ძირებისა და გენეზისის დადგენა ძალზე ჭირს. ხშირად ხდება წეს-ჩვეულებათა ხელოვნური არქაიზაცია და ბევრი, ისლამის გავლენით სახეშეცვლილი რიტუალი, მიეწერება არქაულს, ქრისტიანობამდელს, მაშინ, როცა მათში აშკარად იკითხება სახეშეცვლილი და გახალხურებული ქრისტიანული სიმბოლიკა. ამის მაგალითია აჭარაში შუამთობის დღესასწაულის ერთ-ერთი ელემანტი - მაღალ მთებში, მდინარეებზე, წყალსატევებსა თუ ტბებზე მასიური განბანვის და ლოცვა-ვედრების ტრადიცია. ეს ჩვეულება შემონახულია არა მხოლოდ აჭარის მთიანეთში, არამედ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები "ჩვენებურების" ყოფაშიც. ამ დღეს მასიურად მიდიან მთის წყალსატევებთან, ფეხშიშველი დგებიან მუხლებამდე წყალში, თავსა და სახეზე ისხამენ წყალს, ისველებენ ხელებს, ტანსაცმელს. ნიშანდობლივია, რომ ამ წყალს "თეთრ წყალს" ეძახიან. "თეთრი" აჭარულ დიალექტში "წმინდას" სინონიმადაც გამოიყენება. ალბათ, სწორედ ასეთ წმინდა ძალის მქონედ აღიქმებოდა სარიტუალო წყალი და, მიუხედავად იმისა, რომ აქაურებს აღარ ახსოვთ ამ ჩვეულების თავდაპირველი დანიშნულება, რიტუალი აშკარად შეიცავს წყლით განწმენდის, განათვლის ელემენტებს.

ზღვაში მასობრივი ბანაობის ტრადიცია ფართოდ იყო გავრცელებული სარფსა და აღმოსავლეთ ლაზეთის მრავალ ზღვისპირა სოფელში გასული საუკუნის 20-იან წლებამდე. ამ რიტუალს "მზოღას ონჩვიუში დღა" (ზღვაში ბანაობის დღე) ეწოდებოდა და "მარაშინაშ შქვითში" (მარიამობის შვიდში) ანუ 20 აგვისტოს იმართებოდა. ეს ფერისცვალების დღესასწაულის (6(19) აგვისტო) მეორე დღეა და თუმცა ამჟამად მივიწყებულია ჩვეულების კავშირი ამ ქრისტიანულ დღესასწაულთან, მის რიტუალურ მხარეში ნათლად იკვეთება ქრისტიანული სიმბოლიკა. ზღვაზე საბანაოდ მასიურად მიმავალ ქალებს თან მიჰქონდათ სხვადასხვაგვარი ხილი, ახალშემოსული ყურძენი, მოხარშული კვახი და ზღვის ნაპირთან მიირთმევდნენ. როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამყაროში არსებული ტრადიციით, ფერისცვალების დღესასწაულზე ტაძარში საკურთხებლად მიაქვთ ხილი. ამ ჩვეულებაშიც იკვეთება წყალში განბანვის რიტუალის კავშირი ქრისტიანულ რწმენასთან.

ნ.მარის მონაცემებით, რომელიც თავად შესწრებია ამ დღესასწაულს, იგი ზოგან 24 ივნისს, იოანე ნათლისმცემლის ხსენების

დღეს იმართებოდა და ლიტროპ//მიტროპ-ის სახელით იყო ცნობილი. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაშია მსგავსი რიტუალები დამოწმებული და იგი ყველგან უკავშირდება იოანე ნათლისმცემლის სახელს. მსგავსი რიტუალები ყველგან იმართება 24 ივნისს (7 ივლისს) – იოანე ნათლისმცემლის ხსენების დღეს. ამ დღეს წყალს განსაკუთრებული სამკურნალო თვისებები მიეწერება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ლაზებიც ამ თარიღს უკავშირებენ წყალში მასიური ბანაობის ჩვეულებას, რაც წყლით ნათლისღების ხალხური პალალელი უნდა იყოს. რაც შეეხება სახელწოდება ლიტროპ//მიტროპ-ს, მკვლევარი ზ.თანდილავა მას ბერძნული ენობრივი სამყაროს კუთვნილებად მიიჩნევს. ეს დანაშაულის გამოსყიდვის, მონანიების, ცოდვისაგან განწმენდის აღმნიშვნელი ტერმინია და უნდა უკავშირდებოდეს წყალში მასიურ განბანვას, როგორც წყლით განწმენდის, განათვლის სიმბოლურ გამოხატულებას.

ეთნოგრაფიულ ყოფაში წყალს მრავალგვარი ფუნქცია აკისრია. იგი არის ნაყოფიერებისა და სიუხვის მომნიჭებელი, ადამიანის ბედიღბლის წარმმართველი, ჯანმრთელობისა და სიმრავლის გამნსაზღვრელი, ცოდვებისაგან განმწმენდი და სხვ. ამიტომაც, ფართოდ იყო გავრცელებული წყლისათვის იღბლის შეთხოვის, საქონლის წყალზე გაყვანის, ახალი წლის დილას უბრად წყლის მოტანისა და სხვა ჩვეულებები. გავრცელებული იყო წყლით მკურნალობის ტრადიციაც. წმინდა წყლებით განკურნების პრაქტიკა ქრისტიანობისთვისაც არ იყო უცხო. ქრისტიანული რწმენით წმინდა წყაროებსა თუ წყლებს სულიერ და ხორციელ სენთაგან განკურნების უნარი გააჩნიათ. ამგვარი წყაროები საქართველოში დაცულია წმ.ნინოსა და დავით გარეჯის მონასტრებში. ქართულ ტრადიციაში წყლისათვის მსხვერპლის შეწირვის ჩვეულებაც არსებობდა.

წყლის ერთ-ერთ უმთავრესი ფუნქცია "გამწმენდი" ფუნქციაა. წყლით "გაწმენდის" წესი მსოფლიოს მრავალი ხალხის ყოფაში ოდითგან წყალში "ჩაფვლის", ჩაყვინთვის, გზით ხდებოდა. ნათლობის წყალი ადამიანს უფლის ნებით წმენდს და ასუფთავებს სულიერი ჭუჭყისაგან. ნათლობით ადამიანი ხელახლა იბადება სულიერად და ეს ხორციელდება წყალში "დაფვლით", მაგრამ ქრისტიანული სწავლებით განწმენდა არ შეეძლო უბრალო წყალს. „ნათლისღებისას წყლებს თავისთავად არ შეეძლოთ ვინმეს განწმედა (რამეთუ ჩვეულებრივი წყალი იყო), თუ ამ წყლებს არ შეეხებოდა სხეული ქრისტე იესუსი და არ განწმენდდა მათ. გარდამოვიდა მაცხოვარი

წყლებზედ იორდანისა და ამგვარად აკურთხა წყლები, წყაროს თვალნი და უფსკრული (ანუ საერთოდ წყლის სტიქია)“ („ქადაგებანი და თარგმანებანი“, 1997). წმინდა იოანე ნათვლისას ეუბნებოდა ხალხს, რომ: „მე უკვე ნათელგცემ თქუენ წყლითა”. მაგრამ, როგორც იოანეს სახარებაშია ნათქვამი, იესუ ქრისტე ნათელს სცემს არა მარტო წყლით, არამედ წყლითა და სულითა წმიდითა (იოანე, 3.22). ამგვარად, წყალს ცოდვათა მიტევების უნარი მიენიჭა იმ მადლით, რომელიც მასში დანერგა მტრედის სახით ზეციდან გარდამოსულმა სულიწმინდამ. ჩვეულებრივი წყალი ძნელად ინახება რამდენიმე დღითაც კი, ნაკურთხი წყალი კი შეიძლება შევინახოთ წლობით და ისეთივე წმინდა იქნება, როგორც იყო კურთხევის წინ. ამიტომაც არის დამოწმებული მთელ მსოფლიოში ჩვეულება, რომ ნათლისღებას, შუაღამისას, გადიოდნენ მორწმუნეები და წყაროებიდან თუ მდინარეებიდან ამოღებდნენ წყალს შესანახად და ზოგი შევიდოდა კიდეც წყალში, რადგან სჯეროდათ, რომ ნათლისღებას ქრისტეს მიერ ისევე ეკურთხება წყალი მორწმუნეთათვის, კვლავ ხდება დიდი სასწაული, უბრალო წყალი გახდება განსაკუთრებული წყალი, რომელსაც ვერას დააკლებს დრო და ჟამი.

ამიტომაც საქართველოში ტრადიციადაა ქცეული წყალში მასიური ბანაობა ნათლისღების ღამეს. ბუნებრივია, მსგავსი ჩვეულება აჭარაშიც სრულდებოდა ნათლისღებას, მაგრამ ისლამის ზეგავლენით, დროთა განმავლობაში, ეს ჩვეულება დავიწყებას მიეცა, თუმცა წყალში მასიური “განათვლის” ანარეკლი, ფრაგმენტების სახით, სხვადასხვა დღესასწაულმა შემოგვინახა. „წყალში განათვლის“ ხალხური პარალელები ადასტურებს აჭარაში ამ რიტუალში ქრისტიანული პლასტის არსებობას, რომელიც ისლამის გავლენით მიჩქმალულია და განიხილება არა როგორც ქრისტიანული კულტმსახურების ელემენტი, არამედ არქაული გადმონაშთი.

ქრისტიანობაში წარმართულ რიტუალის შეჭრის საინტერესო მაგალითია აჭარაში „საღმრთოს“ გაღების ჩვეულება. საღმრთოს გაღების ჩვეულება გავრცელებული იყო, ძირითადად, ქობულეთის რაიონში. ეს რიტუალი ტარდებოდა ოჯახში ხშირი ავადმყოფობისა და სიკვდილიანობის შემთხვევაში. ასეთ დროს აჭარაში თვლიდნენ, რომ ოჯახი რაღაც ცოდვის გამო იყო დაწყევლილი, „გადაცემული” და ისჯებოდა. ოჯახი სიკვდილიანობისაგან რომ დაეცვათ, იყიდდნენ ცხვარს ან თხას, მოიყვანდნენ ხოჯას, გურიის მოსაზღვრე სოფლებში კი მღვდელსაც, ცხვარს დაკლავდნენ, ხორცს მოწვეულ სტუმრებსა და ხოჯას (ან მღვდელს), აგრეთვე, ოჯახის რძალს აჭ-

მევდნენ, ხოლო ძვლებსა და მორჩენილ ნაწილებს შეახვევდნენ მიტკალში და მიწაში ჩაფლავდნენ (ჯ.ნოღაიდელი, 1971:51). „საღმრთოს“ გაღება არის მსხვერპლშეწირვის სახესხვაობა, რაც ზებუნებრივი ძალებისათვის მოსავლის, საქონელ-ფრინველის ნამატის და სხვ. მეტაფორული გაზიარების გზით ზებუნებრივი ძალების გულისმოგებას და მათი კეთილგანწყობის გამოწვევას ისახავდა მიზნად. ეს არის მსხვერპლშეწირვის განსაკუთრებული ფორმა - ნაცვალგება. ამ შემთხვევაში მსხვერპლშეწირვა ტარდება იმ ადამიანის სიკვდილის ან ავადმყოფობის წილ, რომელიც სწირავს მსხვერპლს ან რომლის სახელზეც ხორციელდება მსხვერპლშეწირვა. ე.ი. მსხვერპლის გაღება ხდება ვიღაცის სიცოცხლის სანაცვლოდ, მისი შემწირველის დასაცავად. „საღმთოს” ნარჩენების მიწაში ჩაფვლაც ადამიანის მაგივრად მსხვერპლის ჩანაცვლება-გაღება უნდა იყოს. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღემდეა შემორჩენილი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად თუ ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გამოსათხოვად შესაწირავის - “საღმრთოს” გაღების ჩვეულება. ჩვეულებრივ, საღმრთოს სისხლიანი მსხვერპლის სახე აქვს და ხშირად ეკლესიაში ამა თუ იმ დღესასწაულზე საკლავის შეწირვით გამოიხატება, მაგრამ ამ რიტუალის ფორმა და შინაარსი, მიუთითებს, რომ საღმრთოს გაღებას არანაირი კავშირი ქრისტიანულ სარწმუნოებასთან არა აქვს და ეს უფრო არქაული რიტუალის გადმონაშთი უნდა იყოს.

ბიბლიის თანახმად, პირველი მსხვერპლი ადამის შვილის აბელის მიერ დაკლული საკლავი იყო. ძველი აღთქმის ეკლესიაში ღმრთისმსახურებისას მიმართავდნენ რიტუალურ მსხვერპლშეწირვას, რომლის მიზანიც ცოდვათა მიტევების გამოთხოვა იყო. ქრისტიანული სწავლებით, უკანასკნელი სისხლიანი მსხვერპლი - ზვარაკი, რომელიც ადამიანთა ცოდვების მისატევებლად შეიწირა, იყო თვით ძე ღვთისა - მაცხოვარი, რომელმაც თავისი სისხლით გამოისყიდა ადამიანთა ცოდვები. ამ „სოფლის ცოდვათა აღმხმელი ტარიგის” (იოან. 1.29) სისხლით ეკლესიაში ყოველგვარი სისხლიანი მსხვერპლშეწირვა შეწყდა და დღეს აღესრულება „უსისხლი მსხვერპლშეწირვა” – ევქარისტია. უფალი ამბობს: „არა შევიწირავ მე სახლისა შენისაგან ზუარაკთა, არცა არავისა შენისაგან ვაცთა; რამეთუ ჩემი არს ყოველი მხეცი ველისაი, ნადირი მთათაი და ყოველი პირუტყვი. ვიცნი მე ყოველნი მფრინველნი ცისანი, და შუენიე-

რებაი ველთაი ჩემ თან არს. შე-თუ-მემშიოს, არავე შენ გეტყოდი, რამეთუ ჩემი არს სოფელი და სავსება მისი. ნუ ვჭამოა ხორცი ზუარაკთაი ანუ სისხლი ვაცთაი ვსუაა? შეწირე ღმრთისა მსხუერპლი ქებისაი...“ (ფს.49), ამიტომაც, ქრისტიანული ეკლესია ღმერთს უსისხლო მსხვერპლს სწირავს - პურსა და ღვინოს, რომელიც საღმრთო ლიტურგიის დროს, ანუ წირვის დროს გადაიქცევა იესო ქრისტეს სისხლად და ხორცად, რომელსაც ეზიარებიან მორწმუნენი. ამგვარად, საღმრთოს დაკვლა, ანუ სისხლიანი მსხვერპლშეწირვა ქრისტიანობას არ უკავშირდება და იგი უნდა იყოს არქაული რიტუალი, მსხვერპლშეწირვის ტრანსფორმირებული ფორმა.

მსხვერპლშეწირვის ასეთი სახე ცნობილია როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხის, ასევე, მსოფლიოს სხვა ხალხების რწმენა-წარმოდგენებში. მარცვლეულის, სხვადასხვა ხილის, ნამცხვრების, შინაური ფრინველებისა და ცხოველების ნარჩენების მიწაში ჩაფვლა - მიწისათვის მიბარება - არ უნდა იყოს შემთხვევითი და მიწის კულტთან დაკავშირებულ ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უნდა ასახავდეს.

მიწა უძველეს ქართველებს ღვთაების სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. მაგალითად, ფშავ-ხევსურებს სწამდათ, რომ თითოეულ ადგილს, — მთას, გორას, ხევს... ჰყავს დედა, რომელსაც „ადგილის დედა"-ს ეძახიან, მეგრელებსაც სწამთ ფუძის მფარველი ღვთაება, „ფუძის ბატონი". მეგრულად მას „ ნერჩი პატენი" ჰქვია. ძველად სიტყვა „დედამიწა" აღნიშნავდა არა მიწას (მის აღსანიშნავად ხმარობდნენ ტერმინს „ქვეყანა“), არამედ „მიწის დედა"-ს, მიწის ღვთაებას. ამგვარად, ქართველები თაყვანსა სცემდნენ „დედამიწას", როგორც ღვთაებას. თავდაპირველად ტერმინი „ღმერთი"-ც რომლიღაც მდედრობითი სქესის ღვთაების სახელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგ დროთა განმავლობაში გამხდარა საზოგადო სახელი (ივ.ჯავახიშვილი, 1979). ამიტომ სავსებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ტერმინით აღნიშნავდნენ დედამიწას და „საღმრთოც“ მიწის ღვთაების გულისმოსაგებად გაღებული მსხვერპლი უნდა იყოს. ამგვარად, „საღმრთოს“ გაღება წარმართული რიტუალის ქრისტიანობაში შეჭრის მაგალითია და მისი დაკავშირება საეკლესიო მსახურებასთან მეორეული მოვლენა უნდა იყოს. რაც შეეხება აჭარას, სადაც „საღმრთოს“ გაღებისას მღვდელსაც იწვევდნენ და ხოჯასაც, ესაა ამ არქაული რიტუალის

კანონიკურ მონოთეისტურ რელიგიებთან (ქრისტიანობა და ისლამი) დაკავშირების მცდელობა და პაგანიზაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს.

ამგვარად, პაგანიზაციის პროცესები აჭარაში წარიმართა ორი პარალელური მიმართულებით - ერთი მხრივ, ხდებოდა ქრისტიანობის გახალხურება, ქრისტიანული რიტუალების ფარულად, საოჯახო დონეზე გადატანა და, მეორე მხრივ, ქრისტიანობამდელი რიტუალების წინა პლანზე გადმოწევა, კონკრეტული ქრისტიანული წმინდანების წინარექრისტიანულ კულტებთან შერწყმა. ბევრი რელიგიური დღეობა ხალხურმა წეს-ჩვეულებებმა ჩაანაცვლა, რადგან ისლამის მიერ ქრისტიანობის დევნის პირობებში ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები და ტრადიციული წეს-ჩვეულებები აღიქმებოდა, როგორც ქართული იდენტობის შენარჩუნების საშუალება უცხო გარემოში. ასეთი შერწყმისა და სახეცვლილების გამო, ბევრი რიტუალი, რომლებიც წინარექრისტიანულ ჩვეულებად განიხილებოდა, სინამდვილეში გახალხურებული ქრისტიანული დღესასწაულია. ამგვარად, აჭარაში ქრისტიანობა არ შემორჩა კანონიკური ფორმით, მაგრამ შემორჩა „ხალხური ქრისტიანობის“ სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991
2. ზ.თანდილავა, მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (ლაზური და აჭარული მასალის მიხედვით), აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ., 1965
3. ზ.კიკნაძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიური სისტემის ქრისტიანული სუბსტრატი, პაგანიზმი და პაგანიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ., 2013
4. ჯ. ნოღაიდელი,ნარკვევები და ჩანაწერები,I, ბათუმი, 1971
5. „ქადაგებანი და თარგმანებანი“, თბ., 1997
6. ივ.ჯავახიშვილი, თხზ., 12 ტომად, ტ. I, თბ., 1979

Tamila Lomtatidze

Elements of paganization in the ethnographic life of Adjara

Summary

The process of paganization implies appeals to paganism and a return to the pagan worldview. This process occurred, inter alia, in Adjara, because proceeding from historical events, here the expulsion of Christianity occurred and the canonical Christian rules were changed by pagan rituals. In this article we will discuss two events that confirm these processes in the ethnographic life of Adjara. These are the folk forms of baptism and the so-called `sagmtos gageba" - ritual sacrifice.

თამაზ ფუტკარაძე
ქეთევან ფუტკარაძე

მესაქონლეობის სამეურნეო-კულტურული ასპექტები არტაანელთა ყოფაში

(ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის „არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები“-ს (FR/196/2-105/14) ფარგლებში)

არტაანი ისტორიული საქართველოს ერთ-ერთი ბარაქიანი მხარეა. არტაანის დაბლობი ლანდშაფტი შავმიწანიადაგიანია და სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. უკიდეგანო საძოვრები მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის რაოდენობრივი ზრდის, ჯიშობრივი და ხარისხობრივი გამრავალფეროვნების ხელშემწყობი პირობად გვევლინება.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სანამ მას თურქ-ოსმალები დაიპყრობდნენ, იგი ჯავახეთთან, თრიალეთდან და ქართლთან ერთად წარმოადგენდა პურის ბეღელს, მეცხოველეობის პროდუქტების მნიშვნელოვან მწარმოებელს. იქაური მოსავალი მეტად კალორიულია და რძის პროდუქტებიც შესაბამისად მეტად ცხიმიანობით გამოირჩევა. არტაანი ხომ ცნობილი იყო და არის რძის პროდუქტების ხარისხიანობითა და კალორიულობით, რომელსაც აქ დიდი რაოდენობით აწარმოებენ. ისტორიულად მომდინარე და ტრადიციულად მაღალგანვითარებული მეურნეობა მშვიდობიანობის პერიოდში მეტად მასშტაბურ და ინტენსიურ ხასიათს ატარებდა. არტაანის ვრცელ და ნოყიერ საძოვრებზე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მრავალრიცხოვანი ჯოგები ბალახობდნენ. იქაური მდინარეები მდიდარი იყო აგრეთვე თევზით.

აღნიშნულის საბუთად გამოდგება „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის „გეოგრაფია“ და „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, რომლებშიც უხვადაა მოცემული არტაანის სამეურნეო ცხოვრების ამსახველი ფაქტიური მონაცემები. წყაროებიდან ჩანს, რომ არტაანის მოსახლეობა ოსმალეთის ხელისუფლებას დაბეგრილი ჰყავდა მემინდვრეობის და მეცხოველეობის ყველა პროდუქტით. ყოველივე ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იქაურები იმ დროისათვის საკმაოდ წელგამართულად ცხოვრობდნენ.

არტაანელები ადრიდანვე მისდევდნენ საქონლის სელექციას, სხვადასხვა ჯიშების შეჯვარების შედეგად გამოჰყავდათ ადგილობრივ პირობებს შეგუებული, უხვრძიანი და ხორციანი ჯიშები. ამ ტრადიციას ნაწილობრივ აგრძელებენ ქართველების ნასახლარებზე დაფუძნებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები.

მიუხედავად იმისა, რომ არტაანში იცის მკაცრი, სუსხიანი და გრძელი ზამთარი, მესაქონლეობა რჩება მეურნეობის წამყვან დარგად. ასეთი ფართომასშტაბიანი მესაქონლეობის წარმოება ბალახის თესვის კულტურის განვითარებასაც უწყობს ხელს. ასე იყო წარსულში, თუმცა ნოყიერი საძოვრები მის გარეშეც იძლევა საქონლის გამოკვების შესაძლებლობას.

საკვები ბაზის გარდა აუცილებელია კარგად მოწყობილი, თბილი საქონლის ზამთრის სადგომები. ისტორიული არტაანის სამეურნეო ცხოვრებაში ზემოთდასახელებული პირობები სინქრონულად ავსებდა ერთმანეთს. წარსულში აქ არსებობდა საძოვრების მოვლა-პატრონობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიცია. საძოვრების მცენარეული საფარი იყო ყოველდღიური ყურადღების ცენტრში. მოსახლეობა ებრძოდა ნიადაგის ეროზიას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დიდი და ჰაერტევადი ბოსლების მშენებლობას. მიწურბანიან საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსში ყველაზე დიდი ფართი საქონლის ბოსლებს ეკავა. დემოგრაფიული ცვლილების მიუხედავად დიდი და ფართე, ჰაერტევადი ბოსლები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე არტაანშიც. ამ თვალსაზრისითაც იქაური ყოფა ახლოსაა ჯავახურთან. იგი დამახასიათებელი იყო არა მარტო სოციალურად დაწინაურებული ფენებისათვის, არამედ ზოგადად, ყველა ოჯახისათვის.

ახირი//ბოსელი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი მარტო ბოსლებით არ ამოიწურება. არტაანში, ისევე როგორც თრიალეთსა თუ ჯავახეთში დამახასიათებელია სეზონური სამეურნეო დასახლებები. ზაფხულობით მემთევარეები საქონელს მთა იაილებში მიერეკებიან, სადაც შესაბამისი საცხოვრებლები და საქონლის სადგომები გააჩნიათ. აღნიშნული მსგავსება შემთხვევითი არაა. იგი აიხსნება გარკვეული ცხოვრებისეული კანონზომიერებით, რაც ცხადია ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთანაა დაკავშირებული.

საზაფხულო იალაღებზე აშკარად ჩანს საქონლის ღია სადგომების ნაშთები. კვლავაც გვხვდება ქვის ყორით თუ მავთულის ბადით შემოღობილი საზაფხულო სადგომებიც. საქონლის დიდ, ღია სადგომებს ქართველები ხალხამს უწოდებენ, პატარა სადგომებს კი ბერას. მათი სახით საქმე გვაქვს საუკუნეების განმავლობაში აპრობირებულ, ოპტიმალური ხასიათის და ტრაფარეტული მოყვანილობის საქონლის სადგომთან. იგი მოიალაღე მესაქონლეობის არსებობის დამადასტურებელი მატერიალური ფაქტია. ამ მხარეში მცხოვრები თანამედროვე მოსახლეობა საქონლის ღია სადგომს **აღილის** სახელით მოიხსენიებს. საქონელს მწყემსავენ მწყემსები. ხალხამებში ჰყავთ წვრილფეხა საქონელიც.

ხალხამი//აღილი

აღილი//ხალხამი საკმაოდ განიერი სადგომია ფართე კარით. ზღუდე ლოდებითაა ამოყორილი. ზღუდის სიგანე 0,5-0,8 მეტრია. ქვის **ყორეზე//ჩეფერ//დ(ტ)უარ-კედელ-ზე** ზემოდან შემოწყობილია გამხმარი, ოთხკუთხად დაჭრილი წივის ნაჭრები. ცალკეულ დასახლებებში გამოყენებულია ძველი, აღდგენილი სადგომები. თითოეულ ხალხამში საშუალოდ 50-60 მსხვილფეხა უნდა დატეუ-

ლიყო. აშკარაა, რომ წარსულში არტაანის ნოყიერ საძოვრებზე უფრო ბევრ მსხვილფეხა საქონელს უნდა ებალახა. ზოგადად, დიდი მასშტაბის მესაქონლეობა განვითარებული ფეოდალური საქართველოს პირობებში იშვიათობას არ წარმოადგენდა. ამის დასადასტურებლად „კახა თორელის ჯოგების“ გახსენებაც კმარა.

ამჟამად, ერთ ოჯახს საშუალოს ჰყავს 10-15 მსხვილფეხა პირუტყვი. ზოგიერთ ოჯახს 50-მდეც კი. ერთ-ერთ რესპონდენტს სოფელ ორთაკენტში **ქესუმად** აყვანილი საქონლის ჩათვლით ჰყავს 100 სული პირუტყვი. ერთმანეთის მიყოლებით, კასკადურად განლაგებული ავაზნები (5-6 ავაზანი) მესაქონლეობის განვითარების მასშტაბებზე მიუთითებს.

რესპონდენტთა გადმოცემით ბოლო პერიოდში შეინიშნება საქონლის ქესუმად აყვანის (აბარების) ტენდენცია, როცა საქონლის მოვლის სანაცვლოდ მომვლელს რჩება რძის პროდუქტების გარკვეული რაოდენობა (შეთანხმების შესაბამისად).

ალპური მეურნეობისათვის განკუთვნილი მესაქონლეთა დამხმარე „ზაფხულსაჯდომი“ სამეურნეო ბაზები დიდ ფართობზეა გაშენებული. მათ ერთ ნაწილში წარმოდგენილია შედარებით ძველი ციკლოპური წესით ნაგები საქონლის ღია სადგომები და ქოხსახლები.

არტაანი, ქოი იალთის იაილები

მეორე ნაწილი შედარებით ახალია, რომლებშიც უფრო გვიან მოსული თურქები, ქურთები, თარაქამები, ჰემშილები და სხვა ეთნიკური ჯგუფების მესაქონლეები ცხოვრობენ.

მთური საცხოვრებელი ბაღდაშენის იაილაში

ძველი დასახლებების შემორჩენილ ნაწილში ნათლად ჩანს ცენტრში ქოხსახლების, ირგვლივ კი საქონლის ღია სადგომთა ნაშთები. მესაქონლეთა დასახლების დაგეგმარების ანალოგიური მონაცემები დამახასიათებელია თრიალეთისა და ჯავახეთისათვის (თ. ჩიქოვანი, 1982:48). ქვით ნაშენი ეს ნაგებობები ყორული შენების პრინციპს ეფუძნება და ერთ ან ორსათავსოიან მწყემსური ტიპის ქოხსახლებს წარმოადგენენ. კედელთა კუთხეების შემკვრელად ზოგან ნათალი ქვებიცაა გამოყენებული.

საზფხულო სადგომებისა და ნამოსახლარების ადგილმდებარეობა, დასახლებათა ფორმის კომპაქტურობა, ღია სადგომთა სიმრავლე იმის დამადასტურებელია, რომ მესაქონლეთა დამხმარე სამეურნეო

ბაზები - „ზაფხულ საჯდომები“ არტაანში თრიალეთისა და ჯავახეთის მსგავსად ფართოდ გავრცელებული მოვლენაა და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალურ გამოხატულებას წარმოადგენს. ადრე ასეთი დასახლებებიც პატრონიმიული ნიშნით იყო დაგეგმარებული. მონოგენურ უბნად დასახლებულ ყოველ ოჯახს ჰქონდა თავისი ქოხი. ამჟამად მონოგენურობა დარღვეულია. საქონელი საერთო საძოვრებზე ბალახობს. პატრონიმიულ-მონოგენური ნიშნით დასახლებამ დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა.

არტაანელთა საზაფხულო საძოვრები მხოლოდ არტაანელთათვის როდია განკუთვნილი. აქ შევხვდებით ზღვისპირა ზოლიდან ამოსულ მოიალაღეებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ჩიქოვანი, ჯავახეთი, თბ. 1982;
2. თ. ჩიქოვანი, თრიალეთი, თბ. 1976;
3. თ. ფუტკარაძე, საველე ექსპედიციის მასალები, არტაანი, 2015 – 2016 წწ.

Tamaz Phutkaradze
Ketevan Phutkaradze

Farming and cultural aspects of breeding
In the lives of the Arthaans
Summary

Artana is one of the most potent sides of historical Georgia. The lowland landscape of the region is a black soil and forms favorable conditions for the development of livestock. The article discusses the economic and cultural issues of Artanas' economic life (livestock).

ნაილე მიქელაძე

ვაზის კულტთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები ქართულ ფოლკლორში

ისტორიულად ცნობილია რომ „წარმართ ქართველთა სააზროვნო სისტემაში დიდი ადგილი ეკავა საკრალურ ხესა და მასთან დაკავშირებულ რწმენა—წარმოდგენებს. საქართველოში ხის კულტის შესახებ ცნობები დაცულია როგორც საერო ხასიათის, ასევე სასულიერო ჟანრის თხზულებებში. ხის თაყვანისცემის და მის შესასწავლად განსაკუთრებით დიდია ხალხურ ყოფა — ცხოვრებაში შემორჩენილი როგორც ზეპირი გადმოცემების, ასევე სარიტუალო წეს _ ჩვეულებების როლი.

საქართველოში ვაზი მუდამ ღვთაებრივ მცენარედ იყო მიჩნეული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, არაერთი მნიშვნელოვანი მასალა იქნა აღმოჩენილი, ხუთ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველი არქეოლოგები ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდნენ წინ ამ უმნიშვნელოვანესი ჰიპოთეზის დასადასტურებლად. ნეოლოგიური ეპოქის სამეურნეო მაშტაბები, რომელმაც ადამიანი ერთბაშად აიყვანა კულტურის გაცილებით მაღალ საფეხურზე, ქვემო ქართლში VII ათასწლეულში საკმაოდ განვითარებულია. ხოლო ვაზის მეურნეობა, როგორც ამ კულტურის დამაგვირგვინებელი, VI ათასწლეულის დასაწყისისათვის მრავლადაა გამოკვეთილი. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი დებულება დღეს უკვე წარმოგვიდგება ისტორიულ ჭეშმარიტებად ყველა იმ თანამდევი მასალის გაანალიზებით, რომელიც ქვემო ქართლის ნასახლარზე იქნა მიკვლეული, პლიუს მდიდარი ეთნოგრაფიული ემპირი, რაც საბოლოოდ უმკვიდრებს საქართველოს ღვინის სამშობლოს უდიდესს პატივს. გარდ ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ენეოლითის დროინდელი ძველისძველი მარანი, აქ ღვინის შესანახად გამოიყენებოდა უზარმაზარი, მიწით დაფარული თიხის ქვევრები. აგრეთვე აღმოჩენილია ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს ფიალები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალაზნის ველის სამაროვნები (ძვ.წ. III-II ათას.). ამ მხრივ ძალიან მდიდარია მტკვარ-არაქსის კულტურის ქართული კერები. გათხრების შედეგად აღმოჩენილია

მცხეთის რაიონის მახლობლად (ბაგინეთში) სხვადასხვა კერამიკული ჭურჭელი, რომელიც თარიღდება ძვ. წ. IV-III ათასწლეულებით (ვაზის კულტი-ინტერნეტმასალა).

მცენარეებისა და ცალკეული საგნების გამოყენებას, როგორც მცენარეთა კულტს საქართველოში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. საკულტო მცენარეთა შორის პირველი ადგილი მუხას, ცაცხვს, ალვას, ნაძვსა და კაკალს უჭირავს. საქართველოში ხის კულტის შესახებ ცნობები, უძველესმა საისტორიო წყაროებმა, ხალხში გავრცელებულმა ზნე-ჩვეულებებმა, უძველესმა მითებმა თუ თქმულებებმა შემოგვინახეს. საქართველოში დღესაც, სხვადასხვა კუთხეში შევხვდებით ასწლოვან მცენარეებს, სადაც ხალხი ლოცულობს და სანთელს ანთებს. ხის კულტი და მისდამი თაყვანისცემა ყველაზე გავრცელებული რწმენაა ძველი ცივილიზაციების შემქმნელი ხალხების წარმართულ რელიგიასა და მითოსში.

ხის თაყვანისცემის რიტუალები გვხდება საკულტო რიტუალებში. მთაში სალოცავი ხის დარგვა და მისი მოვლა-გახარება უფრო მნიშვნელოვან საკულტო რიტუალად იყო მიჩნეული, ვიდრე ცხოველის შეწირვა. ასეთ წმინდა ხეებს „ხემხვიანები“ ეწოდებოდა. „ხემხვიანი“ ანუ ნაყოფიერების სიცოცხლის მიმნიჭებელი მითოლოგიური ხის სიმბოლოა და ამიტომაც რგავდნენ ხატის კარზე. ხის კულტის ელემენტს შეიცავს „კეზი“. ხევსურების სახლის თავზე ან ჭურის თავზე მდგარი რცხილა, რომელიც „ანგელოზების საბრძანებელია“(სურგულაძე, 1986 : 150) ან „გურული ჩიჩილაკი“_ ქართველების მსოფლიო ხის უძველესი სიმბოლო (ბარდაველიძე, 1941:76). და სხვა მრავალი.

საკულტო რიტუალების გარდა, ხის თაყვანისცემის გადმონაშთს ვხდებით ყოფით ცხოვრებაშიც ავადმყოფის ტაბლაზე, ქრისტიანული დანიშნულების სალოცავებსა და მის ფასადებზე.

ხეთა თაყვანისცემისა და მასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები შენარჩუნებული იყო აჭარაშიც. 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, კახიძეების საკარმიდამო ნაკვეთში საკრალური ურთხელის ასწლოვანი ხე იდგა. წმინდა ხესთან- მოხუცები, დედაკაცები, ბავშვები იკრიბებოდნენ და გარკვეულ რიტუალს აღასრულებდნენ (მიქელაძე 2015: 341).

ღირებულ მასალას შეიცავს, შუახევის რაიონის სოფელ ქიძინიძეების მოსახლეობის ცნობიერებაში დაცული ინფორმაცია საკ-

მეველის დამზადებასთან დაკავშირებით. რომელიც ასევე ურთხელის ხეს უკავშირდება. ის „წმინდა ხეთა“ ჯგუფში მოიაზრებოდა. ურთხელის//მადის, ნაყოფს სხვა დანიშნულებათა პარალელურად, საკმევლის დასამზადებლადაც იყენებდნენ. მისი მოჭრა, დაწვა, განადგურება ტაბურირებული იყო. (მიქელაძე 2017:7).

ძველ ქართულ მწერლობაში ხე წარმოდგენილია მთელი თავისი მრავალფეროვანებით, სადაც ხის თაყვანისცემის ელემენტები გარდაისახა ხის სიმბოლურ გააზრებაში. „სიმბოლო კი არის არა მარტო მხატვრული გამოსახვის საშუალება, არამედ აზროვნების სტილი“(ბარამიძე, 1966:164). კვლევებიდან გამომდინარე, საქართველოში ვაზის ბიბლიურ სიმბოლიკას შეერწყა ჩვენი ეროვნული თაყვანისცემა ვენახისა. „ქართველთა წარმოდგენით ის არის სიცოცხლის ხე. ამიტომაც ჩააწნეს ქართულ ჩუქურთმაში ვაზი, ამიტომაც არსებობს საოცარი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“. ამიტომაც მისცა ჯვარს ნინომ ქართული სახე და გააკეთა ვაზისაგან“(რ.სირაძე).

აღმოსავლეთ საქართველოს საწესო საფერხულო სიმღერებში ვაზი ალვის ხესთან კავშირში არის წარმოდგენილი, რომელიც ღვთისშვილის კარზე ამოსულიყო და მასზე ზედ ვაზი ახვეულა, რომელსაც მწიფე ყურძენი ესხა. ვ. ბარდაველიძის მიხედვით, ამ ცნობით წარმოდგენილია წმიდა ვაზი, რომელიც ახვეულა ალვის ხეზე და მოუსხამს ყურძენი. ცნობა ნათელყოფს, რომ საქართველოში გავრცელებული ყოფილა მაღლარი, ანუ ვაზის სხვა ხეებზე აყვანის ტრადიცია (ბარდაველიძე 1968: 46-47).

ქართული მასალების მიხედვით, ალვა//ალვისხე იყო სიცოცხლის ხე, მშვენიერი და სურნელოვანი, რომელიც სამოთხეში იდგა და რომლის ნაყოფის გემები ადამმა ვერ მოასწრო. „ვით ალვა ედემს რგულია“, ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანში“. ალვის ხეს იმ სასწაულებრივი წმიდა ხის მიმსგავსებით შეერქვა ეს სახელი.

ერთი ლექსის თანახმად ალვისხე წვერში ყურძენს ისხამს, რომლის გემება ყოველგვარი უბედურებისაგან იცავს ადამიანს. აი, ეს ლექსიც, რომელიც მრავალი ვარიანტით არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მთებში:

,,ჩვენი ბატონის კარზედა
ხე ალვად ამოსულაო,
წვერზე მოუსხამს ყურძენი,
საჭმელად ჩამოსულაო.

მისი უჭმელი ქალ-ვაჟი
უდროოდ დაშაულაო“.

ამ ლექსში მოთოლოგიურად არის გადმოცემული ქრისტიანული რელიგიის მთავარი საიდუმლო - ზიარება. ჩვენი ბატონი უფალი იესო ქრისტეა, მისი კარი - მისი ეკლესია, ალვად ამოსული ხე - საღვთო ლიტურგია, ყურძენი - ქრისტეს სისხლი, მისი უჭმელი ანუ უზიარებელი ქალ-ვაჟი კი - ევა და ადამი, რომელთაც ვერ მოასწრეს სიცოცხლის ხის ნაყოფის გემება და დაკარგეს უკვდავება, მარადიული სიცოცხლე (მითოლოგიური ლექსიკონი 2004: 8-9).

მეცნიერებაში არაერთი ნაშრომი და კვლევა არსებობს ხეთა თაყვანისცემისა და მისი დანიშნულების შესახებ. საქართველოში სალოცავებისა და ხატების გარშემო, ოდითგანვე მრავლად არსებობდა საკრალური ტყეები, რომლებიც წმიდა და შეუვალი იყო. ისინი ტაძრებისა და ღვთის კუთვნილებად ითვლებოდა. სამლოცველოს გარშემო ხის დარგვას ისეთივე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, როგორც მისთვის შეწირული ცხოველის დაკვლას. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ საქართველოს სხვადასხვა მხარეში წმიდა ხეებად ითვლებოდნენ მუხა, იფანი, ცაცხვი, ტირიფი, ვაზი და სხვა (ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1988: 170).

მკვლევართა შენიშვნით, წარმართული სარწმუნოების სიმბოლოები სიცოცხლის ხე და ჯვარი, ქრისტიანულ სარწმუნოებას თავისი მოძღვრების გადმოსაცემად წარმართული რელიგიიდან უსესხია, რის შედეგადაც ხე და ჯვარი მოგვევლინენ ადრექრისტიანულ სიმბოლიკებად (დავლიანიძე 1964: 94-95).

მცენარეთა, განსაკუთრებით ვაზის კულტის თაყვანისცემა საერთო კავკასიური მოვლენაა, ამიტომ მას თავისებური ასახვა ჰპოვა როგორც ზეპირსიტყვიერებაში, ასევე ქართულ მწერლობაში.

უძველეს ნიმუშებზე, ტაძრებზე, ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი, ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის ერთი უდიდესი სიმბოლო. ქართველებისათვის, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო ერისათვის, ვაზი ოდითგანვე შეადგენდა თაყვანისცემის სიმბოლოს. ვაზისა და მტევნის გამოხატვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნებზე, მემორიალური კულტურის ძეგლებსა და საეკლესიო არქიტექტურაში. ვაზისა და მტევნის გამოსახულება გვხვდება როგორც ამოკაწვრის წესით, ასევე მაღალი რელიეფით გამოყვანილი.

ვაზი ბუნების სიუხვის ერთერთი უძველესი სიმბოლო იყო მთელს ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეში. ძველ აღთქმაში ვაზმა განასახიერა - „ხე ცხოვრებისა“. ეს იყო პირველი მცენარე, რომელიც ნოემ წარღვნის შემდეგ დარგო, ხოლო გამოსვლათა წიგნში - პირველი ნიშანი იმისა, რომ ეგვიპტიდან გამოსულმა ებრაელებმა აღთქმულ მიწას მიაღწიეს. „ქრისტიანული ვაზი“ ძირეულად განსხვავდება იმ დიონისური სიმბოლიზმისაგან, რომელიც ღვინის ღვთაებას ბახუსის (დიონისეს) სახელს უკავშირდება და გრძნობადი, ჰედონური, ეროტიული კულტურის მთელს პლასტს ქმნის. ყურძენი და ხორბლის მარცვალი (ღვინო და პური) ევქარისტული სიმბოლოებია - იესო ქრისტეს სისხლისა და სხეულის აღმნიშვნელი. ქრისტიანულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ყურძნის მტევანი, ვაზი, პირველ ყოვლისა, სწორედ მკვდრეთით აღდგენის სიმბოლო იყო და მხოლოდ ამის შემდეგ - სიუხვის, სტუმართმოყვარეობის, შემოდგომის განსახიერება. ვაზი იოანეს სახარების მიხედვით თავად ქრისტეა; ქრისტე თავი თავს ხომ ვაზს უწოდებს , ხოლო მოწაფეებს კი ლერწამს: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მევენახეა“ (იოანე. 15:1) (ენციკლოპედია...2006 : 68-69) არა მხოლოდ ქრისტე, არამედ მოკვდავი ადამიანებიც ხშირად გაიგივებული იყვნენ ვაზთან „დანერგულიცა ვართ, ვითარცა ვენახნი საყურძნესსა ქრისტესა, რამეთუ იგი თავად არის ვენახი ჭეშმარიტი“. ქრისტიანებისათვის ვაზის გამოსახულებას უნდა ვუცქერდეთ, როგორც ზიარების სიმბოლურ გამოხატულებას. ვაზმა და ღვინომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართველი ერისათვის. იგი მისი კულტურის გამუყოფელ ნაწილად იქცა. ღვინოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქრისტიანულ რელიგიაშიც. ზიარებისას მიღებული პური და ღვინო ქრისტეს ხორცსა და სისხლთან ასოცირდება. განა თვითონ ქრისტესგან არ მოდის ეს ტრადიცია, როდესაც მან საიდუმლო სერობაზე 12 მოციქული აზიარა მის „სისხლსა და ხორცს“? საფლავის ქვებზე ვაზისა და მტევნის გამოსახულება ნიშნავს ზიარებას ქრისტესთან, იგია მუდმივობის გარანტია და ასახავს მიცვალებულთა კავშირს ცათა სასუფეველთან. ვაზი ფიგურირებს საქართველოს გაქრისტიანების ლეგენდაშიც. წმინდა ნინოს ვაზის ჯვარი საყოველთაოდ ცნობილია და განსაკუთრებული ქართველთათვის. ასევე მრავლად გვხდება ვაზის ორნამენტები ეკლესია–მონასტრებში

ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. როცა წმინდა ნინომ, საკუთარი თმით ვაზისგან შეკრა ჯვარი და იმით უქადაგა ქართლოსის ნათესავთ ქრისტეს რჯული. მას ეს მისია მარიამ ღვთისმშობელმა დაავალა და თავად ვაზის რტო მისცა საქადაგებლად, მაშინ როცა წმინდა ნინოს „იდუმალ ეხილვა“ ღვთისმშობელი. „ცხოვრება წმინდისა ნინოისი“ წერია - „მაშინ წმინდამან მარიამ ხელი მიჰყო ზედა კერძო ცხედარისა მისისა მყოფსა მას რტოსა ვაზისასა და მოჰკუეთა მისგან და შექმნა ჯუარი და მისცა ხელთა ქალწულსა მას და რქუა: ესე იყოს მცველი შენით და ამით სძლო ყოველთა წინამღდგომთა შენთა, და წარემართოს ქადაგებაი შენი, და მე ვიყო შენ თანა და არა დაგიტეო შენ. ესე რა იხილვა, განიღვიძა და აქუნდა ჯუარი ხელთაი მისთა“ (დევდარიანი, 2002:43).

წმ. ნინოს „ცხოვრებაში" ასევე მნიშვნელოვანია ის პასაჟი, რომელიც მოგვითხრობს განმარტოებით, მარტოდმარტო მდგომი ხის შესახებ: „და ოდეს მაუწყა აღმართებაი, წარვავლინენ ხურონი ძიებად ხესა. და ვითარ პოვეს ხეი ერთი, მარტოი მდგომარეი კლდესა ზედა, რომლისადა არა მიხებულ იყო ხელი კაცისაი, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისაი მის, რამეთუ ოდეს ირემს_რა ეცის ისარი, მიივლტიან ბორცუსა მას ქუეშე, რომელსა ზედა დგა ხეი იგი, და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისასა ჩამოცვვნებულსა და სიკუდილისაგან განერის" („მოქცევაჲ ქართლისაჲ" 1964: 159). წარმოდგენილი ციტატის მიხედვით, მარტო მდგომარე ხე იყო საკულტო, რომელიც მდგარა მაღალ კლდეზე, მიწაზე დაცვენილი მისი თესლი კი ირმების მკურნალად გვევლინება, და რადგანაც ის კურნავს ირმებს, არის სიცოცხლის ხე, რომლის მოჭრის შემდეგაც მისგან გააკეთეს სამი ჯვარი და აღმართეს სამ უმთავრეს მთაზე (სირაძე 1987: 112 _ 125). საზოგადოდ ხეთა თაყვანისცემა დაკავშირებულია მნათობთა თაყვანისცემასთან, ამის გამო, როგორც სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, არსებობდა სხვადასხვა ჯიშის ხე, რომლებიც, წარმართული რწმენა_წარმოდგენების მიხედვით, ითვლებოდა და განასახიერებდა მზეს (მაკალათია 1927 : 36).

მკვლევარ რ. სირაძის მიხედვით, წმ. ნინოს სახესთან მჭიდროდაა დაკავშირებული ხის კულტი, განსაკუთრებით კი ვაზი, რომელიც საკრალური ხეა. წმ. ნინომ ვაზის ხისგან გააკეთა ჯვარი, რო-

მელიც მაყვლოვანში დაიდგა, წარმართული რწმენით კი ვაზი მზესთან ასოცირდებოდა. დასახელებული მკვლევარი წმ. ნინოს ჯვარში ქრისტიანული იდეის წარმართულ კულტთან შეგუებას ხედავს (სირაძე 1987:111_115).

ქრისტიანობაში ვაზის მითოსური საწყისმა, ფუნქცია კი არ დაკარგა პირიქით, ამაღლდა მის პირველსაწყისს ჯვრის სიმბოლიკა და სიწმინდე შეერწყა. სწორედ, ქართველების გამაერთიანებელი და გამაქრისტიანებელია ვაზის ჯვარი, წმიდა ნინოს ჯვარი, ვაზის რტოებისა და უბიწო ქალწულის ნინოს თმის ნაზავი, რომელიც თავისი სიმბოლიკით ქრისტიანულ იდეოლოგიასთან მჭიდროდაა დაკავშირებული.

ვაზი, არა მარტო ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში, არამედ ქრისტიანულ რელიგიაშიც მიაზრება წმინდა ხედ. ის ეკლესია-ტაძრების „უძველეს ქართულ ჩუქურთმაშიც იჩენს თავს, რომელიც გამოხატავს მზიურ მოძრაობას და მზის ძალას. ვაზი, წინაქრისტიანული რწმენის მიხედვით, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო მზესთან და მიიჩნეოდა მის სწორფრად. ასე რომ, ვაზი, მითოსური რწმენით, ღვთაებრივი მცენარე იყო (სირაძე 1987: 140 _ 141).

ვაზის სიმბოლიკა რომ ღვთის მადლს მოასწავებდა, ამიტომაც სოდომის ცოდვილ მიწაზე ყურძენი საჭმელად უვარგისი იყო. მოსეს რჯულდებით, ნებისმიერ გამვლელს შეძლო ეჭამა ყურძენი სხვისი ვენახიდან, ოღონდ სახლში არ უნდა წაეღო ნაყოფი, მხოლოდ და მხოლოდ წყურვილი უნდა მოეკლა. რთველი - ყურძნის მოსავლის აღება, ბიბლიური გაგებით, დღესასწაულად ითვლებოდა: არ შეიძლებოდა ყურძნის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს ეკრძალებოდათ რთველში მონაწილეობის მიღება (სიმბოლოთა ენციკლოპედია...2006 : 69).

აჭარაში ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის პერიოდში დაქვეითდა მევენახეობა-მეღვინეობა, მაგრამ აჭარლებმა მაინც შემოინახეს მეურნეობის ამ დარგის ბევრი ძირძველი ტრადიცია (კახიძე, 1974:97). მათ შორის საინტერესოა, ამ კუთხის აგრარული ყოფის ერთ-ერთი რიტუალი -,,ვენახის დალოცვა“. იგი იმარტებოდა ყურძნის დამწიფების დროს. ამ დროს აქ აცხობდნენ სპეციალურ კვერებს. სამი ასეთი კვერი მიჰქონდათ ვენახში, იქ მიწაში ჩაფლავდნენ და დაილოცებოდნენ: „ღმერთო ყურძნის ბევრი მოსავა-

ლი მოგვეცი, ღვინო კარგი და მაგარი!“ გადაიწერდნენ პირჯვარს და დალოცვას სამჯერ გაიმეორებდნენ (ლომთათიძე, 2014: 84).

ერთობ მნიშვნელოვანია, ექვთიმე თაყაიშვილის მიერ 1917 წლის ექსპედიცის დროს ჩაწერილი მასალები: „პარხალის გამაჰმადიანებულ ქართველებში რთველის დღესასწაულთან დაკავშირებით აქაურები, ტან-გახდილი ჭაბუკები ფერხულს ცეკვავენ დ ყურძნის მტევნებს იკიდებენ ტანზე. ეს წესი პარხალს ქვემოთ სოფლებში-ღა შემორჩენოდა, თვით პარხალში კი მოლები უკრძალავენ ახალგაზრდებს ტანთ გახდას. ეს გაშიშვლებული ვაჟები ჩვენებური აგუნას და კლასიკური ბახუსის თანამგზავრებს მოგვაგონებენ (თაყაიშვილი, 1960: 83). ეს სხვა მსგავსი რიტუალი ქმედებები ერთხელ კიდევ ადსტურებს ვაზის კულტს საქართველოში.

მართლაც, ვაზი საქართველოს ყველა რეგიონში ღვთაებრივ მცენარეედ მიიჩნეოდა.

საქართველოს სხვა გამაჰმადიანებული პროვინციების მოსახლეობის მსგავსად, აჭარამ, არა მარტო მევენახეობა, არამედ მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებით წეს-ჩვეულებებიც შემმოინახა: აქ სასტიკად იკრძალებოდა ვაზის მოჭრა, დიდ ცოდვად ითვლებოდა მისი გამხმარი ღეროს დაწვა. პატარა ლერწის გატეხვსაც კი ერიდებოდნენ. თუ ეს მოხდებოდა, სითხის (წვენის) გამოსვლას ვაზის „ტირილს“ უწოდებდნენ და ცუდად მიიჩნევდნენ (ვარშალომიძე, 1979: 67).

აჭარელთა რწმენა-წარმოდგენებში ეს და სხვა ტრადიციები დღესაც უცვლელია_ ვაზის ტოტების (გასხლული რტოების) გამოყენება და დაწვა დაუშვბელია. ინფორმატორთა აზრით, „მისი ტოტები კარგად არ იწვება“, ნაწილი კი თვლის „მისი დაწვა ცოდვაა“, მაგრამ რატომ? ხშირად კითხვა პასუხგაუცემელი რჩება. მათი პასუხი კი შემდეგია: „წინაპრები იტყოდნენ მის დაწვას რაღაც ცუდი მოჰყვებაო“(ნ. მიქელაძის პირადი არქივი).

ვაზის საკრალური დანიშნულება კარგად ჩანს ამ კუთხის ეთნოკულტურაშიც. კერძოდ, შუახევის რაიონის, სოფელ ნენიის ეთნონიმუშები ვაზი ასოცირდება სიწმინდესთან. აქაურთა ნაქარგებში ხშირია ყურძნის მტევანთა გამოსახულებები, რასაც მათვის ბედნიერების მოტანა შეეძლო(ნ. მიქელაძის პირადი არქივი).

ასევე სამკურნალო თვისებებს მიაწერენ ვაზის რტოებიდან გამონადენ სითხეს. გაზაფხულზე, აპრილის ბოლოსა და მაისის თვის

დასაწყისში, ზემო აჭარის მოსახლეობა განსაკუთრებულ მოწიწებას გამოხატავდნენ გასხლული ვაზის მიმართ. გასხლული ვაზის ყლორტზე, ტოტზე მიამაგრებდნენ ქილას, რომელშიც რტოებიდან გამომოსული „ცრემლები“ გროვდებოდა. დაგროვილ მასალას ოჯახი სამკურნალო დანიშნულებისთვის იყენებდა: დაავადებული ბავშვის (წმინდანი, გვეჯო და სხვა), სახსრებით დაავადებული ადამიანის განსაბანველად. მას სამჯერ გადაასხამდნენ ან აბანავებდნენ. „ცრემლები“ ანუ ვაზის სითხე თმების გასაზრდელადაც გამოიყენებოდა(ნ. მიქელაძის პირადი არქივი).

ქობულეთის ზეპირსიტყვიერებაში, სხვა რეგიონისაგან განსხვავებით, ვაზის კულტს უძველეს შრეებამდე მივყავართ. 80 წლის ქალბატონი შურას გადმოცემით ვაზი ის მცენარეა, რომლითაც პირველად შეიმოსა ევა (თუმცა სხვათა მოსაზრებით ეს მცენარე არა ვაზი, არამედ ლეღვი იყო). უხუცესის სიტყვებით, ადამიანი ვაზის ხესთან საშვილიშვილოდ დავალებულია, განსაკუთრებით კი ქალი. ის მან ცოდვისაგან, სიშიშვლისაგან დაიფარა (ექსპედიციის მასალები, ნ.მიქელაძე). მსგავს გადმოცემებს, შესაძლოა, ანაქრონიზმებამდე მივყავდეთ, თუმცა ისინი ფოლკლორული თვალსაზრისით ერთობ ღირებულია.

გასათვალისწინებელია, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეში შემონახული რწმენა-წარმოდგენა, სადაც ვაზისაგან გაკეთებულ ჯვარს მაგიური დანიშნულება გააჩნია: „ ადამიანს როცა რამე ნივთი, სულიერი არსება დაეკარგებოდა, მას მოძებნაში დაეხმარებოდა და აპოვნინებდა მათ მიერ გაკეთებული ნივთი, რომელსაც „ჯაზი“ ერქვა. მას შემდეგნაირად აკეთებდნენ. აიღებდნენ, ვაზის(ან სხვა ხისაც შეიძლებოდა თუ ვერ ნახავდა რტოს//ტოტს) ორ რტოს გადააჯვარედინებდნენ, ჯვრის ფორმას მისცემდნენ და შეევედრებოდნენ დაკარგული ნივთი მაპოვნინეო. მათი ღრმა რწმენით, ჯვარი დაკარგულ ნივთს აპოვნინებდა(ო. თედორაძე, დაბ. სოფელ ერგეს ერთ-ერთი უბანში, ზემო ჯოჯოში, მცხ. დაბა ხელვაჩაურში 57წ.). ასეთ ნივთს დედამისი და თანასოფლელები ხშირად აკეთებდნენ. ამ ნივთის დახმარებით ისინი დაკარგულ ქონებას ყოველთვის პოულობდნენ.

ქართველ ეთნოგრაფთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოს მთიანეთში არსებული რწმენა _ წარმოდგენები სინკრეტული ხასიათისაა. გარეგნულად აქ თითქოს ქრისტიანობა გვქონდა, მაგრამ სინამდვილეში ერთმა-

ნეთთან შერწყმული იყო წარმართული (ქრისტიანობამდელი) რწმენა _ გარდასახა, რაც გამოიხატა სამი ჯვრის გამოთლით და მათი აღმართვით (სირაძე 1987: 108).

ამ ტენდენციამ თავი იჩინა წმიდა ნინოს ჯვარში, რომელიც საქართველოს განმანათლებელმა თავისი თმისგან შეკრა, რომლის შესახებაც რ. სირაძე წერს: „მივიღეთ ქართული მითოლოგემა_სიმბოლო „ჯვარი_ვაზისა". მასში შერწყმულია ქართული წარმართული ესთეტიკური წარსული და ქრისტიანული აწმყო, ამ სახეში ჩანს ქრისტიანობაც და ქართული მითოსიც, ცხადია, ქრისტიანულად გადააზრებული" (სირაძე 1984: 148 _ 150)

აღნიშნულიდან გამომდინარე ვაზი იყო არის და იქნება, ის მცენარე, რომელიც უძველესი ცივილური ვაზის თაყვანისცემიდან მომდინარეობს. ყურადსაღების ის ფაქტიც რომ, საქართველს გარდა, მართლაც არც ერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი" ისეთი სახით, როგორიცაა ქართულ რეალობაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბარამიძე, 1966:** ბარამიძე რ., ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, „ლიტერატურა და ხელოვნება", თბ.,
2. **ბარდაველიძე 1941**: ბარდაველიძე ვ., ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, (ღვთაება ბარბარ-ბაბარ) საქართველოს სსრ მეც. აკად. გამომცემლობა, თბ.,
3. **ბარდაველიძე, 1974**: ბარდაველიძე ვ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ_ საკულტო ძეგლები, ტ. I, „ფშავი", თბ.,
4. **დავლიანიძე, 1967:** დავლიანიძე ც., 1941 წ.შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი მცხეთაში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII-B, თბ.,
5. დევდარიანი, 2002: დევდარიანი რ., ქრისტიანული მწერლობის საკიტხები „ნინოს ცხოვრება", ქუთაისი.,
6. **ვარშალომიძე, 1979 :** ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, გამ. „საბჭოთა აჭარა", ბათ.,

7. **თაყაიშვილი, 1960:** თაყაიშვილი ე., 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ.,
8. **კახიძე, 1974 :** კახიძე ნ., მაჭახლის ხეობა, ბათ.,
9. **ლომთათიძე, 2014:** ლომთათიძე თ., ხალხური აგრარული კალენდარული წეს-ჩვეულებები აჭარაში, გამ. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,ბათ.,
10. **მაკალათია, 1927:** მაკალათია ს., ახალწელიწადი საქართველოში, თბ.,
11. **მითოლოგიური ლექსიკონი 2004:** კიკნაძე ზ., გამ „ბაკმი“.
12. **მიქელაძე 2011**: მიქელაძე ნ., შუახევის რაიონის ექსპედიციის მასალები.
13. **მიქელაძე 2012**: მიქელაძე ნ., ხულოს რაიონის ექსპედიციის მასალები.
14. **მიქელაძე 2015**: მიქელაძე ნ., ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამ.,,უნივერსალი“, თბ. ,
15. **მიქელაძე 2017**: მიქელაძე ნ., საკმევლის დამზადებასთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენცია)
16. **მიქელაძე 2017**: მიქელაძე ნ., ქობულეთის რაიონის ექსპედიციის მასალები.
17. **სიმბოლოთა ენციკლოპედია...2006** : აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ.,გამ „ბაკმი“.
18. **სირაძე 1984**: სირაძე რ.,ქართული ესთეტიკის სპეციფიკისათვის, მზის ესთეტიკა, „ცისკარი“ #, თბ.,
19. **სირაძე 1987**: სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ.,
20. **სურგულაძე, 1968:** სურგულაძე ი., ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, მეცნიერებათა აკადემია, თბ.,
21. **ხაზარაძე, ცაგარეიშვილი 1988:** ხაზარაძე ნ., ცაგარეიშვილი თ., ხეთურ—ქართული მითოლოგიური პარალელები (ეია — ურთხელი), მნათობი, 1988, №2..
22. **მოქცევაი ქართლისა 1964**: „მოქცევაი ქართლისაი", „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები”, წ. I, (V _

XIII), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964

Naile Mikeladze

Legends Connected with Vine in Georgian Folklore
Summary

Worshipping of plants, especially vine is common in the Caucasus. That is why it is distinctively reflected in the Georgian folklore, as well as in the Georgian literature.

Vine has always been thought as a holy plant in Georgia. Its holiness is expressed not only in folk beliefs and imaginations, but also the Christian religion considers it as a holy plant.

Accordingly, the vine is a plant that is related to the cult of vine. It is noteworthy that the cross of the vines in the pagan Georgia was also a divine symbol, a sacrament of secrets, the crucifixion of which became the spiritual culture of the nation. It is also significant that except Georgia, there is no `cult of vine" in any Christian country. The sacred purpose of vine is evident in the ethno-culture of this region. The holiness of vine is associated with creating ethnographic samples; and we can give a number of cases on this point of view. For the Georgians as the oldest tiller nation, the vine has been the symbol of worship from time ancient times.

In the presented work we talk about the purpose of the vine cult and its importance in the Georgian folklore

თეონა აბულაძე

ქართული კულტურის ასახვა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

პონტოელი ბერძნები აჭარის შავიზღვისპირეთში დღემდე მკვიდრობენ. ბერძნებმა ჯერ კიდევ ანატოლიაში ყოფნისას გაითავისეს ადგილობრივთა კულტურისთვის დამახასიათებელი ყოფითი ელემენტები, რომლებიც, ბუნებრივია, თან წაიღეს განსახლების ჟამს. საქართველოში ჩამოსახლებულ ბერძნებს ახალი გარემო, ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ტრადიციული ყოფა დახვდათ და ახალი კულტურის გავლენის ქვეშ მოექცნენ.

კულტურული ინტეგრაცია გარდა ენისა, ტრადიციულ ყოფაშიც აისახა, რაც ბერძენთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩანს. ადგილი აქვს კულტურათა სინთეზის, შერწყმის პროცესს.

პონტოელმა ბერძნებმა, შეიძლება ითქვას, საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული ფასეულობები ჩამოიტანეს, რაც მათ ყოველდღიურ ყოფასა თუ მატერიალურ და სულიერ კულტურაში, დარგობრივ ლექსიკაში გამოიხატებოდა. ამასთან ერთად, პონტოელ ბერძენთა ცხოვრებაში განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა, ბუნებრივია, თავისი კვალი დაამჩნია როგორც მათ ყოფას, მეტყველებას, ასევე კულტურასა და მსოფლმხედველობას. მათ წლების განმავლობაში უხდებოდათ ბრძოლა საკუთარი მეობის, იდენტობის შესანარჩუნებლად და ადგილის დასამკვიდრებლად უცხო გარემოში.

ზღვისპირეთში ბერძნების მიერ დაარსებული არაერთი დასახლება, ადგილობრივ მოსახლეობასთან კულტურულ ინტეგრაციას უწყობდა ხელს. მათ განიცადეს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისა და კულტურის სერიოზული გავლენა, მაგრამ, ამასთანავე, ადგილობრივი მოსახლეობა მათგან საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მეცნიერულ ცოდნა-გამოცდილებას ითვისებდა (პონტოელი ბერძნები აჭარაში, 2017:312).

ბერძნული ეთნიკური ჯგუფები თითქოს იზოლირებულად ვითარდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მიმდინარეობდა კულტურა-

თა შერწყმის პროცესი, რაც ერთობლივ ტრადიციულ სტერეოტიპებს ქმნიდა.

ბუნებრივია, უცხო გარემოში თანაცხოვრებისას, ხშირ შემთხვევაში, ტრადიციული კულტურის წიაღში მემკვიდრეობითი ღირებულებები ცვლილებას განიცდის. საქართველოში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ტრადიციული იერსახე ამგვარი ცვალებადობის ნათელ მაგალითს წარმოადგენს.

საველე მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ ბერძენი მოსახლეობა საკუთარი ტრადიციების ფონზე ქართული ყოფისთვის ნიშანდობლივ წესჩვეულებებს, სამეურნეო ცხოვრებისთვის დამახასიათებელ კულტურას ითვისებდა და საკუთარ კულტურასთან სინთეზის საფუძველზე ამდიდრებდა. დასტურად არაერთი მაგალითის მოტანა შეგვიძლია ბერძენთა ამჟამინდელი ყოფიდან.

ქართულ-ბერძნული ურთიერთობების შედეგი უნდა იყოს ბერძენთა ყოფაში გავრცელებული ავადმყოფობის შესაძლო განკურნება შელოცვის ძალით. სხვადასხვა დაავადების შელოცვები ბერძნებსაც სცოდნიათ, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამჟამად შელოცვისთვის პონტოელი მიდის მეზობლად მცხოვრებ ეროვნებით ქართველთან, რომლის შელოცვაც მისივე თქმით „შველის“: „ხანდახან თვალი მეცემა, ცუდათ ვარ, ვითომ კტარი ვარ, აქ შვიდობა. აქ მეზობელთან ვიარები, იცის ლოცვა აჭარელია და ახლა მეᲮნათლა, იცის ლოცვა და.. ხო შველის, რომ დეᲮწყოფს ლოცვას, მილოცავს ერთ ნახევარ საათში, დეᲮსვენებ ლოგინში, დავწვები მდივანზე, გიმიარს (ელენე ქსანდოპულო, კვირიკე)“.

პონტოელ ბერძნებში საქონლის შელოცვის შემთხვევებიც ხშირია, ძირითადად შეულოცავენ მარილით, რომელსაც ძროხის საჭმელში შეურევენ და აჭმევენ: „მარილით ლოცავს, მარილით კითხულოფს, ლოცავს ხომ, ი მარილი ჩავასხამ ნაცხში და ვაჭმევ“ (ელენე ქსანდოპულო, კვირიკე). მსგავსი ტრადიცია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდაა გავრცელებული, ზემოაჭარაში მარილს, წყალს, პურის ნაჭერს... შეულოცავენ, აჭმევენ „თვალნაცემ“ პირუტყვს.

შელოცვები ვინმე ბერძენ, აწ გარდაცვლილ ალაია ჩილინგარიდსაც სცოდნია, „კურნალობდა ვიცხა შეეშინდებოდა, შეიძლება

ზოგი გველი შეხდება, შეიძლება გადავარდებოდა, ხანდახან ვერ ძინავს. ამნაირათ კურნალობდა მაი ქალი. კონდა იგი, ნაქარგები და ციგნი ღმერთის, კითხულობდა“.

ალაია ჩილინგარიდს კარგად სცოდნია მოტეხილობის მკურნალობაც. კვერცხითა და ფქვილით აკეთებდა რაღაცას, თუმცა რას აკეთებდა, აღარ ახსოვს და იმით შეახვევდა მოტეხილ ადგილს, რაც განკურნების ერთგვარი საშუალება იყო. -ეს იმგვარი „წამალი“ უნდა იყოს, რასაც ზემოაჭარაში ზუთხს ეძახიან - ზუთხი გავაკეთე და დავაკარ მოტეხილობაზეო, - იტყვიან.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთათვის არც „უჯმური“ და მასთან დაკავშირებული შელოცვებია უცხო: „-მაᲥ არის ბავშვის საცხა რომ გეიარს, ღელეა, რაცხა იარს და შეეშინდება ბაღანა, არ დეიძინებს, - აი ამბობენ უჯმურია“ (კვირკე). უჯმური და მასთან დაკავშირებული წესები ფართოდაა გავრცელებული აჭარულში. აღნიშნავენ, რომ მსგავსი ტრადიცია აჭარლებისგან შეითვისეს, ეს ტრადიცია ბერძნული არ არის.

აჭარულში - უჟმურ წაკრა, პირს აღებიებს, ავათ გახდება, გულ მუურევს, ემენ, ბნედას დეიწყობს, - ეს ის ძირითადი სიპტომებია, რაც უჟმურის დაავადებაზე - მიუთითებდა, რასაც სხვადასხვა საშუალებებით მკურნალობენ. შესალოცად წყალს იყენებდნენ, რომლზეც შვიდ, ცხრა, ან ორმოც ქალს უნდა შეელოცა, შელოცვილი წყალი კი ავადმყოფს უნდა დაელია და წყლით დაებანა. უჟმურთან დაკავშირებით დახჩოლვის რიტუალსაც ასრულებდნენ. „შვიდი კარი, შვიდი კარიზღული, შვიდი სოია, ესენი ამხელვანათ მოგეთალანა. წინწკალ გამევღებდით სობიდან ასტამზე და იმ წინწკალზე დავყრიდით ამ ამას, ფქვილს და იაღსაც მუუტოლებდით, ფუჭი იყო წინწინ, სანთლიდან აკეთებდენ.. ისიც კაი იყო დახჩოლება, იმასაც დავდებდით და დუუხჩოლებდით“ (სევიე აბულაძე, ზემო აჭარა). აღნიშნული რიტუალი ადგილობრივი ბერძნებისთვის უცხო არ არის, თუმცა თავად რიტუალის წესებს კარგად ვერ იხსენებენ.

ქართული სამზარეულო საკმაოდ კარგად აქვთ შეთვისებული და იგი ყოველდღიური ყოფის ნაწილია. ერთ-ერთი ბერძენი, ელენე ქსანდოპულო აღნიშნავს, რომ მისთვის კერძების მომზადება არა-

ვის უსწავლებია, ისწავლა ურთიერთობების შედეგად: „ქორწილები რომ ვიხდოდით, აკეთებს ხალხი, ვიყურეფ შენ, რაფერ აკეთებოდით ტოლმა, რას ურევ, იგი რას აკეთებოდა ხაჩაპურის ცომი ამას ვიყურებოდი, იმის რაფერ აკეთებოდა ქათმის საცივი და ამნაირათ ვისტავლე“.

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარიდან საბერძნეთში საცხოვრებლად წასულ ბერძნებს თან მიაქვთ მათ ყოფაცხოვრებაში, ცნობიერებაში არსებული ქართული კულტურის ელემენტები. ქორწილებს საბერძნეთში ქართული ტრადიციის მიხედვით ატარებენ, არც კერძები ავიწყდებათ „ხაჭაპური, საცივი, შაშლიკები...“, რაც საბერძნეთში, ადგილობრივ ბერძენთა გაკვირვებას იწვევს: „ამდენი ხარჯი, ასეთი დიდი ქორწილები“ უცხოა მათთვის, თუმცა საქართველოდან წასულ პონტოელ ბერძნებს პასუხი აქვთ - „ჩვენ იქ ისე ვიყავით და აქაც ვაკეთებთ ისე, როგორც აქა ვასრულებდით ქორწილის წესებს, ისე იქ ვასრულებთ“ (დაგვა);

„ხან შაშლიკი, ხან სალიანკა, ქათამი, მე დაჟე ის ვაკეთებ ბავშვებს ხინკალი, საცივს, ყველაფერს ვაკეთებთ, ჭამენ ჩემი ბავშები“. - აღნიშნავს საბერძნეთიდან ამჟამად სტუმრად ჩამოსული ბერძენი მარია დელიანიდი-სალვარიდი.

ახალ წელს „კექსსავით“ ნამცხვარს აცხობენ, რაშიც „კაპეკს“ ჩადებენ. დაჭრიან იმდენ ნაჭრად, რამდენი წევრიც არის ოჯახის ერთის დამატებით, ვინაიდან „პირველი ღმერთისაა“. მეორე ნაჭერი დიასახლისს ეკუთვნის, შემდეგი - ბავშვებს. ვინც „კაპეკს“ იპოვის, ის იმ წელს ბედნიერი იქნება. მსგავსი ტრადიცია საქართველოშიცაა გავრცელებული, ზემოაჭარაში კექსის ნაცვლად, ხაჭაპურს აცხობენ.

აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა ყოფითი სამყარო ძალიან ჩამოგავდა ქართულ წეს-ჩვეულებათა ციკლს, რაც, ვფიქრობთ, არამარტო ხანგრძლივმა კულტურულ-ისტორიულმა ურთიერთობებმა განაპირობა, არამედ მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა რელიგიურმა ფაქტორმაც.

აჭარაში მცხოვრები ბერძნები მსხვერპლშეწირვის რიტუალს ბაირამს ეძახიან, თუმცა რიტუალის წეს–ჩვეულებები ძირითადად ისეთივეა, როგორიც მართლმადიდებლური საზოგადოებისთვის

მიღებული. აქვე აღნიშნავენ, რომ ბაირამს პონტოურად ბანოირ ქვია - „ბანოირ იყო პონტიურად, ბანოირ“.

ბაირამი - დღესასწაული - სიტყვა ნასესხებია თურქულიდან. სიტყვის წარმოამვლობაზე მეცნიერებს სხვადასახვა აზრი აქვთ გამოთქმული (იხ. სარფი, 2015:509). ეს სიტყვა თურქულის გზით ბევრ ენაშია შესული, მათ შორის პონტოურშიც.

საინტერესოა წარმართული რელიგიური დღესასწაულები – კერძოდ, მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ძირითადად გიორგობის დღესასწაულზე სწირავენ ცხვარს. მათივე მონათხრობით: „ბაღნები იყო პატარები, ავადები და მე დაპირდი გიორგობას, რომ უნდა დაკლა“ – საინტერესოა თვით სახელწოდება, მოიხსენიებენ, როგორც ღურბანი < ყურბანი. რიტუალი თავისი შინაარსით წარმართულია, მაგრამ დღემდე ასრულებენ, თუმცა სახელწოდება თურქულიდან შეუთვისებიათ.

ცხვრის დაკვლა შეპირებას უკავშირდება. – როგორც ჩანს, ეს რიტუალი თურქულიდან აქვთ გადმოღებული, თუმცა წინარექრისტიანული ელემენტებით გაჯერებული. აღნიშნავენ, რომ ეს ბერძნული ტრადიცია არაა, იქაური ბერძნები ამ წესს არ იცავენ, თუმცა სჯერათ და მთელი რუდუნებით ასრულებენ მას, თავს ვალდებულად თვლიან, რაკი შეჰპირდნენ უფალს შვილების და სხვათა ჯანმრთელობის სანაცვლოდ, უნდა შეასრულონ კიდეც, „ღურბანე ეკანე“ - ყურბანი გავაკეთე.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ტრადიცია არ არის საბერძნეთის მკვიდრთა ცხოვრებაში მიღებული. ეს ტრადიცია თურქულიდან აჭარულის გზით შეითვისეს, თუ თურქეთიდან მიგრირებულმა ბერძნებმა ჯერ კიდევ ანატოლიაში ცხოვრებისას გაითავისეს ძნელი სათქმელია, თუმცა ფაქტია, აჭარის შავიზღვისპირეთიდან წასული, ამჟამად საბერძნეთში მცხოვრები პონტოელი ბერძნები ე.წ. ღურბანის რიტუალის ჩასატარებლად აჭარაში მოდიან და ასრულებენ.

კულტურათა კომუნიკაციების შედეგია პონტოელთა ენაში გავრცელებული ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები, ანეგდოტები, რომლებიც, ვფიქობთ, უფრო ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

მაგ: ამის ოჯახები ანათებს იქა, წითელ ოქტომბერში, ძმები მოხელეები და თელი ამბები, – შეძლებული ოჯახიდან არისო, ამას ნიშნავს.

ჭადის სახელი დამავიწყდა ..

ცუდი მეზობელი შორეულ ძმას ჯობიაო.

მთავარი სტამბოლი ხოჯა მე ვარ აქ! - მთავარი წარმოამდგენელი მე ვარ;

სულს ვათრევთ და ...;

-რაღაცა გული შემსტკივა;

სისხლი ვფურთ(ხ)ე;

ჩაიცვი ის ქუდი, ყველას რომ აცვია, -ეს ბაბუას სიტყვებია - აღნიშნავს სოფ. კვირიკის მკვიდრი ხრისტო ქსანდოპულო, რაც ისეთივეა, როგორიც „სადაც წახვალ იქაური ქუდი დაიხურეო;

შვილისთვინ ღელიხუხუნია - ზედმეტია საუბარი;

აჭარის შავიზღვისპირეთის ქართულ კულტურას ნებსით თუ უნებლიეთ განსაკუთრებული როლი აქვს პონტოელ ბერძნეთა ცხოვრებაში.

აქ მცხოვრებ ბერძენთა უმეტესი ნაწილი საქართველოს მოიხსენიებს როგორც მათ კუთხეს. უფრო მეტიც, საქართველოდან წასული ერთ-ერთი ბერძენი, რომელიც ჩვენს ქვეყანას ზაფხულობით სტუმრობს, აღნიშნავს: „საბერძნეთი არის ლამაზი, მაგრამ ჩვენი არაა, ჩვენ აქ ვარ მიჩვეული, დაბადებული, აქ გევიზარდე, ოზდახუთი წელი იქეთა(ა) ჩემი ოჯახობა, შვილი, შვილიშვილი, მაგრამ სიზმარი ჯერ არ მინახია, რომ მე იქ ვარ, სულ აქეთ ვარ, ჩვენი კუთხე, ჩვენი საქართველო..“.

„ვიყავი წასული საბერძნეთში, შვილები იქ არიან, მაგრამ ვერ გავძელი, ჩემ სახში დავბრუნდი, სამშობლოში.. სადაც ჩემი დედმამა დაიბადა, სადაც ფეხი ავიდგი, ჩემი სამშობლო იქ არის, საქართველოა, აქ არის ჩემი მამა-პაპათა საფლავები.. ვისაც ჩამოსლა უნდა, ვერ ჩამოდის, რომ მაინც მოინახულონ მათი სამშობლო“.. - იხსენებს ადგილობრივი ბერძენი, გვარად პოლიტოვა.

ადგილობრივ პონტოელ ბერძენთა და არა მარტო ადგილობრივ, არამედ საქართველოდან წასულ ბერძენთა დიდ ნაწილში,

ფაქტია, დღემდე რჩება იმის განცდა, რომ კვირიკე, დაგვა, ახალ-შენი და ა.შ. მათი კუთხეა, მათი სამშობლოა.

აჭარაში მცხოვრები პონტოელი ბერძნების მსოფლმხედველობა, ალბათ, არცაა გასაკვირი, ქართულ მიწაზე დაიბადნენ, ქართულ გარემოში გაიზარდნენ და ბუნებრივიცაა, უყვარდეთ, ან მათ კუთხედ მიაჩნდეთ საქართველო. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამისა, ისინი დღემდე ცდილობენ შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა, ტრადიციები, ფასეულობები.

საქართველოს, როგორც პონტოელ ბერძენთა მეორე სამშობლოს სიყვარულის შედეგია ის „ცრემლები“, რომლებიც საბერძნეთში შვილებთან სტუმრად ჩასულ ბერძენს თვალებს უსველებს, ტელევიზორში „ქობულეთის“ ხსენებისას - „სიყვარულის ცრემლები-მიწა მეძახის მე“ (ხრისტო, კვირიკე) და ბერძენთა და ქართველთა კეთილმეზობლური ურთიერთობების შედეგი ათქმევინებს სწორედ ერთ-ერთ ბერძენს: „მეგობრობა და მშვიდობა რომ გულში შეინახოს ადამიანმა, პენსიაც არ დასჭირდება, ისე იცოცხლებსო, ისეთი მეგობრობა გვაქ, - ჩვენ ერთად გაზრდილი ხალხი ვართ, ასეთ მეგობრობას ყველგან ვერ ნახავთ, ჩვენთან რომ არის აქა“ და რომ „ქობულეთს სხვანაირი სუნი აქვს“ (დაგვა).

ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, აღზრდით, ტრადიციებით, ენით, რომელზეც საუბრობს და აზროვნებს. თუმცა წლების განმავლობაში ხდება ბევრი რამის გადააზრება, გადაფასება, ახლის შექმნა, რის ნათელ მაგალითსაც ბერძენთა ყოფის ამსახველი მასალა წარმოადგენს-ყველაფერი ეს ენაში აისახება. ფაქტი ერთია, ქართული ენის, კულტურის გავლენა დიდია, თუმცა გავლენათა ფონზე შენარჩუნებული აქვთ საკუთარი იდენტობის, მეობის ამსახველი ბევრი ელემენტი, რაც ცალკე კვლევის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურქულ-ქართული ლექსიკონი, მის.: https://ka.glosbe.com/tr/ka;
2. „პონტოელი ბერძნები აჭარაში, წარსული და თანამედროვეობა“, ბათუმი, 2017;
3. „სარფი“, ბათუმი, 2015;
4. ქეგლ: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, მის.: http://ena.ge/;

Teona Abuladze

Reflection of Georgian culture in Pontus Greeks living in Ajara

Summary

The work deals with Georgian-Greek cultural relations, in particular the influences of cultures, cultural borrowings revealed in the Greek language of the Pontolians living in Ajara.

ნანული ნოღაიდელი

საქორწინო ტრადიციის ამსახველი რამდენიმე ხატოვანი გამოთქმა აჭარულ დიალექტში

ერის ისტორიისა და კულტურის სრული სახით წარმოჩენისათვის აუცილებელია ტრადიციული კულტურული ღირებულებების შესწავლა. ასეთი კვლევა თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს ადრინდელ ვითარებას და დაგვანახებს იმ ინოვაციებს, რომლებიც თანდათან იჩენს თავს საზოგადოების ყოფაში. სოციალურ-კულტურული თუ სულიერი ყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ქორწინების ინსტიტუტი, რომლის შესასწავლადაც, ეთნოლოგიურ მონაცემებთან ერთად, გასათვალისწინებელია მასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალის კვლევაც. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში ქორწინების ინსტიტუტის შესახებ მრავალფეროვანი ლიტერატურა არსებობს, ამ დარგის ლექსიკურმა კვლევამ საშუალება მოგვცა, ბევრი ისეთი ტერმინი და ხატოვანი გამოთქმა წარმოგვეჩინა, რომლებიც ამდიდრებენ, ამრავალფეროვნებენ უკვე შესწავლილ ეთნოლოგიურ მასალას და საშუალებას გვაძლევენ, უფრო ღრმად ჩავწვდეთ მათ არსს და მნიშვნელობას.

ქართველთა ყოფაში მიმდინარე ეპოქალური ცვლილებები ბევრ რამეს ცვლის საქორწინო წეს-ჩვეულებებშიც. ქორწინების თანამედროვე სახეც თანდათან იცვლება და რადიკალურად სცილდება ტრადიციული ქორწინების ფორმებს. დღეს ხალხში მოგონებადღა შემორჩა ისეთი წესები, როგორიცაა: აკვანში დანიშვნა, გაკითხვა-ნახველობა, აღდის გაკვეთა, ნიშანლობა და სხვ. თუმცა, მათი შესწავლა აუცილებელია საზოგადოების კულტურის ისტორიისათვის. ამჯერად ქორწინებასთან დაკავშირებით გამოვყოფთ რამდენიმე შესიტყვებას, რომლებიც ხატოვნად გვიხასიათებენ საქორწინო ტრადიციებთან დაკავშირებულ ზოგიერთ წესსა და ჩვეულებას.

საცოლედ თუ სარძლოდ ქალიშვილის შერჩევას, ***„შეგულებას“*** გოგოზე ***„თვალის დაკავებას“*** უწოდებენ.

ქალის მოწონების შემთხვევაში ხდებოდა საქმეში შუამავლის ჩართვა, რომელიც აგვარებდა ორ ოჯახს შორის ქორწინების საკითხს. იგი მიდიოდა ქალიშვილის ოჯახში და ოჯახს აცნობდა „შემგულებელთა“ სურვილს. საქმე ერთი მისვლით არ გადაწყდე-

ბოდა. თუ ოჯახს არ სურდა, ქალიშვილი დასახელებულ პირზე გაეთხოვებინა, შუამავალს უარით ისტუმრებდა. შუამავალი არ ანებებდა თავს. რამდენიმე მისვლისა და უარით გასტუმრების შემდეგ, თუ კიდევ მივიდოდა შუამავალი, მას სუფრას აღარ გაუწყობდნენ. ზოგან, კი, საბოლოო უარის ნიშნად, ოჯახის უფროსი ***„ჯოხს გატეხდა“*** და დადებდა სუფრაზე (შუახევი). ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილების ნიშანი იყო. „ჯოხის გატეხვის მემრე მურავი (მოურავი, შუამავალი) აღარ იკადრებდა მისვლასო“ - აღნიშნავენ ინფორმატორები. თუ საქმე მშვიდობიანად გადაწყდებოდა, ამბობდნენ ***„პირობა, სიტყვა გამოვიდა“*** (ბექაია, 74), ***„ამბავს თავი მუუთიკრეთ“*** (ქობულეთი), ***„საქმე მოვჭარითო“*** (ხელვაჩაური).

საქმის კეთილად დასრულების მოლოდინში მყოფ შუამავალს ზოგჯერ თან ჰქონდა ბეჭედი ან სხვა ნივთი და საბოლოო თანხმობის შემთხვევაში ***პირობის სიმაგრისთვის*** ბელგად, ბედ დაუტოვებდა ქალიშვილის მშობლებს. უმეტესად სიტყვიერი პირობაც საკმარისი იყო.

საქმის გადაწყვეტის შემდეგ დანიშნავდნენ ნიშნობის და ***ბოხჩის*** (თურქ.bohça მოკრულა, ფუთა) ***მიტანის*** დღეს. ბოხჩა საპატარძლოსთვის მისატანი აუცილებელი საჩუქრებია საქმროს ოჯახიდან.

დანიშნულ გოგონას, ქორწილი თუ დიდხანს ვერ გაიმართებოდა ან ასაკით იმდენად პატარა იყო, რომ ჯერ არ გაათხოვებდნენ, ნიშან-ბოხჩასთან ერთად მიუტანდნენ ტანსაცმელს და სხვა პირად ნივთებს, რომელიც დანიშნულ ქალს უნდა ეტარებინა და გამოეყენებინა. ამას საცვეთ ბოხჩას ეძახდნენ.

საინტერესოა ქართველთა უძველესი ყოფისა და საპატარძლოს შერჩევის ამსახველი ერთ-ერთი მომენტის დამახასიათებელი გამოთქმები: ***მტერობაში მოყვრობის ჩამოგდება*** და ***სისხლში მიცემული ქალი***. როცა ორ ოჯახს ან ორ გვარს შორის რაიმე მიზეზით მტრობა ჩამოვარდებოდა, გვარის თუ ოჯახის უხუცესი წევრები ცდილობდნენ ისინი ერთმანეთთან მოერიგებინათ. მტრობისა და სისხლისღვრის თავიდან აცილების ერთ-ერთი რეალური გზა დამოყვრება-დანათესავება იყო. გადაწყვეტდნენ „მტერობაში მოყვრობა ჩამოვაგდოთო“. ამიტომ ადრე უთანხმოებაში მყოფი ერთი ოჯახის ქალს მეორე ოჯახის, გვარის ვაჟზე გაათხოვებდნენ. ასეთი ქალი ორივე მხარისთვის პატივსაცემი პიროვნება ხდებოდა.

მას „სისხლში მიცემულ ქალს“ ეძახდნენ. იგი ***სისხლს წმენდდა*** ორივე ოჯახს, ორივე გვარს.

ქალს, რომელსაც ბევრი ***მაპირებელი*** ჰყავდა, ***სადაო ქალს*** ეძახდნენ. ასეთ შემთხვევაში, ზოგჯერ, ქალის ნიშნობის შემდეგ, ოჯახები შეთანხმდებოდნენ ქორწილის გამართვის დროზე. დასამოყვრებელი ოჯახები საქორწინოდ ყველა წესის დაცვით ემზადებოდნენ. უნდა გამართულიყო ***წაყვანის***, ოჯახიდან ქალიშვილის ***გათხოვების*** და ვაჟის ოჯახში პატარძლის ***მოყვანის*** ქორწილი. თუმცა მე-20 საუკუნის ბოლოდან ამ ტრადიციულმა ქორწილმა ერთგვარად იცვალა სახე და ქალ-ვაჟის ოჯახები ხშირად ცდილობდნენ ერთად გადაიხადონ ქორწილი, რამაც ბევრი საქორწინო წესი შეცვალა.

საპატარძლოს ოჯახში, ქორწილის დასასრულს, ნეფის ხელისმომკიდე, მდადე, მოითხოვდა დამკვრელების მოყვანას. დამკვრელები მდადეს თხოვნით დაუკრავდნენ, იცეკვებდნენ. ბოლოს დავლის (დიდი დოლი) დამკვრელი დავლს მეფის დადეს (მდადე) დაუდებდა წინ სიტყვებით ***„დავლზე ქამარი გამიწყდაო“.*** ეს ქორწილის დასრულების მაუწყებელი გამოთქმა იყო. დადე დავლის დამკვრელს დაასაჩუქრებდა და მაყრებს წასასვლელად მოუხმობდა.

დედოფლის სახლიდან გამოყვანამდე პატარძლის ბებია, ძმა ან ბიძაშვილი იმ კარს ჩაკეტავდა, საიდანაც დედოფალი უნდა გამოეყვანათ. სამამამთილოს ან ნეფის დადეს აქაც ფული უნდა გადაეხადა, რასაც ***კარის დასამყრელოს, კარდასამყრელოს, კარის დასამკეტოს/კაფიხარჯს*** (თურქ. kapi - კარი) უწოდებდნენ.

საინტერესოა გამოთქმა ***„გზას სიმღერა ვუთხრათ“.*** მაყრიონს დედოფალი რომ მშვიდობიანად და მხიარულად მიეყვანათ ვაჟის ოჯახში, იტყოდნენ „გზას სიმღერა ვუთხრათო“ და ხალისიანი ხმაურითა და სიმღეით გაყვებოდნენ ცხენზე ამხედრებულ დედოფალს. ნეფის სახლში მისვლამდე იმღერებდნენ „მგზავრულს“, „ხასანბეგურას“, „მაყრულს“ და სხვ.

მოყვანის ქორწილშიც ტრადიციულად მრავალი წესი სრულდებოდა, რასაც შემდგომში ახალშექმნილი ოჯახის მომავალი ბედნიერება და წინსვლა უნდა „უზრუნველეყო“. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოჯახში ახალფეხშედგმული პატარძლის მიერ შესრულებული წესები, რომელთა მეშვეობითაც, ხალხის აზრით, რძალი ადვილად შეეწყობოდა ოჯახს და შეძლებდა საქმიანობას. ზოგიერთი წესის შესრულებისას გამოიყენებოდა გამოთქმები: ***კერიაზე ფე-***

ხის მოსმა, საცეცხლურის ჯაჭვზე ხელის მოკიდება, კეციდან მჭადის აყრა, ოჯახზე (ბუხარზე) ცომის მიცხება, თაფლიანი თითის კერიაზე მოსმა, რძლის „***ხელთაფლიანობის***“ მიზნით და სხვ. რასაკვირველია, ყველა ამ გამოთქმისას შესრულებულ წეს-ჩვეულებას ღრმა ფესვები და განსაკუთრებული მნიშვნელობა ქონდა.

მოყვანის ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო დედოფლის მაყრების მიერ ***სუფრის დაკავება.*** სუფრასთან მსხდომი მაყრები დიდი უფლებებით სარგებლობდნენ. შეეძლოთ ახალ-ახალი, ძნელად საშოვი ან მოსამზადებელი კერძი ან სხვა რამ მოეთხოვათ. სანამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მაყრები სუფრიდან არ ადგებოდნენ. ამ წესს სუფრის დაკავებას ეძახდნენ. სუფრა ქორწილში რამდენიმე იდგა. მოწვეული სტუმრები რიგ-რიგობით უნდა დამსხდარიყვნენ, „სუფრის დაკავება“ კი სხვა სტუმრების გამასპინძლებას აფერხებდა. ჩვეულებრივ, დედოფლის მაყრები ერთ რომელიმე სუფრას „იკავებდნენ“, ხოლმე. როცა მოთხოვნა შესრულდებოდა, მაყრებიც ადგებოდნენ სუფრიდან. დაკავებული სუფრის „გათავისუფლებას“ ***„სუფრის ჩუქებას“*** უწოდებდნენ.

წესად მიღებული დროის შემდეგ დედოფლის მაყრები უნდა წასულიყვნენ. ზედმეტი ხნით გაჩერება სირცხვილი იყო. ამიტომ არსებობდა გამოთქმა: ***„სული გაუვიდა მაყარსო“*** ანუ დიდხანს გაჩერებით ცუდი სუნი აუვიდათო და დროა წავიდნენო.

საქორწინო ცერემონიალისას ერთ-ერთი არასასურველი და არააუცილებელი მომენტის აღმნიშვნელი გამთქმაა ***„თოფი გადაგვაწვა მაყარმაო“.*** როცა რაიმეთი უკმაყოფილო, გულნაკლული დედოფლის მაყრები წასვლისას სროლას ატეხდნენ, მასპინძლები იტყოდნენ „თოფი გადაგვაწვა მაყარმაო“ და ეს მასპინძელთა სირცხვილი იყო, რადგანაც სხვები იფიქრებდნენ, რომ სტუმრებს არასათანადო მასპინძლობა გაუწიეს.

როგორც ვხედავთ, საქორწინო ტრადიციებთან დაკავშირებული აქ მოტანილი გამოთქმები სრულყოფილებას მატებს ქორწინების შესახებ აჭარაში არსებულ ეთნოლოგიურ მონაცემებს და საშუალებას გვაძლევს საფუძვლიანად შევისწავლოთ ძველი თუ ახალი საქორწინო წეს-ჩვეულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ი.აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
2. მ.ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974
3. ნ.ნოღაიდელი, ქორწინების ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979
4. ნ.ნოღაიდელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013

Nanuli Noghaideli

Imaginary expressions depicting wedding traditions in Adjarian dialect

Summary

To study the history of the culture of society, particular importance is the study of wedding rites and customs. When studying the vocabulary of this industry, Adjarian dialect reveals a number of particularly characteristic and interesting figurative expressions for ethnology, which are studied in this article. These expressions explain many moments of wedding ritual.

Л.Т. Соловьева

ФОРМЫ БЫТОВАНИЯ ХРИСТИАНСТВА У ГОРЦЕВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ (по архивным материалам)

Грузия - „удел Пресвятой Богородицы" - была одной из первых стран, где христианство стало государственной религией. Но сложности исторической судьбы привели к тому, что к началу XIX в. роль православной церкви в некоторых регионах Грузии была в значительной степени ослаблена. Периоды смутного времени, беспрестанные вражеские нашествия нередко препятствовали надзору церковных властей за исполнением некоторых таинств (например, таинства крещения) должным образом. Церковное руководство время от времени настоятельно требовало от священников строгого исполнения канонов. Так, по указу Самтаврского епископа Григория (середина XVI в.) в случае смерти ребенка без крещения священник штрафовался в пользу церкви одной коровой; за совершение крещения вне церкви, без купели он лишался сана (при раскаянии полагался штраф - три коровы) и т.д. Однако в условиях того времени эти меры не были достаточно действенными. Так, патриарх Антиохийский Макарий, прибывший в Грузию в 1664 г. и живший там полтора года, отмечает, что „большинство грузинских священников не умеют крестить младенцев как следует", указывая на многочисленные отступления от церковных установлений в совершении обряда крещения . В горных районах ситуация нередко была еще более сложной, чем на равнине. Так, в 60-е годы XVII в. архидиакон Павел Алеппский отмечал в „Описании Грузии", что грузинские священники „в те горы" (Хевсурети, Тушети) „не ходили ... от страха", „но мы были там телесно и ходили и крестихом многие тысящи душ мужского и женского полу, иных и старых до осми десяти лет и болши..." Как

свидетельствует источник, отсутствие священников приводило к тому, что многие горцы до преклонного возраста оставались некрещеными. Относительно Мтиулети в конце XVIII в. сообщалось, что там „христианство... пришло в совершенный упадок. Таинства крещения и причастия совершали там миряне", поэтому Цилканский епископ Роман „ездил в Мтиулети, окрестил всех жителей" .

В XVIII в. главную роль в ослаблении влияния Грузинской Православной церкви в регионах Восточной Грузии играли набеги дагестанских народов (лекианоба) и нашествия иранских войск. Продолжавшиеся десятилетиями набеги горцев, которые разоряли церкви и монастыри, нередко приводили даже к упразднению епархий. Католикосы Грузии старались укреплять пограничные епархии, но не всегда это удавалось. В мирные периоды, в перерывах между набегами леков и вражеских войск, возрождались села и города, налаживалась церковноприходская жизнь. Но в приграничных приходах даже проведение богослужений нередко было затруднено. Так, митрополит Некресский Амвросий (Микадзе) сообщал, что когда он был настоятелем в монастыре Икорта, эта обители постоянно подвергалась нападениям леков, а после перевода в Цилкани (1777 г.) по этой же причине он не мог проводить службу, церковь оставалась без прихожан даже в великие праздники .

В некоторых регионах Южной и Восточной Грузии население было вынуждено принять ислам. В отдаленных же местностях, в труднодоступных горных районах была практически утрачена связь с церковными институтами. Поскольку священники появлялись в горных районах редко, исполнение жизненно важных для населения обрядов и ритуалов перешло к определенным лицам, которые являлись служителями в святых местах. Это привело к тому, что хотя горцы безусловно осознавали себя христианами, но формы бытования христианства нередко принимали здесь весьма

своеобразную форму, а в определенной мере происходил возврат к архаичным дохристианским верованиям.

После вхождения Грузии в состав Российской империи власти стали уделять значительное внимание укреплению православного христианства у грузин-горцев, строительству здесь церквей и назначению священнослужителей в эти отдаленные районы. Так, одной из задач Общества восстановления православного христианства на Кавказе была, наряду с миссионерской деятельностью среди мусульман и язычников, также проповедь в таких районах Грузии, где ранее христианство было широко распространено, а позднее стали проявляться элементы язычества, - в Пшави, Тушети, Хевсурети, Сванети .

Архивные материалы первой половины XIX в., авторами которых являются представители разных ветвей власти на Кавказе, чиновники и священнослужители, отражают различные, порой диаметрально противоположные, точки зрения о том, являются ли грузины-горцы христианами или язычниками, какие меры следует предпринять для возвращения их в лоно христианства, а также содержат интересные описания особенностей религиозной жизни в этих регионах. В некоторых документах обряды, исполнявшиеся грузинами-горцами, именуются не иначе как „идолопоклонническими".

21 февраля 1829 г. экзарх Грузии митрополит Иона, обращаясь к „исправляющему должность грузинского гражданского губернатора" коллежскому советнику П.Д. Завилейскому, сообщает ему, что священники Барисахского и Гульского приходов (Хевсурети), состоящие в ведомстве Осетинской духовной комиссии, „донесли ему", что „хевсурцы совращаются от принятой ими православной веры, совершают между собою браки и умирающих погребают по идолопоклонническим обрядам, а также, отнимая друг у друга жен, производят ссоры и кровопролитие". Митрополит Иона сообщает также, что „Главный Пшавхевсурский Пристав, надворный советник кн. Авалов", которого он просил „оказать содействие в отвращении

хевсурцев от производимых ими богопротивных поступков", уведомил его о том, что у хевсур и пшавов есть „капища и жрецы, называемые деканозами, которые из подлой корысти своей совращают их". Приводятся и имена главных „соблазнителей" - „деканозов" и „кодагов" (предсказателей): Хаха Габидауров, Гамихарда Мисриашвили и Гудский житель Тотия. Пристав приводит краткое описание обрядов, совершаемых в „капищах" на богомольях и праздниках (принесение в жертву скота и серебряных вещей, предсказания и т.д.), отмечая, что этот „обряд существует тут из древних времен и принят за религию". Поскольку же все пшавы и хевсуры, „крещенные и некрещенные", слушают жрецов с повиновением", то их „ему без помощи военной взять невозможно" .

Грузинского гражданского губернатора П.Д. Завилейского митрополит Иона просит „приказать кому следует учинить Хевсурцам и Пшавцам , принявшим христианскую православную веру, надлежащее подтверждение, чтобы они свято соблюдали обязанности христианские, в церкви для молитвословия ходили, в оных венчались, законных жен своих без рассмотрения Духовного начальства отнюдь не оставляли и на других женах самовольно по злочестивому прежнему обычаю не женились, рождающихся детей в православную веру через определенных к ним священников крестили, умерших погребали по христианскому обряду и для прочих христианских треб священников призывали… вторых жен от пшавцев и хевсурцев удалить" . Исполнительная экспедиция Верховного Грузинского правительства Указом от 4 декабря 1829 г. „предписала Пшавхевсурскому приставу употребить все возможные средства к внушению Пшавцам и Хевсурцам, восприявшим святое крещение, дабы отнюдь не отступали от правил христовой церкви, Экзархом изложенных" .

Судя по более поздним архивным материалам, эти предписания выполнены не были. Так, в 1833 г. экзарх Грузии Моисей обращается к главноуправляющему в Грузии со сходной просьбой, на сей раз относительно грузин Тушети, на основании информации,

которую собрал благочинный Алавердского Крестовоздвиженского собора священник Иоанн Размазов, имевший поручение посетить „вверенные благочинию его Тушинские приходы" и „вникнуть в дух народа, с каким расположением исповедует оный православную нашу веру" . Иоанн Размазов (Размадзе), сообщая, что тушины „со всем усердием … содержат" Христианскую веру, вместе с тем отмечает, что „редко между ними найдутся такие, которые бывали ежегодно на исповеди и у св. причастия". Имеются у них также „особые молитвенные места, то есть старые бывшие церкви, к которым они имея благоговение, как к святым, собираются туда для Богомолья со множеством откормленных яловиц, овец и коров, которых там же закалывают определенные для сего люди из светского звания, называемые Деканозами, и потом собравшиеся богомольцы все сие употребляют в пищу". Упоминает он и о том, что разводы производятся согласно народным традициям, и „отпущенные ими жены соединяются с другими мужьями, без священника" .

Из архивных материалов следует, что священник Иоанн Размадзе в данном случае не только обратился к тушинам с „христианским наставлением", чтобы они, „оставив безчиния и суеверия, жили добродетельно по закону Христианскому", но и „обязал их подпискою в исполнении его наставления". Священников же настоятельно просил „назидать подданных своих в вере и благочестии". Экзарх Грузии Моисей просит, чтобы „местное гражданское начальство на будущее время не дозволяло Тушинцам делать безчинств, подобных вышеизъясненным, и во всяком случае оказывало приходским их священникам все возможное содействие" .

Интересные и довольно подробные материалы о религиозной жизни хевсур содержит „Переписка с Духовным департаментом МВД, Грузинским гражданским губернатором и другими о замеченных случаях повторения языческих обрядов у новообращенных в христианскую веру хевсуров и других язычников" за 1837-1840 гг. Здесь имеются сведения, представлен-

ные Хевсурским благочинным св. Иоанном Сисоуровым, о котором говорится, что он „каждогодно имел частое пребывание в Хевсуретских приходах", „сам происходит из хевсурцев, и даже между ими много имеет своих однофамильцев, и потому знает хорошо все обряды, заблуждения, нравы и обычаи как вообще Хевсурского народа, так и хевсурских Деканозов и Хуцесов" .

Приводятся подробные сведения о святых местах ("капищах"), особенностях их возведения ("складены из камней наподобие столбов невысоких", „на сих столбах повешены роги оленьи и туровые") и расположения ("вблизи селения в уединенных местах… окружены кругом стенами, кладенными из простого камня"), ритуале принесения в жертву животных ("те самые жертвоприношенники кровью тех скотов окропляются и обмазываются по лицу крест накрест деканозами"), о пророчествах прорицателей-кадагов, о других обязанностях служителей святилищ (заключение браков, похороны, приготовление пива и водки для праздников и др.).

В этом деле имеется также „Рапорт Грузинского гражданского губернатора генерал-майора Кихинова - Главноуправляющему Грузией Е.А. Головину" (1840 г.), где говорится, что „…все вообще Хевсуры, Деканозы и Хуцесы их, …крещены в Православную христианскую веру по открытии Осетинской Духовной Комиссии…потом построены в земле Хевсур церкви и назначены священники, кои до сих пор крестят детей всех вообще хевсур, в том числе Деканозов и Хуцесов; с того времени хотя все они поклоняются истинному богу и веруют в него, но неоставляют и некоторых прежних своих обычаев, годовые праздники провожают они не в православной церкви, а в т. наз. капищах их, где вопреки христианской веры приносят жертвы, заключающиеся в заклании скота…". В Рапорте указывается, что молитвы, которые читают деканозы и хуцесы, „взяты из обряда православной церкви, но переиначены, а другие и недокончены", поскольку те „не умеют грамоты и учатся молитвам от других". Отмечается также частичное

соблюдение хевсурами постов: „хевсуры постятся только последнюю неделю пред Рождеством Христовым и весь Великий пост, других же постов не наблюдают, да и самый Великий пост провождается ими одним только неупотреблением в пищу всего мясного, равно сыру, молока …, а христианских обрядов: хождения в церковь и исповедания и приобщения Св. таин вовсе непридерживаются". При погребении умерших хевсуры в это время уже нередко приглашали как хуцесов, так и священников .

В „Рапорте…" говорится также, что сведения, собранные бывшим Пшавхевсурским приставом кн. Кобуловым об обычаях хевсур, неверны, поскольку их „капища" нельзя „назвать идольским и, ибо идолов в оных не находится"; „вероисповедание хевсур есть не идолопоклонничество, ниже секта или раскол христианский, а просто отступление единственно по невежеству сего полудикого народа и поддерживается хитрыми Деканозами и Хуцесами для собственной их корысти" (ЦГИАГ. Ф. 2. Оп. 1. Д. 4681. Л. 38-38 об.).

Е.А. Головин, рассмотрев присланные ему материалы, в ответе Управляющему МВД также делает вывод, что хевсуры, „судя по совершаемым ими разным обрядам, суть новообращенные христиане, впавшие в заблуждение. Доказательством тому может служить то, что они, исполняя над детьми таинство крещения, почитают крест символом веры, воздают ему в молениях должное поклонение, признают Святых, уважают некоторые посты, не имеют вовсе идолов и читают христианские молитвы, хотя уже обезображенные изустными преданиями; но вместе с тем приносят материальные жертвы, не посещают церкви, не знают таинства причащения и допускают некоторые языческие пиршества. Кажется, все уклонение это от чистого православия происходит между ними единственно от невежества и от недостатка духовного назидания, которое одно могло бы постепенно водворить между ними чистое христианское верование" .

Следует отметить, что Грузинские гражданские власти относились к неоднократным просьбам о „взятии под стражу" и

даже высылке из Грузии деканозов и кадагов, довольно прагматично и реально оценивая сложившуюся ситуацию. Так, ген.-фельдмаршал Паскевич-Эриванский писал: „…я нахожу, что употреблять в сем случае власть против пшавхевсурцев и забирать у них под стражу людей, к которым они в закоснелом заблуждении своем оказывают такую веру и уважение, значило бы объявить им войну, тогда как они, живя в неприступных местах, одни из горских народов постоянно преданы нашему Правительству, никогда не восстают против нас и даже лично содействуют к усмирению непокорствующих нам соседственных им племен, тогда как они не в наше время отступили от наших обрядов богослужения, но мы застали их в теперешнем положении суеверия и при таких обрядах, которых они придерживаются как религии и наконец тогда как наше правительство с благоразумным великодушием терпит магометан и самых идолопоклонников, которые суть не заблудшие подобно пшавхевсурцам христиане, но враги нашей религии, и не употребляет никаких насильственных мер против них … я полагаю, что гораздо лучше и справедливее будет совершенное обращение пшавхевсурцев предоставить времени и проповеди определенных к ним священников наших, нежели употреблять против них силу оружия за заблуждение, в котором они находят покуда успокоение совести и которое нимало не мешает им быть постоянно преданными правительству" .

Рассмотренные архивные материалы позволяют полнее представить те формы, в которых христианство бытовало в рассмотренные годы в отдаленных горных районах Восточной Грузии, а также различные подходы к решению данной проблемы, которые российские власти пытались осуществить для укрепления в этих регионах норм православия. При этом большое значение имело то обстоятельство, кто были те лица, которые сообщали начальству сведения по данной проблеме - местные уроженцы, глубоко понимавшие особенности религиозных верований горных грузин, или же священнослужители, не имевшие местных корней и не

желавшие вникать в своеобразие местных синкретичных религиозных представлений.

Архивние материали

1. ЦГИАГ. Ф. 2. Оп. 1. Д. 4681. Л. 38-38

ციალა ნარაკიძე

მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ლაზურ ფოლკლორში

თანამედროვე ლაზეთი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობს, მას მდინარე ჭოროხსა და ტრაპიზონს შუა ტერიტორია უკავია.

ფიზიკურ-გეოგრაფიულმა გარემომ ხელი შეუწყო ლაზების დაწინაურებას ზღვაოსნობაში. უკვე მე-18 საუკუნეში ლაზეთი საქართველოს ზღვისპირეთის სხვა უბნებთან შედარებით ზღვაოსნობაში დაწინაურებული ყოფილა, ხოლო თვით ლაზეთის მოსახლეობა ზღვასთან დაკავშირებულ ყოველ საქმიანობაში დახელოვნებული იყო. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებდა: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობისა და შენებათა ნავთა, დიდთა და მცირეთა“ (ვახუშტი, 1941:142).

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდში არსებულმა და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების შესწავლამ საშუალება მოგვცა გვემსჯელა მეთევზეობა-ნაოსნობის ტრადიციებსა და მათ მიერ შექმნილ ზეპირსიტყვიერ მასალებზე.

როგორც ცნობილია შრომის არც ერთი დარგი, რომელსაც ქართველ ტომთა ყოფაში ადგილი ჰქონდა და აქვს ისტორიულად, იგი ხალხური სიტყვიერი თუ მუსიკალური შემოქმედების გარეშე არ დარჩენილა.

ასეთ სამეურნეო დარგებს შორის უნდა დავასახელოთ მეთევზეობა-ნაოსნობა, რასაც ლაზეთში დიდი ხნის ისტორია აქვს.

ლაზური შრომის ლექს-სიმღერების თვალსაჩინო ნიმუშია მეთევზეობა-ნაოსნობის თემატიკის ამსახველი ტექსტები. ამ პოეტურ ნიმუშებში ხაზგასმულია თევზისა და მისი ნაწარმის მნიშვნელობა ადამიანისათვის.

თევზი ერთ-ერთი ძირითადი საარსებო წყარო იყო ლაზებისათვის და მათი გულიც მაშინ მშვიდდებოდა, როცა კარგი ამინდი დადგებოდა, რაც ხვავრიელი თევზაობის საწინდარი იყო:

ბწინწათ ხოლო ხალადი,
ტარონი ვა რენ პატი,
გოვუღათ პარაპათი,
გური მავან რახატი

მოვწიოთ კვლავ ხალადი,
კარგი ამინდი დგება.
ჩავყაროთ პარაპათი
გული დაგვიმშვიდდება.
(თანდილავა, 1972:60).

ბედნიერია ლაზი მეთევზე, როცა ბევრ თევზს დაიჭერს:

ამსერი თუთა ვა რენ,
თანი, მურუცხი, თანი;
ჩხომი დიდო მაჭოფუნა,
ჭანდა მიღუნ ჭუმანი.
მთვარე არ მეგულება,
ვარსკვლავო, შენ ანათე;
თევზი თუ დავიჭირე,
მექნება წვეულება.

ლაზისთვის ზღვა არის გაშლილი ველი და თავის ბედსაც ზღვას უკავშირებს; ცნობილი ლაზი სახალხო მთქმელის – ხასან ჰელიმიშის თანახმად, ზღვაზე დაბადებული ლაზის გული მაგარი და უშიშარია:

დოვიბადი მზოღაშ ჟინ
ექ ბღურარე, ქომიჩქინ;
შქურინა ჩქარ ვარ მიღუნ,
გური კაპეტი მიღუნ.
ზღვაზე დავბადებულვარ,
ვიცი, აქვე მოვკვდები;
მე გული მაგარი მაქვს,
სულაც არ შევშინდები.
(ჰელმიში, 2005:26).

ლაზური შინამრეწველობის ერთ-ერთი სახეობა – დელფინისა და „მუთიკას“ (დელფინისებური თევზი) ზეთის გამოხდა და მის შემდეგ დარჩენილი კანის – „ჭიხიკის“ ჭამა, რომელიც სასარგებ-

ლოა, – ლაზური საყოფაცხოვრებო – იუმორისტული ლექს-სიმღერების თემა გამხდარა; ზღვიდან მოცილებული სოფლის მცხოვრები ლაზები ზღვის პირას მცხოვრებ ლაზებს ასე დასცინიან:

სარფული არ თანეფე:
ჭიხიკიშ მჭკომალეფე.
სარფელი ერთ ცალები:
ჭიხიკის მჭამელები.

(ვანილიში, თანდილავა, 1964:89).

ნაოსნობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებში ასახულია ამინდისა და ბედისწერის თემატიკა, რაც მენავეთა ყოფნა-არყოფნას უკავშირდებოდა; მათში ნაჩვენებია, აგრეთვე, თევზისა და მისი ნაწარმის რეალიზების მნიშვნელობაც, მეთევზეთა ოჯახის მდგომარეობა და მათი განცდები, მენავე-მებადურთა შორის შემოსავლის განაწილების პრინციპი და სხვა.

მეთევზე-მებადურთა და მეზღვაურთა თემატიკის ლაზურ ფოლკლორულ შემოქმედებაში ყურადღებას იმსახურებს სიმღერა „ჰელესა“, რომელიც ძალზე პოპულარულია ლაზთა შორის და იმღერება როგორც ზღვიდან ნავის, ღუზის და ბადის ამოთრევისას, ისე –ხმელეთზე ტვირთის გადატანისას და ქორწილშიც.

ლაზური მეურნეობის ტრადიციული სახეობა–მეთევზეობა და ხელოსნობა დაკავშირებული იყო სამუშაოდ სხვა მხარეში გამგზავრებასთან, რასაც ლაზები „კურბეთს“ (საშოვარს) უწოდებდნენ (ვანილი, თანდილავა, 1964:84).

ზურაბ თანდილავა აღნიშნავს, რომ „კურბეთში“ ყოფნასთან, ანუ „კურბეთობასთანაა“ დაკავშირებული მეთევზეთა პოეზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ხშირად „კურბეთიში ბირაფა“ („კურბეთის სიმღერა“) ანდა „კურბეთობაშ ბირაფა“ („კურბეთობის სიმღერა“) ეწოდება (თანდილავა, 1972:69).

მოსაგებად, ხშირად დასაქორწინებელი ვაჟები მიდიოდნენ, რათა გარკვეული თანხა დაეგროვებინათ. ამაზე მეტყველებს ჩვენს მიერ 1977 წელს სოფ. სარფში ჩაწერილი ლექს-სიმღერა:

აწიშა მორგაფუს ვორტი,
აწი ოჩილუს ვორე;
ჩილი ოგორუშენი
სერ-ნდღალერი გზას ვორე.
აქამდე მოსაგებად ვიყავი,

ეხლა ქალის სათხოვნელად მზადა ვარ;
საცოლის მოსაძებნად
დღე და ღამე გზაში ვარ.

საშოვარზე ჯგუფურად მიემგზავრებოდნენ მეთევზეები, მენავეები (ნავის მშენებლები) და სახლის მშენებელი ოსტატები.

ახლობლებს მოცილებული საშოვარზე წასული ლაზების შესახებ, ბუნებრივია, შეიქმნა ხალხური ლექს-სიმღერები, რომლებშიც ასახულია წუხილი სატრფოსაგან მოშორებული ვაჟკაცებისა, ცოლ-შვილს მონატრებული ოჯახის უფროსისა, რომელიც მუდმივად საშოვარზეა გასული.

ოჯახში დარჩენილთა სევდასა და გაუსაძლის ლოდინს ასახავს ლაზური სიმღერა, რომელიც კურბეთში წასული ქმრის ცოლის მონატრებულ გრძნობებსა და, ამავე დროს, ეჭვიანობასაც გამოთქვამს:

ფელუკა, ქელქენონი,
გეხთი, მენდამიყონი,
კურბეთიშა ნულუნა,
ქიმოლი მომიყონი!
ჰექთი დიჩილერენნა,
ღუელი მომიყონი,
ჟურის თოკი ქოგქუდვი,
გოთირი გუიყონი.
ნავო, იალქნიანო,
ჩამოდი, წამიყვანე,
კურბეთში თუ მიდიხარ,
ქმარი წამომიყვანე!
თუ იქ ცოლი შეურთავს,
მკვდარი ჩამოიტანე,
ორივეს თოკი შეაბი,
თრევითა შემოატარე.

(ვანილიში, თანდილავა, 1964:85).

კურბეთობის ლექსთა ციკლი, როგორც მკვლევარი ზურაბ თანდილავაც აღნიშნავს, „მეტწილად სატრფიალო-ლირიკული ხასიათისაა. მასში კარგად არის ნაჩვენები როგორც თვითონ მეთევზე – მეზღვაურითა ერთპიროვნული, ისე მათი ოჯახური ყოფა“ (თანდილავა, 1972:69).

ამ თემატიკის ლექსთა ერთი ნაწილის შემთხზველები არიან ქალები – „კურბეთში“ წასულთა ცოლები და სატრფოები. ამგვარ ლექსებში როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარტოდ დარჩენილი ქალები საყვედურობენ მიჯნურებს:

კურბეთიშა მოთ ულუტი, მუშენი?
გაშქურინუ ნანა დო ბაბაშენი?
მა მემაშქვი დო ბღურუ სქანიშენი,
არ ნენათი ვარ თქვი სი ჩქიმიშენი.
რად წახვედი შენ კურბეთში, რატომ?
შეგეშინდა დედისა და მამის?
ვკვდები შენთვის, შენ დამტოვე მარტო,
ერთი სიტყვაც ააღარ გითქვამს ჩემთვის.

(თანდილავა, 1972:71).

მენავეობა-ზღვაოსნობასთან და მეთევზეობის თემატიკაზე შექმნილი ლაზური პოეზიის ნიმუშები შაირის სახითაც გვხვდება. ლაზური პოეტური ტურნირის ეს სახე თავისთავად საინტერესოა და კარგად წარმოაჩენს ლაზეთის ზღვისპირის (ამ შემთხვევაში – სარფელი ლაზების) მცხოვრებთა მეურნეობის, ეკონომიკურ მხარეს, მთავარ საქმიანობას და, რაც მთავარია ლაზურ იუმორს. ერთ-ერთი ამგვარი ხალხური შაირის ნიმუშის თანახმად, ზღვისპირას მცხოვრებ ლაზებს ასე დასცინიან:

სარფელი ტამბალაღი
მთელი დელფინაშ ქაღი.
სარფელი გასუქებული
დელფინის ზეთისაგან.

სამაგიეროდ ზღვისპირა ლაზები ასე პასუხობენ:

მოხვეწანა ვარ მეგჩაფ
არ კანდელიში ქაღი...
შემეხვეწო, არ მოგცემ,
ზეთს მე კანდელისათვის...

(ვანილიში, თანდილავა, 1964:89).

მეთევზეობის თემატიკის ლაზური შაირები მშვენივრად გამოხატავენ, აგრეთვე, ლაზი მეთევზეების გულისთქმას, სატრფოსადმი ლტოლვას და უნაზეს გრძნობებს. ჩვენს მიერ სოფელ სარფში ჩაწერილი ერთი ლექსის თანახმად, კამბულას დასაჭერად ზღვაზე

მიმავალი ლაზი ჭაბუკი ოცნებობს, დაბრუნებისას, იხილოს სატრფო ყვავილებით ხელში:

ანდღა მზოღაშა მეულუთ,
სუაკიში მოსაფეთენ;
სი დომიწვი მუნდეს მულუ
დოქაჩეი ფუქიითენ.
ბადით ზღვისკენ ვეშურებით
კამბულის დასაჭერად;
ყვავილებით ხელმორთული
შენ როდისღა მობრძანდები?

სოფელ სარფში დაფიქსირებული ვრცელი ლექსი „დოვოშოლათ პარაპათი“ (დავასველოთ ბადე“), რომელიც ჩავიწერეთ ავტორ-მთქმელ კაკო ხორავასაგან, სრულყოფილად ხატავს მენავე-მეთევზეთა, რთულ, მაგრამ ამავე დროს, მხიარულსა და საინტერესო ცხოვრებას, გაშლილ ზღვაში მყოფთა ერთიანობასა და შრომაში გვერდიგვერდ უღალატოდ ყოფნას:

ტაონი ქოგიწიფხუ,
მჟურას თოლის მეოწკე,
ოკოიბღათ ბიჭეფე,
ვიდათ ფელუკაკელე.
ვუჯოხათ ართიკართის
მუჭო ოზ ჯუმალეფე,
დოლოფხედათ ფელუკას
მევარჩათ მზოღაკელე.
უკვე გამოიდარა,
მე მზის სხივსა ვუყურებ.
თავი მოვიყაროთ და
წავიდეთ ნავისაკენ.
შევუძახოთ ერთმანეთს
როგორც მკვიდრმა ძმებმა,
ჩავსხდეთ ფელუკაში და
ზღვისკენ მივენდოთ ერთად.

(ნარაკიძე, 2015:9).

ლექსში გამოთქმულია მეთევზეთა დიდი სიხარული ხვავრიელი თევზჭერის გამო, რითაც მთელი სარფი ხარობს და ბედნიერია:

...აშო ხელება უღუნ
ჩქინი სარფის მეჩხომეს,

შანა დულქაფე მუშის,–
სარფი ჩქინი დოხელეს
ასეთი სიხარული აქვთ
ჩვენ სარფელ მებადურებს.
დიდება მათ საქმეებს,–
ჩვენი სარფი გაახარეს!

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კაკო ხორავას რეპერტუარი ძირითადად ლაზთა ტრადიციული შრომის სახეობას – მეთევზეობა და მენავეობას–ეძღვნება, „პოეტური დახვეწილობით გამორჩეულ ლექსში „ლაზი მეჩხომე“ („ლაზი მეთევზე“) ყურადღება გამახვილებულია ლაზების უმთავრეს საქმიანობაზე – თევზის ჭერზე, ზღვისადმი ლაზების უსაზღვრო სიყვარულზე და იმ იდუმალ, შეუცნობელ გრძნობაზე, რაც ლაზებს აკავშირებს ზღვის სტიქიასთან:

ცას ოფუთხინუ ნომსქუნ კაზეფეს,
კაზიშენ კაი მის აფუთხინენ?
ჩხომი ოჭოფუ ნომსქუნ ლაზეფეს,
ლაზიშენ კაი მის აჭოფინენ?
მან ლაზი ვორე, მზოღაშ ჟინ ვირდი,
უჩა მზოღაშენ შქურინა ვარ მიღუნ,
მუკო ვინჩვალი, მუკო ვიშქვიდი,
შქუინაშენ დიდო ყოროფა მიღუნ
მზოღა რენ ჩქიმი შური დო გური,
მან დიდო მიღუნ მუში ყოროფა,
მუქთი მან მყოროფს დო მომჩაფს შური
მან მუშიკალა კართა ნდღას ვორე.
ზეცაში ფრენა უხდებათ გედებს,
გედებზე უკეთ ვინ გაფრინდება?
თევზის დაჭერა უხდებათ ლაზებს,
ლაზებზე უკეთ ვინ დაიჭერს თევზს?
მე ლაზი ვარ და ზღვაზე ვიზრდები,
უკვე აღარ მაქვს შავი ზღვის შიში,
რამდენი ვიწვალე, რამდენჯერ ვიხრჩვე,
თუმც სიყვარული დიდი მაქვს მისი.
ზღვა არის ჩემი სული და გული,
მე სიყვარული დიდი მაქვს მის,

მასაც ვუყვარვარ, ის მაძლევს სულსა,
მე მასთან ერთად ყოველდღე იქ ვარ...
(ნარაკიძე, 2015:6).

ლექსში „მოლოზმაშა“ (მოლოზმა ლაზური ბადის ერთ-ერთი სახეობაა) ავტორ-მთქმელმა კაკო ხორავამ ლაზ მეთევზეთა დაუვიწყარისახეები შექმნა; აღელვებულ ზღვაში კეფალზე მონადირე ლაზი ვაჟკაცები არასოდეს, არანაირ ამინდში არ ამბობენ უარს მამაპაპურ ტრადიციაზე. მამაცი ლაზი მეთევზეები არაფრად აგდებენ ადიდებულ ზღვასთან ბრძოლასა და დაღლას,. რადგანაც იციან, რომ ნადავლით ოჯახს გაახარებენ და ამიტომაც მიმართავენ ზღვას:

...გინონ მინჩვალი, გინონ მოშქვიდი,
არ ჭიტა შქუინა სქანდენ ვარ მიღუნ,
მან სქანიშენ შქუინა ვარ მიღუნ,
შქუინაშენ დიდო ხელება მიღუნ,
ფელუკაში ჰამბარის ჩხომი ქომიღუნ
ანდღალეფეს იზმოჯეთი კაი ქომიღუნ
გინდა დამღალე, გინდა დამახრჩვე,
ოდნავი შიშიც არა მაქვს შენი!
არ მეშინია შენი, რადგანაც
შიშზე დიდი მაქვს მე სიხარული,
ნავში თევზი მაქვს და ამ დღეებში
სიზმრებიცა მაქვს კარგი ნახული.
(ნარაკიძე, 2015:8).

ლაზური ფოლკლორი მდიდარია პოეტური ნიმუშებით. მეთევზეობა-ნაოსნობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებში მთელი სისრულით გამოვლინდა ლაზ მეთევზეთა გულისთქმა, მათი შეუპოვრობა და უსაზღვრო სიყვარული ზღვისადმი, მიზანმიმართულობა და პატივისცემა მამაპაპური ტრადიციისადმი, რომელიც უკავშირდება ზღვაოსნობას.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ვანილიში, თანდილავა, 1964: – მ. ვანილიში, ალი თანდილავა, ლაზეთი, თბილისი.
2. ვახუშტი, 1941: – ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი.
3. თანდილავა, 1972: –ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბათუმი.
4. ნარაკიძე, 2015: – ცკ. ნარაკიძე, ლაზური ტექსტები, ბათუმი.
5. სარფი, 2015: მონოგრაფია სარფი, ბათუმი.
6. ჰელიმიში, 2005: ხ. ჰელიმიში, ლექსები (ბირაფაფე), ბათუმი.

Tsiala Narakidze

Fishery and Sailing in Laz Folklore

Summary

Lyrics related to fishery and sailing are the most important part of Laz folklore. Subject of weather and fate, related being or not being of boatmen, is reflected in Laz lyrics. It is also shown importance of fish and fish production realization, fishermen families' conditions and their feelings in Laz lyrics.

ლიტერატურათმცოდნეობა, ენათმეცნიერება

ლია გოლიაძე

ისტორიული ტკივილი ლიტერატურაში რევაზ ინანიშვილის „ანანურელი ულამაზოების“ მიხედვით

„რამდენი ლიტერატურული გმირი წამძღოლია წინ, რამდენს გავყოლილვარ ნაბიჯ-ნაბიჯ“(რევაზ ინანიშვილი)

როცა რევაზ ინანიშვილის ამ სიტყვებს კითხულობ, უნებურად წარმოიდგენ ვაჟას ალუდას,აღაზას, სანათასა თუ ლელას,ილიას ლელთ ღუნიასა და აკაკის ბათუს...მაგრამ, მაინც, მწერლის სული მზევარის ბიჭის ნაბიჯს აყოლილი წარმომიდგება თავისი ბავშვობისდროინდელი ოცნებითა და სატკივარით ,კაცობაში რომ გადაჰყოლია და ვერ მოუცილებია მასზე ფიქრი და დარდი.

ხვდები,რომ მწერლისათვის ადამიანის რთული,მრავალფეროვანი შინაგანი სამყაროს ამოცნობასთან ერთად უმნიშვნელოვანესია ერის ვინაობის გააზრება,შეცნობა, მისი შინაგანი პოტენციის ,ენერგიის დადგენა. „ჩემი ნათქვამი ბუნებრივად ბადებს კითხვას: ხომ არ იქნება ეს გზადაგზა აღმოცენებული „ნაწარმოებები“ უსაგნონი და „შორი-შორი“. არა მგონია, მათ გააერთიანებს ერთი დიდი რამ_ სიყვარული,_ ქვეყნის სიყვარული.ეს გრძნობა გზადაგზა არ იბადება, მამა-პაპიდან უნდა გადმოგეცეს, თვალი გახელის პირველი დღეებიდანვე უნდა გენერგებოდეს.“(რ.ინანიშვილი გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2010გვ.520)

მართლაც, მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დანიშნულებაა მიდრიკოს ადამიანის, ერის მერყევი,საკუთარ შესაძლებლობებში დაურწმუნებელი სულიერი ენერგია სიკეთისკენ,აღმოაჩენინოს თავის თავში საუკეთესო, ზნეობრივი წონასწორობის ხაზი,დაარწმუნოს თავისი მორალური ძალების სიმყარეში, აღმოაჩე-

ნინოს საკუთარი მისია ,დანიშნულება,გააკეთილშობილოს მისი სული და ამ აღმოჩენით საკუთარი ძალების რწმენა შემატოს.

საოცრად ამაღელვებლად არის ეს გადმოცემული რევაზ ინანიშვილის პატარა, მაგრამ დაუვიწყარ მოთხრობაში,,ერეკლე მეფე და ანანურელი ულამაზოები“,რომელშიც ჩატეულია ერის სულიერი ისტორია, ენერგია, მისი სასიცოცხლო ძარღვის ფეთქვა.

„დიდი კაცები დიდ საფიქრალს მოგახვევენ ხოლმე თავზე,ერთი ხელის მოსმით ვერ მოიცილებ ამ საფიქრალს, წვერი უნდა უპოვო ნაქსოვს, მერე იჯდე და ეწიო შენსკენ იმ ძაფს“.(რევაზ ინანიშვილი გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ 2010,გვ.290)

ნაწარმოებით გადმოცემულია საქართველოს ისტორიის ტრაგიკული ფურცელი,დამარცხება კრწანისის ბრძოლაში,რაც საბედისწერო აღმოჩნდა ქვეყნისათვის მომავალი რამდენიმე საუკუნის მანძილზე,რადგანაც ეს დამარცხება იყო ერთგვარი ბიძგი ჩვენი ახალი ისტორიული ბედისა, ჩვენი იძულებითი არჩევანისა.ამან საბოლოოდ სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე და რუსეთის იმპერიის თითქმის ორასწლიან ბატონობამდე მიგვიყვანა. სწორედ ამ მწარე შედეგის გამო ეს თემა ქართულ ლიტერატურაში რამდენჯერმე მტკივნეულად გამოჩნდა(ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“,ლევან გოთუას,,კრწანისის სევდა“, ლადო ასათიანის,,კრწანისის ყაყაჩოები“, რევაზ ინანიშვილის „ანანურელი ულამაზოები“და სხვა.)

რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში იხატება „დამძახებლის“ მომლოდინე ერის სული.ანანურელი ულამაზოები,უსახელოდ დაბადებული გმირები, „უსახელო უფლისციხელის“ სეხნიები არ ითხოვენ სახელდებით მოხსენიებას ისტორიაში-უანგარო თავგანწირვით გულშეძრულნი მარად მზად არიან მსახურებისთვის,თავიანთი წმინდათაწმინდა მოვალეობის შესრულებისთვის.ეს რწმენა დახატა ნაწარმოებში მწერალმა, ეს უტყუარი სიმართლე,რომ ერს ყოველთვის ჰყავს თავისი უღალატო,მარადიული სიცოცხლისათვის მებრძოლი ძალა.ერთი შეხედვით ეს ზედაპირულად, თითქოს პათეტიკურად ჟღერს,მაგრამ იგი ისტორიული სიმართლე და რეალობაა,რამაც დრემდე მოიყვანა ქართველი ერი.

ნაწარმოების სივრცე ქვეყნის პატარა სოფელია, ანანურის ციხეა.ქვეყნის მარგინალური ,მოღალატე ,ანგარებიანი ნაწილი შორსაა(იგი მხოლოდ მოიხსენიება ნაწარმოებში).აქ ყველა ერთ სულად, ერთ დარდად, ერთ ფიქრად შეკრულა(,,სოფლებში ჩურჩუ-

ლითა და ვიშვიშით გადადიოდა ხან ერთი ამბავი, ხან მეორე, დედაკაცები მუხლებში იცემდნენ ხელებს, მხრებაცახცახებულნი თვალებზე იფარებდნენ მოსახვევის ბოლოებს“.(რ.ინანიშვილი გამომცემლობა „საქართველო მაცნე“2007 გვ.4-5)საოცარი ზნეობა და ჭირისუფლობა (საინტერესო ქართული სიტყვაა ჭირის უფალი,ზუსტად იტევს ჭეშმარიტ თანადგომას)სუფევს,თითქოს ღალატი,ორგულობა გამქრალა დედამიწაზე.არადა სწორედ ანგარებამ და ღალატმა დაავიწროვა მეფის სამოქმედო სივრცე და ჩაკეტა ანანურის ციხეში.ეს ყველაფერი იცის მკითხველმა, მაგრამ აქ, ამ სოფელში ,ამ ხალხში წარმოუდგენელია მსგავსი რამ.ყოველივე ამაში მწერალი გარწმუნებს,როცა გიხატავს ანანურის საზოგადოებას,რომელიც ილიასი არ იყოს არის ერის,, თანამდევი,უკვდავი სული, “მსახურებისთვის, თავგანწირვისთვის, მომავალი სიცოცხლისთვის შეუპოვარი მებრძოლი.

პარადოქსული სურათი იხატება ნაწარმოებში_მწერალი საუბრობს დამარცხებულ მეფეზე, ქართველ ხალხზე,მაგრამ ნაწარმოების განწყობა, სული ამაღლებულია და სევდაზე მეტად გამხნევებს.კი არ გასაცოდავებს, არამედ გამაღლებს, გაძლიერებს.მეფისა და ბიჭების შეხვედრისას გრძნობ მეფის , დამარცხებული მეომრის ტკივილსაც და მის სულიერ ძალას,რადგან მართლა თავისი ხალხის მამა დგას მკითხველის წინაშე და იცი, თუნდაც ფიზიკურად დამარცხდეს,ყოველთვის გამარჯვებულია, რადგან უყვარს, იხარჯება და მისგან „თელილი“ გზა შთამომავლობას სულზე აღებეჭდება. რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში ნოსტალგიაც იკვეთება მეოცე საუკუნის ქართველისა,რომელსაც ოცნებაც კი აუკრძალეს ერეკლესნაირ ერის მამაზე, სახელმწიფოებრიობაზე.

ატირებული, აცახცახებული მზევარის ბიჭისგანაც საოცარი ენერგია და ძალა მოდის, გაცილებით დიდი, ვიდრე ზრდასრულ მეომარ მამაკაცს აქვს_ესაა შენი ერის მომავალი ,მისი სასიცოცხლო ენერგია.როცა ერის სულში ეს ძალა ცოცხლობს, ბიჭობაშივე გაჩენილი თავგანწირვის, მოვალეობის შეგრძნება, ის ერი არ მოკვდება.,,საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილების “ რაინდული სულის ძახილი, რომელიც არ ნებდება, მკითხველის სულს ამოძრავებს, აღელვებს, ამხედრებს.

ნაწარმოები მეხუთე კლასში ისწავლება და ასაკის შესაბამისად მასწავლებელმა როგორმე სწორედ ეს უნდა აგრძნობინოს, გააგებინოს ბავშვებს.როგორი მოვალეობის შეგრძნება უნდა ჰქონდეს

ქვეყნის წინაშე მეფესაც და რიგით ადამიანსაც.გურამ დოჩანაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს:,,რეზო ინანიშვილი იქნება ჩვენი ახალგაზრდობის გადამრჩენი...მთელი მისი შემოქმედება არის პატიოსნება და მაღალი გულწრფელობა“. (მწერლის გახსენება- გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“2008)სწორედ ეს, ქვეყნის წინაშე მეფისა თუ მზევარის ბიჭის პატიოსნება უნდა ისწავლონ ამ ნაწარმოებიდან ბავშვებმა. „დიდი საქმე მაქვს, ქვეყნისათვის საჭირო საქმე“_(გვ.5) არ ეპუება გაბრაზებულ მცველებს მზევარის ბიჭი. გულისამაჩუყებელი სიამაყე გებადება,რომ 13-14 წლის ბიჭის გულს უკვე „საქვეყნო საქმეზე“ აღელვებია სული.თუმცა, 2008 წლის ომმა დაამტკიცა, რომ ასეთი ახალგაზრდების სახელები მხოლოდ შორეული ისტორიის კუთვნილება არ არის და დღესაც ვინ იცის, რამდენი გულანთებული გმირი გვიზის გაკვეთილზე მასწავლებლებს და თავისი ონავარი საქციელით ნერვებსაც გვიშლის...

მაგრამ მეხუთე კლასით ვერ დაამთავრებს მასწავლებელი ამ ნაწარმოებზე საუბარს, არ შეიძლება შემდგომ კლასებშიც არ შევახსენოთ ნაწარმოები ბავშვებს,მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაზე მუშაობისას და შემდეგაც, ეს ნაწარმოები ადვილად არ იშლება მეხსიერებიდან თავისი ცოცხალი სურათებით, პერსონაჟთა პატიოსანი გულებით,ტკივილითა და დიდი რწმენით, სევდითა და მოვალეობის შეგრძნებით.

ჩვენ როცა კრწანისის ისტორიას ვიხსენებთ, უპირველესად ის გვახსენდება,როგორ დავმარცხდით ღალატის შედეგად და გვიჩნდება განცდა, რომ უზნეოები ვართ,ამას ხმამაღლა ვამბობთ,ჩვენს უგუნურებასა და უკეთურებაზე გაღიზიანებული ვსაუბრობთ.ეს განცდა კინაღამ ფარავს იმ ფაქტის გააზრების სურვილს ,რომ ერეკლემ 5000 კაცით პირველივე ბრძოლებში დაამარცხა აღა მაჰმად ხანის 35000 -იანი ლაშქარი და კინაღამ უკან მიაბრუნა.ამავე ომში იბრძოდა სამასი არაგველი, დაგვიანებით ჩამოსულმა სამასმა ხევსურმა კი, მიუხედავად იმისა, რომ ომი დამთავრებული იყო, არაგვის ხეობას შესეული მტრის რამდენიმე ათასი მეომარი გაანადგურა. იმათი თავგანწირვის ,ვაჟკაცობის ამბავი თითქოს უფერულდება რამდენიმე სულმოკლე ადამიანის საქციელის გამო.რევაზ ინანიშვილმა თავისი ნაწარმოებით სწორედ ამ გმირების, მამულიშვილების სულისკვეთება გააცოცხლა,რომ ქართველ კაცს საკუთარი ეროვნული ძალმოსილების რწმენა არ დაჰ-

კარგვოდა.მან დახატა ასაკოვანი, თუ ქვეყნის მომავალი თაობის ,ერის მამისა და უბრალო ადამიანების მოვალეობის შეგრძნებით სავსე სული,რათა ეთქვა ქართველისთვის, რომ ერის სული უკვდავია,რომ რამდენიმე გადაგვარებულის ღალატი მას ვერაფერს დაკლებს.

„თქვენ შეგიძლიათ თვით ჩემი თანდასწრებით ლანძღოთ ქართველი ხალხი,იმის გამო, რომ იგი მარცხენა ხელით მუშაობას არის ჩვეული და მომხვეჭელობაზე დახარბებულს გაჭუჭყიანებული აქვს სული, მაგარამ მე უფლებას არ მოგცემთ იგივე გაიმეოროთ ერზე , ქართველ ერზე. ხალხი ესაა ,რასაც ახლა უყურებთ, ერი კი სხვაა, ესაა მთლიანობა ხალხისა და დროისა, რომელიც საუკუნეებით იზომება მხოლოდ და მხოლოდ.“(რ. ინანიშვილი გამომც. „საქართველოს მაცნე 2008, გვ.260)

მწერლის ეს სიტყვები არის პასუხი კითხვაზე: რატომ არ დახატა ავტორმა მოცემულ ნაწარმოებში გაცემის ,ღალატის სამარცხვინო ისტორიული ფაქტი და უფრო მეტი აქცენტი გააკეთა უბრალო , დაძენძილშარვლიანი, დაშაშრულფეხებიანი, კომბლებიანი, გაჭირვებაში გამოჩეჩქვილი ქართველების გმირულ სულზე, ნივრის ორი კბილით დანაყრებულ ობლებზე, უქონელებზე, ულამაზოებზე, მათზე, „ვინც ქვეყნის იმედით“ ცოცხლობს.

სწორედ მათი სულის ჩვენებით გვესაუბრება მწერალი ერის ღირებულებებზე, მის იდენტობაზე , მის ზნეობაზე, ეთიკაზე ,კულტურასა და საფიქრალზე. და მაინც ტკივილით სავსეა მზევარის ბიჭის ცრემლნარევი ბოღმით ნათქვამი სიტყვები:,,თათრები არ უნდა მოგვრეოდნენ...თათრები ჩვენი მომრევები არ არიან“...(რ. ინანიშვილი გამომც.,,საქართველოს მაცნე“ გვ5)და მაინც ნაწარმოების ბოლოს უსაზღვრო სევდით გავსებს და ცრემლებით გაღრჩობს დამძახებლის მომლოდინე თვალისჩინწართმეული მოხუცის სურათი: „ქინთა-ქინთად ქცეული ახალუხის ჯიბის პირზე სამი რუსული ძველი მედალი ეკიდა_გამურულ ქვაზე დაღვენთილი წმინდა სანთლის ფერისა“.(გამომც.საქართველოს მაცნე2007,გვ.6)

გზა მზევარის ბიჭისა - კომბლიანი მეომრისაგან რუსის მედლებით „მკერდდამშვენებულ“ თვალდაბინდულ მოხუცამდე, რომელიც ისევ „დამძახებელს“ ელოდება ქალაქიდან...და უკვე მკითხველის სევდა უერთდება ნაწარმოების დასაწყისში სოფლის ჩუმ, შეკავებულ სევდას, ერეკლეს სევდას(გულში გამდნარ ტყვიასავით

ჩაელვენთა: „საცოდავი ქვეყნის საცოდავი შვილები…“),უსინათ-ლო მოხუცის შემსიტყვებლის სევდას(არა დამძახებელი არა ვა-რო).გახსენდება 18 წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე,იმპერატრიცას ნათლული,რუსთა წინააღმდეგ 1804 წლის მთიულთა აჯანყების მონაწილე და შემდეგ იმპერიის დიდებისთვის გამართულ ომებში სამხედრო მამაცობისთვის ოქროს ხმლით დაჯილდოებული და ჩინ-მედლებით მკერდდამშვენებული,(,,მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი, მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად, მე იგივე ვარ მარად და მარად“-ეს მისი სიტყვებია), აღარაფერს ვამბობ რუსის გენერალზე, ავარიის ხანზე, გრიგოლ ორბელიანზე, მაგრამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის არსებობაც არ გავიწყდება და ისევ რწმენით ივსე-ბი. ისიც რუსის ჯარის ოფიცერი იყო, მაგრამ , როგორც კი დას-ჭირდა სამშობლოს, მთელი თავისი სიცოცხლე მისი თავისუფლე-ბისათვის ბრძოლას უძღვნა.

ასე რომ, როგორც გურამ რჩეულიშვილი იტყოდა, ერი ზოგჯერ,,ორი დღით“ იბნევა, მაგრამ ბოლოს მაინც პოულობს სა-კუთარ თავს, რადგან მისი სული უკვდავია, სწორედ ეს რწმენა უნ-და ჩაგვინერგოს რევაზ ინანიშვილმა თავისი ნაწარმოებით „ ანა-ნურელი ულამაზოები“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **რ. ინანიშვილი** მოთხრობები ტომი 1,2,3,4,5.გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“2007,2008, 2010;
2. **თეიმურაზ მაღლაფერიძე,** რევაზ ინანიშვილის კაცისა და მწერლის გახსენება. გომბორი 1992.

Алла Сердюк

КОНЦЕПТ „ГОРОД» НА РУБЕЖЕ XIX-XX ВЕКОВ (на материале путевого очерка Н.Н.Спешнева „Батум»)

Современная наука характеризируется стремительным развитием когнитивной лингвистики. Этим обусловлена актуальность исследований в этой области, в частности, в изучении теорий описания ключевых понятий когитологии, среди которых концепт является одним из главных.

Общеизвестно, что само понятие „концепт» является неоднозначным, и его толкование зависит от теорий различных когнитивных школ. В качестве рабочего принимаем определение, данное М.В. Пименовой, которая утверждает: „Что человек знает, считает, представляет об объектах внешнего и внутреннего мира и есть то, что называется концептом. Концепт – это представление о фрагменте мира» [1, с. 8]. Целью нашего исследования и является попытка описания такого „фрагмента мира», а именно концепта „город» в индивидуально-авторской интерпретации.

Вслед за Р.Фрумкиной, Ю.Степановым, В.Масловой, З.Поповой и др. мы считаем концепт „слоистым» образованием. В соответствии с этой точкой зрения концепт представляет собой структуру с ядром, приядерной частью и периферией (ближней и дальней). Каждая из названных частей состоит из компонентов, которые, в свою очередь, имеют в своей структуре субкомпоненты. Традиционно словарная дефиниция и является ядерной частью концепта. По выражению В.Масловой „именно материалы толковых словарей предлагают исследователю большие возможности в плане раскрытия содержания концепта, в выявлении специфики его языкового выражения» [3, с. 45].

Основное значение концепта „город» определяем через обращение к толковым словарям. Город в лексикографических источниках детерминируется как „крупный населённый пункт, административный, торговый, промышленный и культурный центр. <…> В старину на

Руси: ограждённое стеной, валом поселение; крепость» [4, http://dic.academic.ru/dic.nsf/ogegova/41254].

Аналогичную дефиницию видим и в „Большом толковом словаре русского языка» под ред. С. Кузнецова: „Крупный населенный пункт, административный, промышленный, торговый и культурный центр района, области, округа и т.п. <…> Древнее поселение, огороженное укрепленной стеной; крепость. // Ограда, стена, окружающая такое поселение» [2, с. 221].

Следует заметить, что в обоих источниках последним компонентом является сема „ограждение». Как известно, современные города не являются крепостями, но этот компонент является историческим признаком концепта, обусловленным его внутренней формой: по данным этимологического словаря „город» происходит от индоевропейского корня *gherdh- и имеет следующее развитие значения „ограда, забор» > „огражденное место» [6, т.1, вып. 4, с. 139]. Как известно, этимологический признак концепта известен лишь исследователям, но он является базой, на которой возникают, развиваются и существуют остальные компоненты семантики.

Таким образом, данные словарные статьи позволяют нам выделить следующие компоненты ядра исследуемого концепта: 1) населенный пункт; 2) большой масштаб; 3) администрация; 4) промышленность; 5) торговля; 6) культура; 7) ограждение.

В современном антропоцентрическом языкознании наиболее эффективным методом изучения концептов как ментальных образований является ассоциативный эксперимент, имеющий своей целью построение ассоциативного поля. Результаты этого эксперимента исследователи описывают, упорядочивая реакции по убыванию частотности.

Что касается нашей работы, то мы использовали для построения ассоциативного поля контексты, репрезентирующие концепт „город» в сознании автора путевого очерка „Батум» Н.Спешнева [5]. Методом сплошной выборки нами были выбраны текстовые фрагменты, которые по завершении статистической обработки были построены по частотности их употребления в исследуемом произведении. Таких контекстов нами обнаружено ***327***.

Ассоциативное поле исследуемого слова в картине мира Н. Спешнева имеет следующий вид: Батум – 36, город – 20, море – 11, Кавказ – 8, улица – 7, баня – 7, бульвар – 6, дорога – 5, железная дорога – 5, здание – 5, городской сад – 5, Панцырь – 5, горы – 5, дом – 4, Черное море – 4, вершина – 3, возвышенность – 3, высоты – 3, побережье – 3, рейд – 3, суда – 3, помещение – 3, библиотека – 3, мангал – 3, баранина – 3, вино – 3, греки – 3, черкесы – 3, лазы – 3, курды – 3, Кутаисская губерния – 2, Лазинстанский санджак – 2, Батумская область – 2, турецкий квартал – 2, набережная – 2, фонтаны – 2, дожди – 2, берег – 2, поезд – 2, станция – 2, маяк – 2, мол – 2, экипаж – 2, гостиница – 2, минарет – 2, базар – 2, шашлык – 2, дичь – 2, овощи – 2, рыба – 2, хлеб – 2, источник – 2, воздух – 2, болотистое пространство – 2, кобулетцы – 2, армяне – 2, евреи – 2, иностранцы-европейцы – 2, русские – 2, Форт Бурун-Табия – 1, военный городок – 1, батумская страна – 1, горная страна – 1, Махинджаурские возвышенности – 1, батумский залив – 1, озеро – 1, болото – 1, ветер – 1, мостовая – 1, пристань – 1, купание на море –1, купальный дом – 1, лечебная станция – 1, извозчик – 1, возница – 1, фаэтон – 1, лошадь – 1, домашняя птица – 1, курица – 1, индейка – 1, фазан –1, куропатка (каха) –1, сыр –1, масло – 1, мясо – 1, редис –1, брюква –1, морковь –1, фрукты –1, виноград –1, капуста –1, деликатесы –1, пряные травы –1, душистые травы –1, кефаль – 1, камбала –1, султанка –1, судак – 1, щука –1, форель (кормахи) –1, сельтерская вода –1, лимонад –1, местное печенье –1, булочка –1, чурек – 1, лаваш –1, бублики –1, баранки –1, туземная кухня –1, греческая кухня –1, суп – 1, ресторан –1, клуб – 1, кофейная – 1, турецкие лачужки – 1, дома на европейский лад – 1, турецкие дома – 1, постройка –1, жилые помещения – 1, квартира – 1, меблированные комнаты – 1, без удобств – 1, водопровод –1, этаж – 1, турецкая баня –1, губернаторская баня –1, Центральная гостиница –1, мечеть –1, съестная лавка – 1, торговая контора – 1, магазин – 1, турецкий базар –1, европейский базар – 1, рыбный базар – 1, деревья – 1, рассадник лихорадок – 1, малярия – 1, санитарная станция для туберкулезных больных –1, последняя земная станция – 1, бальнеологическое значение – 1, серный источник – 1, первоначальная школа – 1, частная школа – 1, ремесленная школа – 1,

керосиновое дело –1, керосиновое поприще Ротшильда –1, нефтяное поприще Ротшильда -1, заводы искусственных вод –1, курды – 1, татары –1, турки –1, туземцы – 1, жители –1, служащие –1, холостые –1.

По количеству компонентов, актуализировавших разные значения исследуемого слова, можно представить иерархию значений в смысловой структуре исследуемого концепта. Как показывают полученные данные, значение концепта „город» в картине мира Н.Спешнева не совпадает с его лексикографическим вариантом. Как уже было ранее замечено, по данным лексикографических источников, ядро концепта „город» включает в себя 7 компонентов (см.выше).

Что касается структуры данного концепта в языке автора исследуемого произведения, то к ядерной части мы относим следующие компоненты: „населенный пункт», „традиции питания», „суша», „национальный состав». Чаще всего автор употребляет собственно слово-репрезентант: *„я отправился по кавказской железной дороге в **Батум** – конечную цель моего путешествия»* [5, с. 378]. На второй позиции – субкомпонент „город»: *„В **городе** поражает значительное число каких-то довольно странных, не то заброшенных, не то недоконченных построек»* [5, с. 385]. Остальные субкомпоненты по своему количеству являются незначительными (см.ниже). Большое внимание Н.Спешнев уделяет описанию традиций питания жителей Батуми. Отметим большое количество субкомпонентов, что свидетельствует о разнообразии питания батумцев. Анализ этих субкомпонентов показывает преимущество мяса и птицы в питании жителей города: *„Главнейшее блюдо составляет **шашлык**; этим именем, впрочем, называется не только одна **баранина жаренная** на вертеле, но и другие **мяса**, зажаренные тем же способом. Затем, более всего в почете жаренная **птица**»* [5, с. 389]. *„Далее главную еду* (по словам автора – А.С.) *составляет **рыба**»* [5, с. 389]. Значительное количество субкомпонентов представляют собой наименования овощей и фруктов, при этом Н.Спешнева поражает наличие в меню батумцев трав: *„Характерную особенность **овощного торга** составляет множество разного рода **пряных и душистых трав**, продаваемых для потребления в сыром виде»* [5, с. 389]. Существенное место в питании местных жителей, по

мнению, автора очерка, занимают и хлебобулочные изделия: „*Употребительнейший* ***хлеб белый*** *<…>; затем идут разные местные* ***печения****»* [5, с. 389]. Что касается напитков, то автор выделяет как наиболее популярные – **вино**, „*как местное, так и кахетинское»*, а также „*много* ***сельтерской воды*** *и* ***лимонаду****»* [5, с. 389].

«Суша» также является компонентом ядра концепта „Батум», что является вполне закономерным, ведь населенные пункты строились и строятся именно на почве. Н.Спешнев подчеркивает рельеф территории, на которой расположен Батуми. Подавляющее количество субкомпонентов обозначают названия гор, формы рельефа: „*Ближе же к городу и к югу встают,* ***вершина*** *за вершиною,* ***высоты Малого Кавказа*** *и* ***Аджарских гор****»* [5, с. 384]. – „*одно* ***ущелье Махинджаурских возвышенностей*** *<…>, известное под именем* ***Панцырь****»* [4, с. 392]. – „*из-за* ***высот****, окаймляющих город с востока выплывал большой серп луны»* [5, с. 380] и др. Кроме гористой местности, автор обращает внимание и на то, что Батуми расположен на берегу: „*молодое насаждение, вдоль морского* ***берега****»* [5, с. 390] и др.

В ядро исследуемого концепта включен и компонент „национальный состав». Н. Спешнев пишет: „*Общий состав населения крайне разнообразен и состоит из* ***кобулетцев, армян, греков, черкесов, курдов*** *и* ***лазов****, в городе же к этим представителям разных племен присоединяются еще* ***евреи, иностранцы-европейцы*** *разных наименований и небольшое число* ***татар*** *и* ***турок****»* [5, с. 382].

Представителям отдельных национальностей автор дает свою субъективную оценку. Так, черкесы, по его мнению, „*крайне беспокойные и вороватые соседи»* [5, с. 382]. Отрицательно он относится и к евреям: „*мне кажется, Батуму скоро придется посерьезнее взглянуть на возрастающий наплыв этих малоудобных новых сограждан»* [5, с. 383]. Что касается положительного мнения, то оно сформировалось у Н.Спешнева о некоторых турках (*«Между ними есть несколько очень богатых и почтенных людей, скромно и тихо живущих в Батуми»* [5, с. 382 – 383]), о местных жителях (*«сами возницы одеты чисто, а некоторые даже со щегольством, в*

длинный грузинский кафтан, подпоясанный кушаком с серебряными украшениями, на голове же папахи различной формы и цветов» [5, с. 379 – 380]) и русских, например, так он пишет об одном торговце: „*Один из них добродушнейший толстяк и весельчак»* [5, с. 383- 384].

К приядерной части концепта принадлежат составляющие: „улицы и площади», „водоемы», „жилье». Наиболее употребительным субкомпонентом первого из названных компонентов является „улица»: „*Почти все* ***улицы*** *Батума мощеные обыкновенным булыжником, собираемым для этой цели тут же вблизи, на берегу моря»* [5, с. 386]. Важной составляющей является и субкомпонент „бульвар»: „***Бульвар*** *тоже совсем молодое насаждение, вдоль морского берега, относительно узкое, но очень длинное»* [5, с. 390]. Что касается компонента „водоемы», то в его составе, безусловно, приоритет принадлежит составляющей „море»: „*варшавский поезд мчал нас по направлению к Одессе, чтобы, затем, оттуда* ***морем*** *ехать в Батум»* [5, с. 376]. Для характеристики компонента „жилье» Н.Спешнев чаще всего употребляет лексему „здание»: „*Прямо к юго-западу лежит новая часть города, с* ***зданиями*** *на европейский лад, оканчивающимися у слабой еще зелени городского сада недавнего насаждения»* [5, с. 384]. В целом же автор оценивает ситуацию с жильем в Батуми как критическую: „*Между тем Батум положительно страдает* ***недостатком жилых помещений****, вследствие постоянного наплыва жителей, особенно служащих и холостых, более всего чувствующих этот недостаток.* ***Меблированных комнат****, в столичном смысле, в Батуме* ***нет совсем****»* [5, с. 385].

Составляющими ближней периферии являются: „сфера обслуживания», „морской транспорт», „развлечения», „здравоохранение», „железнодорожный транспорт», „торговля». Что касается первого из названных компонентов, то в сфере обслуживания автор обращает внимание, прежде всего, на **бани**, которые „*в ряду других зданий города, выделяются своими крышами, представляющими цементные купола полушарообразной, а иногда и грушевидной формы, усеянные небольшими выпуклыми круглыми стеклами»* [5, с. 386]. Касательно транспорта Н.Спешнев выделяет, прежде всего,

морской (*К северу виднеется безграничная площадь моря, с прекрасным и оживленным* ***рейдом*** *и* ***пристанями*** *у берега и вдоль последнего с массой* ***судов*** *всякого рода и под различными флагами, три четверти из коих, т.е. судов, грузятся керосином* [5, с. 384]) и железнодорожный (*После небольшой остановки у въезда в город,* ***поезд****, описав огромную дугу по самому городу, подкатывает к очень* ***невзрачной деревянной станции*** *– Батум, и мы наконец у цели своего путешествия* [5, с. 379]).

Комментируя развитие социальной инфраструктуры, автор обращает внимание на ее слабое развитие в плане развлечений. При этом он выделяет как место для прогулок городской сад, ставший впоследствии знаменитым Батумским ботаническим садом: „*Мест для гуляний в Батуми немного. Для этой цели служит* ***городской сад*** *и так называемый бульвар; первый однако посещается меньше, вероятно, потому, что он лежит на окраине города и представляет мало тени, по молодости своих насаждений. Сад этот интересен собраниями своих растений, между которыми есть немало представителей более теплых стран»* [5, с. 390].

В настоящее время Батуми известен как туристический центр, имеющий прекрасный для отдыха и оздоровления климат. Однако, в конце XIX столетия ситуация была совсем иной: „*по некоторым условиям местности, город сохраняет за собою славу* ***рассадника упорных и злокачественных лихорадок****, обусловленных как высокою среднею, так в особенности, летнею температурами при обильных водяных осадках»* [5, с. 391]. Как отмечал Н.Спешнев, „*для многих больных этого рода* (туберкулезных – А.С.)*, приезжающих в Батум, он оказывается* ***последнею земною станциею****»* [5, с. 391]. Вместе с тем, автор оптимистически смотрит на будущее Батуми как курорта, описывая **серный источник** в ущелье Панцырь, находящееся вблизи города: „*как свойства и качества источника, так равно и близкое (версты две) расстояние от железной дороги, дают право предполагать, что в будущем <…> Панцырь сделается непременно одной из известных* ***лечебных станций****»* [5, с. 392].

Характеризуя сферу торговли, главными ее местами Н.Спешнев называет рынки: „*Оба эти* ***базара*** (турецкий и европейский – А.С.),

то-есть собрание легких деревянных будок для торга живностью и овощами, и небольшой ***рыбный базар****, на набережной – составляют центр, где сосредотачивается все съестное, потребляемое жителями Батума»* [5, с. 388].

В составе дальней периферии концепта – „административное деление», „образование и культура», „конный траспорт», „промышленность», „статус жителя», „религия», „общественное питание», „военное дело». Эти компоненты неслучайно находятся на дальней периферии исследуемого концепта. Что касается административного деления, то автор лишь однажды упоминает о нем: „*В административном отношении Батум и его округ ныне причислены к* ***Кутаисской губернии****»* [5, с. 380]. Немного больше внимания уделяется и образованию и культуре, при этом Н.Спешнев объясняет это так: „*По части же умственной пищи актив Батума* ***очень слаб****. В нем только* ***одна первоначальная*** *и* ***две частные школы****. Впрочем, недавно открыта еще* ***ремесленная школа****. Для чтения имеется* ***одна библиотека****, переехавшая из Кутаиса»* [5, с. 391].

Что касается промышленности, то автор упоминает о „*керосиновом и нефтяном поприще Ротшильда»* [5, с. 383] и о „*трех заводах искусственных вод»* [5, с. 389]. Остальные компоненты дальней периферии упоминаются спорадически. Отметим лишь тот факт, что для нас представляет интерес отсутствие какого-либо упоминания о православных храмах. Н.Спешнев бегло описывает лишь **мечеть** и **минарет** [5, с. 384]. Мы можем в качестве объяснения предположить, что православная церковь воспринималась автором, как само собой разумеющийся объект, а мусульманское культовое сооружение как нечто необычное, поэтому и заслуживающее внимание.

Полученные результаты мы переформулируем как значения семантических компонентов, которые образуют слово-репрезентант, т.е. близкие по семантике ассоциаты мы объединяем в один семантический компонент и суммируем их частотность. Получены следующие результаты:

Население – 80.

Традиции питания – 52 (мангал –3, баранина – 3, вино –3, дичь – 2, шашлык – 2, овощи – 2, рыба – 2, хлеб – 2, домашняя птица –1, курица –1, индейка –1, фазан –1, куропатка (каха) –1, сыр –1, масло – 1, мясо –1, редис –1, брюква –1, морковь – 1, фрукты –1, виноград – 1, капуста –1, деликатесы –1, пряные травы –1, душистые травы –1, кефаль – 1, камбала – 1, султанка – 1, судак –1, щука –1, форель (кормахи) –1, сельтерская вода –1, лимонад –1, местное печенье –1, булочка –1, чурек –1, лаваш –1 , бублики –1, баранки –1, туземная кухня –1, греческая кухня –1, суп –1).

Национальный состав – 25 (греки – 3, черкесы – 3, курды – 3, лазы – 3, кобулетцы – 2, армяне – 2, евреи – 2, иностранцы-европейцы – 2, русские – 2, татары – 1, турки – 1, туземцы – 1).

Статус – 3 (жители –1, служащие –1, холостые –1).

Социальная инфраструктура – 72.

Жилье – 19 (здание – 5, дом – 4, помещение – 3, турецкие лачужки – 1, дома на европейский лад – 1, турецкие дома – 1, постройка – 1, жилые помещения – 1, квартира – 1, этаж – 1).

Сфера обслуживания – 15 (баня – 7, гостиница – 2, турецкая баня –1, губернаторская баня – 1, Центральная гостиница –1, меблированные комнаты – 1, без удобств – 1, водопровод –1).

Развлечения – 10 (городской сад – 5, фонтаны – 2, клуб – 1, купание на море –1, купальный дом – 1).

Здравоохранение – 9 (источник – 2, рассадник лихорадок – 1, малярия – 1, санитарная станция для туберкулезных больных – 1, последняя земная станция – 1, бальнеологическое значение – 1, серный источник – 1, лечебная станция – 1).

Торговля – 8 (базар – 2, турецкий базар – 1, европейский базар – 1, рыбный базар –1, съестная лавка – 1, торговая контора – 1, магазин – 1).

Образование и культура – 6 (библиотека – 3, первоначальная школа – 1, частная школа – 1, ремесленная школа – 1).

Религия – 3 (минарет –2, мечеть –1).

Общественное питание – 2 (ресторан –1, кофейная – 1).

Территория – 67.

Населенный пункт – 60 (Батум – 36, город – 20, турецкий квартал – 2, новая часть города – 1, старая часть города – 1).

Административное деление – 7 (Кутаисская губерния – 2, Лазинстанский санджак – 2, Батумская область – 2, батумская страна – 1).

Природа – 60.

Суша – 34 (Кавказ – 8, Панцырь – 5, горы – 5, вершина – 3, высоты – 3, побережье – 3, возвышенность – 3, берег – 2, горная страна – 1, Махинджаурские возвышенности – 1).

Водоемы – 20 (море – 11, Черное море – 4, болотистое пространство – 2, батумский залив – 1, озеро – 1, болото – 1).

Другое – 6 (воздух – 2, дожди – 2, деревья – 1 ветер – 1).

Транспортная инфраструктура – 47.

Улицы и площади – 21 (улица – 7, дорога – 5, бульвар – 6 , мостовая –1, набережная – 2).

Морской транспорт –11 (маяк – 2, мол – 2, рейд – 3, пристань – 1, суда – 3).

Железнодорожный транспорт – 9 (железная дорога – 5, поезд – 2, станция – 2).

Конный транспорт – 6 (извозчик – 1, экипаж – 2, фаэтон – 1, лошадь – 1, возница – 1).

Промышленность – 4 (керосиновое дело –1, керосиновое поприще Ротшильда –1, нефтяное поприще Ротшильда –1, заводы искусственных вод –1).

Военное дело – 2 (военный городок – 1, Форт Бурун-Табия –1).

Исходя из полученных результатов, можно сказать, что в сознании Н.Спешнева Батуми того времени представлял собой многонациональный населенный пункт, расположенный у берега моря (на суше), в котором сформировались определенные традиции питания и в котором существуют серьезные проблемы с жильем.

Как видим, наблюдается существенное различие, прежде всего, в изменении иерархического порядка ядерных и периферийных значений. В частности, по мнению автора Батуми не является крупным торговым, промышленным и культурным центром. Кроме того, в авторской картине мира в структуре концепта „город» отсутствует компонент „ограждение». Форт Бурун-Табия, о котором Н.Спешнев

лишь однажды вспоминает («высокие насыпи и откосы форта Бурун-Табия» [4, с. 384]) , оборонительного значения в то время уже не имел.

Как перспектива дальнейших исследований для нас представляет большой интерес изучение данного концепта на материале современных источников. С большой уверенностью можно предположить смещение некоторых компонентов в структуре концепта. К примеру, мы предполагаем, что компоненты „административное деление», „образование и культура» и др., транспонируются либо в ядро, либо в приядерную часть концепта, учитывая статус Батуми в современной Грузии.

Литература

1. Введение в когнитивную лингвистику: учеб. пособие / З.Д. Попова, И.А. Стернин, В.И. Карасик, А.А. Кретов, О.О. Борискина, Е.А. Пименов, М.В. Пименова; отв. ред. М.В. Пименова. – Кемерово: Графика, 2004 (Серия „Концептуальные исследования». Вып. 4).
2. Кузнецов С. А. Большой толковый словарь русского языка / Гл.ред. СА.Кузнецов. – СПб.: Норинт, 2006. – 1536 с.
3. Маслова В.А. Когнитивная лингвистика: [учебное пособие] / В.А. Маслова. – Мн.: ТетраСистемс, 2005. – 256 с.
4. Ожегов С. И. Словарь русского языка / под ред. Н. Ю. Шведовой. – М.: Рус. яз., 1986. [электронный ресурс]. – Режим доступа: http://dic.academic.ru/contents.nsf/ogegova/
5. Спешнев Н.Н. Батум (Путевой очерк) / Н.Н. Спешнев // Исторический вестник, ноябрь, 1889, т. XXXVIII. – С.376 – 393.
6. Этимологический словарь русского языка / под ред. Н.М. Шанского. – М.: Издательство МГУ, 1972–1983. – Т.1. – Вып. 4. – 215 с.

ეკატერინე ბარამიძე
თემურ ავალიანი

ანთროპონიმია სამყაროს ენობრივ სურათში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე)

ანთროპონიმია, ისევე როგორც საერთოდ ონომასტიკა, ენის ლექსიკის ის პლასტია, რომლის ჩამოყალიბება ხდება არა ერთ რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე, არამედ მთელი ისტორიის მანძილზე. შესაბამისად, ის ***უაღრესად საინტერესო სურათს ქმნის ხალხის (ეთნოსის, ერის) ეთნოკულტურული იდენტობის ჩამოყალიბება–შენარჩუნების ან პირიქით, დაკარგვის თვალსაზრისით.*** ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს ხალხის (სოციუმის) ბედის განმსაზღვრელი სოციალური, პოლიტიკური, ბუნებრივი და სხვა სახის კატაკლიზმების პირობებში, რადგან ისინი რადიკალურად ცვლიან სოციუმის ცხოვრების ჩვეულ, ტრადიციულად დამკვიდრებულ წესს და ღრმა კვალს ტოვებენ მის ისტორიულ მეხსიერებაში. ყოველივე ეს უშუალოდ აისახება ენაში: იწყება ***სამყაროს ენობრივი სურათის ტრანსფორმაცია*** (ძვ. ლათ. transformatio — „გარდაქმნა») და ძლიერდება ეთნიკური (ეროვნული) იდენტობის წაშლის (ან პირიქით, გაძლიერების) ტენდენციები, რაც ზოგადად უნივერსალური ხასიათის მოვლენაა. სპეციფიკა ვლინდება ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში, რადგან ენა ეკუთვნის კონკრეტულ სოციუმს (ეთნოსს, ხალხს), ცალკეულ სოციუმთა ეთნოკულტურული იდენტობის შენარჩუნება/დაკარგვის პროცესები კი ყველგან ერთნაირად არ მიმდინარეობს.

როგორც რ. თოფჩიშვილი წერს „***ქართული გვარ-სახელების წარმოქმნისა და განვითარების რთული და ხანგრძლივი გზის მონოგრაფიული შესწავლა მომავლის საქმეა, როდესაც სრულად იქნება გამოცემული ქართული საისტორიო საბუთების სრული კორპუსი და მხარეების მიხედვით იქნება გამოკვლეული გვარ-სახელთა ეთნო-ისტორიული და ეთნო-სოციალური საკითხები“.*** (თოფჩიშვილი, 1997: 109). ეს სიტყვები ოცი წლის წინ დაიწერა, მდგომარეობა კი დღესაც იგივე რჩება, განსაკუთრებით აჭარაში, რომელიც მე–16 საუკუნის მეორე ნახევრიდან საუკუნეების განმავლობაში დედასამშობლოსგან მოწყვეტილი, ოსმალეთის იმპერიის შე-

მადგენლობაში, ისლამურ გარემოში იყო მოქცეული. ამის გამო აქაურმა ანთროპონიმიამ (ისევე როგორც მთლიანად აქაურმა ქართულმა ენამ) მაქსიმალურად განიცადა შექმნილი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ვითარების ზეგავლენა, კერძოდ, განხორციელდა ქართული (უფრო სწორად კალენდარული) საკუთარი სახელების (ისევე როგორც გვარების) კვალის წაშლა და მუსლიმანური სახელებით და თურქული ოღლებით ჩანაცვლება. აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ განხორციელდა მშობლიურ ფესვებზე დაბრუნების პროცესი, თანამედროვე დემოკრატიზაციისა და რელიგიური აღმსარებლობის პირობებში კი აქა-იქ ისევ გაჩნდა მუსლიმანური აღმსარებლობის გაღვივების ტენდენციები, რაც ცხადია, გარკვეულ ზეგავლენას იქონიებს ანთროპონიმიის შემდგომი დინამიკის ხასიათზეც. ამ ასპექტში რეგიონის ანთროპონიმიის კვლევა დღემდე საერთოდ არ ჩატარებულა. შესაბამისად, ჩვენი მიზანია ამ პროცესის შეძლებისდაგვარად კომპლექსური ანალიზი ზემო აჭარაში, რის შედეგებსაც ცალკეულ პუბლიკაციებში ავსახავთ.

წინამდებარე ნაშრომი ჩვენი საერთო კვლევის ერთ-ერთი ფრაგმენტია, რომელიც შეძლებისდაგვარად ასახავს ***ქედის მუნიციპალიტეტის*** ერთ კონკრეტულ სასოფლო თემში, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ***მახუნცეთში*** მოძიებულ მონაცემებს.

ჩვენი ანალიზი წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. როგორი იყო მახუნცეთის ანთროპონიმური სურათი XVI საუკუნის მიწურულისთვის;

2. როგორია ამ სოფლის ანთროპონიმური სურათი დღეს;

3. როგორ წარიმართა მახუნცეთის ანთროპონიმიის ტრანსფორმაცია XVI საუკუნის მიწურულიდან დღემდე აქ მცხოვრებთა კოლექტიური მეხსიერების მონაცემების მიხედვით.

XVI საუკუნის მიწურულისა და შემდგომი პერიოდის ანთროპონიმული სურათის აღდგენა (ცხადია, მიახლოებით) ვცადეთ ძირითადად ზ. შაშიკაძის და მ. მახარაძის ნაშრომის „***აჭარის ლივის დიდი და მოკლე დავთრები“ (თბ. 2011 წელი)*** მიხედვით. საინტერესოა აგრეთვე „***ტბეთის სულთა მატიანე“***, რომელიც მე-12 - მე-17 საუკუნეების მანძილზე დაწერილი მოსახსენიებლების თავმოყრილი ნუსხაა. ტბეთის საყდარი, სადაც ეს ძეგლი შეიქმნა, შავშეთში მდებარეობს, ***მაგრამ როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, შემომწირველები საყდრის გარეთაც, აჭარაშიც იყვნენ.*** ასე რომ, ამ ძეგლში აჭარიდან

მაჭახლის ხეობის ხუთი სოფლის: ჩხუტუნეთის, ჩიქუნეთის, ზედვაკის, ევფრატის და ხერთვისის შემომწირველებიც არიან ჩამოთვლილი, „მასში დაცულია მდიდარი ონომასტიკონი, რომელიც მრავალმხრივაა საყურადღებო, როგორც საისტორიო მასალა“ (ენუქიძე 1977: 33; შანიძე 1989: 50-56). და რაც ყველაზე მთავარია, „მატიანეში“ XII-XVII საუკუნეებში ფიქსირებული გვარ-სახელები დღესაც აგრძელებენ არსებობას იმავე სოფლებში (ნ. კახიძე: 2011: 8-11). ეს სოფლები მახუნცეთის მეზობლად მდებარეობს, ასე რომ ამ წყაროში ბევრი საინტერესო მონაცემის მოძიებაა შესაძლებელი.

აღნიშნული პერიოდის ანთროპონიმული სურათის მეტ-ნაკლებად აღდგენისა და ანალიზისათვის კვლევის პროცესში ვიშველიებთ აგრეთვე ისეთ წყაროებსა და გამოკვლევებს, როგორიცაა დიმიტრი ბაქრაძის, თედო სახოკიას, გიორგი ყაზბეგის, ა. ფრენკელის, ვ. ლისოვსკის, ჟან მურიეს და სხვათა დღიურებს და ნაშრომებს. წინამდებარე სტატიაში ვეყრდნობით თ. სახოკიას მონაცემებს.

„აჭარის ლივის დიდი და მოკლე დავთრების“ მიხედვით იმდროინდელ მახუნცეთში დაფიქსირებულია 25-მდე ანთროპონიმი, რომლებიც კომლების უფროსებს ეკუთვნით. ესენია:

სოფელ მახუნცეთში: გოგიჩა ძე მახარობლისა, იოსებ ძე მისი, ვარძელა ძე ლამდარიასი, აბრამი ძე სომასი, მახარა ძე გოგიჩასი, იოსებ ძმა მისი, გოგიჩა ძე მისი, გურზაქე ძე გონასი, ბასილის ძე იოსებისა, მუბანა ძე ზარბასი

სოფელ ბზუბზუში: ლევან ძე გიორგისა, სუსუღილი, ძმა მისი, გოგიჩა ძე მისი, იორდანე ძე ჯვარისასი, იოანე, ძმა მისი, ამირინდო, ძე სემიესი, გოგიჩა ძე იორდანესი, გუბაზ ძმა მისი.

სოფელ ზუნდაგაში: გიორგი ძე საბულისა***,*** ათანასე ძე გიორგისა

სოფელ დოლოგანში: (დაფიქსირებულია აგრეთვე მისი მეორე სახელი დოლოგი)- დუმრულეთი ძე ჯავარისა***,*** ჯადია ძე ბასილისა***,*** ჯეირანი ძე იოსებისა***,*** იოსებ ძე მანიასი***,*** დავით ძე გირსასი.

რა არის აქ ჩამოთვლილი? რა სახის ინფორმაციას შეიცავს ეს სიები? ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ ეს არის ***<u>სახელები და მამის სახელები,</u>*** ანუ აქ გვარები არ არის დაფიქსირებული. ამასვე აღნიშნავენ აღნიშნული ნაშრომის ავტორებიც (შაშიკაძე, 2011: 7). მსგავს მოდელებზე გ. ხორნაული წერს: „***<u>ქართულ ისტორიულ წყაროებში არის შემთხვევები, როცა სახელს მამის სახელი, წოდება</u>***

ან მეტსახელი ერთვის. ისინი ჩვენს მკვლევარებს შეცდომით გვარებად მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღესაც“ (ხორნაული, 1979: 83). გ. ხორნაულს არ ეთანხმება რ. თოფჩიშვილი: „***ასეთი შემთხვევები მართლაც არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართველებს გვარსახელები არ გვქონდა...*** მეცნიერის მოვალეობაა ***ერთმანეთისგან გამიჯნოს გვარსახელი და მამის სახელი ...*** მამის სახელით, პროფესიით ან ზედმეტი სახელით პიროვნების მოხსენიება განპირობებული იყო სხვადასხვა ფაქტორით... ქართულ სოფელში არ იყო ამის პრაქტიკული მოთხოვნილება... გვარსახელით პიროვნებას იშვიათად მოიხსენიებდნენ. გვარსახელი მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებდა“ (თოფჩიშვილი, 1997: 18,19). ერთ-ერთი საბუთის ანალიზისას რ. თოფჩიშვილი წერს აგრეთვე, რომ მასში „დასახელებული პიროვნება, მაგალითად, ***გიორგი კარიჭას შვილი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი არის კარიჭას ძე ან კარიჭას შვილი“*** (თოფჩიშვილი, 1997: 20).

ჩვენი მხრიდან რ. თოფჩიშვილის თუნდაც ამ ბოლო მაგალითის საპირისპიროდ მოვიყვანდით მითითებულ დავთრისეულ ჩანაწერებს: *სუსულილი,* ***ძმა მისი,*** *გოგიჩა,* ***ძე მისი,*** *იოსებ,* ***ძე მისი*** და სხვა, რომლებიც აშკარად არ უნდა იქნეს მიჩნეული გვარებად, თუმცა გასათვალისწინებელია რ. თოფჩიშვილის შემდეგი არგუმენტიც: გარეკახეთის აღწერის ერთ-ერთ დავთარში ჩამოთვლილია გოგილასშვილების 23 კომლი: გოგილას შვილი ხუცია, გოგილას შვილი ოქრუა და ა.შ. ***ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გოგილას 23 შვილი ჰყავდაო,*** ასკვნის მეცნიერი. „***ეს უბრალოდ გვარსახელის დაწერის მაშინდელი ფორმა იყო“*** – წერს ის და კიდევ ერთ არგუმენტად იშველიებს „საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლების (1-ლი ნაწ.)“ გამომცემელთა ბოლოსიტყვაობას: „***გვარების მართლწერისას ნათესაობითი ბრუნვის სანიანი გვარები ორად გავყავით: იმედას შვილი, ოდანას შვილი, ბეროს შვილი და ა.შ. შეკვეცილი სანიანი გვარები კი ერთად დავწერეთ: ირემაშვილი, ჟამუტაშვილი, საგინაშვილი“ (გვ. 272).*** რ. თოფჩიშვილის საბოლოო დასკვნით, „***ქართულ ხელნაწერებში გვარსახელების დაწერის მართლწერა არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილებოდა*** ... თავდაპირველი ფორმა გვარსახელის დაწერისა ნათესაობითი ბრუნვის „ს“ანიანი ფორმა იყო, რომელიც მხოლოდ გვიან, თანდათანობით იქნა ხმარებიდან გამოდევნილი“ (თოფჩიშვილი-1997: 22).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ტბეთის სულთა მატიანის“ მონაცემებიც, რადგან მასში სწორედ „ს“ანიანი ფორმებია დაფიქსირებული (იხ. ქვემოთ).

როგორც ს. ჯიქია აღნიშნავს, „***მსგავს მასალებს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ონომასტიკის თვალსაზრისით, არამედ იმდროინდელი მოსახლეობის ეროვნული შედგენილობის თვალსაზრისთაც“*** (Джикиа С. 1940: 483-484). ზ. შაშიკაძის მიერ თარგმნილი აღნიშნული „დავთრის“ მონაცემების საფუძველზე სავსებით ნათელია, რომ იმდროინდელი მახუნცეთის ანთროპონიმია მთლიანად არამუსლიმანურია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მიერ მესხეთ-ჯავახეთში ჩატარებული კვლევა, სადაც ის ცალკე გამოყოფს თავს „გამაჰმადიანებულთა გვარები“, თუმცა საუბრობს არა ქართული გვარების ტრანსფორმაციაზე, არამედ უბრალოდ იძლევა იმ ქართულ გვართა ჩამონათვალს, რომელთა წარმომადგენელნიც გამაჰმადიანდნენ (ჯაფარიძე 2010).

რა ხდება შემდგომ პერიოდში? ამ კითხვაზე ერთ-ერთ პასუხად შეიძლება ჩაითვალოს 1897 წელს, ანუ აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებიდან სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ თედო სახოკიას მიერ ქვემო აჭარაში აღნუსხული გვარები. ზემო აჭარის მცხოვრებთა სია მას არ აქვს წარმოდგენილი, თუმცა დასძენს, რომ ***არა გვგონია, აქ ჩამოთვლილ გვარების გარდა ოცზე მეტი იყოს განსხვავებულიო.*** (სახოკია, 1985: 209-212). დღევანდელ მონაცემებს თუ შევადარებთ, თ. სახოკიას ჩამონათვალიდან იმდროინდელ ქედაში გავრცელებული გვარებია: ***აბაშიძე,*** აბულაძე, ავალიანი, ალექსიძე, ანანიძე, ასამბაძე, მანველიძე, ***ბალაძე, ბარამიძე, ბასილაძე, ბედინაძე, ბეჟანიძე, ბერიძე, ბოლქვაძე,*** ბროლაძე, გათენაძე, გელაძე, გვიანიძე, გზავრიძე, ***გოგიტიძე,*** გორგილაძე, ***გორაძე,*** გორდელაძე, ***დავითაძე, დევაძე,*** დვალიძე, ***დიასამიძე, დუმბაძე,*** ვაშაკიძე, ვაშაყმაძე, ზანაქიძე, ზაქარაშვილი, ზაქარიძე, ***ზოიძე, თავდგირიძე, თებიძე,*** ტეტემაძე, თოდრაძე, თურმანიძე, ***ირემაძე, კახიძე,*** ქიძინიძე, ***კობალაძე, კონცელიძე,*** კილაძე, მახაჭაძე, მეგრელიძე, მიქელაძე, მორთულაძე,ნაკაშიძე, ქათამაძე, ქაჯაია, ქინძაძე, ქუჩუკაშვილი, ღორჯომელიძე, შავიშვილი, შავლიძე, ***შარაბიძე,*** შარვაშიძე, შაქარიძე, ***შოთაძე,*** ჩიკვაიძე, ***ჩხაიძე,*** ჩხეიძე, ***ცინცაძე,*** ძნელაძე, წითელაძე, წითლაძე, ***წულუკიძე,*** ჭიანიშვილი, ჭინკაძე, ***ჭინჭა-***

<u>რაძე,</u> ჯაბნიძე, ჯაყელი, ხოხნელი (კურსივით გამოყოფილი გვაქვს მახუნცეთის თემში დღეს გავრცელებული გვარები).

რაც შეეხება საკუთრივ მახუნცეთის თემში დღეისათვის დაფიქსირებულ გვარებს, 2017 წლის საარჩევნო სიის მიხედვით აქ ცხოვრობს 84 გვარის წარმომადგენელი (მხედველობაში არ გვაქვს აქ გამოთხოვილი ქალბატონების გვარები). ესენია: **აბაშიძე, აბესლამიძე, აბუსერიძე, აზარიძე, აზნაურიშვილი, ანთაძე, არჯევანიძე, ბალაძე, ბასილაძე, ბასკურიძე, ბარამიძე, ბერიძე, ბეჟანიძე, ბედინაძე, ბოლქვაძე, გვარიშვილი, გოგიძე, გოგიტიძე, გორაძე, გორგაძე, გოჩაძე, გურგენიძე, დავითაძე, დარჩიძე, დევაძე, დიასამიძე, დოლიძე, დუმბაძე, ესებიძე, ვარდმანიძე, ვართმანიძე, ვარშანიძე, ვერძაძე, ზაქარიაძე, ზოიძე, თავდგირიძე, თებიძე, ირემაძე, კახიძე, კობალაძე, კოკობინაძე, კოჩაძე, კურცხალიძე, ლაბაძე, ლისაკონი, ლორთქიფანიძე, მადაძე, მალაყმაძე, მამულაძე, მახარაძე, მიქელაძე, მორთულაძე, ნაკაშიძე, ნიგალიძე, ნინიძე, ოსანაძე, ოქრაძე, პლატონაძე, ჟოჟაძე, საფარიძე, სვანიძე, სალაძე, სურმანიძე, ფალავანდიშვილი, ფარსენაძე, ფარტენაძე, ქართველიშვილი, ქობულაძე, ღოღაძე, ღოღობერიძე, შარაბიძე, შერვაშიძე, შილაძე, შოთაძე, ჩიტაძე, ჩხაიძე, ცივნარიძე, ცინცაძე, წულუკიძე, ხაბაძე, ჯინჭარაძე.**

ამ გვარებიდან „ტბეთის სულთა მატიანეში“ დაფიქსირებულია შემდეგი: ***აბაშიძე (აბაშისძე), აბესლამიძე (აბესლამისძე), ბალაძე (ბალასძე), ბასილაძე (ბასილისძე), ბედინაძე (ბედინასძე), გორგაძე (გორგასძე), დავითაძე, დოლიძე (დოლისძე), ვერძაძე (ვერძასძე), მიქელაძე (მიქელისძე), მორთულაძე (მორთულასძე), ოსანაძე (ოსანასძე), ჩიტიძე (ჩიტისძე), ცივნარიძე (ცივნარისძე).***

რა გზით უნდა შექმნილიყო მოცემული კონკრეტული ლოკაციის ანთროპონიმული სურათი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ერთ-ერთ გზად ჩვენ მივიჩნიეთ აქ მცხოვრებთა კოლექტიური მეხსიერების მონაცემთა შეძლებისდაგვარად გაანალიზება, რისთვისაც ჩავატარეთ გამოკითხვა წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით, გთავაზობთ ფრაგმენტს ჩვენი გამოკითხვიდან:

1. გოჩაძეები

- ***ზვიად გოჩაძე*** (38 წლის, ქედა, უჩხითი) - „ჩემი წინაპრები სამეგრელოდან ჩამოსახლებულან, ძველი გვარი იყო ჟორდანია, ყველა ***მოლაისმაილოღლად დაიწერა,*** რაც შეეხება

დღევანდელ გვარს, სოფელში სამი ქედია, ერთს გოჩას ქედი ჰქვია, გვარი - გოჩაძეებიც აქედან დავიწერეთ“.

2. ***ჟოჟაძეები***

- ***ნოდარ ჟოჟაძე*** (62 წლის, უჩხითი)-,,არ ვიცი საიდან ვართ წამოსულები, არც ჩვენი ძველი გვარი ვიცი, თურქობის პერიოდში ***ყარაუჩოღლებად ვიწოდებოდით,*** სოფელში მცხოვრები ჟოჟაძეების ნაწილი ***სულეიმანოღლები, ასანოღლები და შიშმანოღლები იყვნენ“.***

3. ***კობალაძეები***

- ***კობალაძე კობა*** (31 წლის, უჩხითი) -,,თურქობის დროს ***ყადიოღლები*** ვიყავით, მანამდე ჩვენი გვარი არ ვიცი, წინაპრების ერთი შტო ყადიოღლად, სხვები კი სხვა ოღლად დაიწერა, ***შემდეგ კი შტოს სხვადასხვა ოღლი კობალაძედ იწერება“***
- ***კობალაძე რაული*** (უჩხითი) - „ძველი გვარია ***ყადიოღლი***, თავდაპირველი გვარი კობალაძეა“
- ***კობალაძე როლანდ*** (უჩხითი) - *„ძველი გვარია* ***ყადიოღლი*** - ყოფილი ყადიოღლები, რომლებიც ახლა ბოლქვაძეებად იწერებიან, სხვა შტოს წარმომადგენლები არიან“.

4. ***კურცხალიძეები***

- ***კურცხალიძე ნელი (32 წლის, მახუნცეთი)*** - „ძველი გვარი **გურჯიოღლი** - „გურჯიოღლებამდე ქართველიშვილები ვიყავით, გურჯიოღლების ნაწილი კურცხალიძედ, ნაწილი კი ქართველიშვილებად დაიწერა
- ***კურცხალიძე გოჩა*** (45 წ. მახუნცეთი) „ძველი გვარი - ***ბაირახტაროღლი.*** „წინაპარი მედროშე ყოფილა, ჩვენი შტო ორ ოღლად დაიყო - ***გურჯიოღლი და ბაირახტაროღლი“.***

5. ***მალაყმაძეები***

- ***მალაყმაძე რუსუდან*** (23 წლის, ნამლისევი) - „ძველი გვარი **ყასუმოღლი**“

6. ***მორთულაძეები***

- ***მორთულაძე ყარაღ*** (55 წლის, ნამლისევი) - „ძველი გვარი ***ალიოღლი*** - „არ ვიცით, თურქობამდე რა გვარის იყვნენ წინაპრები, ***შემდეგ კი გვარის შერჩევა მექანიკურად მოხდა“***

- ***მორთულაძე რევაზ*** (50 წ. ჭინკაძეები) - ***ძველი გვარი ყარა-ბექიროღლი*** - „ბაბუა შავგრემანი იყო და ამიტომ დაარქვეს, ჩვენი წინაპარი სამეგრელოდან ჩამოსულა“

7. ***ნინიძეები***

- ***ნინიძე რეზო*** (55 წლის, ნამლისევი) - „ძველი გვარი ***აბდიაღიშვილი.*** გურიიდან ჩამოსულან წინაპრები, თურქობამდე რა გვარისა ვიყავით და თურქობის შემდეგ რატომ დავიწერეთ ნინიძეებად არ ვიცი“.
- ***ნინიძე მერი*** (25 წლის, ნამლისევი) - ძველი გვარი **აბდიაღიშვილი** - „იმერეთიდან ვართ ჩამოსულები, წინაპარს აბდიაღა ერქვა და ამიტომ დაგვარქვეს აბდიაღიშვილები“.
- ***ნინიძე მამუკა (მილისი)-*** *ძველი გვარი* ***იაყუფაშვილი*** ,,წინაპარი გურიიდან ჩამოსახლებულა ადლიაში, იქედან კი მილისში დასახლებულა“.

8. ***ბედინაძეები***

- ***ბედინაძე ინდირა*** (26 წლის, ჭალახმელა) -,,ოღლები ვიყავით თუ არა არ ვიცი, გადმოცემით ვიცი, რომ ***კუბულაშვილები ვიყავით თურქობამდე პერიოდში,*** უჩხითიდან ჩამოსულან წინაპრები, მაგრამ უჩხითში საიდან მოვიდნენ არვიცი. სოფელში დღეს მცხოვრები ბედინაძეები ყოფილი ***ყირათოღლები, კუბულაშვილები და თამთოღლლები*** ვართ.

9. ***ბოლქვაძეები***

- ***ბოლქვაძე ციალა (62 წლის, ქედა, მახუნცეთი (ქვედა ბზუბზუ)*** - „ძველი გვარი **შირინოღლი** - ჩემი წინაპრები სვანეთიდან, სოფელ ბოლქვიდან ჩამოსახლებულან. ძველი გვარი იყო ბოლქვაძე, გვარი დანაწევრდა ოჯახის უფროსის სახელების მიხედვით ***შირინოღლი, ფიფინოღლი, ყადიოღლი და ჩილალოღლი,*** დავუბრუნდით ძველ გვარს, მაგრამ სხვა შტოებმაც დაიწერა ბოლქვაძე“.

10. **თავდგირიძეები**

- ***თავდგირიძე ომარ (მილისი)*** - *„ძველი გვარია* ***მოლამამედოღლი.*** ოღლობამდე თავდგირიძეები ვიყავით, წინაპარი მოლლა ყოფილა“

- ***თავდგირიძე ოთარ (მახუნცეთი)*** *- ძველი გვარია* ***ჰუმუ-ზოღლი.*** ოჯახის დიასახლისს ჰურმუზი ერქვა. წინაპარი იმერეთიდან დასახლებულა აქ“.

11. ***ღოღობერიძეები***

- ***ღოღობერიძე თემურ (ქვედა ბზუბზუ)*** - „ძველი გვარია ***ბორანოღლი.*** იმერეთიდან არის წინაპრები ჩამოსული, ბაბუას მდინარე აჭარისწყალზე ***ბორანით მგზავრები გადაჰყავდა,*** ამიტომაც დაგვარქვეს ბორანოღლები, თუმცა რა გვარები ვიყავით მანამდე არ ვიცი“.
- ***ღოღობერიძე ასლან (40 წლის, ქვედა ბზუბზუ)*** - „ძველი გვარი ***აღიშვილი*** „გურიიდან ჩამოსულა ჩვენი წინაპარი“
- ***ღოღობერიძე ედნარ (40 წლის, ქვედა ბზუბზუ)*** - „ძველი გვარი **ევლიაშვილი**. ოღლები არ ვყოფილვართ. გვარში ერთ კაცი ძალიან ჰუმანური და კეთილი ადამიანი იყო, ***ევლიას ეძახდნენ.*** ჩვენი წინაპრები იმერეთიდან ჩამოსახლებულან“.
- ***ღოღობერიძე ელგუჯა*** (44 წ.ზედა ბზუბზუ) - „ძველი გვარი ***მემიაღიშვილი.*** ოჯახის უხუცეს წევრს მემედი ერქვა, ამიტომაც მემიაღიშვილები უწოდეს, ჩვენი შტოს მეორე ნაწილს ჰყავდა ხოჯა, ***ისინი ხოჯისანებად*** მოიხსენებიან, მესამე შტოს გვარი ოჯახის წევრის აბდულიდან გამომდინარე ***აბ-დულოღლები***“.
- ***ღოღობერიძე მერიკო*** (ქვედა ბზუბზუ) -,,ძველი გვარია ***ევ-ლიაშვილები.*** იმერეთიდან არის ჩემი წინაპარი ჩამოსახლებული, ჩვენი თავდაპირველი გვარი ***ღოღაძეა, ოღლები არ ვყოფილვართ,*** ევლიაშვილებს გვეძახდნენ, თუმცა დღვანდელი ღოღობერიძეების ნაწილი ***კარისოღლებიც*** იყვნენ“

12. ***შოთაძეები***

- ***შოთაძე ლაურა (31 წ. ზედა ბზუბზუ)*** -,,ძველი გვარია ***ხუსეინოღლი.*** სოფელში მცხოვრები შოთაძეებიდან სამი ოჯახი ვართ ხუსეინოღლები, შოთაძეები სხვადასხვა ოღლები არიან. ***ქართულ გვარზე დაბრუნება მექანიკურად მოხდა“.***
- ***შოთაძე ისმაილ (56 წ. მახუნცეთი)*** - ***„ძველი გვარი ოსმანოღლი.*** „გვარში გამოჩენილ ადამიანს ოსმანი რქმევია“
- ***შოთაძე რეზო (53 წ.მახუნცეთი)*** *-ძველი გვარი* ***ოსმანოღლი*** „წინაპარს ოსმანი ერქვა, თავდაპირველი გვარი ღოღობერი-

ძეა, წინაპარი იმერეთიდან, სოფელ ბაღდადიდან ჩამოსახლებულა“.

- ***შოთაძე რესულ (43 წ. ზედა ბზუბზუ)*** - „გვარში უხუცეს კაცს ხუსეინი ერქვა, რის გამოც ***ხუსეინოღლები*** დაგვარქვეს“

13. ***ვერძაძეები***

- ***ვერძაძე ბადრი*** (37 წ. ზუნდაგა) - ძველი გვარია ***ბაბუჩოღლი.*** ოღლობამდე სავარაუდოდ ბათალაშვილები ვიყავით, ბაბუას მამას ბათალა ერქვა, წინაპრებიდან დღეს ბათალაშვილებად არავინ იწერება, დღეს ყველა ვერძაძედ იწერება“
- ***ვერძაძე მალხაზ*** (48 წ. ნამლისევი) - „ძველი გვარია ***ბაბუჩოღლი“.***
- ***ვერძაძე თემურ*** (59 წ.). ქედა. ზუნდაგა). „ძველი გვარია ***ბაბუჩაშვილები*** (სხვათა შორის, ანალოგიურ ცნობას იძლევა ზ. ჭიჭინაზეც: ავტორები) .ადგილობრივები ვართ, ***ოღლები არ ვყოფილვართ,*** ბაბუჩაიშვილები ვიყავით, რადგანაც სოფელში ვერძაძეები იყვნენ სავარაუდოდ ამიტომ დავიწერეთ ვერძაძეებად, ჩვენი წინაპრების გარდა ***ჩაფურაშვილებმა*** და ***ყილიჩიოღლებმაც*** დაიწერეს ვერძაძეებად“.
- ***ვერძაძე ლევან*** (45 წ. ზუნდაგა) - „ძველი გვარი ***ყილიჩოღლი.*** როდესაც ქართულ გვარებს ოღლებად ცვლიდნენ იქ ჩვენი უბნიდან არავინ მისულა, იკითხეს რატომ არავინ მოდისო, რა დროსაც გამოჩენილა ჩემი წინაპარი, თურქს რომ შეუხედავს უთქვამს ნამდვილი ***„ყილიღიანნიაო“,*** ოღლობამდე ვერძიშვილები ვყოფილვართ, ჩვენი შტო დაიყო შტოებად: ***ღერძიოღლი, ბექიროღლი, ბაბუჩოღლი,*** ყველა ეს ოღლი ახლა ვერძაძედ იწერება“
- ***ვერძაძე გული.*** (ზუნდაგა) - *„ძველი გვარია **ბექიროღლი**.* წინაპარი. ბექირის სახელიდან გამომდინარე დაურქმევიათ“.
- ***ვერძაძე რუსუდან.*** (ზუნდაგა) *-„ძველი გვარი **ყარამემედოღლი.*** ,,დიდ ბაბუას ყარაღა ერქვა“.
- ***ვერძაძე ქიბარ (ზუნდაგა)*** *-„ძველი გვარი **ბაბუჩოღლი.*** წინაპარი ორი ძმიდან ერთი ბაბუჩაიშვილად დაიწერა, მეორე ვერძაძედ, ხოლო ოღლობის შემდეგ შტოს ყველა წარმომადგენელი ვერძაძედ იწერება“.

14. **ბასილაძეები**

- ***ბასილაძე ლუიზა*** (36 წ. ქოსოფელი) - „ძველი გვარია ***სელიმაღაშვილი***. წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.

15. **გვარიშვილები**

- ***გვარიშვილი ფრიდონ*** (71 წ. მილისი) -*„ძველი გვარია* ***გვარელოღლი*** ოღლობამდე დადიშქელიანები ვიყავით, როცა ჩვენი წინაპარი სვანეთიდან ჩამოსახლდა, ჰკითხეს ვინ ხართო, კითხვაზე უპასუხიათ, კაი გვარის შვილები ვართო და გვარიშვილებიც აქედან მომდინარეობს“.
- ***გვარიშვილი ჯემალ (41 წ. მილისი)*** -*„ძველი გვარია* ***გვარელოღლი*** - ოღლობამდე დადიშქელიანები ვიყავით“.
- ***გვარიშვილი ზურაბ*** (51წ. მილისი) – (ანალოგიურ ცნობას იძლევა)

16. **კოჩაძეები**

- ***კოჩაძე შალვა*** - (74 წ. დოლოგანი) -*„ძველი გვარია* ***მოლალოღლი***. „თურქობამდე კოჩალიძეები ვიყავით, ოღლობის შემდეგ შტოს ნაწილი კოჩალიძედ, ნაწილი ლორთქიფანიძედ დაიწერა“.

17. ***ვარშანიძეები***

- ***ვარშანიძე ნათელა.*** (ზუნდაგა) - „ძველი *გვარი* ***ხუსეინაღიშვილი.*** ჩვენი თავდაპირველი გვარი ვარშანიძეებია, ოღლობის შემდეგ გვარი დავიბრუნეთ“.
- ***ვარშანიძე რუსუდან*** - (ზუნდაგა). „ძველი გვარია ***ხუსეინოღლი***. წინაპარი მაჭახელას ხეობიდან მოსულა“.
- ***ვარშანიძე თამაზ*** (27 წ. ზუნდაგა) - *„ძველი გვარი* ***მურადაღიშვილი*** „ოღლობის შემდეგ პერიოდში სოფელში მცხოვრები ბექიროღლებიც ვარშანიძედ დაიწერა“.
- ***ვარშანიძე გული.*** (ზუნდაგა)***.*** „ძველი გვარია ***დელიმემედოღლი.*** „თურქობამდე პერიოდში ვარშანიძეები ვიყავით“.
- ***ვარშანიძე ეთერ*** (დოლოგანი). „*ძველი გვარი* ***აბდულოღლი. ხალილოღლებიც*** ვარშანიძეებად იწერებიან“.

18. ***ვართმანიძეები და ვარდმანიძეები***

- ***ვართმანიძე ნიაზ*** (ნამლისევი) ***„ძველი*** *გვარია* ***ჩიჩიოღლი“.***

- ***ვართმანიძე რევაზ*** (ნამლისევი) - *„ძველი გვარია* ***ჩიჩიოღლი*** „ჩვენი შტო ყველა ჩიჩიოღლად დაიწერა, შემდეგ კი ყველა ჩიჩიოღლი - ვართმანიძედ“.
- ***ვარდმანიძე ნონა (37 წ. უჩხითი).*** „ძველი გვარია ***ჰებიბოღლი,*** წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.

19. ***ნაკაშიძეები***

- ***თამაზ ნაკაშიძე*** (42 წ. ჭინკაძეები) - *„ძველი გვარი* ***მიმინოღლი.*** ოღლობის შემდეგ პერიოდში შტოს ნაწილი ნაკაშიძედ, ნაწილი ნაკაიძედ დაიწერა“

20. ***სურმანიძეები***

- ***სურმანიძე გენადი*** (ჭალახმელა) -„ძველი გვარია ***მუსტაფოღლი.*** მუჰაჯირობის დროს ჩემი წინაპარი სოფელ ორცვიდან თურქეთში გადასულა საცხოვრებლად, სადაც მუსტაფოღლის იწერებოდნენ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ ქართულ გვარს დაუბრუნდნენ“.

21. ***გოგიტიძეები***

- ***გოგიტიძე ემზარ.*** (ქვედა ბზუბზუ) - „ძველი გვარია ***ფხიკიოღლი.*** „წინაპარი შავშეთიდან მოსულა, ჩვენი პირველი გვარი გოგიტიძეა“.
- ***გოგიტიძე. ავთო*** (ქვედა ბზუბზუ)-„ძველი გვარია ***ფხიკიოღლი.*** შავშეთიდან, სოფელ ფხიკივრეთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი, ფხიკიოღლიც ამიტომ შეგვარქვეს“.
- ***გოგიტიძე შოთა*** (მახუნცეთი) - *ძველი გვარი* ***ჩავუშოღლი.*** მამაჩემის დიდ ბაბუას ჩავუშში უბრძოლია, ასმეთაური ყოფილა, რაც ოღლის შერქმევის მიზეზი გამხდარა. ქობულეთიდან ვართ მოსულები“

22. ***კახიძეები და კახაძეები***

- ***კახიძე გივი*** (77 წ. მახუნცეთი) - *„ძველი გვარი* ***მარაგოღლია.*** წინაპარი სამტრედიიდან ხელვაჩაურში, სოფელ კაპნისთავში დასახლებულა, იქედან კი მახუნცეთში. თავდაპირველი გვარი კახიძეა“.
- ***არჩილ კახაძე*** (47 წ. მახუნცეთი) - *„ძველი გვარია* ***მარაგოღლი.*** მარაგიანი ხალხი ვართ, სოფელში მცხოვრები უსტიოღლებიც კახიძეებად იწერებიან“

23. ***ბერიძეები***

- ***ბერიძე რომან (მახუნცეთი) - „****ძველი გვარი* ***ხაბაძოღლი“.***
- ***ბერიძე ელიკო*** (58 წ. მახუნცეთი) - „ძველი *გვარი* ***ქოროღლი.*** წინაპარი ზენდიდიდან ჩამოსახლებულა. სამ შტოდ დაიყო - ***ჰაიდაროღლი, ქოროღლი და ოგოროღლი“.***

24. ***მადაძეები***

- ***მადაძე ანზორ (44 წ. დოლოგანი) - „****ძველი გვარი* ***ყურიაამედოღლი.*** თავდაპირველი გვარი ღოღაძეა, მკვლელობის გამო წინაპარს საცხოვრებელი ადგილისა და გვარის გამოცვლა მოუხდა“

25. ***დავითაძეები***

- ***დავითაძე გოჩა (37 წ. დოლოგანი) - „****ძველი გვარია* ***მელექოღლი*** წინაპარი წონიარისიდან ჩამოსახლებულა, ჩვენი გვარი სხვა ოღლებად არ დანაწევრებულა, თუმცა სხვა ოღლებმაც ***[ხაჯიოღლი, დაუთოღლი]*** დავითაძე დაიწერენ“.

26. ***საფარიძეები***

- ***საფარიძე ვლადიმერ - (61 წ. დოლოგანი) - „****ძველი გვარი* ***ბაირახტაროღლი-*** თავდაპირველი გვარი **კვიტაშვილია.** შტოს სხვა ნაწილი ***მოლახალილოღლად, ყურიამედოღლად და ბაირახტაროღლად*** დაიწერა“.

27. ***მახარაძეები***

- ***მახარაძე თენგიზ (55 წ. მახუნცეთი) - „****ძველი გვარი* ***მუსოღლი.*** სოფელ პირველმაისიდან ჩამოსულა წინაპარი“.

28. ***ირემაძეები***

- ***ირემაძე ჯამბულ (32 წ. მახუნცეთი) - „****ძველი გვარი* ***იდრისოღლი.*** წინაპარი ხულოდან, სოფელ ღორჯომიდან ჩამოსახლებულა“
- ***ირემაძე ნოდარ*** (51 წ. მახუნცეთი) - ***„****ძველი გვარი* ***იდრისოღლი.*** წინაპარი იმერეთიდან ჩამოსახლებულა“.
- ***რევაზ ირემაძე*** (50 წ.მახუნცეთი) - *ძველი გვარი* ***იდრისოღლი.*** წინაპარს იდრისი რქმევია, რის მიზეზითაც იდრისოღლებად მოვიხსენიებით. იმერეთიდან, სოფელ გეგუთიდან ჩამოსახლებულა წინაპარი“.

29. ***დევაძეები***

- ***დევაძე გივი*** (80 წ. მახუნცეთი) - *„ძველი გვარია **კვერნიოღლი.*** წინაპრები მონადირეები ყოფილან, კვერნებს კლავდნენ თურმე. შტოს ნაწილი ***დევრიშოღლად***, ნაწილი ***კვერნიოღლად*** დაიწერა“.

30. ფარტენაძეები

- ***ფარტენაძე ლუიზა (37 წ.)*** - *„ძველი გვარი **ბუქალოღლი“.***

31. ჯაფარიძეები

- ***ჯაფარიძე ივანე (დოლოგანი)*** - *„ძველი გვარი **მოლლახალილოღლი** „*შტო სხვა ოღლებად არ დანაწილებულა“.

32. ჯინჭარაძეები

- ***ჯინჭარაძე ნანული (55 წ. დოლოგანი)*** - *„ძველი გვარი **ელიბაირახტაროღლი.*** გვარის ყველა წარმომადგენელი ელიბაირახტაროღლი იყო, შემდეგ ყველა ჯინჭარაძედ დაიწერა“
- ***ჯინჭარაძე შორენა (39 წ. დოლოგანი)*** *„ძველი გვარი **მუსოღლი“***

33. ფევაძეები

- ***ფევაძე ეთერ (73 წლის. ჭალახმელა)*** - „ძველი გვარი ***ფელევანოღლი***. თურქობამდე ჩვენი ძველი ქართული გვარი იყო ***ქადიძე“.***

ამრიგად, ერთი კონკრეტული სასოფლო თემის მონაცებიც კი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ აქტუალურია ანთროპონიმთა კვლევა ლინგვოკულტუროლოგიური და სოციოლინგვისტური თვალსაზრისით, მითუმეტეს აჭარის მაგალითზე, რომელსაც უამრავი ქარტეხილი და კატაკლიზმი გადახდა თავს. ჩვენ ვგეგმავთ კვლევების წარმოებას მთელი ზემო აჭარის მაგალითზე, კომპლექსურად, არა მხოლოდ სინქრონულ, არამედ დიაქრონულ ასპექტშიც, რის შედეგებსაც პერიოდულად გამოვაქვეყნებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ***ენუქიძე , 1977.*** - ტბეთის სულთა მატიანე. რ. ენუქიძის გამოცემა. თბ. 1977
2. ***თოფჩიშვილი, 1997. რ. თოფჩიშვილი.*** როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები. თბ. 1997.

3. ***თოფჩიშვილი, 2010 - რ. თოფჩიშვილი.*** სახელების ეთნოლოგია და ისტორია (მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემები). თბილისი. 2010.
4. ***კახიძე, 2011 - კახიძე ნ.*** მაჭახლის ხეობა. ბათუმი. 2011,
5. ***სახოკია, 1985 - სახოკია თ.,*** „მოგზაურობანი“, თბ., 1985, გვ. 209-212
6. ***შაშიკაძე, 2011 - შაშიკაძე ზ., მახარაძე მ.*** „აჭარის ლივის დიდი და მოკლე დავთრები‘‘ (თბ. 2011 წელი)
7. ***შანიძე, 1989 - შანიძე მ.*** ზოგიერთი გვაროვნული სახელი ტბეთის მატიანეში. „მრავალთავი IX“. თბ.1989.
8. ***ხორნაული, 79 - ხორნაული გ.*** ქართული გვარების საკითხი. ონომასტიკური კრებული (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია). თბ. 1979.
9. ***ჯიქია, 1940 - Джикиа С.***Туреская рукопись Музея Грузии. Пространный реестр грузинского вилайета (სსრკ მეცნ. აკადემიის თბილისის ფილიალის მოამბე. ტ.1, №6. თბ.1940. გვ. 483-484).
10. ***ჯაფარიძე, 2010 - მიტროპოლიტი ა. ჯაფარიძე*** - „გამაჰმადიანებულთა გვარები“ წიგნში: „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში. თბილისი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ 2010. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.

Ekaterine Baramidze
Temur Avaliani

Anthroponium is the linguistic picture of the universe and its dynamics (On the example of one rural community)

Summary

Over the last four centuries, Adjaran Anthropony has been undergoing several changes due to the radical change of political, religious and linguistic theory of linguistics. The article discusses the issue of one of the rural Ajara villages in the village of Makhuntseti, Keda municipality, namely the ways and transformation of Georgian surnames.

ქეთევან გიორგაძე

ტრადიცია, როგორც პერსონაჟი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში

უძველესი და პატარა ერის შვილმა - ქართველმა მწერალმა, კარგად იცოდა, რომ ტრადიციაში ინახება ერის ფესვები, რომ არსებობენ ტრადიციები, რომლითაც ერი ერობს. ამიტომაც ტრადიცია, მორალი, ეთიკა ყოველთვის იყო ქართული მწერლობის ძირითადი თემა. ეს თემა განსაზღვრავდა ქართული მწერლობის შინაგან პათოსს და მასთან იყო დაკავშირებული ერის წარსული, აწმყოცა და მომავალიც.

„აღვერივენით ერსა უცხოსაო და ვჰმონებდით გულისთქმასა ჩვენთასა მიბაძვებით მათისაო' 'განგაშის ზარებს რეკდა მე-'8 საუკუნის დიდი მწერალი იოანე საბანისძე და „***ჩვეულებისამებრ მამულისა სვლისა გზისკენ"*** მოუწოდებდა არაბთაგან გადალარძნილ ქვეყანას... ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ ჰაგიოგრაფიული მწერლობის მთავარი პერსონაჟები- შუშანიკი, აბო, ევსტათი მცხეთელი უცხო ტომისანი არიან. ქართლზე და ქრისტიანობაზე შეყვარებულ უცხოელ მოწამეთა დახატვით ქართველი ჰაგიოგრაფები საუკუნეების მიღმა მიმალულ ჩვენი ეროვნული ფესვებისკენ გვახედებდა, ეროვნული თვითშეგნებისა და თავმოყვარეობის გრძნობას გვიღვივებდა.

დრო და დრო, როცა ეროვნული თვითშეგნება მინავლდებოდა, ისევ გვაფხიზლებდა ტრადიციული ეროვნული ხმა ქართველი მწერლისა და ამ ხმით ვუერთდებოდით საზოგადო, საკაცობრიო ცხოვრების დენას და ასე მოვედით დღემდე. ტრადიციული ეროვნული ხმის სიმძაფრით გამორჩეული მაინც ქართველ თერგდალეულთა თაობაა. „***ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო"*** ილიას ეს მოწოდება გახდა ქართველ 60-იანელთა სამოქმედო დევიზი და ქართულმა მწერლობამაც თავისუფლების გზის ძიებისას ტრადიციისადმი ერთგულება ჩვეულებითი სამართლისა და ეთიკის ნორმები დაიმგზავრა. ამ ხმით 60-იანელთა შორისაც ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით დგანან და მათთანვეა მთას შეფარებული ქართული სულიც. როგორც ვახტანგ კოტეტიშვილი აღნიშნავს: „აქ სულ სხვაგვარი განცდებია, თავისებური აზრი და ნებისყოფა. აქ ხალხი

ამირანის ამალას ჩამორჩენილებივით არიან მდევის ნაფეხურებზე მიმოფანტულნი. აქ სიცოცხლე სხვაგვარია და სიკვდილიც თითქოს უფრო ადვილი. აქ ერთგვარი პანთეონია, სადაც ძველი სულის განძეულობა ინახება თამარის განძივით.

ვაჟა და ყაზბეგი, მივიდნენ მთასთან ხევის დეკანოზებივით, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ ვაჟა „რელიგიით" მივიდა, ყაზბეგი კი ეთიკით. ვაჟა მთების ჯანღში ხედავდა ლაშარს და ლოცულობდა, ყაზბეგი კი მთაში ეძებდა კაცს და აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. „ასე რომ ყაზბეთან პიროვნება ტრადიციაშია განსხეუულებული და ყაზბეგის შემოქმედების გმირები არიან არა კონკრეტული პიროვნებები: ელგუჯა ,გოჩა, მათია თუ სხვა, არამედ „თემობა", რომლის გაუტეხელი სული, ძალა და კეთილშობილება იხატება მთელ მის შემოქმედებაში. ყაზბეგის ყველა გმირს ერთი სათქმელი აქვს „გახსოვდეს ვისი გორისა ხარ", ეს ის სიტყვებია, რომელიც „ერთს პირს მთელს თემობასთან აკავშირებს" და ტრადიციას, თემს პირვნების სახით ხატავს."

ყაზბეგმა, როგორც შემოქმედმა, პირად ცხოვრებაშიც მალე იგრძნო „ბრწყინვალე" ცხოვრების სიმშრალე, სიყალბე. „მალე მიხვდა, რომ ადამიანი ელეგენტური თოჯინა არ არის, რომ ბრწყინვალე სალონების გარდა არის კიდევ სხვა ქვეყანა, სადაც არის: რწმენა, სინდისი, ადამიანის უფლება და მართალი განცდები, ამიტომაც იყო რუსეთის იმპერატორის სურათს, რომ მიაწერა „დავწვი შენი სამართალიო" და მთის პირველი მებატონის შვილმა მწყემსობა ამჯობინა ყალბ რიტუალებს, სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა მისი, პერსონაჟების სახე ასე გულწრფელი და მართალი ყოფილყო, ასეთი ექსპრესიით მოეტანა მთის სულის მუსიკა, ეს ხმა ყველაზე მონოლითური სახით მაინც „ხევისბერ გოჩაში'' გამოვლინდა. ნაწარმოები მე-16, მე-17 საუკუნების რეალობას ასახავს. ამიტომაც ტრადიციის უზენაესობა მთელი სისრულით იხატება. ნაწარმოების დასაწყისშივე ექვსამდე ტრადიციას ვეცნობით: სტუმრებს უფროსი კაცები მიეგებებიან, ეს დიდი პატივია სტუმრისათვის, პატარები მიცვივდებიან სტუმრების ცხენებს და დაუწყებენ აქთ-იქით ტარებას- ესეც უფროს-უმცროსობის დაუწერელი კანონია, ჰაერში ისმის „ჯვარულის" სავაჟკაცო სიმღერა, რომელიც თავისი ჰარმონიით კაცს გაიტაცებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელს მოაწყურებს, სასიძოს და ხელისმომკიდეს კერას შემო-

ატარებენ და სუფრის თავში დასხამენ- კერა სიმბოლურად ოჯახს გამოხატავს, იგი წმინდა ადგილია და მისი შემოტარება ერთგვარ ჯვრისწერის ფუნქციასაც ასრულებს, ამდენად, ოჯახის სიმტკიცე, სიწმინდე ამ ხალხისთვის მთავარი ზნეობრივი პრინციპია, შთამბეჭდავია „ლეკურის“ აღწერაც, ამ ცეკვაში მთიელთა ლაღი, თავისუფლების მოყვარე ბუნება იხატება, საყველაწმინდო თასსაც ჩამოტარებს ოჯახის უფროსი... ასე რომ ხევის ქორწილი სიცოცხლის და ტრადიციის ზეიმია, ხოლო თავად ხევისბერი გოჩა ამ მთის სული, მისი სიმტკიცე და საყრდენი, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ გათეთრებული როგორც თოვლი, წრმოსადეგი მოხუცი, მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. მისი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ გაგრძნობინებდა პატივისცემას... გათეთრებული ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებლის მიხვრა- მოხვრით მედიდურის მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევისბერი გოჩა, მმართველი მამა თავისი ხალხისა ახალგაზრდებს''

დროშა მთიელი კაცისათვის „სახალხო წმინდანია“ მისი ხელის შეხების უფლება ხევისბერს აქვს მხოლოდ, რათა მისგან მართალი შთაგონება მიიღოს. თემის ყრილობა და დროშის გამობრძანების რიტუალი მთელი სისრულით ასახავს მთიელი ხალხის ამაყ დაურღვეველ და თავისუფლებისოყვარე ბუნებას. აქ ადამიანი ღვთის შვილია, სამების ტაძარი ბუნება და ადამიანი ერთმანეთში შერწყმულა და სულის მარადიულობაზე გვესაუბრება. ტაძრის გალავნიდან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა, რომელიც გაშლილყო და წყნარად ფრიალებდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლ ზედ დაეცა და მიწასთან გაერთებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს.

სამების ტაძარი მაჩვენებელია იმისა, თუ რა შეუძლია ხალხის შეერთებულ ძალას და ამაღლებულ სულიერ მდგომარეობას. ტაძრის ერთგვარი გაგრძელებაა გოჩას პორტრეტიც „კედელზედ გამოჩნდა ქუდმოხდილი კაცი გრძელის გაშლილის თეთრი თმით და წვერით, ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ქამრად შემოეჭდო რაღაც საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. ხალხს მოშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთ-ჩოხა მედროშეებმა და რმდენიმე წუთის შემდეგ დროშის თავს შემოახვიენ. მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხი

შეაკრთო და ძარღვებში ჟრუანტელივით გაურბინა: ამწყალობებენ, ამწყალობებენ... გოჩამ დაამწყალობა ისინი, ვისაც თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავისი ხალხის კეთილდღეობისთვის, ვინც მტრის განსადევნად მდევარში გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ, და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აეღო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში“ ყველა ეს წესი, რომელიც ამ ხალხის შინაგან ცხოვრებას განსაზღვრავს მაჩვენებელია იმისა, რომ ამ წესის აღმსრულებელნი დაუმონავი სულის ამაყი ადამიანები არიან, მთის ტრადიციების დამრღვევ ნუგზარ ერისთავს თავს არ დააჩაგვრინებენ. ასე, რომ ჯერ წესია, ტრადიციაა და მერეა პიროვნება, იქ სადაც ტრადიცია და თემი ერთმანეთს შორდება ადამინის სახეც იკარგება, ამიტომაცაა ნუგზარ ერისთავის სახე უსიამოვნო, მის მიერ წარმოთქმული სიტყვები კი შიშისა და უნდობლობის მომგვრელი.

„ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა საქმე“ იქ, სადაც წესი არაა საქმეც არაფერია, წესს არღვევს ნუგზარ ერისთავი და ამიტომაც მასთან არაფერი ესაქმება მთიულებს „მათ ჭდე დადეს მოხევეებთან, მოხევეებმა შემოფიცეს და მათაც იციან ჭდეს, რომ არ ეღალატების. ნუგზარ ერისთავი მარტოა მთის ხალხისგან მიტოვებული, მხოლოდ მტრის ანაბარა დარჩენილი, რომ მკითხველმა უფრო იგრძნოს, რომ ამ ხალხმა არ იცის შიში და ბრმა მორჩილება, მათთვის უზენასი კანონი ტრდიციაა, ლომისი და ჯვარ- ანგელოზნი წარმართავენ ამ ხალხის ნებას. განსაკუთრებით ტრგიკულია, ხევისბერი გოჩას ფინალი; ხევი მოღალატეებს ასამართლებს. მაღალი ზნეობის ადამიანებს არ ახარებთ, როცა სხვების ზნეობრივი დაცემის მოწმენი ხდებიან. თუმცა ისინი ღალატს, უმადურობას, უწმინდურობას არავის აპატიებენ „ორნივ ჩაქვადეს“, ასეთია გოჩას განაჩენი მოღალატე ოსების მიმართ. არც თანაგრძნობა არც სინანული „ხალხი ბურთსავით მიაწყდა იმ ადგილს სადაც ოსები იდგნენ და, როცა გაიშალა გოჩა ისევ მედუდურად იდგა, მხოლოდ ზიზღი აღძვროდა თვალებში და იქავ ჩახოცილ ოსებს დაჰყურებდნენ“. თუმცა სულ სხვაა გუგუას მიმართ ხევისბერის დამოკიდებულება, გუგუა ხომ თემის ნაწილია, მასშია გადმოსულ მთის ყველა წმინდანის მადლი, ამიტომაც არ სჯერა ხევისბერს, „რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზრდილი მოძმეთ ხალხს უღალატებდა „ამხანაგთ გაყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას

ჩამოანგრევდა.“ გუგუა კი უდანაშავლოა, თუმცა ვერ იტყვის სიმართლეს, რადგან ვერ მოაყივნებს იმ ქალის სახელს, რომელიც კიდევ ქვეყანას ურჩევნია, ვერც თემისაგან უარყოფილი, ამგვარი ცილისწამების შემდეგ იცხოვრებს... ერთხელ გადფურთხებულს ვეღარ ალოკავს...

ნათქვამია, ადამიანი, ხალხი იმის მიხედვით იზომება, თუ როგორი სიყვარული შეუძლია,- ყაზბეგთან სიყვარული ბედისწერაა, იგი ტრადიციის განუყოფელი ნაწილია, ერთხელ იბადებიან, ერთხელ უყვარდებათ... სამყარო იმ ერთის გარშემო ტრიალებს. გასამართლების სცენაში კარგად ჩანს, რომ ძიძიასა და ონისეს შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, ესეც დაუწერელი კანონია სიყვარულზე არ ლაპარაკობენ,შინაგანად ყველას სჯერა ,რომ ონისე მოერევა თავის თავს, ეს იცის ხევისბერმაც აკი გააფრთხილა ადრევე ონისე „კაცი ტანჯვისათვის არის გაჩენილიო“. უამრავი სხვადასხვა აზრი არსებობს ხევისბერის მიერ ონისეს მოკვლის შესახებ, როსტომ ჩხეიძეს დავესესხები: „შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს-ეს ჭეშმარიტება ადამიანისათვის ყოველთვის ნათელი ყოფილა, გამოუთქვამს თუ არ გამოუთქვამს მკვლელობისა და ხოცვა ჟლეტის შემსწრეს ყოველთვის ეს უგულისხმია, რომ სისხლი მიწაში კი არ ჩაიღვრება,ზეცაში ადის უხილავი ბილიკით, ადამიანისათვის ეს აღარ არის ბიბლიური ფრაზის განმეორება, მისთვის ეს თანდაყოლილი ცოდნაა წინაპართაგან ნაანდერძევი. გოჩასთვისაც შესისხორცებული- მას სჯერა, რომ, როცა ღალატმა და უგულისყურობამ არაერთი მოხევე გასწირა- ყველაფერი უზენაესმა ძალამ უნდა განაგოს, თვითონ კი ღვთის ნება უნდა გააცხადოს, როგორც ხევისბერმა, ვინც შუამვალია ზეცასა და ხალხს შორის: „მოძმეთ სისხლი ცაში ღმერს შეჩუხჩუხებს დ სამართალს ითხოვს“...

ვიდრე შვილსაც არ დაინდობს, ვისმა თავდავიწყებამაც უნებლიეთ დაღუპა ამდენი ვაჟკაცი, გოჩა სასტიკ სასჯელს დაადებს გუგუას, არა სიკვდილს, არამედ მოკვეთას თემისაგან, განდევნას, მიუსაფრობას. კაენსაც ეს სასჯელი ერგო უფლისაგან. ასე მიეზღო პირველ ძმისმკვლელ ცოდვილს დედამიწაზე. „ ამიერიდან დაწყევლილი ხარ მიწისაგან, რომელმაც გახსნა პირი, რათა მიეღო შენი ძმის სისხლი შენი ხელისაგან... დევნილი და მიუსაფარი იქნები ამ ქვეყანაზე „ხევისბერ გოჩაში“ ეს ვითარებაც თანდაყოლილი სჯულის ნაყოფია, ოდითგან დამკვიდრებული საზოგადოების

სჯულში“. ასე რომ, როსტომ ჩხეიძის აზრით, ხევისბერის სასტიკი განაჩენი თანდაყოლილი სჯულის კანონის გამოვლინებაა, ტრადიციული ჩვეულებითი სამართლის აღსრულებაა, ხოლო იქ სადაც კანონი კანონობს, სჯული კანონია „უფალი უფლობს“.

შემოდიოდა რუსული ჩექმა და მოხევეებს სჯულს კანონს უგინებდა „დამპყრობელს სძაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება“, ეს ვითარება ყველაზე უკეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯაში“ აისახა. „ისტორიას თითქოს შეურაცხყოფად ეჩვენა მის გარეშე დარჩენილთა არსებობა და თან ასე მაღალი, თითქოს საზოგადო კულტურას შერცხვა ამ თვითმყოფადი პატარა ხალხის დიადობის, რომელიც კულტურით თავმომწონეებს გამოადგებოდათ გვირგვინად და ცივილიზაციამ მოაყენა თავისი კაცების დიდი ჯარი, ხდებოდა ლერმონტოვის მუქარა მყინვარისადმი მიმართული, მოდიოდა დამპყრობელი „რომელსაც სწადდა ხეობის გულში წერაქვის დარტყმა, მთის მკერდის გატეხა, საშინელ გზებით დასერვა და საზოგადო ორომტრიალის ნაწილად გადაქცევა”[ვ კოტეტიშვილი], მოგვითხრობს ყაზბეგი, როგორ კლავდნენ ხევს, ლახავენ თემის სიწმინდეებს. პატივახდილი მზაღო, მოკლული ორი მთიული,- ერთ მანეთად შეფასებული ჯაჯალა, ბარბაროსებად მონათლული მოხევეები- ეს რუსული სამართალია. და მაინც მოდიან ელგუჯა, მათია, მარტია-მოაქვთ მთის ამაყი სული ტარიელის, ავთანდილის და ფრიდონის მსგავსად ერთმანეთს ეფიცებიან. ალექსანდრე ყაზბეგი ასე აღწერს ძმადგაფიცვის რიტუალს: „ორთავ იარაღი შემოიხსნეს, დაყარეს მიწაზედ, მივიდნენ ერთმანეთთან, ამოიღეს ტყვიები და გაცვალეს ამის შემდეგ გადაეხვივნენ ერთმანეთს და სამჯერ აკოცეს“ რა ვუყოთ, რომ განწირულია სამივე ძმადნაფიცი, მათ თემის შეუგინებელი დროშა სულეთს უნდა ჩაიტანონ, იქედან გვესაუბრონ თემის და სამშობლოს, თემის და კაცის ერთობაზე. არც სვიმონ ჩოფიკაშვილი დაუბრმავებია ჩინოვნიკულ ტიტულს, მასშიც მთის სული განსხულებულა „ისიც თემის გადაწყვეტილებას ემორჩილება, თუმცა კარგად იცის, რომ მთლიულეთის აჯანყებაც განწირულია და თემის კანონებიც, იგი რჩება ქართველად და ქართველური გრძნობა ავალებს აბდია ჯალიბაურს, როგორც თემის რჩეულს ეახლოს...

აბდია ჯალაბაურის კალოზე კი მთის სული ცოცხლობს: დროშას დეკანოზები აკურთხებენ, დმწყალობების შემდეგ დეკანოზები ევედრებიან ღმერთს, შემდეგ შეუდგნენ „შეკვრას“ მოღალატე-

თა დაწყევლას, აბდიას ხელში უჭირავს სახალხო სიწმინდე - დრო-
შა, რომელთანაც რიგ-რიგობით მიდიან და ემთხვევიან... ალაქსან-
დრე ყაზბეგი დაწვრილებით აღწერს სვიმონის მიერ ელგუჯას
შვილად აყვანის რიტუალს, სვიმონის დაკრძალვის რიტუალს,
თითქოს ცდილობს დაამახსოვროს მკითხველს ქართველი ხალხის
ეს ამაღლებული წმინდა ტრადიციები და თაობიდან თაობას გადა-
ეცეს სულის სიმტკიცისა და ქართველობის შესანარჩუნებლად.
განსაკუთრებით აღსანიშნავია სვიმონ ჩოფიკაშვილის დაკრძალვი-
სა და დატირების რიტუალი ეს სახალხო გლოვაა. ხალხი- ჯგუფად
გროვდებოდა და ცალ-ცალკე მთაში შემოღბული თავისებური ტი-
რილით შემოდიოდნენ... წინ უსათუოდ უფროსს წაიმძღვარებდნენ
მოწინავე მწუხარე ხმით დაიძახებდა „დადაი“ და ლოყებში ცე-
მით სხვები ხმას მისცემდნენ... ამათ ლოყებშივე ხელის ცემით და
სიტყვებით „ადაი'' ჭირისუფლები უპასუხებდნენ... ამბავი სრული
შვიდი დღე გრძელდებოდა... ყოველი მოქმედება, ყოველი საქმე,
რომელიც მიცვალებულს სიცოცხლეში ჩაედინა ეხლა საქვეყნოდ
მოიხსენებოდა, მოხუცი დედაკაცი მიცვალებულის მკერდიდან
თოფს აიღებდა და მიცვალებულს ლექსად ხოტბას შეასხამდა,
როდესაც მოტირალი ლექსს გაათავებდა თოფს ისევ გულზე დაა-
დებდა მიცვალებულს და მოწიწებით წარმოსთქვამდა: შენი ცხო-
ნება და დამრჩენთ დღერგძელობა „შემდეგ .მოიხსენიებდნენ გმი-
რებს და მათი ამბავი საშვილიშვილოდ გადადიოდა... მათრახებით
შემოდიოდნენ ყმაწვილი ბიჭები- ყოველ „ავაი-დადაის'' წარმოს-
თქმისთანავე შემოიკრავდნენ მათრახებს დ ყავარ-ყავარ დახეთქი-
ლი კისრიდან სისხლი ჩქაფა-ჩქუფით გადმოსდიოდათ... „ თითქოს
მთის სული გლოვობდა სვიმონის სახით თავის განწირვას, თემი
თითქოს სულეთს აბარებდა, წინაპრებთან ისტუმრებდა თავის
ტრადიციებს იქ მამა-პაპასთან საუბრობდა თემის ერთობის სიდი-
ადეზე, ალექსანდრე ყაზბეგი, ექსპრესიით წერდა მომაკვდვი თე-
მის შესახებ, რომლის სიცოცხლეს მხოლოდ ოცნება დაპატრონე-
ბოდა... მწერალი თავად ცხოვრობდა ამ განწირულ დიად სამყარო-
ში, არსებული რეალობის უარმყოფი და ერთ-ერთ წერილში იოანე
მეუნერგიას ევედრებოდა „გამიშვით სხვაგან, იქნებ იქ სადმე შევ-
ხდე ელგუაჯს ან კიდევ მის პროტოტიპს აწმყო სავაგლახ-სატირა-
ლის წარმომადგენელთ“... ხევს, თემს თავი უნდა მოეკლა, თორემ
მოკლავდნენ; ადგილი უნდა დაეცარიელებინა, ცივილიზაციას თუ

დამპყრობელს ასე სჭირდებოდა, თემმა აირჩია ისევ თავი მოეკლა, მაგრამ ისე „რომ სახელი გასძღოლოდა იმ ქვეყანაში. ამ თვითმკვლელობას ის თვისება აქვს, რომ უკანასკნელი ტყვია არის გმირთა, დანარჩენი კი მტრის. კვდებიან ყაზბეგის გმირები: ელგუჯა, სვიმონი, გუგუა, იაგო, მოძღვრი, გოჩა.... ასლან გირეი, ანზორა, ელისო... კვდებიან ხმალშემართული, გაღიმებულნი, ვაჟკაცურად, ზოგს ჩამოუგლეჯია საკინძე და ჭრილობის გამოსაჩენად მკერდი მოუღეღია... კვდება ეს ხალხი თემის სახით პიროვნებად ქცეული და საკუთარ ფესვებზე ღმერთისა და კაცის ერთობაზე გვესაუბრება... ეს არ არის მარტო მოხევური თემის და ტრადიციების სასაფლაო, აქ ჩეჩენის, ოსის და ზოგადად კავკასიელ ხალხთა ტრაგიკული და ვაჟკაცური ხმაც ისმის, რადგან ალექსანდრე ყაზბეგს კავკასიელ ხალხთა ერთობა მიაჩნდა, დიდი ილიას მსგავსად, ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ერთადერთ გზად....

ისტორიის მოულოდნელმა შემოტრიალებამ ამ ხალხთა ცხოვრება დაამსხვრია, მაგრამ ისინი მაინც მტკიცედ დგანან დამსკდარ მიწაზე და ჯიუტად გაიძახიან:

,,როსტომ სთქვა, ერთი არა სჯობს, ამ ჩემსა მოგონებასა,
ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ დაღონებასა''

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **გურამ ასათიანი** „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, მოგონებანი, თბილისი,1998;
2. **ვახტანგ კოტეტიშვილი „**ალექსანდრე ყაზბეგი'', თბ. 1998;
3. **გრიგოლ კიკნაძე** „ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1972;
4. **იოანე მეუნარგია** „ალექსანდრე ყაზბეგის გახსენება'',მოგონებანი,, ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა'', 1998;
5. **როსტომ ჩხეიძე, „**შურისგება“ თბილისი, 1996;
6. **ალექსანდრე ყაზბეგი** „ ელგუჯა'', თბ. 2004;
7. **ალექსანდრე ყაზბეგი** „ ხევისბერი გოჩა“, თბ. 2004;
8. **მაია ჯალიაშვილი** „ქართველი მწელები სკოლაში“, თბ. 2004.

Ketevan Giorgadze

`Tradition as a Character in the works of Alexander Kazbegi~
Summary

The work deals with the understanding of the character of the tradition in Alexander Kazbegi's works. Several works of the writer consider the influence of the millennial traditions of their character in their writings that are so faint in the writer's work.

თემურ ავალიანი

XVII-XIX საუკუნეების ქართული ლინგვისტური აზროვნება და საგანმანათლებლო სივრცე აკადემიური ცოდნის გაცვლის ასპექტში

*ნაშრომი ქვეყნდება მ. სკლოდოვსკა-კიურის სამეცნიერო ფონდის (ევროკავშირი) სამეცნიერო გრანტის „ცოდნისა და აკადემიური კულტურის გაცვლა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში: ევროპა და შავი ზღვის რეგიონი, XVIII მეორე ნახევარი - XXI საუკუნე“ ფარგლებში (H2020-MSCA-RISE-2016, № 734645 – KEAC-BS*R).

XVII - XIX საუკუნეები ჩვენი ქვეყნის ისტორიის ის მონაკვეთია, როცა მთელს ევროპაში წარსულს ბარდება ე.წ. ენციკლოპედისტების ეპოქა, იწყება და სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს ცოდნის სპეციალიზაციისა და მეცნიერების ცალკეულ დარგებად დიფერენციაციის პროცესი, რაც ცხადია, მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებში ვერ ჩაიკეტებოდა. საქართველოში მას ძალიან მძიმე მემკვიდრეობის ნიადაგზე მოუხდა ჩამოყალიბება და განვითარება. XV საუკუნის შემდგომ განვლილი დრო იყო ხანა განუწყვეტელი ომებისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: დაეცა ქრისტიანული განათლება, დაიხურა სკოლები, დაინგრა, გაუქმდა ან დაუძლურდა ქრისტიანული განათლებისა და სარწმუნოებრივი ცხოვრების კერა - მონასტრები. უმეცრებამ და სიბნელემ მოიცვა სამღვდელოება და ქართველი ხალხი. განათლების აკვანი - ***საბერძნეთი, მუსლიმთა იარაღს დაემორჩილა, ასე რომ საქართველო მთლიანად მოწყდა მას*** და დანაწევრდა. მისი ერთი ნაწილი მღელვარე და საშინელ მუსლიმანურ ოკეანეში აღმოჩნდა, მეორე კი - ერთმორწმუნეობას ამოფარებული და ცხვრის ქურქში გახვეული ჩრდილოელი მეზობლის ხაფანგში გაება.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმის ამგვარი ცვლილების მიუხედავად, საქართველოში XVII საუკუნიდან საფუძველი ეყრება ენათმეცნიერული აზროვნების, უფრო მეტიც, საერთოდ მეცნიერებისა და კულტურის აღორძინებას. ხშირად საკამათო ხდება საკითხი იმის შესახებ, თუ

<u>რა ნიადაგით საზრდოობდა ქართული მეცნიერული აზროვნებისა და საგანმანათლებლო სივრცის აღორძინება-განვითარების პროცესი,</u> საერთოდ როგორი იყო ეს ცოდნა-განათლების სისტემა და რა გზით უნდა შემოსულიყო ის ასეთ ურთულეს და უმძიმეს პირობებში.

ქართული გრამატიკული აზროვნებისა და საგანმანათლებლო სივრცის აღორძინების პროცესის არც თუ ღრმა ანალიზიც კი ნათლად აჩვენებს, რომ ეს ***<u>იყო მოწინავე ევროპული გამოცდილება და ტრადიცია,</u>*** იმის მიუხედავად, თუ რა გზით აღწევდა ის ორი დამპყრობლის უღელქვეშ მოქცეულ, უცხო ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეებში ჩაკეტილ, ევროპული სამყაროსგან თითქმის მთლიანად იზოლირებულ საქართველოში.

არაბულმა და საერთოდ აღმოსავლურმა ზეგავლენამ ამ ეპოქაში ვერაფერი ვერ განავითარა, პირიქით, დაამუხრუჭა კიდეც. როგორც ა. ფოცხიშვილი წერს, „ჩვენამდე მოღწეული პირველი ბრწყინვალე გრამატიკული ტრაქტატის ავტორს - ანტონ ბაგრატიონს მისი დროისათვის კარგად ცნობილი არაბული გრამატიკული მოძღვრებისათვის რომ მიემართა, ***<u>ქართული ენის გრამატიკას ვერ დაწერდა“</u>*** (ფოცხიშვილი 1995: 7). სწორედ აღმოსავლური ზეგავლენის შედეგია ის, რომ ***XVII - XVIII <u>საუკუნეებამდე საქართველოში არ გვაქვს ენათმეცნიერული კვლევის ერთიანი, უწყვეტი ხაზი,</u>*** მაშინ როცა გრამატიკული მეცნიერებით ქართველთა დაინტერესება იწყება ჯერ კიდევ X საუკუნიდან. როგორც ე, ბოლხოვიტინოვი წერს, „Грузины, как сказывают, давно имели грамматику, но она совершенно потеряна и пресвященный (საუბარია ანტონ კათალიკოსზე. თ.ა.) нигде не мог её найти“ (ბოლხოვიტინოვი, 1902: 74).

გრამატიკული აზროვნების პირველი ნაკადი ჩნდება X–XII სს-ში და ეს ხდება ***<u>ბიზანტიელთა ზეგავლენით.</u>*** უკვე XI საუკუნეში იქმნება ქართული ორიგინალური ლინგვისტური ნაშრომი „***<u>სიტყუაჲ ართრონთათვის“,</u>*** რომელიც მიეწერება ეფრემ მცირეს (ან არსენ იყალთოელს). ამ პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე იოანე პეტრიწის „***<u>ბოლოსიტყუაჲ“</u>***, XII ს-ში ითარგმნა ამონიოს ჰერმიას თხზულებანი, რომლებშიც გრამატიკის საკითხებზე მსჯელობისას ბერძნული გრამატიკული ტერმინოლოგია ან პირდაპირ არის გადმოტანილი, ან შექმნილია სათანადო კალკები.

ერთი სიტყვით, ჩანს რომ ქართველები ჯერ კიდევ ამ პერიოდში იცნობდნენ როგორც დიონისე თრაკიელის გრამატიკას, ისე IX–X საუკუნეებში მის განმმარტებელთა დებულებებს, რომლებსაც, პლატონის, არისტოტელეს და სხვათა ნაშრომების მსგავსად უშუალოდ ბერძნულ დედნებში ეცნობოდნენ.

საენათმეცნიერო საქმიანობა შეწყდა ქვეყნის პოლიტიკური ძლიერების დაცემასთან ერთად. ***მე-13 საუკუნიდან მოყოლებული ხუთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემას ქართული მეცნიერების დაკნინებაც მოჰყვა.*** აღორძინება იწყება XVII–XVIII სს-დან, რაც დაკავშირებულია რომიდან საქართველოში მოვლენილი ***კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობასთან,*** რის შედეგადაც ჩნდება გრამატიკული აზროვნების ახალი - ***იტალიური სპეციფიკის მქონე შენაკადი*** (უთურგაიძე, 1999: 5). 1628 წლიდან იტალიელი კათოლიკე მისიონერები განაწილდნენ საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც უნდა ექადაგათ და დიდი მონდომებით დაიწყეს ქართული ენის შესწავლა მათვე დააარსეს სკოლები, სადაც ლათინური და ბერძნული ენების გვერდით ქართველ ბავშვებს მშობლიურ ენასაც ასწავლიდნენ საკუთარი გრამატიკებისა და ლექსიკონების მიხედვით (თამარაშვილი, 1902, 156). ამ პერიოდში იქმნება სტეფანო პაოლინისა და ნიკოლოზ ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილის ***ქართულ-იტალიური ლექსიკონი*** (1629 წ.), ფრანჩესკო-მარია მაჯოს ***ქართული ენის გრამატიკა*** (1643 წ., II გამოცემა - 1670 წ.), ბერნარდო ნეაპოლელის ***ქართულ-იტალიური და იტალიურ-ქართული ლექსიკონები*** (XVII საუკუნის 70-იანი წლები), გორელი ანონიმის ***იტალიურ-ქართული ლექსიკონი*** (XVIII საუკუნის I მეოთხედი). ამავე პერიოდს ეკუთვნის სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი „***სიტყვის კონა“,*** აგრეთვე ზურაბ შანშოვანის „***მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა“*** (1737 წ.), რომლის პირველწყაროდ ***სიმონ ჯუღაეცის*** სომხური ენის გრამატიკას მიიჩნევენ, რომელიც, თავის მხრივ დიონისე თრაკიელის გრამატიკული ტრაქტატის სომხურ თარგმანსა და მის კომენტარებზეა აგებული (აბულაძე, 1976: 173-174). უფრო მეტიც, შანშოვანის გრამატიკას საერთოდ არ მიიჩნევენ ქართული ენის გრამატიკად და თვლიან, რომ „შანშოვანმა ქართული ენის გრამატიკა კი არ დაწერა, არა-

მედ თარგმნა სომხურის გრამატიკა ქართულად“ (ფოცხიშვილი, 1995: 177). ეს ნაშრომი „უჩინარი“ იყო თანამედროვეთათვის და მომდევნო დროისთვისაც (აბულაძე, 1976, 173-174), რის ერთ-ერთ არგუმენტად იშველიებენ ანტონ - I-ს, რომლის არცერთ გრამატიკაში შანშოვანის გრამატიკის არსებობის შესახებ მინიშნებაც კი არ არის (ილურიძე 2006: 9).

გრამატიკული, ისევე როგორც საერთოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ახალ საფეხურზე ადის XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, რასაც არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი ავტორებიც აღნიშნავენ. ასე მაგალითად, ე. ბოლხოვიტინოვი ამ მოვლენას ორ დიდ პიროვნებას უკავშირებს: „Эпоху восстановления или основательного-таки введения наук в Грузию можно полагать с половины XVIII столетия, и сею счастливою эпохою одолжена Грузия царю Ираклию и пресвященному католикосу Антонию“ (ბოლხოვიტინოვი, 1902: 73-74). 1753 წელს გამოდის ხსენებული ***ანტონ კათოლიკოსის (ბაგრატიონის) „ქართული ღრამმატიკა“,*** რომელიც ქართული ენის პირველი გრამატიკაა (ოღონდ არა ნაბეჭდი, არამედ ხელნაწერი). როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, ის მხითარ სებასტიელის (სებასტიცის) სომხური გრამატიკის მიხედვითაა შედგენილი. რატომ? იმიტომ რომ, ***<u>მოძალებული მაჰმადიანური ზეგავლენის გამო ბერძნულ-ლათინურ ტრადიციასთან უშუალო კავშირი დიდი ხნის გაწყვეტილი იყო. სომხური გრამატიკა კი უშუალოდ ამ ტრადიციით იყო ნასაზრდოები. ასე რომ, ბერძნულ-ლათინური გამოცდილება ქართულ გრამატიკულ მეცნიერებაში შემოვიდა სომხური გრამატიკის გავლით</u>*** (ბაბუნაშვილი 1969: 160). ამავე დროს, ქართული გრამატიკული აზროვნების მკვლევრები ხაზგასმით და სავსებით მართებულად აღნიშნავენ იმასაც, რომ ანტონის გრამატიკის ბევრი დეფინიციის სომხურისაზე დამთხვევა არავითარ შემთხვევაში არ იძლევა სომხური გრამატიკის ქართულის საფუძვლად მიჩნევის მიზეზს. ამ დამთხვევების მიზეზი ***საერთო წყაროს არსებობაა და ეს საერთო წყარო ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრებაა.*** ტერმინოლოგიური დამთხვევა რომ მთავარი არ არის, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ანტონის გრამატიკის ზოგადი ცნებების აბსოლუტური უმრავლესობა ემთხვევა რუსული ენის გრამატიკისასაც და მათი

განსაზღვრებებიც აბსოლუტურად ერთნაირია. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსულმა გრამატიკამ ისინი სომხურისგან ან ქართულისგან აიღო ან პირიქით. ყველა ეს ცნება თუ ტერმინი სომხურშიც ისევეა თარგმნილი ბერძნულ-ლათინურიდან, როგორც ევროპის ყველა ენაში (ფოცხიშვილი 1995: 16).

თავისი გრამატიკა ანტონმა მნიშვნელოვნად გადაამუშავა და მეორედ დაწერა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 1767 წელს (დაიბეჭდა 1785 წელს). წინა გრამატიკასთან შედარებით ეს გრამატიკა გაცილებით დამოუკიდებელი და ორიგინალური ნაშრომი იყო. ბერძნულ-ლათინური გრამატიკული მოძღვრების ზოგადგრამატიკული დეფინიციების გვერდით ანტონმა მასში შეიტანა და დაადგინა ქართული ენის სისტემის უამრავი ელემენტი, რასაც ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენად თვლიან, რადგან ყველა ის ენა, რომელთა გრამატიკის ცოდნასა და გამოცდილებაზეც ანტონი მიუთითებს (ბერძნული, ლათინური, სომხური, რუსული, გერმანული, ფრანგული, იტალიური), განსხვავებული წყობის ენებია. ამიტომ მათგან ანტონი ბევრით ვერაფრით ვერ ისარგებლებდა (ფოცხიშვილი 1995: 17). ეს ორი გრამატიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ***თუ პირველი გრამატიკის ცნებათა განმარტებები ბერძნულ-ლათინურ ტრადიციას მისდევდა, მეორე გრამატიკაში გათვალისწინებულია ფრანგული, იტალიური, გერმანული და რუსული ენების მონაცემებიც და დასავლური ფილოსოფიურ-ლოგიკური წიაღიდან მომდინარე ნახევრად ენათმეცნიერული ცნებები.***

საინტერესო და საკამათოა აგრეთვე ანტონის გრამატიკაზე ***სამი სტილის თეორიის*** ზეგავლენის პრობლემა. აკადემიურ წრეებში დღემდე არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ ვისი ზეგავლენით გაიზიარა ეს თეორია ანტონმა. როგორც ცნობილია, ის ჯერ კიდევ ძველმა რომმა იცოდა, კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეებშიც და განსაკუთრებულ სიმაღლეზე ავიდა რუსეთში, სადაც ამ საკითხს მიეძღვნა მ. ლომონოსოვის „Рассуждение о пользе книг церковных в российском языке“ (1757). არნ. ჩიქობავას აზრით, ანტონი მოექცა სწორედ მ. ლომონოსოვის ზეგავლენის ქვეშ (ჩიქობავა 1938: 4). ლინგვისტთა მეორე ნაწილი კი ამტკიცებს, რომ ანტონის გრამატიკას მ. ლომონოსოვის თეორიასთან არანაირი კავშირი არ აქვს, რადგან ამ პერიოდში ანტონი საერთოდ არ იც-

ნობდა მას. „სამი სტილის“ შესახებ ის საუბრობს რუსეთში წასვლამდე, თავის პირველ გრამატიკაში ანუ მ. ლომონოსოვის სტატიის დაწერამდე. მეორე გრამატიკაში კი ამ თეორიის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი (ფოცხიშვილი 1995: 24-25), თუმცა როგორც ე. ბოლხოვიტინოვი წერს: „...он сочинил уже пространную грамматику, применяясь к российской ломоносовой и другим (ბოლხოვიტინოვი, 1802: 75).

ანტონ I-ის გრამატიკა დაედო საფუძვლად ***გრამატიკის სახელმძღვანელოებს XVIII ს. II და XIX ს. I ნახევარში.*** განსაკუთრებით ითქმის ეს ***გაიოზ რექტორის (1796–1800) გრამატიკაზე,*** რომელიც დაიწერა კრემენჩუგში, 1789 წელს. გაიოზს ქართულთან ერთად რუსული განათლებაც ჰქონდა მიღებული და ***კარგად იყო ნაზიარები ევროპული მეცნიერების მიღწევებს.***

ანტონისა და გაიოზის გრამატიკების საფუძველზეა შექმნილი:

- ***დავით ბატონიშვილისა*** (1790) და ***ეპისკოპოს ვარლამის*** (1802) მიერ რუსულ ენაზე შედგენილი გრამატიკის სახელმძღვანელოები.
- ***ი. ქართველიშვილის*** „ქართული ღრამმატიკა“ (1809 წ., 1814 წ.) და ***გ. ფირალიშვილის*** (ფირალოვის) „***თვითმასწავლებელი ორთა ენათა, ე. ი. რუსთა ქართველისა, ქართველთა რუსულისა»*** (1820). ეს ნაშრომი ორენოვანია და საუკეთესო საშუალება იყო ქართველთათვის რუსული გრამატიკის შესასწავლად და პირიქით. თუმცა მარი ბროსეს აზრით, ის განკუთვნილი იყო უფრო იმისთვის, რომ რუსული ასწავლოს ქართველებს და არა ქართული რუსებს (იოსავა, 1999: 6).
- იოანე ბაგრატიონის „***კალმასობისეული ქართული გრამატიკა“*** (1829 წ.).
- ს. დოდაშვილის (დოდაევის) „***შემოკლებული ქართული ღრამმატიკა" (1830),***
- მარი ბროსეს „***ხელოვნება აზნაურებითა, გინა ქართულის ენისა თვითმასწავლებელი“*** (1834 წ.). ქართული ტექსტის ბერძნულთან შედარების გზით მან შეძლო გაერკვია ქართული გრამატიკის თავისებურება, შეედგინა ლექსიკონი (ბროსე, 1829: 1-16). 1834 წელს მან ლითოგრაფულად გამოსცა ლიტერატურული ქართულის სრული გრამატიკა ***(«ქართული ენის***

თვითმასწავლებელი»), 1837 წელს კი დაბეჭდა „***ქართული ენის ელემენტები“,*** რომლის შედგენა დავალებული ჰქონდა კლაპროთს. მანამდე, 1827 წელს, კლაპროთმა შეადგინა ქართულ-ფრანგული ლექსიკონი. მარი ბროსე შენიშნავს, რომ ეს ლექსიკონი წარმოადგენს ფირალოვის „თვითმასწავლებლის“ ფრანგულ გადმოკეთებას, რომელიც სავსეა მიუტევებელი შეცდომებით (ბროსე, 1829: 17-18).

- პ. იოსელიანის „***პირუველ დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა"*** (1840, 1851).
- ფ. კიკნაძის „***ქართული ღრამმატიკა“*** (ჩვენამდე ფრაგმენტულად შემორჩენილი).
- დ. ჩუბინაშვილის ***მოკლე ქართ. გრამატიკა*** (1855, რუს. ენაზე), რომელშიც ცოცხალი სასაუბრო ქართულია წინ წამოწეული.
- ნ. დ. ჩუბინაშვილის ***ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები*** (1812–1825).
- დ. ჩუბინაშვილის ***ქართულ-რუსული ლექსიკონი*** (1840) და ***რუსულ-ქართული ლექსიკონი*** (1846).
- რ. ერისთავის „***მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან"*** (1884).
- XIX ს. 70-იან წლებში პეტერბურგში საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის მეცნიერულ შესწავლას. ა.ცაგარელმა ხელი მოჰკიდა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევას (სე-II, ლინგვისტიკა).

ამრიგად, აღნიშნული პერიოდის ქართული გრამატიკები და ლექსიკონები მეტწილად რუსულ ტრადიციას და სასკოლო სახელმძღვანელოების სქემას ემყარება. გამოყენებულია სომხური გრამატული ტრადიციაც. ამავე დროს, ეს არც რუსული გამოცდილებაა და არც სომხური. საფუძველი ორივე შემთხვევაში არის მოწინავე ევროპული ცოდნა, რომელიც არა პირდაპირი გზით, არამედ რუსულისა და სომხური გავლით შემოდიოდა იმის გამო, რომ მაჰმადიანური ზეგავლენის წყალობით ბერძნულ-ლათინურ ტრადიციასთან უშუალო კავშირი დიდი ხნის გაწყვეტილი იყო.

ანალოგიური სიტუაცია იყო ქართული საგანმანათლებლო სივრცეშიც, სადაც XVIII საუკუნის 50-იან წლებში ერთმანეთს

დაუპირისპირდა ორი ბანაკი: ***ანტონ-I კათალიკოსის და ეპისკოპოს ზაქარია გაბაშვილის,*** რომელთა უკან ორი განსხვავებული ორიენტაციის პოლიტიკური დაჯგუფება იდგა. ***ანტონი ევროპიზმის გზას ადგა,*** რის დასტურადაც მან უპრეცედენტო ნაბიჯიც კი გადადგა: მართლმადიდებელმა კათოლიკოსმა ფარულად კათოლიკური მრწამსიც კი აღიარა (რისთვისაც, ცხადია, მკაცრად დაისაჯა). ზაქარია გაბაშვილი კი მართლმადიდებლობის მხურვალე დამცველი იყო, თუმცა, როგორც მკვლევართა ნაწილი აღნიშნავს, რეალურად პროირანული ორიენტაციის პოლიტიკოსთა დასაყრდენად იქცა, ***რომელთაც არ ესმოდათ სახელმწიფოს მომავლისათვის სიახლეების დანერგვის მნიშვნელობა.***

ანტონს განზრახული ჰქონდა ახალი ევროპული ტიპის სკოლების გახსნა, სადაც ქართველი ახალგაზრდობა მოწინავე ცოდნას მიიღებდა. ამისთვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ახალი ***სასწავლო წიგნების მოძიება, თარგმნა და სახელმძღვანელოების შედგენა. მან დააარსა და განამტკიცა თბილისის (1755 წ.) და თელავის (1782 წ.) სასულიერო სემინარიები,*** რომლებიც სახელმწიფო ტიპის სასწავლებლებად იქცა და სამეფო ხაზინიდან ფინანსდებოდა. სწავლება აგებული იყო ***მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიის პროგრამით.*** აქ ისწავლებოდა: გრამატიკა, რიტორიკა, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება. სწავლების პროცესში ფართოდ დაინერგა სქოლასტიკური მეთოდი. ანტონს შემუშავებული ჰქონდა სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსების პროექტიც (თბილისში, გორსა და თელავში). სემინარიებისათვის მან თავად შეადგინა ახალი და ორიგინალური თუ ნათარგმნი სახელმძღვანელოები: ***„ქართული ღრამმატიკა“,*** რომელიც ორჯერ გამოსცა, ***მხითარ სებასტიელის „რიტორიკა“,*** გადამუშავებული ქართული მასალით (1761), ***„კატეგორია-სიმეტნე“,*** შედგენილი არისტოტელეს მოძღვრების საფუძველზე; ***„საქრისტიანო მოძღვრება ანუ კატეხიზმო“;*** კურციუსის ***„ალექსანდრე მაკედონელის ისტორია“,*** საკუთარი შენიშვნებით (1762); ბაუმაისტერის ***„განსაზღურება ფილოსოფიისა“, „ფიზიკა“, „ლოღიკა“;*** ფილოსოფიური ტრაქტატი ***„სპეკალი“*** და სხვა. გარდა სახელმძღვანელოებისა, ანტონმა შექმნა ახალი საეკლესიო ლიტერატურაც - თითქმის არ დარჩენილა საეკლესიო მწერლობის ჟანრი, რომელიც არ გამდიდრებულიყო ანტონის ორიგინალური თუ ნათარგმნი თხზულებებით. მან შეადგინა ქართული ეკლესიის წმინდან-

თადმი მიძღვნილი კრებული, სახელწოდებით „***მარტირიკა“.*** მანვე სომხურიდან თარგმნა „***ეფესოს კრების ისტორია“,*** აგრეთვე მრავალრიცხოვანი ქადაგებები და წერილები და სხვა (სურგულაძე, **http://qim.ge/anton%20I1.html).** ამ წიგნებზე აღიზარდა საქართველოში არაერთი განათლებული თაობა. გაიოზ რექტორის დახასიათებით, ანტონ კათალიკოსის ღვაწლის შედეგად ***მეცნიერების და სწავლა-განათლების „ოქროს საუკუნე” დამდგარა საქართველოში. ამასთანავე „განმრავლებულა“ სიბრძნისმოყვარეობაც.***

თბილისისა და თელავის სემინარიები ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა: XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ***ეკლესია-მონასტრებთან მოქმედებდა დაწყებითი ტიპის სასწავლებლები,*** გარდა იმ ადგილებისა, რომლებიც მაჰმადიან დამპყრობთა მიერ იყო დაკავებული (თუმცა აქაც კი, თუ ეკლესია-მონასტრები არ იყო დანგრეული, სწავლა არ შეწყვეტილა). ამ სასწავლებლების დაარსებისათვის თავის დროზე განსაკუთრებით იზრუნა მეფე-რეფორმატორმა ვახტანგ VI-მ. მან დააარსა სასწავლებლები, ***სადაც ასწავლიდნენ ყველას, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა.*** საერო სკოლებში სწავლის ნება არა მარტო „თავადაზნაურთა და პირველი მოქალაქის შვილებს”, არამედ „***მსახური კაცის შვილებს“, „მდაბალ ვაჭართა შვილებს“, „აგრეთვე გლეხის შვილებსაც“ ჰქონდათ.***

აღნიშნულ პერიოდში იმერეთში თერთმეტი, ხოლო გურიაში ორი ეკლესია მონასტერი მოქმედებდა, ***რომლებიც ამავე დროს სწავლა-განათლების კერებიც*** იყო. სკოლები გახსნილი იყო აგრეთვე იმ სახლებშიც, სადაც ეპისკოპოსები და სასულიერო იერარქიის სხვა წარმომადგენლები ცხოვრობდნენ. უპირატესობა, ბუნებრივია, ეპისკოპოსების სახლებს ეძლეოდა, სადაც უკეთესი პირობები იყო შექმნილი ცოდნის მისაღებად. ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისში კათალიკოს დომენტი III-ს (1704-1724; 1738-1742 წ.წ.) გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები, რათა ***ეკლესია-მონასტრებთან გაეხსნათ სასწავლებლები.***

საყოველთაოდ ცნობილი იყო ***დავით გარეჯის მონასტერი,*** სადაც ყველაზე მაღალი წოდების წარმომადგენლები იღებდნენ სწავლა-განათლებას. აღნიშნული დროისათვის დავით გარეჯის მონასტერში არსებობდა უმაღლესი „შკოლა“, უმდიდრესი ბიბლიოთეკით და მასწავლებელთა საუკეთესო კადრებით.

სწავლა-განათლების აღიარებული ცენტრები იყო ***გელათი*** იმერეთში და ***შემოქმედის მონასტერი*** გურიაში, ასევე იმერეთის განათლების ცენტრად გვევლინება ***ხონი,*** რომელიც ეპარქიის ცენტრადაც ითვლებოდა. მარტო თბილისის სასწავლებლებში, რომლებიც ***სიონის, კალოუბნის, მეტეხის, ანჩისხატსა*** და სხვა ეკლესიებთან არსებობდნენ, 400-მდე მოსწავლე სწავლობდა. სასწავლებლები და სკოლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებშიც ყოფილა. აღნიშნულის გარდა, ***ნახევრად კერძო ტიპის სასულიერო დაბალი სასწავლებლებიც*** არსებობდა. მათ ხელმძღვანელობას ეპარქიის მწყემსი ეპისკოპოსი აკონტროლებდა. იმისათვის, რომ უფრო აემაღლებინათ მოთხოვნილება სკოლებისადმი, საეკლესიო კრებამ 1762 წელს დაადგინა: ***ყოველმა ეპისკოპოსმა დააწესოს მკაცრი კონტროლი და ასწავლოს თავის სამწყსოს“.*** ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობდა ასევე ***კერძო სკოლებიც,*** რომელთა დანერგვასაც ანტონ-I ყოველმხრივ უწყობდა ხელს. სწავლა-განათლების სტაბილიზებას ყოველმხრივ ეხმარებოდა ერეკლე II-ც.

მეზობელი ქვეყნების მოწინავე ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისთვის განუხრელად მებრძოლი ანტონ კათალიკოსი ერთი წუთითაც არ ივიწყებდა ქართული კულტურის თავისთავადობისა და მართლმადიდებლური ქრისტიანული რწმენის სიწმინდეს. ასე მაგალითად, ის წინ აღუდგა მონოფიზიტობის გავრცელებას, ოღონდ არა ადმინისტრაციული, ანდა პოლიტიკურ-ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით, არამედ ***მეცნიერული სიტყვით.*** ვინაიდან სომეხთა მისიონერები თავის სწავლას სქოლასტიკასა და სომხური ეკლესიის ისტორიაზე ამყარებდნენ, ანტონი იძულებული გახდა გაცნობოდა ამ წყაროებს ლათინურ-სომხურ ენაზე და შემდეგ დაწერა დიდი თხზულება, რომელსაც „***მზა-მეტყველება“*** უწოდა (1752). მასში ყოველი კაცი იპოვის მზა პასუხს მწვალებელთა ყოველ კითხვაზე“ (ყოველივე აღნიშნულის შესახებ იხ. http://meufeanania.info/epoqa/)

ანტონის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობას, ცხადია, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. გავრცელდა ხმები, თითქოსდა ანტონმა „ვეფხისტყაოსანი“ დაწვა, რის უსაფუძვლობაც უკვე დასაბუთებულია. პირიქით, წვავდნენ და კრძალავდნენ მის თხზულებებს. ანტონის მოღვაწეობას დღევანდელ მკვლევართა ნაწილიც უკიდურესად უარყოფითად აფასებს. მას „იეზუიტთა აგენტსაც“ კი უწოდებენ და ძველი ქართული ლიტურგიკული ტექსტებისა თუ საეკლესიო პრაქ-

ტიკის რუსულ-ნიკონიანურ საეკლესიო სიახლეთა შესაბამისად გადაკეთება-შერყვნაში ადანაშაულებს (არქიეპისკოპოსი პავლე (ხორავა). თუმცა არავისში აღარ იწვევს ეჭვს, რომ XVIII ს-ში ფილოსოფიური კვლევა-ძიების აღორძინება დაკავშირებულია სწორედ ანტონის სახელთან. ***<u>სწორედ ეს დადებითი ტრადიცია გადაეცა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ მოღვაწეებს, ე.ი. „სამოციანელებს“, რომლებიც ანტონის მემკვიდრეები არიან</u>*** (http://meufeanania.info/epoqa/)

ანტონის მოწაფეთაგან ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნება იყო გაიოზ რექტორი (1746-1841), რომელიც არის სამასზე მეტი ნათარგმნი და ორიგინალური ნაშრომის ავტორი. მისი „ღრამმატიკა" (1789) წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკის პირველ ნაბეჭდ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე. მან საფუძველი ჩაუყარა ოსური ანბანის შექმნას. ამასთანავე იგი იყო შესანიშნავი ლიტერატორი, მთარგმნელი, დიპლომატი. (http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00002483/).

ცოდნისა და კულტურის გაზიარების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ის, რომ XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთი საქართველოში იწყებს ***<u>ასიმილატორული ენობრივი პოლიტიკის გატარებას,</u>*** რაც გააქტიურდა XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. განათლების სისტემაში მთლიანად რუსული ენა გაბატონდა. დედაენის სწავლება არასავალდებულოდ გამოცხადდა, სამაგიეროდ რუსული ენის სწავლება პირველივე კლასიდან იქნა შემოღებული. 1885 წლიდან კი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის საგანგებო ცირკულარით ***<u>დედაენის სწავლება ოფიციალურად გამოცხადდა საოჯახო საქმედ და სავსებით განიდევნა სკოლიდან.</u>*** სწავლებაში დამკვიდრდა ე.წ. „მუნჯური მეთოდი“, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ქართველმა ბავშვებმა არ იცოდნენ რუსული, ხოლო რუსმა მასწავლებლებმა ქართული. დაიწყო სკოლებიდან ქართველი მასწავლებლების განდევნაც. ასე მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიაში 29 მასწავლებლიდან მხოლოდ 4 იყო ქართველი, ბათუმის გიმნაზიაში - 19-დან 3, ბათუმის ქალთა გიმნაზიაში - 20-დან 3, სოხუმის ქალთა გიმნაზიაში - 9-დან არცერთი და ა.შ. (სამხარაძე, 1999: 10).

ეს პერიოდი პირველ ხანებში ქართველთა მეტ-ნაკლები აქტიურობით ხასიათდება, ამიტომ მოსალოდნელი წინააღმდეგობების თავიდან აცილების მიზნით რუსეთმა შეცვალა პოლიტიკა და „***<u>შერბი-</u>***

ლებული სამხედრო რეჟიმის, შენიღბული „რეფორმიზმის“ გზას დაადგა. ამგვარმა ცბიერმა პოლიტიკამ ნელ-ნელა მოადუნა ქართველი არისტოკრატიის ყურადღება და ***კომპრომისული, კოსმოპოლიტური განწყობები გააჩინა:*** გააქტიურდა რუსოფილური განწყობები, აქა-იქ გაჩნდა კავკასიაში რუსეთის შემოსვლის დადებითი შეფასებები, დაიწყო რუსული საგანმანათლებლო სისტემის ქება-დიდება და ა.შ. ამავე დროს ქართული საზოგადოებრივი ელიტის ამგვარ განწყობებს სისტემატურად უპირისპირდებოდა ეროვნული მოძრაობა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ყველა პრობლემის (უპირველეს ყოვლისა, ენობრივი პრობლემების) განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიებში, მსჯელობებში, პოლემიკაში და არგუმენტირებულად ამტკიცებდა თავის თვალსაზრისს. (ტაბიძე 2005: 98).

რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკა ქართული ეროვნულობის განმსაზღვრელი ფაქტორების დასუსტებასა და გარუსებას ისახავდა მიზნად და სხვადასხვა მიმართულებებით ხორციელდებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, არამკვიდრი მოსახლეობის მასობრივად შემოყვანა, რათა ადგილობრივი მოსახლეობა „***იძულებული გაეხადათ ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“*** (კოლონიალური პოლიტიკა 1936: 28). ამ გზაზე კოლონისტებს მთავრობა განიხილავდა როგორც დასაყრდენ ძალას.

რუსეთმა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში კიდევ ერთ ვერაგულ ხრიკს მიმართა: შეეცადა სამეგრელოს, სვანეთისა და აჭარის სკოლებში სწავლება შესაბამისად მეგრულად, სვანურად და თურქულად წარემართა და რუსული ენა ესწავლებინა არა ქართული, არამედ ამ ენების საფუძველზე.

ამავე დროს, არც იმის მიჩქმალვა იქნებოდა სამართლიანი, რომ დამპყრობელი ქვეყნის საზოგადოებრივ წრეებშიც იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებები, რომლებიც არ იზიარებდნენ ქართული ენისა და კულტურის შევიწროება-ამოძირკვის პოლიტიკას. ასე მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ალ. სტოიანოვი 1880 წელს წერდა: „ჩემი აზრით, ქართული ენის სწავლება დაყენებული უნდა იქნეს სათანადო დონეზე... ქართული მშობლიური ენაა. პირველდაწყებითი განათლება კი უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე. შემდეგი განათლებაც მშობლიურ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. ამიტომ მოსამზადებელ კლასებში ქართველი მასწავლებლები

უნდა იყვნენ ან ისეთი რუსი მასწავლებლები, რომლებმაც ქართული იციან. საქართველოში მცხოვრები რუსების შვილები ამთავრებენ გიმნაზიას, მსახურობენ და ცხოვრობენ საქართველოში, მაგრამ არ იციან ქართველების არც ენა და არც ზნე-ჩვეულება... აუცილებელია შემოღებულ იქნას ქართული ენის სავალდებულო სწავლება, უფროს კლასებში კი ქართული ლიტერატურის სწავლებაც". მალე სტოიანოვი გაათავისუფლეს თანამდებობიდან (ტაბიძე 2005: 112).

ამრიგად, ქართული საენათმეცნიერო აზროვნების მდგომარეობისა და საგანმანათლებლო სივრცის აღორძინება იწყება პერიოდში, ***რომელიც ამავე დროს არის ერთის მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ შავი ზღვის აუზის ბევრ ქვეყანაზე ოსმალეთის იმპერიის ბატონობის საუკუნეები, მეორეს მხრივ კი რუსეთის მიერ ქვეყნის დანარჩენი ნაწილის ანექსიის დასაწყისი.*** ორივე მათგანი პირდაპირ თუ ირიბად, იარაღით თუ შეფარულად ხმალამოღებული ებრძოდა ყოველივე ქართულს (ენას, კულტურას, ტრადიციებს) და ცდილობდა მის ძირფესვიანად ამოძირკვას. ამავე დროს ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ ***ცოდნის გაზიარებისა და გავრცელების თვალსაზრისით ოსმალურთან შედარებით რუსულ ფაქტორს გარკვეული დადებითი მხარეებიც ჰქონდა:*** მოწინავე, პროგრესული ევროპული ცოდნისა და გამოცდილებისთვის მას გზა არ გადაუკეტავს. ის თვითონაც იყო ნაზიარები ამ გამოცდილებას. ასე რომ ჩვენთან, მათ შორის ქართულ ენათმეცნიერებაში, ბევრი რამ რუსულის გავლით შემოვიდა და დამკვიდრდა.ეს გასაგებიცაა: ცოდნა და მეცნიერება გაცილებით კოსმოპოლიტურია, ვიდრე ენა და კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ***აბულაძე, 1976*** - ი. აბულაძე. ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები. შრომები. ტ. II. 1976.
2. ***ბაბუნაშვილი, 1969*** - ელ. ბაბუნაშვილი. სახელთა ბრუნება ანტონ-I - ის „ქართულ ღრამმატიკაში". „მაცნე". 1969. №1.
3. ***ბოლხოვიტინოვი, 1802*** - Болховитинов Е., Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, Петербург, 1802.

4. ***გაიოზ რექტორი.*** http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00002483/
5. ***თამარაშვილი, 1902*** - მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.
6. ***ილურიძე, 2006*** - ქ. ილურიძე. სახელთა ბრუნება XIX საუკუნის I ნახევრის ქართული ენის გრამატიკებში. საკანდიდატო დისერტაცია. თსუ. 2006.
7. ***კოლონიალური პოლიტიკა 1936*** - Колониальная политика царизма в Азербайджане. Москва, Ленинград 1936.
8. ***სამეცნიერო ...*** - **Историческое развитие способов трансляции научных знаний.** http://www.filnauk.ru/filosofiya-nauki-dlya-studentov/400-istoricheskoe-razvitie-sposobov-translyacii.html
9. ***სამხარაძე 1999*** - სამხარაძე ა. დასავლეთ საქართველოს პედაგოგების ბრძოლა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ 1900-1907 წლებში. საკ. დის. ავტორეფერატი. თბილისი 1999.
10. ***სე (II)***- საქართველო, ენციკლოპედია. ტომი II. http://georgianencyclopedia.ge/
11. ***სურგულაძე მ.*** ანტონ I, კათალიკოსი. http://qim.ge/anton%20I1.html
12. ***ტაბიძე 2005*** - ტაბიძე მ. ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები. თბილისი. „ქართული ენა“ 2005.
13. ***უთურგაიძე, 1999*** - თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.
14. ***ფოცხიშვილი, 1995*** - ქართული ენათმეცნიერების ისტორია, ტ. 1, თბ., 1995
15. ***ფუტკარაძე, 2006*** - ქართული ენის ისტორია. პროფ. ტ. ფუტკარაძის საერთო რედაქტორობით. ქუთაისი. 2006. წ. http://www.putkaradze.ge/qartuli_enis_istoria/enis%20istoria.htm
16. ***ჩიქობავა, 2008.*** ა. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. გამოცემა მეორე. თბ. 2008.
17. ***ჩიქობავა, 1938.*** - ა. ჩიქობავა. ილია ჭავჭავაძის ენა.თბ. 1938.

18. *ცაგარელი, 1983*. Цагарели А., О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873.
19. *ცოდნის ...* - Историческое развитие способов трансляции научных знаний http://www.filnauk.ru/filosofiya-nauki-dlya-studentov/400-istoricheskoe-razvitie-sposobov-translyacii.html
20. *ხორავა* - არქიეპისკოპოსი პავლე (ხორავა) - ქართული ეკლესიის რუსული ფიზიონომიის შემოქმედი. http://www.oldorthodox.ge/istoria_qartuli_eklesiis_rusuli_fizionomiis_shemoqmedi.html
21. https://geofilologia.wordpress.com/2015/01/16/ მარი-ბროსე-და-მისი-წვლილი/
22. http://meufeanania.info/epoqa/

Temur Avaliani

Georgian linguistic thinking and educational space in XVII-XIX centuries in the aspect of academic knowledge exchange

Summary

In the XVII-XIX centuries Georgia's resurgence of Georgian philosophical thinking and educational space is undergoing conditions when the Ottoman Empire dominates South-West Georgia on the one hand and on the other hand begins annexation of rest of the country by Russia. At the same time, objectivity should also be noted that in terms of sharing and dissemination of academic knowledge, the Russian factor had positive advantages compared to Ottoman. In article is discussed Georgian linguistic thinking and educational space in XVII-XIX centuries in the aspect of academic knowledge exchange.

სამართალი

ლელა მჟავანაძე

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ზოგიერთი საკითხი საქართველოში

ქვეყნის ძლიერი ეკონომიკისა და ეფექტური მართვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი თვითმმართველობების არსებობა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა რამდენჯერმე გატარდა, თუმცა არცერთხელ არ მოუტანია სასურველი შედეგი. მიმდინარე რეფორმა 2014-2017 წლებში უნდა გატარებულიყო. რეფორმისთვის განსაზღვრული დრო დასასრულს უახლოვდება, თუმცა რეფორმის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევია.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1985 წელს მიიღო „ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. დოკუმენტი ხელმოსაწერად 1985 წლის 15 ოქტომბერს გაიხსნა. საქართველომ ამ საერთაშორისო დოკუმენტს ხელი მოაწერა 2002 წლის 29 მაისს. 2004 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ევროპული ქარტიის რატიფიცირების თაობაზე. აღნიშნული ქარტია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ამოქმედდა 2005 წლის 1 აპრილიდან (საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახე“ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების თაობაზე, თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, N515-II ს).

ქარტიაზე მიერთებულმა ქვეყანამ, მიღებულ კანონში, რატიფიცირებულ პუნქტებში დადგენილი ქარტიის იდეები მაქსიმალურად

უნდა გაითვალისწინოს. საქართველოს შემთხვევაში, ორგანული კანონი თავად ადგენდა „ადგილობრივ პრინციპებს“ და კონსტიტუციითაც ნებადართული იქნა თავისუფალი მოდელირება.

ადგილობრივი თვითმმართველობის მომწესრიგებელ ნორმატიულ დოკუმენტებში ხშირად შედის ცვლილებები. ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შესმუშავებლად შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია. 2017 წლის დოკუმენტში „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტში გათვალისწინებული იქნა ვენეციის რეკომენდაციები კომპეტენციის მკაფიოდ გამიჯვნის თაობაზე (საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ http://constitution.parliament.ge/uploads/masalebi/konstitucia-gadasinjva-cvlileba.pdf[1]). აღნიშნული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტმა მიიღო, თუმცა როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოს პრეზიდენტმა მას ვეტო დაადო და მოტივირებული შენიშვნებით პარლამენტს უკან დაუბრუნა. პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია.

ახლად მიღებულმა კონსტიტუციამ განამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი გარანტიები. განსაზღვრა თვითმმართველი ერთეულის კორპორაციულ სტატუსი, განამტკიცა ორგანიზაციული და საკადრო პოლიტიკის ავტონომიის პრინციპები, დაადგინა თანამშრომლობისა და გაერთიანების უფლება, მოითხოვა კონსულტაციების გამართვა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში (განმარტებითი ბარათი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“)

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონი (ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი),(საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქუთაისი, 5.02.2014, N 1958-IIს) გახდა საფუძველი ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისა. ორგანული კანონით ნათლად გაიმიჯნა უფლებამოსილებები ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის, არჩევითი გახდა ყველა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის - მერის/გამგებლის თანამდებობა. კო-

დექსით არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს კიდევ შვიდი შეემატა. ასევე, კოდექსის გარდამავალი დებულებებით დაიგეგმა რეფორმირებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური და მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის კუთხით, მათ შორის, ფისკალური დეცენტრალიზაციისა და ქონებრივი საკითხების მოწესრიგების კუთხით.

მხედველობაში გვაქვს კოდექსის 154-ე მუხლი, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობას ევალებოდა 2014 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს პარლამენტისთვის წარედგინა საბიუჯეტო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც განსაზღვრავდა საბიუჯეტო შემოსულობების გამიჯვნას საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებს შორის პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით. ამავე ვადაში უნდა განსაზღვრულიყო მუნიციპალიტეტებისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერის მთლიანი ფონდის პროცენტული მიმართება ნომინალურ მთლიან შიდა პროდუქტთან და გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილების შესაბამისი წესი. აღნიშნული მოთხოვნა არ განხორციელებულა. შესაბამისად თვითმმართველობის რეფორმა რეალურად ვერ განხორციელდა, ვერ იქნა მიღწეული ყველაზე მთავარი - თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობა, რის გარეშე საუბარიც კი ზედმეტია თვითმმართველობების მიერ საკუთარი ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებაზე.

აღნიშნული ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ თვითმმართველობის მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი - ცენტრალური და ადგილობრივი ქონების გამიჯვნა, რომელიც 2017 წლიდან არის გათვალისწინებული, დიდი ალბათობით, ვერ განხორციელდება, ასეთ სიტუაციაში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პირდაპირი წესით არჩეული მერები და გამგებლები გვეყოლება თუ არა, მათ განსახორციელებელი და განსაკარგავი პრაქტიკულად არაფერი რჩებათ.

2015 წლის ბიუჯეტში მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის განსაზრვრა არ მომხდარა, შესაბამისად საქართველომ კვლავ მიიღო ცენტრზე დამოკიდებული თვითმმართველობი. 71 მუნიციპალიტეტის მოსახლეობის პრობლემები კვლავ დარჩა მოუგვარებელი, ხოლო რეგიონული პროექტები განუხორციელებელი.

საქართველოში 54 ქალაქი და 42 დაბაა. ქალაქებს შორის ყველაზე პატარა ქალაქების (წალკა, ცაგერი) მოსახლეობა 2000-ს არ აღე-

მატება, ყველაზე დიდების (თბილისის შემდეგ) მოსახლეობა კი 100 000-ზე მეტია (ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი).

2014 წელს მიღებული „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ, თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა 5-დან 12-მდე გაიზარდა. თბილისს, რუსთავს, ფოთს, ქუთაისსა და ბათუმს - ზუგდიდი, თელავი, გორი, ოზურგეთი, ახალციხე, ამროლაური, და მცხეთა დაემატა. თორმეტივე ქალაქში მერებს მოსახლეობა პირდაპირი წესით ირჩევს, ამ რეფორმის ერთ ერთ უპირატესობად არასამთავრობო ორგანიზაციები იმ ფაქტს ასახელებდნენ, რომ მუნიციპალიტეტსა და ქალაქს ცალ-ცალკე ბიუჯეტი აქვთ და მისი საჭიროების შესაბამისად განკარგვა შეუძლიათ (http://www.myvideo.ge/v/3217378). სულ რაღაც 3 წლის შემდეგ 2017 წელს მწვავე დისკუსიები დაიწყო იმასთან დაკავშირებით, უნდა გაუქმებოდათ თუ არა თვითმმართველ ქალაქებს სტატუსი. ამასთან დაკავშირებით ცვლილებები შედის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში და კიდევ 20 კანონში. პროექტის ავტორი საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროა.

რეგიონული განვითარების მინისტრის მთავარი არგუმენტი გამგებლისა და მერის ფუნქციების დუბლირება და გაზრდილი საბიუჯეტო ხარჯებია (გაზეთი რეზონანსი. 13 მარტი 2014 წ. #065(7707), გვ.4), რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი დასკვნებით მუნიციპალიტეტების გამოყოფის შედეგად გაღებული ადმინისტრაციული ხარჯი ხუთ მილიონ ნახევარ ლარს შეადგენს, შესაბამისად ამ გადაწყვეტილების მიღებით, როგორც ხელისუფლება აცხადებს, 50 მილიონი ლარის დაზოგვა ვერ მოხდება.

თვითმმართველი ქალაქების შესაძლო გაუქმება გააპროტესტა 120-მა არასამთავრობო, სათემო და მედია ორგანიზაციამ. მიუხედავად ამისა რეფორმა მაინც განხორციელდა. 7 თვითმმართველი ქალაქის საკრებულომ ერთმანეთის მიყოლებით გააუქმა საკუთარი თვითმმართველი სტატუსი.

ამ გადაწყვეტილებამ უამრავი კითხვა გააჩინა. ისმევა კითხვა-როგორ მოხდა დროში დამთხვევა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ თვითმმართველობების გაუქმების იდეის გაჟღერებასა

და აღნიშნული ქალაქების საკრებულოების მიერ თავიანთი სტატუსის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა.

2014 წელს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რამდენიმე თავისებურებით გამოირჩეოდა, კერძოდ: 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შემდეგ ჩატარებულ არჩევნებში პირველად იქნა გამოყენებული 3 ბიულეტენი. რაც საკრებულოს წევრთა პროპორციული და მაჟორიტარული წესით დაკომპლექტებით იყო გამოწვეული. მიუხედავად აღნიშნული სიახლისა, ძალზედ დაბალი ამომრჩეველთა აქტივობა დაფიქსირდა.

50 პროცენტიანი ბარიერის შემოღების შედეგად თვითმმართველობის თემების გამგებელთა და თვითმმართველი ქალაქების მერთა არჩევნების მეორე ტურის ჩატარება გახდა საჭირო (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2014 წ. http://cesko.ge/res/old/other/28/28836.pdf.). მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა ძალიან დაბალი იყო, ამას არ შეუშლია ხელი გამარჯვებული კანდიდატების გამოსავლენად, მოქმედი საარჩევნო კოდექსით მეორე ტურში უბრალო უმრავლესობით ხდება გამარჯკვებულის გამოვლენა (ო. მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი, 2014:134).

ამომრჩეველთა აქტიურობის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ შემდეგი მონაცემები:

მონაცემები უბნების მიხედვით

(მონაცემები **723** უბნის მიხედვით)

ოლქზე დაყენებული მაღალი ინტერნეტის უნარქმნა ინსტალული მონაცემების შესახებ

ოლქი \ ხუნიეტი	1	3	5	6	7	8	9	11	13	18	20	30	36	41
1. მიაკუნიდა	425 (2.01%)	2518 (11.9%)	7734 (36.56%)	232 (1.1%)	39 (0.18%)	1081 (5.11%)	33 (0.16%)	37 (0.17%)	16 (0.08%)	167 (0.79%)	313 (1.48%)	25 (0.12%)	18 (0.09%)	8514 (40.25%)
2. ფეკ	1006 (2.64%)	5022 (13.2%)	9607 (25.26%)	611 (1.61%)	103 (0.27%)	2312 (6.08%)	49 (0.13%)	123 (0.32%)	39 (0.1%)	305 (0.8%)	665 (1.75%)	40 (0.11%)	38 (0.1%)	18119 (47.63%)
3. ხაჩერნაული	1162 (2.59%)	6502 (14.5%)	10557 (23.55%)	686 (1.53%)	145 (0.32%)	2923 (6.52%)	96 (0.21%)	232 (0.52%)	37 (0.08%)	396 (0.88%)	858 (1.91%)	82 (0.18%)	50 (0.11%)	21111 (47.08%)
4. კოწანისი	230 (1.56%)	1591 (10.8%)	4819 (32.73%)	104 (0.71%)	39 (0.26%)	658 (4.47%)	27 (0.18%)	29 (0.2%)	26 (0.18%)	33 (0.22%)	308 (2.09%)	10 (0.07%)	13 (0.09%)	6838 (46.44%)
5. ოსანი	658 (2.01%)	3840 (11.7%)	10356 (31.56%)	319 (0.97%)	128 (0.39%)	1324 (4.04%)	117 (0.36%)	137 (0.42%)	52 (0.16%)	85 (0.26%)	821 (2.5%)	40 (0.12%)	40 (0.12%)	14895 (45.39%)
6. ხამგორი	835 (1.98%)	4617 (10.94%)	12024 (28.5%)	337 (0.8%)	157 (0.37%)	2165 (5.13%)	407 (0.96%)	218 (0.52%)	43 (0.1%)	108 (0.26%)	1349 (3.2%)	44 (0.1%)	54 (0.13%)	19831 (47.01%)
7. ზუღერეული	431 (2.1%)	2480 (12.07%)	5827 (28.36%)	245 (1.19%)	67 (0.33%)	998 (4.86%)	32 (0.16%)	99 (0.48%)	28 (0.14%)	83 (0.4%)	523 (2.55%)	26 (0.13%)	21 (0.1%)	9690 (47.15%)
8. დიდუბე	536 (2.04%)	3971 (15.11%)	6732 (25.61%)	305 (1.16%)	59 (0.22%)	1514 (5.76%)	67 (0.25%)	77 (0.29%)	24 (0.09%)	182 (0.69%)	559 (2.13%)	22 (0.08%)	32 (0.12%)	12202 (46.43%)
9. ნაბაღიადევი	1273 (2.81%)	6073 (13.42%)	11813 (26.1%)	492 (1.09%)	158 (0.35%)	2406 (5.32%)	163 (0.36%)	152 (0.34%)	42 (0.09%)	156 (0.34%)	1372 (3.03%)	31 (0.07%)	54 (0.12%)	21069 (46.56%)
10. ვაკეანი	1086 (2.49%)	5594 (12.85%)	12656 (29.07%)	403 (0.93%)	167 (0.38%)	2303 (5.29%)	149 (0.34%)	65 (0.15%)	44 (0.1%)	125 (0.29%)	1323 (3.04%)	39 (0.09%)	38 (0.09%)	19538 (44.88%)

ქართული საარჩევნო სამართლის ერთერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი ადგილობრივი თვითმმართველობის წინა არჩევნების შედეგებშიც გამოიხატა. საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველი სუბიექტებისა თუ საინიციატივო ჯგუფების რეგლამენტაციას (ო. მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი, 2014:134). სწორედ ამიტომაა, რომ 2014 წელს განხორციელებული არჩევნების ფარგლებში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დათვლილ **3637** უბნის მიხედვით არჩევნებში მონაწილე 23 სუბიექტიდან 16 სუბიექტის მონაცემები(თბილისის მაგალითზე) არ გასცდენია 0%-ს (http://results2014.cec.gov.ge/), რაც ნათლად ჩანს შემდეგიმონაცემებიდან:

1	ირაკლი ბერაძე ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)	6562	(2 %)
2	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	2399	(0.73 %)
3	ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია	34026	(10.35 %)
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	85858	(26.11 %)
6	გიორგი გაჩეჩილაძე – მწვანეთა პარტია	4724	(1.44 %)
7	უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე	1803	(0.55 %)
8	დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	20890	(6.35 %)
9	თვითმმართველობა ხალხს!	1444	(0.44 %)
11	ირაკლი ღლონტი – რეფორმატორები	1288	(0.39 %)
12	ჩვენი საქართველო	398	(0.12 %)

სრულიად საქართველოში კი ამ მხრივ შემდეგი ვითარება გამოიკ-ვეთა:

13	მომავალი საქართველო	373	(0.11 %)
16	ქრისტიან დემოკრატიული პარტია (ქრისტიან დემოკრატები)	521	(0.16 %)
17	ერთიანობის დარბაზი	285	(0.09 %)
18	სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა	3847	(1.17 %)
20	შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	11290	(3.43 %)
26	სახალხო პარტია	751	(0.23 %)
30	მერაბ კოსტავას საზოგადოება	668	(0.2 %)
36	საქართველოს მშრომელთა საბჭო	386	(0.12 %)
41	ქართული ოცნება	151269	(46.01 %)

1	არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)	6562	(2 %)
2	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	2399	(0.73 %)
3	ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია	34026	(10.35 %)
5	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	85858	(26.11 %)
6	გიორგი გაჩეჩილაძე – მწვანეთა პარტია	4724	(1.44 %)
7	უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე	1803	(0.55 %)
8	დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	20890	(6.35 %)
9	თვითმმართველობა ხალხს!	1444	(0.44 %)
11	არაკლი ღლონტი – რეფორმატორები	1288	(0.39 %)
12	ჩვენი საქართველო	398	(0.12 %)
13	მომავალი საქართველო	373	(0.11 %)
16	ქრისტიან დემოკრატიული პარტია (ქრისტიან დემოკრატები)	521	(0.16 %)

სახელმწიფოს ფუნქციონირება გაცილებით ეფექტური იქნება თუ ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ქვევიდან ზევით იქნება მიმართული. საქართველოში მოქმედი თუ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტების ანალიზი ადასტურებს **სახელმწიფო ხელისუფლების მზადყოფნას ძლიერი თვითმმართველობების ჩამოყალიბებისათვის.** 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის რატიფიცირება და აშკარად და დაუფარავად გამოხატა

პოლიტიკური ნება ქვეყანაში ძლიერი თვითმმართველობების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ქარტიის სავალდებულო და არასავალდებულო ნორმათაგან საქართველომ აღიარა დაახლოებით 70 % და იკისრა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მისი შესრულების ვალდებულება.

რაც შეეხება ცალკეული ქალაქისათვის თვითმმართველი სტატუსის გაუქმებას, საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, რთულია ცალსახად იმის განსაზღვრა თუ რომელი გადაწყვეტილება იყო უფრო მნიშვნელოვანი: დაშვებული შეცდომის გამოსწორება თუ ადამიანების სამსახურიდან დათხოვნა. ფაქტია, რომ 2014 წელს განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის შედეგად, ბევრ ქალაქს დაბრუნდა მოსახლეობა. დაახლოებით 3 წლის მანძილზე თითქმის შეჩერებული იყო ადგილობრივი კადრების გადინება.

ადგილობრივი თვითმმართველობების სტატუსის გაუქმების შემდეგ, სავარაუდოდ შვიდივე ქალაქიდან და მუნიციპალიტეტებიდან კვლავ განახლდება კადრების გადინება. მუნიციპალიტეტებისა და სოფლების დაცლის პროცესი შეუქცევადი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. ო. მელქაძე, ქართული მუნიციპალიზმი, თბილისი, 2014:134;
2. საქართველოს კონსტიტუცია;
3. ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
4. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 09.01.2006;
5. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების თაობაზე, თბილისი, 2004 წლის 26 ოქტომბერი, N 515-II;
6. საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქუთაისი, 5.02.2014, N 1958-IIს;

7. საქართველოს ორგანული კანონის
8. პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
9. გაზეთი რეზონანსი. 13 მარტი 2014 წ. #065(7707), გვ.4;
10. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 27 მარტის განკარგულება № 43 „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ოპტიმიზაციის თაობაზე“ ;
11. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის #3 სხდომის ოქმი
12. http://www.myvideo.ge/v/3217378;
13. http://imedinews.ge/ge/saqartvelo/10067/gori-tvitmmartveli-qalaqebis-gauqmebis-tsinaagmdegia;
14. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2014 ; http://cesko.ge/res/old/other/28/28836.pdf;
15. http://results2014.cec.gov.ge/.

Lela Mzhavanadze

Some issues of the local self-government reforms in Georgia
Summary

The existence of strong self-governments is vital for the strong economy and effective management of the country. The article deals with the important issues of local self-government reform.

ჩვენი ავტორები:

1. **ოთარ თურმანიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
2. **ვადიმ გუზუნი** - რუმინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი (რუმინეთი);
3. **თამაზ ფუტკარაძე** - აჭარის საარქივო სამმართველო, სამსა-ხურის უფროსი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
4. **ციცი ცინცაძე** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
5. **სოსო სტურუა** – აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსის მოადგილე (საქართველო, ბათუმი);
6. **ელზა ფუტკარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
7. **მზია კეკეიშვილი** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
8. **ელლა საგინაძე** - რუსეთის სახალხო მეურნეობის აკადემიის თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებთა კანდიდატი (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგი);
9. **თამაზ დავითაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრი (საქართველო, ბათუმი);
10. **ფრიდონ ქარდავა** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
11. **ნინო გოგიტიძე** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
12. **მზია სურმანიძე** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
13. **ნინო ძნელაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი (საქართველო, ბათუმი);
14. **ნატო ქიქავა** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპე-ციალისტი (საქართველო, ბათუმი);

15. **თინათინ ჯაბადარი** - საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, თბილისი);
16. **თენგიზ პარმაქსიზიშვილი** - აჭარის საარქივო სამმართველო, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ბათუმი);
17. **მარინა ჯინჭარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
18. **ინგა ელიავა** - ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება, უფროსი სპეციალისტი (საქართველო, ქუთაისი);
19. **ნუგზარ მგელაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
20. **თემურ ტუნაძე** - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო, აკადემიური დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
21. **თამთა აბრამიძე** - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტი, ისტორიის დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
22. **მერაბ მეგრელიშვილი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
23. **ნიკოლოზ მეგრელიშვილი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასწავლებელი (საქართველო, ბათუმი);
24. **რამაზ სურმანიძე** - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (საქართველო, ბათუმი);
25. **ოთარ გოგოლიშვილი** - ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმი, დირექტორი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
26. **მაია რურუა** - აჭარის საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (საქართველო, ბათუმი);
27. **ამირან კახიძე** - ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, დირექტორი (საქართველო, ბათუმი);

28. **კახაბერ ქამადაძე** - გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
29. **შოთა მამულაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
30. **ლანა ბურკაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
31. **თამილა ლომთათიაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
32. **ქეთევან ფუტკარაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
33. **ნაილე მიქელაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
34. **ნანული ნოღაიდელი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
35. **ლიუბოვ სოლოვიოვა** - მიკლუხო- მაკლაის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
36. **ციალა ნარაკიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (საქართველო, ბათუმი);
37. **ლია გოლიაძე** - ბათუმის N1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, მაგისტრი (საქართველო, ბათუმი);
38. **ციური ქათამაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
39. **თეონა აბულაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);
40. **ალა სერდიუკი** - ბერდიანსკის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, ლექტორი (უკრაინა, ბერდიანსკი);
41. **ეკატერინე ბარამიძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დოქტორანტი (საქართველო, ბათუმი);

42. **ქეთევან გიორგაძე** - ბათუმის N6 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი, მაგისტრი (საქართველო, ბათუმი);
43. **თემურ ავალიანი** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასოცირებული პროფესორი (საქართველო, ბათუმი);
44. **ლელა მჟავანაძე** - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,მაგისტრი (საქართველო, ბათუმი).

OUR AUTHORS:

1. **Otar Turmanidze** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
2. **Vadim Guzun** - Archive of the Ministry of Foreign Affairs of Romania;
3. **Tamaz Phutkaradze** – Archives Administration of Ajara, head of service; Batumi Shota Rustaveli State University, professor (Georgia, Batumi);
4. **Tsitsi Tsintsadze** – Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
5. **Soso Sturua** - Archives Administration of Ajara, deputy head (Georgia, Batumi);
6. **Elza Phutkaradze** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
7. **Mzia Kekeishvili** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
8. **Ella Saginadze** - Russian Academy of Sciences, Candidate of History Scientists (Russia, Saint Petersburg);
9. **Tamaz Davitadze** - Batumi Shota Rustaveli State University, master (Georgia, Batumi);

10. **Fridon Kardava** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
11. **Nino Gogitidze** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
12. **Mzia Surmanidze** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
13. **Nino Dzneladze** – Batumi Shota Rustaveli State University, teacher (Georgia, Batumi);
14. **Nato Kikava** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
15. **Tinatin Jabadari** – National Archives of Georgia, Contemporary History Archives, senior specialist (Georgia, Tbilisi);
16. **Tengiz Parmaksizishvili** - Archives Administration of Ajara, senior specialist (Georgia, Batumi);
17. **Marina Jintcharadze** - Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
18. **Inga Eliava** – National Archives preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi; senior specialist (Georgia, Kutaisi);
19. **Nugzar Mgeladze** - Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
20. **Temur Tunadze** - Cultural Heritage Protection Agency, Academic Doctor (Georgia, Batumi);
21. **Tamta Abramidze** - St. Tbel Abuseridze University of Patriarchate of Georgia, Doctor of History (Georgia, Batumi);
22. **Merab Megrelishvili** - Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
23. **Nikoloz Megrelishvili** – Batumi Shota Rustaveli State University, teacher (Georgia, Batumi);
24. **Ramaz Surmanidze** - Doctor of Medical Sciences (Georgia, Batumi);
25. **Otar Gogolishvili** – Khation Akhvlediani Museum, director; Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);

26. **Maia Rurua** – Archives Administration of Ajara, head of department (Georgia, Batumi);
27. **Amiran Kakhidze** – Batumi Archaeological Museum, director (Georgia, Batumi);
28. **Kakhaber kamadadze** – Gonio-Apsarus Archaeological Museum, research fellow (Georgia, Batumi);
29. **Shota Mamuladze** - Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
30. **Lana Burkadze** - Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);
31. **Tamila Lomtatidze** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
32. **Naile Mikeladze** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
33. **Ketevan Phutkaradze** – Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);
34. **Nanuli Noghaideli** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
35. **Liubov Soloviova** – N.N. Miklukho – Maklai Institute of Ethnology and Anthropology (Russia, Moscow);
36. **Tsiala Narakidze** - Batumi Shota Rustaveli State University, Niko Berdzenishvili scientific-research Institute, research fellow (Georgia, Batumi);
37. **Lia Goliadze** – №I Public School, Georgian language and literature, senior teacher (Georgia, Batumi);
38. **Tsiuri Katamadze -** Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
39. **Teona Abuladze** - Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);

40. **Alla Serdiuk** – State Pedagogical University of Beryansk (Ukraine, Berdyansk);
41. **Ekaterine Baramidze** - Batumi Shota Rustaveli State University, doctoral student (Georgia, Batumi);
42. **Ketevan Giorgadze** - №VI Public School, Georgian language and literature, senior teacher (Georgia, Batumi);
43. **Temur Avaliani** - Batumi Shota Rustaveli State University, assoc. professor (Georgia, Batumi);
44. **Lela Mzhavanadze** – Batumi Shota Rustaveli State University, master (Georgia, Batumi).

სარჩევი

1. ოთარ თურმანიძე - აგრარული სექტორისა და სასოფლო სავაჭრო კოოპერაციის კადრების განადგურება 3
2. Вадим Гузун – Борьба за независимость – дипломатические действие: источники из архива министерство иностранных дел Румынии, 1921-1924 гг. 37
3. თამაზ ფუტკარაძე/ციცი ცინცაძე/სოსო სტურუა - გურია-სამეგრელოს ეპარქია და ეპისკოპოს გრიგოლის წერილები დეკანოზ სიმონ ქიქოძისადმი.....52
4. ელზა ფუტკარაძე - ფარსმან მაძევარის წერილები ოსმალელი ქართველების შესახებ 63
5. მზია კეკეიშვილი - ილია ჭავჭავაძის შენიშვნები ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის პირველი სასწავლო პროგრამებზე...71
6. Элла Сагинадзе –,, Я родился в Тифлисе. . . кавказское детство русского реформатора Сергея Витте“ 78
7. **ციური ქათამაძე** – არტაანი წერილობით წყაროებში 85
8. თამაზ დავითაძე - საქართველო და ევროკავშირი.....98
9. ფრიდონ ქარდავა/ნინო გოგიტიძე/მზია სურმანიძე – ნიკოლოზ გომანის მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი (საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით) 119
10. ნინო ძნელაძე - ბერძნული სკოლები აჭარაში და ბერძნული ენის სწავლების თავისებურებები 128
11. ნატო ქიქავა/თამაზ ფუტკარაძე - აჭარაში მცხოვრები ბერძნების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა სააქრივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით 156
12. თინათინ ჯაბადარი - ცოტა რამ XX საუკუნის 60-იანი წლების თურქეთის ქართული სოფლებისა და მისი მოსახლეობის შესახებ.....172
13. თენგიზ პარმაქსიზიშვილი - ქართველ კათოლიკეთა წვლილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული მემკვიდრეობისა და მშობლიური

ენის დაცვის საქმეში (XIX საუკუნის I ნახევრიდან და XX საუკუნის I ნახევრის ჩათვლით) 182
14. მარინა ჯინჭარაძე - ებრაელთა საქართველოში მოსვლის, მიგრაციის, განსახლებისა და ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ზოგიერთი საკითხი 192
15. ინგა ელიავა - ქალაქის კუთვნილი მამულები ბათუმში XX საუკუნის 10-იან წლებში. მათი დანიშნულება და ექსპლოატაცია ..197
16. ნუგზარ მგელაძე/თემურ ტუნაძე - ახალშენის ფერისცვალების სახელობის ტაძარი.....213
17. თამთა აბრამიძე - საქართველო: ინტერესები და გამოწვევა შავი ზღვის რეგიონში 224
18. მერაბ მეგრელიშვილი/ნიკოლოზ მეგრელიშვილი – საქართველო - თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები (წარსული და თანამედროვეობა) 231
19. რამაზ სურმანიძე - ახალი ცნობები გრიგოლ ვოლსკის ცხოვრებ-მოღვაწეობიდან..... **243**
20. ოთარ გოგოლიშვილი - ბათუმის პირველი ქართული სკოლის პედაგოგები 250
21. მაია რურუა - ერთი ფოტოს ისტორია ანუ ფოტო გვიამბობს თავის თავზე 276
22. ამირან კახიძე - ბრინჯაოს მეტალურგიასთან დაკავშირებული მეგალითური კულტურის ძეგლები აჭარაში 280
23. კახაბერ ქამადაძე/შოთა მამულაძე - 2017 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები.....295
24. ლანა ბურკაძე - სამხრეთ-აღმოსავლეთ შღვიზღვისპირეთის რომაული ხანის ძეგლები (ათინა)..... 304
25. თამილა ლომთათიძე - ქრისტიანობის პაგანიზაციის ელემენტები აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში 309
26. თამაზ ფუტკარაძე, ქეთევან ფუტკარაძე - მესაქონლეობის სამეურნეო - კულტურული ასპექტები არტაანელთა ყოფაში...318

27. ნაილე მიქელაძე - ვაზის კულტთან დაკავშირებული თქმულება-გადმოცემები ქართულ ფოლკლორში.....325
28. თეონა აბულაძე – ქართული კულტურის ასახვა აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერენთა მეტყველებაში..... 337
29. ნანული ნოღაიდელი - საქორწინო ტრადიციის ამსახველი რამდენიმე ხატოვანი გამოთქმა აჭარულ დიალექტში.....345
30. Л.Т. Соловьева - Формы бытования христианства у горцев Восточной Грузии (по архивным материалам).....350
31. ციალა ნარაკიძე - მეთევზეობა-ნაოსნობის ასახვა ლაზურ ფოლკლორში.....359
32. ლია გოლიაძე - ისტორიული ტკივილი ლიტერატურაში რევაზ ინანიშვილის „ანანურელი ულამაზოების“ მიხედვით 368
33. Алла Сердюк - КОНЦЕПТ „ГОРОД» НА РУБЕЖЕ XIX-XX ВЕКОВ.....374
34. ეკატერინე ბარამიძე/თემურ ავალიანი - ანთროპონიმია სამყაროს ენობრივი სურათში და მისი დინამიკა (ერთი სასოფლო თემის მაგალითზე) 385
35. ქეთევან გიორგაძე - ტრადიცია, როგორც პერსონაჟი ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში.....400
36. თემურ ავალიანი - XVII-XIX საუკუნეების ქართული ლინგვისტური აზროვნება და საგანმანათლებლო სივრცე აკადემიური ცოდნის გაცვლის ასპექტში.....409
37. ლელა მჟავანაძე - ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ზოგიერთი საკითხი საქართველოში 424

გამომცემლობა „**უნივერსალი**"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com